

გზა



№ 34 21/8/2014 ფასი 1 ლ



განმარტება ორდღიანი „თაფლობის თვის“ შემდეგ

გიორგი
ბახუტაშვილის
ერთი ნახვით
შეყვარება გვ. 18

გინეკოლოგი,
რომელსაც
ქალბებთან და
პაციენტებთან
სხვადასხვა
მიდგომა აქვს

უცხოეთში
წარმატებული
ქართველი ექიმი
გვ. 30

შეუცნობელი

ეზო, სადაც
მიცვალე ბულები
მიწიდან ამოდიან


„ნასაყდრალზე
მცხოვრები თაახი ვერ
გაინარებს“ გვ. 60

Q V S ჩემი რჩეული
獅 龍 虎 მსოფლიო

ქაი ლევ ტოლსტოი
მსოფლიო ათმთავარი ტომი IV

„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

ნიგნის ფასი
5 ლარი



შემდეგი ლევ ტოლსტოი
ტომი V

ISSN 1987 - 5029



როგორ ავიცილოთ თავიდან გაფხულის დაავადებები

ფლუკოლდი სიროფი 100 მლ

თქვენი ქაქუნები სიძველე მეგობარნი!

- ♥ ბაყინაბა
- ♥ ბრიპი, დაღიძობა
- ♥ თავის ტკივილი
- ♥ ხველაბა, ყელის ტკივილი
- ♥ ცხვირის ღორწოვანის შეშუპება
- ♥ სინუსიტთან დაკავშირებული ტკივილი



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

შარბოვალი: ნაბროს ფარმა
 ოფისიალური წარმომადგენელი საქართველოში შპს „კონტა ფარმა“
 ტელ: 223 63 25



დოლარენი

დოლარენის ძალა ამარცხებს ყველაწიერ ტკივილს!

დაამარცხეთ:

- თავის ტკივილი
- სტომატოლოგიური ტკივილი
- მენსტრუალური ტკივილი
- სახსრების ტკივილი
- ცხელება
- სკორტული ტრავმებისგან გამოწვეული ტკივილი
- რადიკულიტი, ართრიტი, ბურსიტი რევმატიზმი

ტაბლეტი N 10



გელი 20 მმ

- ოსტეოართროზი
- მიოზიტი, იზიაზი
- ტკივილი კუნთებში და სახსრებში
- საყრდენ მამოძრავებელი აპარატის ტრავმები



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

შარბოვალი: ნაბროს ფარმა
 ოფისიალური წარმომადგენელი საქართველოში შპს „კონტა ფარმა“
 ტელ: 223 63 25

რეკოვა გელი



- სწრაფი და სტაბილური ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი
- დაჭიმული კუნთების რელაქსაცია
- ადგილობრივი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება

რეკოვა გელი ეფექტურია: კისრისა და წელის კუნთების დაჭიმულობის, ნევრალგიის, რადიკულიტის, ართრიტის დროს

გამოყენების წესი: შეიზილეთ მტკივნეულ უბანზე 2-3 ჯერ დღეში.



გამოიყენება შესაძლებელია ორსულობის პერიოდში და ბავშვებში 5 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გასტროფიტი GASTROFIT®

შეუცვლელი პრეპარატი თქვენი ოჯახის აფთიაქში!


უნიკალური და კომპლექსური მოქმედების მცენარეული სიროფი

აღადგენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბალანსირებულ ლორწოვან გარსს

- მყისიერად ხსნის გულქმარვას, სიმძიმისა და გულისრების შეგრძობას
- ხსნის ტკივილს, შებერილობასა და დისკომფორტს მუცლის არეში
- არაგულირებს სანაღვლე გზების ტონუსს
- არაგულირებს საჭმლის მომწელებელი ფერმენტების სეკრეციას
- აღადგენს ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას

გასტროფიტის გამოყენება შესაძლებელია 1 წლის ასაკიდან

განსაკუთრებით საჭიროა და რეკომენდებულია ბავშვებისათვის და მოზარდებისთვის, რომლებიც იკვებებიან მშრალი საკვებით სკოლაში და ჟურაში – ე.წ. ფასტფუდი, ჩიკენები, ცომეული, გაზირებული სასმელები



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




ქვეყანა



ქართველი სამხედრო ოფიცერი უკრაინის ომში

„ბატალიონი „დონბასი“ სხვა ბატალიონებთან ერთად, დონეცკის ოლქში, ქალაქ ილოვაისკთან გამაგრებულ სეპარატისტებს უტევს... ახლა სინყნარეა, მაგრამ შიგადაშიგ შეტაკებები მაინც ხდება. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ილოვაისკის ნაწილი ავიღეთ, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ეს ქალაქი საკმაოდ მნიშვნელოვანი კვანძია მოწინააღმდეგისთვის.“

7



„ანასტასია ორბანო“ კადრს მიღმა

„საკუთარ თავსაც და სახლსაც კარგად ვვლი“

26



სახე



გველი მგია, მორიდებული კინგკონგები და სპილოების ფლირტი

„მაქვს იმის სიამოვნების საშუალება, რომ ვოლიერებში შევიდე. ხალხს განსაკუთრებით შურს, როცა პატარებთან (ბოკერები, ჩვილი მაიმუნი...) შევდივარ. მახსოვს, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მარტორქამ მოახდინა. ლომისა და ვეფხვის ბოკერები თავისთავად, საყვარლები არიან, მაგრამ ზოოპარკში მუშაობის დაწყებამდე გველი ხელში არასოდეს დამიჭერია.“

24

№ 34
21-27 აგვისტო, 2014
ფასი 1 ლარი

გზა

- **მინიატიურები** 5
„შარვალ-კასტუმი“
- **ექსპერტი** 6
„რუსეთს ხანგრძლივი ომის წარმოების რესურსი არ გააჩნია“
- **მოვლენების ეპიცენტრში** 7
ქართველი სამხედრო ოფიცერი უკრაინის ომში
- **პატრიოტები** 9
„ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მყოფი ებრაელები ერთიანად ვგრძნობთ ვალდებულებას ისრაელის წინაშე“
- **ფაქტი და კომენტარი** 11
რკინის ველოსიპედის ტურნე
- **გისოსებას მიღმა** 12
მოზარდები, რომლებსაც თავისუფლება საოცნებო გაუხდათ
- **პრობლემა** 16
ხალხმა ექიმთან მისვლა უნდა ისწავლოს
- **არდადეგები** 18
ორდღიანი „თაფლობის თვე“ და განმარტოება თურქეთის პლაჟზე
- **გემოვნება** 20
მსახიობს 12-საათიანი ძილი ამშვიდებს
- **დაუსრულბელი წინადადება** 22
გაგა ჩიხლაძის ერთი სიყვარული და ორი ქორწინება




ჩემი რჩეული მსოფლიო

ლევ ტოლსტოი

ათბობეულში შედის

- I კავკასიური მოთხრობები
- II – V „ომი და მშვიდობა“
- VI – VII „აღდგომა“
- VIII – IX „ანა კარენინა“
- X მოთხრობები



■ ამკლუა	24
გველი მზია, მორიდებული პინგვინები და სპილოების ფლირტი	
■ ეკრანს მიღმა	26
„ანასტასია ორეგანო“ კადრს მიღმა	
■ ქსელი	28
„ზოგჯერ მწერენ, — რა ამპარტავანი ხარო“	
■ ემიგრანტი	30
გინეკოლოგი, დიზაინერი, მეურნე...	
■ თავისუფალი თემა	33
რით ამხნევეს 71 წლის ქალბატონი თავის პირველ სიყვარულს	
■ ნამდვილი აბაკვი	36
სად იყო საბჭოთა კავშირში სექსი?!	
■ ბედი კაცისა	37
„მძაფრსიუჟეტისანი“ ცხოვრების მთავარი გმირების სიხარული და სევდა	
■ თინეიჯერული კონტები	40
ჩემი საყვარელი მსახიობი	
■ მისია	43
შვილის ანდერძის აღმსრულებელი დედის საზრუნავი და ტკივილი	
■ რომანი	46
სახიფათო სურვილები (გაგრძელება)	
■ დოკუმენტური პროზა	50
ვლადიმერ პუტინი: „გერმანელი“ კრემლში (გაგრძელება)	
■ ერუდიტი	54
ვახო ჩაჩანიძის დაუვინყარი ზაფხული	
■ ტაძარი	56
რატომ გვეძლევა ღვთისგან სხვადასხვა ნიჭი	
■ ფუსვები	58
ისინი ბრუნდებიან მთაში	
■ შეუცნობელი	60
რა კავშირია მინიდან ამომძვრალ ჩონჩხებსა და ბავშვს შორის, რომელიც საპნითა და „გუბკით“ იკვებება	
■ FACEBOOK-მონიტორი	63
Lilo Slab city — უპოვართა ოცნება	
■ ჭანმრთელობა	64
როგორ ავიცილოთ თავიდან „ზაფხულის დაავადებები“	
■ თაობა	66
სტუდენტის მერხიდან — ლექტორობამდე ანუ რატომ უწოდებენ ლაშა ლაკირბაიას გენიოსს	
■ მეურნის გვერდი	68
■ პროგრესი	71
■ გზავნილები	72
■ მობილი-გაცნა	75
■ ასტროლოგია	79
■ გასართობი	80
■ სკანვორდი	82




ცხოვრება

**ფრაგმენტები ქიზიყელი
მელვინის, ნულას ცხოვრებიდან**

ამ „მძაფრსიუჟეტისანი“ ცხოვრების მთავარი მოქმედი „გმირი“ გახლავთ ფული, რომელიც ოჯახს არასოდეს აკლდა. სწორედ ფული და სიმდიდრე იყო იმ ადამიანთა სამიზნე, ვინც ბაკაშვილების ოჯახის ბედს აბრუნებდა და ხიფათით სავსეს ხდიდა. — ღირდა კი ეს ყველაფერი იმ სიმდიდრისა და ფუფუნების სანაცვლოდ? — ეს გახლდათ ჩემი ბოლო კითხვა...

37



ისინი ბრუნდებიან მთაში...

58

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამომცემის კვირაში ერთხელ, სუთმობათოვით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დაბეჭდა**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დიზაინი: **ლაშა გიორგაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე**

დაბეჭდა: **სტამბა კოლმორში**

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07; (+995 32) 238 78 70

„შარვალ-კასტუმი“

შესავლის მაგიერ

დიდი ხნის წინ, კომუნისტობისას, სკოლიდან მათემატიკის ოლიმპიადის რომელიღაც ტურზე გამიშვეს, რომელიც რატომღაც ახალქალაქში ტარდებოდა (ისე, ოლიმპიადა რატომ ერქვა და მგონი, ახლაც ჰქვია მათემატიკაში შეჯიბრებას, ძალიან მიკვირს). ჩვენი სკოლიდან ოთხნი ვიყავით, პატარები — მეოთხე-მეხუთეკლასელები. ამიტომ უფროსები წამოგვეყვინენ — ერთ-ერთის მამა და ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

ჩვეულებრივად გვეცვა, „თბილისურად“ და ბავშვურად (მაისი იყო) — შორტები (მაშინ ეს სიტყვა არ ვიცოდით, „მოკლე შარვალს“ ვეძახდით) და „ნუპაგაძიანი“ და „ჩებურაშკიანი“ („მიკი მაუსზე“ მშობლებს იძახებდნენ „კაგებეში“) მაისურები. ჩემი პირველი შთაბეჭდილება მახსოვს, რკინიგზის სადგურზე გამოსვლისთანავე (რატომღაც მატარებლით წაგვიყვანეს), ყველას, დიდსა და პატარას (ჩვენს თანატოლებსაც), ერთნაირად ეცვათ, გაკვირვებულები გვიყურებდნენ და ახლა რომ ვისხენებ, იმ შთაბეჭდილებისა თუ მოგონების განუყოფელი ნაწილია ჩვენი „ფიზკულტურელის“ პირველი რეპლიკა ბაქანზე:

— ყველას რო „შარვალ-კასტუმი“ აცვია, ყველას ცოლი მოჰყავს, ამ ჩემისებს?!
...

არაფერი განსაკუთრებული, ისე გამახსენდა, ბავშვობის ნოსტალგია მომეძალა, მაგრამ ამ ნოსტალგიის ინსპირატორი ამკარად მიშას „შარვალ-კასტუმი“ იყო, იმ ტელევიზიულ ეთერში ვიღაც ქალი რომ კარადიდან იღებდა და სანოლზე აწყობდა — ისევე გამახსენდა ახალქალაქი და „შარვალ-კასტუმიანი“ ბავშვები.

ჯანდაბას შორეული წარსული, დღევანდლობას მოვხედოთ: პრეზიდენტი რომ ბიუჯეტის ფულით ვიღაცის ძუძუებით დახატულ შედევრს ყიდულობდა, ეგ ცუდია, მაგრამ აქ მაგაზე აღარ შევჩერდები. აღარც პიჯაკებსა და ქაშმირის პალტოზე, მაგრამ ამ „შარვალ-კასტუმების“ ამბავმა, როგორც ხდება ხოლმე, სხვა ცუდი ამბებიც დამანახვა: ჯერ ეს გამოგზავნა თუ კანცელარიაში მიტანა! ეს გოიმობა და კიდევ უფრო დიდი გოიმობა — „ნაცმოდრობის“ სიხარულისგან აწყვლობინებული ჰამქრისა — ყოჩაღ, მიშა, ხო მაგრად ჩაუტარა „ქოცებს“?!

მაგრამ „ერთი თხისკენ და ერთი — მგლისკენ“, მეორე მხრიდანაც რომ გოიმობა და უზრდელობა დახვდა ამ ამბავს?! კი ბატონო, მიიტანა სააკაშვილის იმ ვილაც კურიერმა თუ მისი ბიბლიოთეკის (ჰმ, რუხველტია, რა!) თანამშრომელმა ის ძონძები კანცელარიაში, მაგრამ დამხვედურებმა რა ქნეს?! ადექი, შე კაი კაცო, მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირი, თუ რაც ხარ, მოკლედ, ხელფასს რომ იღებ, ჭკუა რომ მოგეკითხება ვითომ და ხელისუფლებასთან რომ ასოცირდები, ამდენი კამერა რომ გიღებს, გაანძრი ტვინი და შენ გააკეთე ის, რაც მაგ ქალმა მერე გააკეთა — გამოიძახე პატრული, ჩააბარე ის ნივთები და იმ ქალსაც ზრდილობიანად დაემშვიდობე. რაღას იზამდა? ნავიდოდა და დამთავრდებოდა ამბავი. ახლა?! ახლა ამბობს, რომ უყვიროდი, უზრდელი ხარ, ხელით შეეხე და ა.შ. და რაც ყველაზე ცუდია, ასი პროცენტით მართალია! ყველა არხმა უჩვენა და მთელმა ქვეყანამ ნახა, როგორ უყვიროდი: „ჩაჯექი, ქალო, მანქანაში!“ და ხელს



ჰკრავდი. ყველაფერი კი არ უნდა გაიმეორო, რასაც შენთვის მისაბაძი პიროვნება იტყვის — იმან რომ თქვა, „შედი, ქალო, ბუტკაში“, — ის ანეკდოტი იყო, შენ კი საპროვოკაციოდ მოსულ პოლიტიკურ ოპონენტს ეძახე და გაიჩალიჩე კიდევ.

მეტსაც გეტყვით: მიშას „შარვალ-კასტუმებისა“ და მისი სექსუალური ფანტაზიების ბიუჯეტის ხარჯზე დაკმაყოფილება ცუდი იყო, მაგრამ წარსულში იყო ეგ ამბავი და გამოძიებაც მიმდინარეობს. დღეს კი, მაგაზე მეტად ის მალეღებებს, ახალი ხელისუფლების „მსუბუქი“ თუ „მძიმე“ ჩინოვნიკები რომ ვერ ქაჩავენ — გნებავთ, ეს ადმინისტრაციის ჩინოსანი და თუნდაც ის მოხელეები, რომლებზეც წინა „პროვოკაციებში“ ვწერდი, თბილისის მერის მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზატორებით დაწყებული და პრემიერის „სპირაიტერებით“ დასრულებული...

...ვიფიქრე, ასე, წყნარად, თავის აუტოკივებლად, მწვად-შამფურ-დაუნველად და პატარ-პატარა ჩინოვნიკების კრიტიკით დავასრულებ-მეთქი, მაგრამ ვინ გაცადა?! — პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უკვე დაუკრეფავი გადასული ურთიერთობა, მგონი, ქვეყნისათვის საზიანო ხდება. ბატონებო, ნუ დაგავინწყდებათ, თქვენ, ორივენი, ხალხმა „ავანსად“ აგირჩიათ-დაგინშნათ და იქნებ თქვენი რეალური ლეგიტიმაციის ხარისხის შესაბამისად მოქცეულიყავით?!



P.S. არა, მაინც რატომ ჩაატარეს ის „ოლიმპიადა“ ახალქალაქში? მაშინაც ყველა იქაური სომხურენოვანი იყო. მგონი, იქ ქართული სკოლა საერთოდ არ არსებობდა... ისე, ძალიან კარგი ხალხი დაგვხვდა, მაგრამ გვიმასპინძლეს, საღამოს ვიღაც ახსოვდა მათემატიკა. პიჯაკებიან ბავშვებთანაც ვითამაშეთ. ერთი სიტყვით, მართლა ის „შარვალ-კასტუმი“ რომ არა, მიშას რა გამახსენებდა იმ კაი ხალხთან დავავშირებით. მით უმეტეს, რომ „შარვალ-კასტუმებშიც“, ფასის გარდა, იყო მთავარი განსხვავება: იმათ თავიანთი ალალი შრომით ჰქონდათ ნაყიდი.

პროვოკატორი



„რუსეთს ხანბრძლივი ომის წარმოების რისკის არ გააჩნია“

რამდენიმე დღის წინ, უკრაინაში, ლუგანსკის ოლქში მომხდარმა ტრაგედიამ ამ ქვეყნისადმი მსოფლიოს ყურადღება და თანაგრძობა კიდევ უფრო გაამძაფრა. დევნილთა თეთრი დროშებით მოძრავ საკმაოდ ხალხმრავალ კოლონაში, რომელიც სეპარატისტებმა დაბომბეს, თითქმის ყველა ადამიანი დაიღუპა, ბევრი მათგანი ცოცხლად ჩაინვა...

ექსპერტი რამაზ საჩხაძერაძე მომხდარ ტრაგედიას აფასებს და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებზე, ასევე, უკრაინული ფესტივალის საქართველოში ჩატარების თემაზე გვესაუბრება.

თამთა დაღეჟელი

— შემზარავი ფაქტი მოხდა. თავისთავად, მსხვერპლის გამოა შემზარავი და იმ ცინიზმის გამო, რომლითაც ეს დანაშაულია ჩადენილი და იმ შედეგების გამო, რაც მას მოჰყვება, — დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდება. ომია, მაგრამ ეს ომი უფრო დაუნდობელი იქნება და სავარაუდოა, რომ ეს დანაშაული უკრაინელების უფრო მეტად გასამწარებლადაა ჩადენილი, რომ პროვოცირება მოახდინონ და ანალოგიური დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ ჩაადენონ.

— ამ ბარბაროსობამდე, თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტიც იყო...

— საინტერესოა, რა ხდება ამ ფაქტთან დაკავშირებით, რადგან რატომღაც, ყველა მხარე გაჩუმდა. გამოძიებას უნდა ეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ თავისთავად, რუსეთთან ყოველთვის გინევს იმაზე დაფიქრება, რომ როცა უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაიღვრება, ეს რუსული სამხედრო მანქანის შეცდომაა თუ წინასწარ განზრახული ის სადიზმი, რომელიც საპასუხო სადიზმის ანგარიშითაა ჩადენილი.

— რამ შეიძლება შეაჩეროს რუსეთი?

— გადანყვეტილება, რომელიც დასავლეთმა მიიღო, — რომ ეკონომიკური სანქციები გამოიყენოს, — მგონი, ეფექტიანი იქნება. იმიტომ, რომ რუსეთში უკვე გაჩნდა პრობლემები, რომელიც მართალია, თვით რუსეთის ემბარგო წარმოშობა, როცა უარი ეთქვა ევროპიდან სურსათის მიღებაზე, მაგრამ ფაქტია, ამ ტიპის დაპირისპირებაში რუსეთი საკმა-



ოდ რთულ მდგომარეობამდე მივიდა: დღეს მთელ მსოფლიოში უნევს საკვების ძებნა და გამოჩნდა ის, რაც ამდენი ხანია, არ უნახავთ, — რიგები და დეფიციტი. ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული და თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი ალბათ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

— ეს უფრო მეტად ხომ არ გააბოროტებს?

— ალბათ უნდა ველოდოთ, რომ „მოახერხებს“ ამას: რუსეთს არ უჭირს გაბოროტება, მაგრამ მეორე მხრივ, თუ მხოლოდ ემოციებით არ იმოქმედებს (და ემოციებით არც ერთი იმპერია არ მოქმედებს), უნდა დაითვალოს, რა ეშუქება და რა პერსპექტივა აქვს ამ ბრძოლაში. ატომურ ომს თუ წამოიწყებს, ამ შემთხვევაშიც კი რუსეთი ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება. ღმერთმა დაგვიფაროს ყოველგვარი ომისგან და მით უმეტეს, ატომურისგან! ნებისმიერ ომს შესაბამისი ეკონომიკა სჭირდება, რომელიც რუსეთს არ გააჩნია. ამიტომ, იმის გაზომვა მოუწევს, თუ რა დონემდე აქვს აგრესიის გამოვლენის საშუალება. ერთია, რომ კონფლიქტი გააჩალო საზღვრო რაიონში — მაგალითად, საქართველოს ერთ დღეში მოუგო, — მაგრამ გრძელვადიანი, სერიოზული მასშტაბის მქონე დაპირისპირების უნარი რუსეთს, როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, დღეისათვის არ აქვს.

— უკრაინამ როგორ უნდა იმოქმედოს რუსეთთან ურთიერთობისას?

— უკრაინის პოზიციას ალტერნატივა არ გააჩნია: უკრაინას აღმოაჩნდა ის, რაც ჩვენ არ გვქონდა — ბრძოლის უნარი — სამხედრო ძალისა და ტექნიკის რაოდენობითაც, შეიარაღებითაც და ბევრი სხვა კომპონენტითაც, ამიტომ ის იბრძვის, თორემ როცა ანექსირებული ხარ, როგორ პოზიციას დაიჭერ?... მით უმეტეს, ჩვენს შემთხვევაში არ იყო მსოფლიოს ისეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა, როგორც უკრაინას აქვს. მსოფლიო 2008 წელს და მსოფლიო დღეს ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, უპირველეს ყოვლისა — რუსეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

— თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამას — უკვე ნანახი, საქართველოს მაგალითი თუ მსოფლიოს თვალში უკრაინის მეთი წონა?

— ჩვენს პერიოდში ჯერ კიდევ „გადატვირთვის პოლიტიკის“ ნიშნები იყო. ამერიკა ამ პოლიტიკისთვის ემზადებოდა, თუმცა გადატვირთვა დაწყებული არ იყო... დღეს უკვე დასავლეთმა, როგორც ვვარაუდობ, დაინახა, რომ რუსეთის ასეთი თანდათანობითი „გაქრისტიანება“ საეჭვოა და მასზე მხოლოდ ძალის არგუმენტი მოქმედებს. დაინახა ის, რაც თავის დროზე დაინახა რონალდ რეიგანმა. ვნახოთ, ამას რა მოჰყვება.

— როგორ ფიქრობთ — უკრაინასთან მეგობრული დამოკიდებულების გამო, შეიძლება, საქართველოს რუსეთის მხრიდან ახალი საფრთხე შეექმნას? გარკვეულ წრეებში გალიზიანება

გამოიწვია, მაგალითად, იმან, რომ „კაზანტიპის“ ფესტივალი აქ უნდა ჩატარდეს, რადგან ყირიმის ნახევარკუნძული ახლა რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

— საქართველოს დამოკიდებულება უკრაინასთან შეუძლებელია, რუსეთთან დამატებითი სირთულის მიზეზი გახდეს, რადგან ისედაც რთული ურთიერთობა გვაქვს. დიპლომატიური ურთიერთობა არ გავაჩნია და დღევანდელი ხელისუფლების სტილი ისეთია, რომ ცდილობენ, ზედმეტი სირთულეები არ შექმნან, უკრაინული ინტერესების იმდენად მკვეთრი დამცველები არ იყვნენ, რომ ამით საქართველოს ინტერესებს ავნონ. ამისთვის აკრიტიკებენ „ნაციონალები“, მაგრამ სანამ ასეთი ზომიერი პოლიტიკა იქნება, მე მგონი, საქართველოს დიდი საფრთხე არ ემუქრება, მით უმეტეს, შეფასების დონეზე. დსთ-ის ქვეყნებიც კი კრიტიკულად გამოდიან იმის მიმართ, რაც უკრაინაში ხდება.

— აქვე გკითხავთ აზრს „კაზანტიპზე“, რომლის გარშემოც ამხელა აჟიოტაჟია: რას ფიქრობთ ამ ფესტივალის საქართველოში ჩატარების ავკარგზე?

— ეს ფესტივალი მორიგი ტესტი გახდა და ვერ ვიტყვოდი, რომ სწორი შეხედულებაა ის, რომ თუ „კაზანტიპის“ მომხრე ხარ, ე.ი. ევროპელი ხარ და თუ არა, უხეშად რომ ვთქვათ — რუსი. ქვეყანას თავისი ტრადიციები, კულტურა აქვს. ჩვენი ტრადიციები და კულტურა, სამწუხაროდ, დიდ ნაწილს ისე არ ეძვირფასება, რომ ამ მოტივით რაღაცაზე უარი თქვას. მით უმეტეს, „კაზანტიპი“ მოსახლეობას არც მალალი ხელოვნების ნიმუშებით დაატკბობს და არც ნოვატორული ხელოვნების; საკმაოდ ვულგარული მოვლენაა და ამ ვულგარიზმის „ევროპიზმად“ გასაღებადი ტრაგედია არ არის, მაგრამ გულდასაწყვეტია.

— ტურიზმის დეპარტამენტში მიაჩნიათ, რომ ეს სამეგრელოში დიდ ფულს შემოიტანს და მისი ანაკლიაში ჩატარების პლუსი და საჭიროება სწორედ ეს არის.

— გაცილებით მეტი თანხა შეიძლება შემოვიტანოთ, თუ ნარკოტიკებს გავყიდით. გავყიდოთ?... არის რაღაც მოვლენები, რომლებიც თანხაზე მალა დგას. ვიმეორებ, „კაზანტიპი“ ქვეყნის დანგრევა არ არის, მაგრამ შეიძლება (რაც ნამდვილად არ გამიხარდება), რომ ხელისუფლებას ეს ნაბიჯი ძალიან ძვირად დაუჯდეს, მის მიმართ გალიზიანება გამოიწვიოს. ამიტომ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ხელისუფლება რატომ თვლის, რომ ადვილად შეიძლება ხალხის დამოკიდებულების უგულვებელყოფა.

ქართველი სამხედრო ოფიცერი უკრაინის ომში

„სანამ ეს ომი მიმდინარეობს, აქედან არსად წასვლას არ ვაკვირებ“

ნარსულში ქართველი არმიის ოფიცერი ირაკლი ქურასპაძიანი დონეცკის ოლქში იმყოფება და ანტიტერორისტულ შტაბს ოპერაციის დაგეგმარებაში ეხმარება. ჩვენი საუბარი მაშინ შედგა, როდესაც ის ბატალიონ „დონბასის“ კიდევ რამდენიმე ქართველ ოფიცერთან ერთად, დონეცკის მახლობლად დასახლებული პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში იყო ჩაბმული. ქართველმა მეომარმა ჩვენთან საუბარი შესვენების დროს მოახერხა...

ლალი ვაკასიძე

— ირაკლი, რა ხდება ახლა თქვენ გარშემო?

— ახლა ჩვენი ბატალიონი „დონბასი“ სხვა ბატალიონებთან ერთად,

დონეცკის ოლქში, ქალაქ ილოვაისკთან გამაგრებულ სეპარატისტებს უტევს... ახლა სინყნარეა, მაგრამ შიგადაშიგ შეტაკებები მაინც ხდება. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ილოვაისკის ნაწილი ავიღეთ, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ეს ქალა-

სასისოსხლო მნიშვნელობის ნახევრადუჯერი ცნიმოვანი მჟავები

omasai

ომეგა-3 ცნიმოვანი მჟავები



ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის სისხლძარღვებში ათეროსკლეროზის განვითარებას;

- არაბულირებს ცნიმოვან ცვლას ღვიძლსა და სისხლის პლაზმაში;
- ხელს უწყობს ცნიმოვანი მასის შამცირებას და კუნთოვანის ზრდას;
- ომეგა-3 აღმოჩენილია თვალის ბადურა გარსის შამაღბანლოზაში, და წარმოადგენს აუცილებელ დანამატს მხედველობის განსაუმჯოვანებლად;
- არაბულირებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას და აუმჯოვანებს მხსნიერებას;
- ახსნიათებს გამოსატული ანტიოქსიდანტური მოქმედევა.

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

GMP

ქი საკმაოდ მნიშვნელოვანი კვანძია მონინააღმდგმისთვის. ქალაქის ალება რამდენჯერმე ვცადეთ, მაგრამ გაგვიჭირდა. დღეს დილიდან (ინტერვიუ ჩანერილია 18 აგვისტოს ღამეს. — ავტ.) რამდენიმე მიმართულებით დავიწყეთ შეტევა. ჩვენმა ბატალიონმა დასავლეთის მხრიდან განახორციელა დარტყმები და ახლა თითქმის ბოლოში ვართ გასული. ქალაქში შესვლამდე კიდევ ორი სოფელი იყო ასაღები, იქ მუშაობამ ბევრი დრო წაიღო...

— ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სეპარატისტებმა მშვიდობიან მოსახლეობას გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც, ქალებიც და ბავშვებიც დაიღუპნენ...

— დიახ, ეს მოხდა ლუგანკსთან ახლოს, გზატკეცილზე. როდესაც ისინი სამხედრო მოქმედებების ზონას ტოვებდნენ, ნაღმსატყორცნიდან და „გრადის“ დანადგარებიდან გაუხსნეს ცეცხლი. ეს ადგილი ჩვენგან საკმაოდ შორს არის, მაგრამ ინფორმაცია, რა თქმა უნდა, გვაქვს. დაახლოებით 40 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები არტილერიით ამოხოცეს...

— რა მდგომარეობაშია მშვიდობიანი მოსახლეობა, პანიკაა?

— დიახ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, რადგან ტერორისტები მას მშვიდობიანად გამოსვლის საშუალებას არ აძლევენ. ახლა ერთ-ერთი სკოლის შენობაში ვართ გამაგრებული, რომლის სარდაფშიც რამდენიმე ათეული ქალი და მამაკაცია, არიან ბავშვებიც. ტერორისტების იქვე ყოფნის გამო, ისინი გარე სამყაროს თითქმის მონყვეტილნი იყვნენ. წყალი და საკვები, ასევე მედიკამენტები, რაც კი გვქონდა, ყველაფერი მივეცი.

გვითხრეს, რომ სულზე მივუსწარი... შეტევაზე გადმოდიან, დაბომბვა დაიწყეს. უნდა გავიდე. თუ შევძელი, ისევ დავბრუნდები (საბედნიეროდ, მოგვიანებით ის ისევ გამოჩნდა ხაზზე. — ავტ.)... ჩემი ბედის რა ვთქვი, 22 წლის წინ, როდესაც 18 წლის გავხდი, გაგრის ბრძოლებში ვიყავი, ახლა 40-ის ვხდები და ისევ რუსებთან სამხედრო მოქმედებებში ვარ ჩაბმული. ფერისცვალების დღეს ვარ დაბადებული და უფლის იმედი მაქვს, რომ ხვალინდელი დღე უფრო კარგი იქნება.

— გილოცავთ, ღმერთმა მშვიდობით დაგაბრუნებოთ სამშობლოში!

— გმადლობთ.

— ქართველები ბევრნი ხართ?

— არიან, კი... ზოგს ვიცნობ, ზოგს — არა. გუშინ დავვეჭრა ერთი ბიჭი მსუბუქად, ჭურვის ნამსხვრევმა შუბლი გაუკანრა. მის სახელსა და გვარს ვერ გეტყვით. კიდევ რამდენიმე ინსტრუქტორი და მრჩეველია ჩვენებური. ისიც ვიცი, რომ სხვა ბატალიონებშიც არიან ქართველი მეზობლები... მატერიალური ზიანი საკმაოდ დიდია, აქაურობა სულ მიგრეულ-მონგრეულია. მართალი გითხრათ, აქ რომ მოვდიოდით, მეგონა, ადგილობრივები ჩვენ მიმართ აგრესიულები იქნებოდნენ, მაგრამ შევცდი, — ბევრი პირდაპირ მოდის ჩვენთან და გვეუბნება, ვინ ესროდა მათ. არასდროს დამავინყდება: ერთ სოფელში რომ შევედით, ვილაც ასაკოვანი უკრაინელი ქალი გვეცა. მაღალი, ზორბა ქალი იყო. მოვარდა და ერთი გემრიელად შეგვიკურთხა, — სად ხართ ამდენ ხანს, რატომ არ მოხვედითო? ძალიან ცუდ დღეში აგდებენ სეპარატისტები.

— ირაკლი, ბოლო დროს ხშირად

ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინის არმია უკანასკნელი ძალებით იბრძვის — ვგულისხმობ სამხედრო შეიარაღების რესურსს...

— ეს არის რუსული პროპაგანდის ნაწილი. უკრაინის შეიარაღებული ძალები თავისი შესაძლებლობების დაახლოებით 20-30%-ს იყენებს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის არმია დიდი ხანია, უკრაინაში შემოჭრისთვის ემზადება. ვიცით, რომ პირველი დარტყმა მართლაც უმძიმესი იქნება, მაგრამ მისი წნეხის ქვეშ მთელი ჯარი არ უნდა მოჰყვეს. ამ დარტყმის შეკავებასა და რალაც დროის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევას ჩვენ ანუ ის ბატალიონები შევძლებთ, რომლებიც ახლა აქტიურ სამხედრო მოქმედებებში ვართ ჩაბმულნი. შემდეგ კი, წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით ვიხლმძვანებთ.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეპარატისტების მხარეს ოსებიც იბრძვიან. თუ იცით რაიმე ამის შესახებ?

— დიახ, პირადად არ შემხვედრიან, მაგრამ ბიჭებისგან ვიცი, რომ არიან. „კადროველი ჩეჩნები“ უფრო მეტნი არიან. საერთოდ, უცხოელი მოხალისეებიც არიან, მათ შორის, ებრაული დანაყოფიც...

— დასასრულს, შეგიძლიათ მითხრათ, თქვენ როგორ აღმოჩნდით მანდ?

— კი, ბატონო, დასამალი არაფერი მაქვს. აქ 17 ივნისს ჩამოვედი. სამი კვირა კივეთან ახლოს, პეტროვცებში ვიყავი, სადაც ბატალიონის („დონბასის“) მომზადების ბაზაა. იქ როგორც ინსტრუქტორი, ისე ვეზმარებოდი. შემდეგ ბატალიონი საბრძოლო მოქმედების რაიონში გადმოვიდა და მეც გადმოვეყვი. აქ საკუთარი ინიციატივით ჩამოვედი, ფორმა და ნივთებიც კი არ მქონდა, მაგრამ ვიყიდე და თვითმფრინავით ჩამოვფრინდი. აქვე უკვე იყვნენ ჩემი მეგობრები. ქართველების გარდა, უამრავი უკრაინელი მეგობარი მყავს. საქართველოში 2006-2008 წლებში სამხედრო დაზვერვის დანაყოფის უფროსი ვიყავი და ჯერ კიდევ იმ დროიდან მქონდა კარგი ურთიერთობა უკრაინელებთან. ვიცი, ეს ბევრს აინტერესებს და აქვე გეტყვით, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომშიც ვმონაწილეობდი, მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, საზღვარგარეთ წავედი. ამ თემაზე საუბარი შორს წავიყვანს და ამდენი დროც არ მაქვს, ამიტომ მოკლედ გეტყვით: სანამ ეს ომი მიმდინარეობს, აქედან არსად წასვლას არ ვაპირებ.



საქართველოში 2006-2008 წლებში სამხედრო დაზვერვის დანაყოფის უფროსი ვიყავი და ჯერ კიდევ იმ დროიდან მქონდა კარგი ურთიერთობა უკრაინელებთან

„ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მყოფი ებრაელები ერთნაირად ვბრძნობთ ვალდებულებას ისრაელის წინაშე“

„ჩვენი ქვეყანა „ჰამასთან“ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი რამდენიმე დღეში ვერ დამთავრდებოდა. ამიტომაც, როგორც კი სამშობლოს დავეჭირდი, დავბრუნდი. მეც და ქვეყნიდან ჩემსავით სხვადასხვა მიზეზით წასული უამრავი ადამიანი, რომელიც ქვეყანას დასჭირდა, დავბრუნდით... ბრუკლინში ცხოვრობდი და ვმუშაობდი, მაგრამ სამშობლოს დაცვაზე მნიშვნელოვანი საქმე არ არსებობს. მუშაობა სხვაგანაც შემიძლია დავინყო,“ — მითხრა 32 წლის ებრაელმა ბიკი საულესმა, რომელიც ისრაელსა და პალესტინას შორის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობის გამო შინ დაბრუნდა.

მისივე თქმით, ამ ასეულობით ემიგრაციაში მყოფ ებრაელს შორის, „ქართველი ებრაელებიც“ არიან. მოკლევადიანი სამხედრო გადაზიდვების შემდეგ, ისინი ქვეყნის არმიის მოხალისეთა რიგებში ჩაენერნენ...

ლალეი კაპანსკირი

ბიკი საულესი:

— არავის მივცემთ საშუალებას, ტერორისტული აქტებით გაანადგუროს ჩვენი ქვეყანა. რამდენიმეკვირიანი მომზადების შემდეგ, მოხალისეთა რიგებში ჩავენერეთ. ჩემთან ერთად ასობით ჩემი თანატოლი ბიჭი და გოგოა. იარაღთან არც ადრე ვიყავი მწყრალად და არც ახლა გამჭირვება მასთან „ურთიერთობა“, მაგრამ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში არ ვართ ჩართული. ქუჩაში აღმოჩენილი საფრთხის შემთხვევაში, ვიძახებთ პოლიციას ან შესაბამის სამსახურს, მანამდე კი იქ მყოფთა უსაფრთხოებაზე ვზრუნავთ. დაბომბვის შედეგად დაზარალებული ადამიანები გადავყვავს სამედიცინო დანესეულეებში. ეს ერთგვარი ჯაჭვია, ვითარება რომ არ დაიძაბოს, ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს და პანიკა არ წამოიშვას. დაიბომბა თელ-ავივი, აშდოდი, აშკელონი და ბერ-შევა, მაგრამ ხალხი მაინც მშვიდად აგრძელებს ცხოვრებას. საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრებში ჩადიან. სამწუხაროდ, მაინც გვყავს 100-მდე დაღუპული, მათ შორის არიან მცირეწლოვნებიც. ძალიან ვწუხვართ იმ უდანაშაულო ადამიანების გამო, რომლებიც პალესტინის დაბომბვას



აქტიურობენ ქალებიც, რომლებიც ასაფეთქებელ მოწყობილობას ჩუმად ეზიდებიან ისრაელის ტერიტორიაზე

ემსხვერპლენ, მაგრამ ისრაელი ვერ შეწყვეტს დაბომბვას. ასეთ შემთხვევაში, ისინი აუცილებლად გაძლიერდებიან და გააქტიურდებიან.

— ახლა მხარეებს შორის ზავია გამოცხადებული...

— დიახ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს უპირობო სიმშვიდესა და უსაფრთხოებას. ისინი მაინც არ ისვენებენ. მოდუნება არ შეიძლება. იქ განათლება ძალიან დიდი პრობლემაა, პატარა ბავშვებს იარაღით ხელში ზრდიან... საქმე ის არის, რომ მათ იციან — ვერ გაიმარჯვებენ და ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ადამიანური ზიანი მოგვაცენონ. თავად, ერთმანეთისა და საკუთარი სიცოცხლეც არაფრად უღირთ. იდეოლოგია და მრწამსი აქვთ ასეთი. ისინი აქ, „ცახალში“ (ისრაელის არმია. — ავტ.) მიღებულ სამხედრო გამოცდილებას ახლა ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ: წლების განმავლობაში, ათასობით პალესტინელი გადმოდოდა ისრაელში, სამხედრო ძალებში მსახურობდა. ჩვენს ჯარში გამოცდილებასა და კვალიფიკაციას იმალებდნენ, შემდეგ კი უკან ბრუნდებოდნენ. ძალზე აქტიურობენ ქალებიც, რომლებიც ასაფეთქებელ მოწყობილობას ჩუმად ეზიდებიან ისრაელის ტერიტორიაზე და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტოვებენ. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხი ძალიან

ფრთხილია და მხოლოდ თითო-ორი საშუალებით შეიძლება თუ არ ჩავთვლით, ყველა საეჭვო ნივთი თუ პარკი დროულად შემოწმდა და მოსალოდნელი ტრავმებიც თავიდან ავიცილეთ. ზავის გამოცხადების შემდეგ, „ჰამასმა“ არაერთხელ დაარღვია პირობა... ისრაელში რამდენიმე ათასი პალესტინელი ცხოვრობს. მათ, ჩვენთან შედარებით, დემოგრაფიული ბუმი აქვთ. პალესტინელებში შობადობა წარმოუდგენლად მაღალია. ისრაელი არ დაუშვებს, რომ ებრაელები უმცირესობაში აღმოვჩნდეთ, რაც მოხდა სამხრეთ აფრიკაში, როდესაც იქ ჩასულმა ბურებმა სახელმწიფო შე-

განცხადება 5-დან 18 კმ-მდე თვეში
განცხადება 3-დან 5-6 კმ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე, რეგულირდება მალა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება ძლიერდება იმუნოლოგიური, კანი ხდება ანალოგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველი წონაზე და სტაბილურად შენარჩუნებით მას.

ასევე სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5მ მომატებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიღატაკის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამადანიშნულეა ინდივიდუალურია, განმეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუწუნება 0-ია.

შედეგები 100%-იანი.

ტელ: 577 29-37-41, 247-58-83
ქ-ნი მაკინაში



ბიკი საულესი

ქმნეს, მაგრამ ბოლოს უმცირესობაში აღმოჩნდნენ... ჩემი მშობლები წლების განმავლობაში ლიტვაში ცხოვრობდნენ და 70-იან წლებში დაუბრუნდნენ საკუთარ ფესვებს. ჩემი ოჯახი თელ-ავივში ცხოვრობს, მაგრამ მუდმივი დაბომბვის საფრთხის ქვეშ მყოფს, იქიდან ნასვლაზე არც უფიქრია.

— თქვენ რა გითხრეს, როდესაც დაბრუნდით?

— ჩემთან ერთად, ჩემი დაც დაბრუნდა... ეს ჩვენი მოვალეობაა და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი გიური იყო.

— „გიური“ რას ნიშნავს?

— „გიური“ „რელიგიაში შესვლას“ ნიშნავს. ისინი ჩვეულებრივ, თანამედროვე ცხოვრების სტილს ემშვიდობებიან და მთლიანად რელიგიას უძღვნიან თავს. თუმცა, ახლაც და ადრეც სამშობლოს წინაშე ყველა ებრაელი ერთნაირად გრძნობს ვალდებულებას. ჩვენც ასე ვართ, — ბრუკლინში კი არა, სხვა პლანეტაზეც რომ ვყოფილიყავი, მაინც დავბრუნდებოდი, რადგან ჩემს ქვეყანასა და ხალხს ვეკუთვნი. ნებისმიერი ქვეყნის მიწაზე შევეცდები, ჩემი სამშობლოსთვის სასარგებლო საქმე ვაკეთო.

— თქვენი დაც მოხალისეა?

— დიახ. ის დაბომბვის შედეგად, ზურგში მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ თავისი საქმე მაინც არ მიუტოვებია. თან მოხალისეა და თან იარაღის გამოყენებას სწავლობს.

— რამდენი წლის არის და სად დაიჭრა?

— 28-ის. მასაც სამი შვილი ჰყავს და მეც. ხვალ და ზეგ ისინი ისრაელში დაბრუნდებიან, ჩვენ კი ვალდებულ-

ნი ვართ, სამშობლო შევუნახოთ და დავიცვათ... ჩემი და ერთ-ერთ საზღვრისპირა სოფელში დაიჭრა, მედიცინის თანამშრომლებს ეხმარებოდა და ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა.

შაილონ ფრიდმანი:

— პალესტინელებს დიდი ხანია, ომი უნდოდათ და ამისთვის ემზადებოდნენ კიდევ. როდესაც არაბებით დასახლებულ ქალაქ ჰებრონიდან 3 ებრაელი ახალგაზრდა გაიტაცეს, იცოდნენ, რომ ამას ომი მოჰყვებოდა და სწორედ ამიტომ მოიქცნენ ასე. ამის შემდეგ ჩვენებმა არაბი ახალგაზრდა მოკლეს... მაშინ ნიუ-იორკში ვიყავი და ერთ-ერთ საერთაშორისო პროექტში ვიყავი ჩართული, მაგრამ როდესაც ტელეკომპანია „ბიბისის“ სიუჟეტი ვნახე — როგორ იბომბებოდა ჩემი ქვეყანა არაბი ტერორისტების მიერ, როგორ უჭირდა ჩემს ხალხს, — მაშინვე შევაჩერე კონტრაქტი. ჩემი ადგილი აქ არის, სადაც ახლა ვარ. არ შემიძლია, ტელევიზიით ვუყურო, რა ხდება აქ, რა დღემია ჩემი ხალხი, მშვიდობიანი მოსახლეობა... იქ, ამერიკაში იმისთვის ვიყავი წასული, რომ ოდესმე აუცილებლად დავბრუნდე ისრაელში და იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება აქაურობას მოვასხმარო; თუ აქაურობა განადგურდა, რალა აზრი აქვს რამეს?! ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ და უკვე იმდენი ომი გადავიტანეთ, საუკუნეების განმავლობაში არსებულ სახელმწიფოს ლამის ტოლს არ დავუდებთ. არც ერთი დამარცხება არ გვქონია. ახლაც გავიმარჯვებთ, თუ ერთად ვიქნებით.

— თქვენც „ცახალის“ მოხალისე ხართ?

— დიახ, მაგრამ კონკრეტულად ჩემს ფუნქციაზე ვერ დაგელაპარაკებით... ანტისარაკეტო სისტემების მიუხედავად, ბომბების დიდი ნაწილი მაინც ვარდება ჩვენს ტერიტორიაზე. ისინი მშვიდობიან მოსახლეობას, ქალაქებს, საავადმყოფოებს, ხალხმრავალ ადგილებს უმიზნებენ, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი დახოცონ. მათთვის ადამიანი არაფერს წარმოადგენს. ისინი ერთმანეთის სიცოცხლეს არ უფრთხილდებიან. ისინი დაბადებულნი არიან იმისთვის, რომ ხელში იარაღი ეჭიროთ და იომონ. არც განვითარება აინტერესებთ და არც ცივილიზაცია. იქ 12-13 წლის გოგო-ბიჭის „სახელმძღვანელო“ იარაღია და უნდათ, ჩვენ მათნაირებად გვაქციონ. რომელი ქვეყანა მოითმენს ამას?..


— ახლა რა ხდება თელ-ავივში, სადაც თქვენ ცხოვრობთ?

— ჩვენ მუდმივად ფხიზლად ვართ. ქალაქს არ ეტყობა, რომ ომია, რადგან

აგრესიის ნარჩენები მაშინვე მოვაშორეთ იქიდან. ეს აუცილებელია: სხვანაირად შეიძლება, ომის შედეგებმა საზოგადოება დეპრესიაში ჩააგდოს, რადგან ისედაც მუდმივად რაკეტების ცვენის მოლოდინში ვიმყოფებით. ყველას განეიტრალება ვერ ხერხდება. პალესტინელები რაკეტებს საცხოვრებელი კორპუსების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების სახურავებიდან ისვრიან, რადგან იციან, რომ ჩვენები წერტილოვან დარტყმებს ახორციელებენ და ასეთ ადგილებს არ დაბომბავენ, რათა ისევ და ისევ მშვიდობიან მოსახლეობას გაუფრთხილდნენ. ყოველი დაბომბვის წინ ისრაელის არმია აფრთხილებს არაბ მოსახლეობას, რომ იმ ტერიტორიას გაერიდოს, მაგრამ ბოლომდე „სუფთად“ მუშაობა შეუძლებელია.

— როგორ აკეთებთ ამას? გაფრთხილებას ვგულისხმობ.

— ჰაერიდან პროკლამაციებს ყრიან, ასევე, სიგნალს აძლევენ, რათა მოქალაქეებმა იქაურობა დატოვონ. ამით ტერორისტებიც კარგად სარგებლობენ და თავადაც ტოვებენ იმ ადგილს... სამწუხაროდ, ომი მსხვერპლის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენც უამრავი ადამიანი დაგველუპა — როგორც სამხედრო მოსამსახურე, ასევე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის, ბავშვებიც. ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც გერმანიის წამყვან კლინიკაში მუშაობდა და ახლა აქ დაბრუნდა, დაბომბვაში მოყვა და ცალი მხარი დაუსახიჩრდა, თუმცა, ნასვლაზე არც უფიქრია. სამშობლოდან გაქცევა იოლი არ არის.



შაილონ ფრიდმანი

რკინის ველოსიპედის ტურნი

ანუ სად შეიძლება აღმოჩნდეს რესპუბლიკის მოედანზე მდგომი ქანდაკება

ქეთი ნიკოლაძე

ველოსიპედის ქანდაკება ნამდვილად გადასატანი იყო. პირველი პლუსი ახალ მერს. ყოჩაღ, ასე გააგრძელეთ. ასეთი კომენტარებით აივსო სოციალური ქსელი თბილისის ახალი მერის არჩევიდან სულ ცოტა ხანში, როდესაც მან შემდეგი განცხადება გააკეთა: „ასეთი უსახური და გაურკვეველი წარმომავლობის სკულპტურა იქ არ უნდა იდგეს, სადაც ახლა დგას. ის შეიძლება მაგალითად, 9-წლიანი მმართველობის სიმბოლოდ დავდგათ ქალაქის შემოგარენში, ტურისტებს საშუალება რომ ჰქონდეთ, ნახონ, როგორ უდგებოდნენ ძეგლებს და საერთოდ, არქიტექტურის განვითარებას“. მაგრამ მალევე მერმა ნათქვამი უკან წაიღო და განაცხადა, მოდი, ჯერ ხალხს დავეკითხები, გადასატანია თუ არა ველოსიპედი სხვა უბანშიო, — ჰოდა, მანამ, სანამ ეს მერიას გაუკეთებია, ჩვენ დავუსვით ხალხს კითხვა, გადავიტანოთ თუ არა ველოსიპედი სხვაგან?

ყოველი მათგანი თბილისში დაიბადა. მათ უნახავთ თბილისი აყვავებულიც და სამოქალაქო ომის დროს დანგრეულიც, მოზეიმეც და მგლოვიარეც. ყველაზე უბუცხესი მათგანი პენსიონერი ნათელა ჩიტიშვილია, რომელიც ყოველ საღამოს რწყავს საკუთარ ეზოს (აგრილებს), მერე პატარა სკამი გამოაქვს, ჯდება და იქვე გვერდით წამოწყებულ მშენებლობას კრიტიკულ მზერას ავლებს.

— ამბობენ, რკინის დიდი ველოსიპედი სხვა უბანში უნდა გადაიტანონ რესპუბლიკის მოედნიდანო.

— და სად გადააქვთ?

— არ ვიცი. ალბათ სადმე გარეუბანში. მაგალითად, გლდანში.

— რაში სჭირდებათ გლდანელებს უზარმაზარი რკინის ველოსიპედი? ერთბაშად ზედ არ „იკატაონ“, აი. იდგეს, სადაც არის, არავის უშლის ხელს. იმავე აზრის ვარ ე.წ. „სიყვარულის ხიდზეც“ („მშვიდობის ხიდს“ გულისხმობს. — ავტ.). ყოველდღე მასზე უამრავი ტურისტი გადადის და სამახსოვრო ფოტოებს იღებს. გარეუბნებიდან ჩამოდის ხალხი და ისინიც ფოტოებს იღებენ. ვინმეს რამეში შეუშალა ამ ხიდმა ხელი? პირადად ჩემთვის არ შეუშლია. რაც მთავარი გასაკეთებელია დედაქალაქში, იმას მიხედონ, ჯობია.

— რას გულისხმობთ?

— თბილისში უამრავი, 100 წელს გადაცილებული ავარიული სახლი დგას.



უცებ ავითაცეთ ყველამ საძულველი ველოსიპედის დემონტაჟის იდეა

პირადად მე ხან საიდან ჩამოდის წვიმა და ხანაც საიდან. მე ძველი თბილისის მოსახლეობის სახელით მოვითხოვ, სასწრაფოდ მოხდეს ამ სახლების აღწერა და შემდგომ — რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში კი მათი ახალი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლება. ასე რომ, სულაც არ მადარდებს, სად წაიღებენ მაგ ველოსიპედს.

აი, პროფესიით იურისტი ლაშა აპალიანი კი ველოსიპედის ადგილს თბილისსა და მის შემოგარენში საერთოდ ვერ ხედავს.

— ჩემი აზრით, საერთოდ არ უნდა აიგოს (დადგამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი) ამ ველოსიპედით, მხატვრული ფასეულობის არმქონე სკულპტურები. მით უმეტეს, თბილისში. ვერ ვიგებ, რა შუაშია ის თბილისთან. აი, სამტრედიამში ან სენაკში მის არსებობას ნამდვილად გავამართლებდი — იქ ხომ ყოველ მეორეს ოჯახში ველოსიპედი ჰყავს. ან კიდევ არის ადგილები, რომლებსაც აკლიათ ასეთი მონუმენტები და დადგან, ბატონო, იქ. ისე თბილისის მერს მივმართავდი: ბათუმშიც არ იქნებოდა ბულვარზე ურიგო მისი დადგმა, სადაც სპეციალური ველოტრასაა მოწყობილი.

— „მშვიდობის ხიდზე“ რას იტყვი? საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა მის დემონტაჟს და სხვა, უფრო მარტივი და ასოციაციურად არაადამაკნიებელი ანალოგიით შეცვლას?

— ეგ ხიდი იმდენად არ მაღიზიანებს, რამდენადაც რიყის ტერიტორიაზე აშენებული, კულტურის ცენტრის არქიტექტურული გადაწყვეტა. დღემდე ვერ გამიგია, რისი თქმა სურდა მის ავტორს, ასეთი ვიზუალის მქონე ნაგებობის შექმნით. თუმცა, დანგრევის წინააღმ-

დეგი ვარ. მის აშენებაში აშკარად, დიდი თანხები დაიხარჯა. კარგი, ბატონო, დატოვონ, ოღონდ ფორმა შეუცვალონ. ვერ გამიგია, ეს ჭიქებია თუ ყანწები.

— რა არის პირველ რიგში მისახედი დედაქალაქში?

— ძველ ისტორიულ უბნებს მიხედონ, ჯობია. მაგრამ ამ მიხედვით არ უნდა დაეუკარგოთ თბილისს ძველი იერსახე, ახალი ნაგებობების ფონზე. ზედმეტი ეკლექტიურობა მოსპობს ყველაფერს, რაც კი ფასეული გაგვარჩნია. ასევე მისახედი ის სახლებიც, სადაც უამრავი, ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი ფილიაა გადაღებული.

უცებ ავითაცეთ ყველამ საძულველი ველოსიპედის დემონტაჟის იდეა, ახალი მერიც შევაქეთ და ერთ რამეზე არ გვიფიქრია — რა თანხებით უნდა მომხდარიყო ეს პროცესი. აი, პროფესიით მარკეტინგის მენეჯერს, ნათია თიქვაძეს კი ეს საკითხი ძალიან ანუხებს:

— ძალიან არ მომწონს ეს ველოსიპედი. რკინის უზარმაზარი მანქანაა, რო-

ქვეყანა **გაზეთების**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, აღენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა ვირუსული და მიკრობული ინფექციებისაგან, ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, უძილობა, აგრესია, შიშები, აკვიატებები, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უფასოა, ანონიმურობა და შედეგები გარანტირებულია.

მელ: 555 60-67-29 ქიმიკი გეგი
218-14-90 (ოფისი)
მის: დ. აღმაშენებლის №154 (მეზავე ოფისი)



ლაშა ავალიანი

მელსაც ორივე მხარეს საჭე აქვს და, რაც უნდა ატრიალო მისი ბორბლები, მაინც ვერსად წახვალ. აქედან გამომდინარე, ის ჩემთვის, უძრაობასთან ასოცირდება. თუ ასეთი საძულველი და მოსაშორებელია, საერთოდ რაღა საჭიროა მისი სხვა უბანში გადატანა? არ ჯობია, გადაადგონ? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო ამ პროცედურას ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ფულით, ჩვენივე საშემოსავლებით მოახდენს. აქედან გამომდინარე, ვითხოვ, რომ ჩემ მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტში შეტანილი თანხა მიზნობრივად დაიხარჯოს, ხოლო რაც შეეხება ველოსიპედის სხვა უბანში გადატანას, სამწუხაროდ, ამაში ვერანაირ აზრსა და მიზანს ვერ ვხედავ.

„მშვიდობის ხიდზე“ რას მეტყვი?

— სხვათა შორის, მას ყველა აუგად ვიხსენიებთ, მაგრამ აბა, შეხედეთ ერთი, რამდენი ტურისტი იღებს მასზე ფოტოს? ეიფელის კოშკზეც ერთი ამბავი იყო თავის დროზე ატეხილი, პარიზის საკადრისად არ მიაჩნდათ, მაგრამ დღეს პარიზის სიმბოლოა. რა თქმა უნდა, ამ ხიდს არავითარ შემთხვევაში არ გადაარებ „ეიფელს“. თბილისის უამრავი სხვა, მეტად ღირებული „სავიზიტო ბარათი“ აქვს.

რა არის ჩვენს ქალაქში პირველი რიგში მისახედი?

— რადა — წყალმომარაგების საკითხი. როგორ შეიძლება, სახელმწიფოში, რომელსაც ევროპის დიდ ოჯახში შესვლაზე აქვს პრეტენზია, განრიგით მიენოღებოდეს წყალი?! მაგალითად, წყნეთს



ნათია თევზაძე შვილებთან



ნათელა ჩიტიშვილი

მოვიყვან. იქ მოსახლეობას წყალი დღეგამოშვებით მიენოღება და ისიც, რამდენიმე საათით. ასევე კარგი იქნება, თუ ქალაქში არსებულ, ჩვენი სამაყო საზოგადო მოღვაწეების ძეგლებს მოუვლიან. მათი დიდი ნაწილი დღეს ძალზე დამაკნინებელ მდგომარეობაშია, ზედ დატანებული წარწერებითა და დაზინძურებული შემოგარენით. კიდევ მაქვს ერთი კითხვა: დაზუსტებით ვიცი, რომ სპორტის სასახლის წინ მდგარ მზეჭაბუკის ქანდაკების მოვლისთვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოიყოფა — არც მეტი, არც ნაკლები — 25 ათასი ლარი. გამაგებინონ, რაში სჭირდება მის მოვლას ამხელა თანხა! რას უკეთებენ ასეთ განსაკუთრებულს — მანიკიურს, პედიკიურს თუ ეპილაციას?! მომცენ ფ ფული და პირობას ვდებ, საკუთარი ფეხით ავფოფხდები მასზე, გავაპრიალებ და ფრჩხილებსაც კი დავაჭრი, თუ საჭირო გახდება.

საუბარში ნათიას შვილები — ტატა და ალექსანდა გვერთვებიან. მაინტერესებს, ბავშვები რას ფიქრობენ გარეუბანში ველოსიპედის გადატანაზე? ტატა:

— იყოს, ლამაზია. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

ნათია:

— ბავშვებს აშკარად, არ აინტერესებთ ქალაქის არქიტექტურული სახე. ტატა:

— თუმცა, არის ერთი რამ, რაც გვანუხებს: ძაღლების მოსაქმებულისგან დაბინძურებული ქუჩები და მუდმივი შესხენებები, ფეხი არ ჩადგა შიგო.

ალექსანდა:

— მეც მინდა ვთქვა ერთი რამ: იქნებ ცოფიან ძაღლებს მიხედოს ვინმემ, თორემ ამას წინათ მაღაზიაში მიმავალს მიკბინა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება დამჭირდა.

ნათია:

— გითხრათ, რა არის მონესრიგებული ჩვენს ქალაქში? დასუფთავების სისტემა. ის პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. დროულად ხდება სანაგვე ყუთების დაცლა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ!

თეა ხურცილავა

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება — ასე ეწოდება ავჭალაში მდებარე ყოფილ არასრულწლოვანთა კოლონიას. აქ სხვადასხვა დანაშაულისთვის ათეულობით პატიმარი იხდის სასჯელს.

...საგულდაგულო ჩხრეკის შემდეგ, რამდენიმე რკინის კარი გაიღო და დაწესებულების ეზოში აღმოვჩნდი. ტაძრის წინ რამდენიმე პატიმარი იდგა და სტუმრებს ცნობისმოყვარე თვალით უყურებდა.

იმ დღეს არასრულწლოვანი მსჯავრდადებულები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ახალმა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა მოინახულა. მან დაწესებულების ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და საკანში შესვლისთანავე აღნიშნა, რომ პირობები არ მოეწონა, — შესაძლებელია უკეთესი იყოსო, თქვა მღებრიშვილმა და პატიმრებს საკნების შელამაზებასა და საწოლების გამოცვლას დაჰპირდა. საკნების ნაწილი 4-ადგილიანია, ნაწილი — 8-ადგილიანი. აქვთ საშხაპეები, საწოლები, მაგიდა და ტელევიზორი.

მინისტრმა შემდეგ იმ ოთახებისკენ გადაინაცვლა, სადაც არასრულწლოვნები ხელობას ეუფლებოდნენ. ერთ ოთახში რამდენიმე დანადგარი იდგა. ბიჭებს პედაგოგი ხეზე კვეთას ასწავლიდა. პატიმრებმა მათი ხელით დამზადებული ხის ჯვრები, ეკლესიები და სხვა ნივთები აჩვენეს მინისტრს. მეორე ოთახში რამდენიმე ბიჭი მინანქარზე მუშაობას სწავლობდა. საოცრად ლამაზი ჯვრები და სხვა ნივთები დაემზადებინათ. პედაგოგის თქმით, ისინი ძალიან მონდომებულები არიან. ზოგი ხატვას ეუფლება, ზოგი — გიტარასა და ტამბამზე დაკვრას. ერთი სიტყვით, დაწესებულებაში ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს და ბიჭები ამ საქმეში აქტიურად არიან ჩაბმულები. არც სპორტი რჩებათ ყურადღების მიღმა. ბევრს ვარჯიშობენ, აქვთ ფეხბურთის, კალათბურთის მოედნები და ტრენაჟორებიც. მას შემდეგ, რაც დაწესებულების ტრანსფორმირება განხორციელდა, არასრულწლოვანთათვის გაიზარდა სატელეფონო საუბრების, ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეოპაემების რაოდენობა, გაფართოვდა ნახალისების ფორმებიც. შეუძლიათ, ამანათით ან ფოსტით მიიღონ ისეთი ნივთებიც, რომელთა ქონის უფლება მსჯავრდადებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩვეულებრივ არ აქვს, თუმცა, აკრძალულიც არ არის.

მომზადები, რომლებსაც თავისუფლება საოცნებო გაუხდათ

„გვერდებით, აქტიურად აღარასოდეს გამოვიხედავ“



არასრულწლოვან მსჯავრდებულებს წასახალისებლად კომპიუტერული თამაშებით სარგებლობის უფლებაც მიეცათ

არასრულწლოვან მსჯავრდებულებს წასახალისებლად კომპიუტერული თამაშებით სარგებლობის უფლებაც მიეცათ, რითაც ძალზე გახარებულები არიან. ბევრი თურმე ავტომანქანის მართვის მოწოდების აღებაზეც ოცნებობს და თეორიაში ემზადება. მინისტრს ისიც ჰკითხეს, ხომ არ არის შესაძლებელი, მართვის მოწოდების აღება აქედან შევძლოთ? ბატონი გიორგი ამ საკითხის გარკვევასაც დაჰპირდა.

ცოტა ხნის წინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ და მკლავჭიდის ფედერაციამ თურმე ჩემპიონატიც ჩაატარეს დაწესებულებაში, სადაც 23 არასრულწლოვანი მონაწილეობდა. გამარჯვება 17 წლის ბიჭმა მოიპოვა. ის ძალიან გახარებულია ამ მიღწევით და სათუთად ინახავს დამსახურებულ თასსა და მედალს. თურმე, როცა გაიმარჯვა, სიხარულით წამოიყვირა, ცხოვრებაში არასოდეს არაფერი მომივია და ძალიან ბედნიერი ვარო!

17 წლის გამარჯვებული ნაწილს ციხეში მოხვედრას და იმ წუთებზე ოცნებობს, როცა დაწესებულებას დატოვებს. ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, ამიტომ არასრულწლოვნებთან ინტერვიუებს შეცვლილი სახელებით გთავაზობთ.

ღამო, 17 წლის:

— ვარჯიში ციხეში შესვლისთანავე დავიწყე და ამით შეგვბრძოლე იმ სტრესს, რაც დაპატიმრებამ გამოიწვია. 18 დღე გლდანის ციხეში ვიყავი, იქ სულ

ვვარჯიშობდი. მერე აქ, ავჭალაში გადმომიყვანეს. აქაც ვარჯიშს გამოვყავდი სტრესიდან. ერთხელ სტუმრობისას დეპარტამენტის თანამშრომლებს ვუთხარი, — რა იქნება, მკლავჭიდაში შეჯიბრება რომ ჩატარდეს-მეთქი. მათ ეს თხოვნა აგვისრულეს და მართლაც ჩატარდა შეჯიბრება. მანამდე ბიჭები საკანში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს მკლავჭიდაში. ყველას ვერ ვერევი, ხან ვიგებდი, ხან ვაგებდი. კონკურსი 5 ივნისს სპორტის სამინისტრომ და მკლავჭიდის ფედერაციამ ჩაატარეს და პირველი ადგილი დავიკავე. ძალიან გამიხარდა. იმ თასსა და მედალს სათუთად შევიინახე.

— აქ რა დანაშაულისთვის მოხვდი?

— ქურდობის მცდელობისთვის. გარეთ რომ ვიყავი, კერამიკის „ცენში“ ვმუშაობდი ორი წელი. ძალიან მომწონს ეს საქმე და ჩემი შემოსავალიც მქონდა. პირველად აღებული ფულით მობილური ტელეფონი ვიყიდე. იმ დღეს ფული დამჭირდა და ქუჩაში მდგარი ჩასარიცხი აპარატის გატეხა გადავწყვიტე. მარტო ვიყავი... 2 წელი მაქვს მისჯილი. სასჯელის ნახევარი უკვე მოხდილი მაქვს. ახლა ვადაზე ადრე გათავისუფლება მეკუთვნის და კომისიის გადაწყვეტილებას ველოდები. იმედია, გამიშვებენ. დახასიათებაც კარგი მაქვს. ისევ იმ ქარხანაში მინდა დაბრუნება, სადაც ვმუშაობდი. ჩემს უფროსთან კონტაქტი მაქვს, ვურეკავ ხოლმე აქედან. აქ ასევე,

ხის კვეთასა და ხის ჭრას ვეუფლები, ხატვაზეც დავდივარ. ჯვარსა და ხატებს ვამზადებ და ახლობლებს ვჩუქნი. მართლა ვნანობ, აქ რომ მოვხვდი. აქ გატარებულმა წლებმა დამანახვა თავისუფლების ფასი. ახლა უფრო მეტად ვაფასებ თავისუფლებას.

— აქ დრო როგორ გაგყავს?

— ვეუფლები ხელობას. ვთამაშობთ ბურთს. ძალიან მომწონს რაგბი და ამ ჯგუფშიც ვვარჯიშობ. ტიხრული მინაქრის შესწავლაც მინდოდა, მაგრამ მხედველობის პრობლემა მაქვს და სამწუხაროდ, ამის გამო ვერ ვეუფლები. მეხუთე კლასის შემდეგ სკოლაში არ მივლია, მაგრამ აქ რომ შემოვედი, მივხვდი, ეს დიდი შეცდომა იყო და გადავწყვიტე მესწავლა. ძალიან მოვიხილომე

სიმაღლეში ზრდის საუკეთესო პროგრამები

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-5სმ მოძებნით 25 წლამდე, ძლის მკვლევი ვიტამინებისა და მინერალების ნაკრებით უარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიმაღლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 15კგ-მდე თვეში, ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნვთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუწვრების გარეშე, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით 100%-იანი შედეგებით.

გამ: 558 156-333 ჰელიო ნიონი 218-46-08 (ოფისი)
მის: დ. აღმაშენებლის №154 (მწვანე ოფისი)

და 4 კლასი ექსტერნად დავამთავრე. 9 კლასის განათლება მექნება. აქ ყველა-ნაირი პირობაა შექმნილი, ერთადერთი ის არ მომწონს, რომ გარეთ გასვლა არ შემოიძლია. კიდევ კარგი, შეყვარებული არ მყავს, თორემ ძალიან ვინერვიუ-ლებდი. წიგნებსაც ვკითხულობ. ძალიან მიყვარს ჰოეზია.

ნარმატება ვუსურვე ჩემს რესპონ-დენტს და კიდევ ერთ ახალგაზრდას გავესაუბრე.

— ციხესთან შედარებით აქ კარგი პირობებია. ვერც იმას ვიტყვი, რომ ცუდად გვეპყრობიან. ყველაფერი კარ-გად არის. წელიწადზე მეტია, აქ ვარ. სახლი მენატრება ყველაზე მეტად. ჩემი ოჯახის წევრები ყოველკვირა მოდიან ჩემს სანახავად. ძალიან მიჭირს მათთან განშორება. აქ არის სხვადასხვა წრე, ტარდება ღონისძიებები, ვერთვები ამ პროცესებში და ასე გადის დრო. ახლა გიტარაზე დაკვრას გვასწავლიან და ძალიან მინდა, ვიცოდე დაკვრა. იმედია,

ბი დამადეს და ციხეში მოვხვდი, მაშინ გავაანალიზე ჩადენილი. სასჯელს შევეგუე, რა მექნა?! ყველაზე მეტად, დედასთან შეხვედრა გამიჭირდა. ის ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის და მე ვუღალატე — დანაშაული ჩავიდინე.

— როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა დედასთან?

— დარცხვინილი ვიდექი დედაჩემის წინ და ხმას ვერ ვიღებდი. ის იდგა და ტიროდა. ყველაზე ცუდია, რომ მას იმედი გავუცრუე, მაგრამ დედამ მაპა-ტია. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რაც მოხდა, — ჩვენი დედაშვილობა ისევე ისეთია. სოციალურად დაუცვე-ლები ვართ, მაგრამ იმის გაჭირვება არ მქონდა, ეს რომ ჩამედიანა. გეფიცებით, აქეთკენ აღარასოდეს გამოვიხედავ. მილიონი პროცენტით ვიცი, რომ და-ნაშაულს აღარასოდეს ჩავიდენ. სხვა გემებში მაქვს და იმის განხორციელე-ბა მინდა. მინდა, ხელობა ვისწავლო, მომავალში რომ გამომადგეს და თავის

კითხვით დაკავებული. დანესებულე-ბაში სხვადასხვა ინტელექტუალური თამაში ტარდება და ერთ-ერთი ასე-თი თამაშის — „რა, სად, როდის“ — ორგზის გამარჯვებული გახლავთ 16 წლის მოზარდი. ის ჯერ მეთექვსმეტე კლასში სწავლობს, მაგრამ თურმე ეროვნუ-ლი გამოცდების პროგრამაში შესულ საკითხებს ბრწყინვალედ პასუხობს. მითხრა, — ძალიან ბევრ დროს ვატარებ ბიბლიოთეკაში.

ეზოში დგას ტაძარი, სადაც ბიჭე-ბი ლოცულობენ. მათთან მოძღვარი კვირაში ერთხელ შემოდის და აღსარე-ბას იბარებს. წირვაც სამშაბათობით აღესრულება.

კიდევ ერთ მოზარდს გავესაუბრე, რომელიც თურმე სტიქაროსანია.

ბიორბი:

— წიგნის კითხვა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით — დეტექტივების. სადილობის შემდეგ ძირითადად, ბი-ბლიოთეკაში ვზივარ და დრო წიგნების კითხვაში გამყავს. დედისერთა ვარ. ყაჩაღობის მცდელობისთვის დამაკა-ვეს. 15 წლის შემოვედი აქ და ძალიან მძიმე იყო ეს ჩემთვის. მეგონა, ყველა-ფერი დამთავრდა... დედა მაკითხავს. ქუთაისში ვცხოვრობ. ძირითადად, სპორტით — რაგბით ვიყავი დაკავე-ბული და ახლაც ვაგრძელებ აქ თამაშს. ხის კვეთასა და მინანქარზე მუშაობას ვსწავლობ და აქედან რომ გავალ, მეცოდინება. ძალიან მინდა სწავლის გაგრძელება. ბევრს ვმეცადინებო, რომ მიზანს მივაღწიო.

— ნანობ, რომ აქ ხარ?

— ძალიან ვნანობ. მინდა, რაც შეი-ძლება მალე გავიდე აქედან. დედა ძა-ლიან განიცდის ჩემს აქ ყოფნას. მინდა, რაც გული ვატკინე, ის მოვუშუშო და გაიხაროს მომავალში ჩემი ნარმატებე-ბით. ასე მინდა, ყველაფერი დავავინყო. სოციალურად დაუცველები ვართ და შეიძლება, ესეც იყო დანაშაულის ჩადე-ნის მიზეზი. ქურდობა ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა და აქ მაინც მოვხვდი. დედა ახლა უმუშევარია და ამასაც განვიცდი. მენატრება გარეთ, ჩემს ოჯახთან ყოფ-ნა, მაგრამ წელიწადი და 10 თვე მაქვს დარჩენილი.

— მითხრეს, რომ სტიქაროსანი ხარ.

— დიახ. ვლოცულობ. გარეთაც სტიქაროსანი ვიყავი და ახლა აქაც ვა-გრძელებ სტიქაროსნობას. ლოცვებში ხშირად ვინანიებ, რომ აქ მოვხვდი.

ახალი მინისტრი ახალგაზრდებს დიდხანს ესაუბრა და მათი აზრებიც მოისმინა. არ გამოჰპარვია, რომ უმ-რავლესობას ხელზე ზე ტატივ ჰქონდათ და ჰკითხა, — ხომ არ გინდათ ამის

ვიცი, რომ დანაშაულს არასოდეს ჩავიდენ. მე-12 კლასში გადავადი ახლა და მინდა, პროფესიას დავუფლო

დავეუფლები. ხატვაზეც დავდივარ. 6 თვე დამრჩა სასჯელის მოხდამდე. ახლა „უდოს“ ველოდები. არ ვიცი, გამიშვე-ბენ თუ არა.

— გარეთ რომ გახვალ, რა გეგმები გაქვს?

— ერთი ვიცი, რომ დანაშაულს არასოდეს ჩავიდენ. მე-12 კლასში გა-დავედი ახლა და მინდა, პროფესიას და-ვეუფლო. მინდა, ნარმატებული ვიყო. დედისერთა ვარ, მამა არ მყავს. ვიზრ-დებოდი ვარკეთილში. დედა მუშაობდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ შემოსავალი გვექონოდა. სახლში მარტო არ ვყოფილვარ, ბებია და პაპა მყავდა გვერდით. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და აწი ვერაფერს შევცვლი.

— რისთვის დაგაკავებს?

— ყაჩაღობისთვის ვიხდი სასჯელს. ერთი შეცდომა აღბათ ყველა ადამიანს მოსდის. არ მინდა ამ დღის გახსენება. ვარ ის ადამიანი, რომელიც 10 ლარის-თვის იხდის სასჯელს... დანაშაული მართლა ჩავიდინე. მე და ჩემმა მეგო-ბრებმა ტაქსის მძღოლი დავაყაჩაღეთ, დანის მუქარით. სირცხვილია ამაზე ლაპარაკიც: 10 ლარი ჰქონდა და ის ნა-ვართვით. მეორე დღეს დავიჭირეს. გე-ფიცებით, ძალიან ვნანობ. არა იმიტომ, რომ 10 ლარზეა საუბარი, არა. აქ მოხ-ვედრის შემდეგ მივხვდი, რომ ადამიანს ასეთი ფიზიკური და სულიერი ტრავმა არ უნდა მიაყენო. როცა ხელბორკილე-

რჩენა შევძლო.

გულწრფელი იყო ამ ბიჭის ნაამბო-ბი და მასაც სურვილების ასრულება ვუსურვე. დანესებულებში სკოლაც ფუნქციონირებს და ბავშვები ჩვეუ-ლებრივად სწავლობენ. ცოტა ხნის წინ იქ იმ აბიტურიენტების მოსანახულებ-ლად ვიყავით, რომლებმაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს. ბუნებრივია, ამ ბიჭების ბედითაც დავინტერესდი. ორი აბიტურიენტიდან ერთ-ერთმა თურმე გადალახა ბარიერი და ახლა უმაღლესში ჩარიცხვის მოლოდინშია. სამწუხაროდ, იმ დანესებულებაში არ დამხვდა, რადგან სრულწლოვანი გახ-და და მოზრდილებში გადაიყვანეს. ასე ვარაუდობდა კიდევ მაშინ. ჩარიცხვის შემთხვევაში როგორი იქნება ამ ბიჭის ბედი, ესეც ჯერჯერობით გაურკვევე-ელია. შესაძლოა, პრეზიდენტმა შეი-წყალოს და ახალგაზრდას ცხოვრების თავიდან დასასყებად დიდი სტიმული მიეცეს.

ამ დანესებულებაში არასრულწ-ლოვანების განათლებას დიდი ყურ-ადღება ექცევა. აქეთ ძალიან კარგი ბიბლიოთეკა, რომლის განახლება სისტემატურად ხდება. იქ აღმოვაჩინე „პალიტრამედიის“ მიერ გამოცემული ტომეულებიც: როგორც გაირკვა, „პალი-ტრის“ ხელმძღვანელობამ დეპარტა-მენტს ეს წიგნები საჩუქრად გადასცა. ბევრი არასრულწლოვანი არის წიგნის

აქვს თუ არა მოსახლეობას პანიკის საფუძველი?

ხალხმა ექიმთან მისვლა უნდა ისწავლოს

1-ლი სექტემბრიდან მოქალაქეები რეცეპტის გარეშე აფთიაქებში 5000-ზე მეტი დასახელების ნამალს ვეღარ შეიძენენ. ძალაში შედის ცვლილება „ნამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონში“. წნევის ნამლები, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, ანტიდეპრესანტები და უამრავი სხვა მედიკამენტი ექიმის რეცეპტის გარეშე აღარ გაიცემა. ამ ფაქტმა საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს ხელოვნურად ბარიერის შექმნაა და ფაქტს აპროტესტებენ. განსაკუთრებით დელავენ ქრონიკული დაავადებით შენუხებული პაციენტები.



თვა ხურცილავა

თამარ გომინაშვილი:

— ჯერ ის გვიჩივდა, რომ ნამლის ფულს ძლივს ვაკონინებდით და ახალი საფიტრალი გაგვიჩინეს. დამატებით ექიმის ხარჯიც უნდა გავნიოთ. ნუთუ საერთოდ არ ფიქრობს ხალხზე ეს მთავრობა? რა ხდება? ოჯახის ექიმთან მიდიოთ. იქ რომ გაუთავებელი რიგები დადგება, ამას რა ვუყოთ? ისედაც დიდი ხნის ლოდინი გვჭირდებოდა, რომ შეგვეღწია ოჯახის ექიმთან. ცალკე პრობლემა ექიმების პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. ისინი გარიგებულები არიან ფირმებთან და მაინცდამაინც იმ ფირმის ნამალს გინერენ, საიდანაც მოგებას ნახულობენ. მაგალითად, „ავერსის“ კლინიკაში სულ „ავერსის“ ნამალს გინერენ. მაშ, რა უნდა ვქნათ, როცა რეცეპტში ამ ფირმის ნამალი ენერება, სხვას არავინ მოგვცემს, ამ დროს, არსებობს უფრო ეფექტიანი, სხვა ნარმოების მედიკამენტი? ის მითხრან, ამას ვინ გააკონტროლებს! იმ ნამალში, რაშიც 95 თეთრს ვაძლევდი, გუშინ ლარი და 60

გადამხდევინეს. ამას მიხედოს მთავრობამ, ჯობია. ნამლები გაძვირდება და ვერ ვიყიდით ისედაც სოციალურად დაუცველი ფენა. ასე ზრუნავენ მოსახლეობაზე? ნერვიულობის ფონზე წნევამ ამინია... დაფიქრდნენ, რას აკეთებენ...

განსაკუთრებით შენუხებული არიან რაიონების მცხოვრებლები. ისინი ამბობენ, რომ ოჯახის ექიმთან

მოცილება და წარსულის დამლისგან გათავისუფლება? მოზარდების დიდმა ნაწილმა ეს იდეა აიტაცა და სთხოვეს დახმარება. მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე დაჰპირდა, რომ მალე შეიყვანს მათთან სპეციალისტს, რომელიც ბავშვებს ტატუებს მოაცილებს. — როდის იქნება ეს? ძალიან აქტიურობდა ერთ-ერთი მოზარდი. თურმე ის დღე-დღეზე ელოდება გათავისუფლებას და უნდა, ეს როგორც დაღმა, მოიძიროს.

მინისტრმა მოზარდებს მოუსმინა და დაჰპირდა, რომ ახალი სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინებენ მათ რჩევებსა და საჭიროებებს.

გიორგი მღაზარიშვილი:

— ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ვუდგებით არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ურთიერთობას. პირადად ჩემთვის, თითოეული მათგანის წარმატებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ვიცი, რომ ეს ბიჭები ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ და მათი ხელშეწყობით, საქართველოს ვეხმარებით. არასრულწლოვანთა დანესებულების სახეცვლილება, რომ ის სასჯელადსრულების დანესებულებიდან გადაკეთდა სარეაბილიტაციო დანესებულებად და აქ მოქმედებს სარეაბილიტაციო პროგრამები, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის ამ ბიჭების ბედი სულერთი არ არის. გულის სიღრმეში მჯერა, ეს ადამიანები არიან უფრო გარემოებების მსხვერპლი, ვიდრე — დამნაშავეები. აქ ყველა პირობაა იმისთვის, რომ ბავშვები, როცა დატოვებენ დანესებულებას, საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად დაუბრუნდნენ. მჯერა, ჩვენი ქვეყნის მომავალი ამ ბიჭების ხელშია და ის სადავეები, რაც ხელთ გვიპყრია, ჩვენს მომავალ თაობას უნდა გადავცეთ, მათ შორის — ამ ბიჭებს.

— საკნები არ მოგეწონათ, არა?

— საკნებით ვერ მოვიხიბლე, მაგრამ კატასტროფული მდგომარეობა არ არის. შეიძლება, უკეთესი იყოს. შევპირდი — უახლოეს მომავალში საკნებს გაფურეზონტებთ, მეტი სისუფთავე იქნება და უკეთესი პირობები ექნებათ მათ.

არასრულწლოვნებს დავემშვიდობე, ისევ გავიარე რკინის რამდენიმე კარი და გარეთ ვავედი. იქ კი დავტოვე მოზარდები, რომლებიც თავისუფლებაზე ოცნებობენ. ღმერთმა მალე აუსრულოს ეს ოცნება! ვისურვებ, არც ერთი მოზარდი არ მოხვედეს ვისოსებს მიღმა და არ გაიაროს ის მძიმე გზა, რაც ამ ბიჭებმა გაიარეს.

მამაკაცების გაჯანსაღების სენსორი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საშუალოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასო). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: წარმოქმნილი 142. | სართული, VI კაბინაში
ტელ: 599 90-54-78. 234-02-38 ქაიტი



მინისტრს, დავით სერგეენკოს ეჭვი არ ეპარება, რომ ეს სიახლე სარგებლობას მოუტანს, პირველ რიგში, მოსახლეობას

მისასვლელად რამდენიმე კილომეტრის ვაკლა მოუწევთ.

ნათიელა, პენსიონერი:

— ჯერ ექიმები მოამზადონ, ის ჯობია. ჩვენს სოფელში ფაქტობრივად, ექიმი არ არის, ვისთანაც შეიძლება მიხვიდე და გაესინჯო. დანგრეული ამბულატორიული შენობა დგას, აწვიმთ. რაიონის ცენტრამდე კი 15 კილომეტრია. იქ უნდა წავიდე ამ ხნის ქალი წამლის გამოსაწერად? იქ კიდევ რამდენი ხანი მომიწევს რიგში ყოფნა, ვინ იცის? კვირაში ერთი დღე დადიოდა ექიმი გვერდით სოფელში და იქ იმხელა რიგში გვიწევდა ყოფნა, ლამის ვიქცეოდი. ახლა წნევის წამლის გამოწერაზეც იმხელა რიგში უნდა დავდგე? ბარემ დაგვხოცონ და ეგ არის! ისედაც ძლივს გაგვაქვს თავი. რასაც პენსიაში ვიღებ, ფაქტობრივად, წამალში მიდის. ჩემი მუფლეს დიაბეტიანია და მასაც ძალიან ძვირად ღირებული წამლები სჭირდება. გადაადგილება უჭირს, საავადმყოფომდეც ვერ მივიყვან. რა ვქნათ ასეთმა ხალხმა?

დაგროვილ კითხვებზე პასუხის მისაღებად, სამედიცინო საქმიანობის

სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მივაკითხე.

— ბატონო დავით, რატომ გახდა აუცილებელი ქვეყანაში წამლების რეცეპტებით გაცემა?

ლავინიო მაჭარაშვილი, ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

— ეს არ არის ინოვაცია. რეცეპტის ინსტიტუტი საქართველოში მოქმედებდა. კანონში იყო ჩანაწერი: მეორე ჯგუფის მედიკამენტები უნდა გაცემულიყო რეცეპტით, თუმცა, იმპერატორული მოთხოვნა არ იყო და ფარმაცევტს არ ეკრძალებოდა რეცეპტის გარეშე წამლის გაცემა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამას ყურადღება არ ექცეოდა. ამჟამად ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. ფარმაცევტული პროდუქტი სამ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფშია ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და მასთან გათანაბრებული ნივთიერებები; მეორე ჯგუფში — სამკურნალო საშუალებები, რომლის გამოყენება ექიმის გარეშეაკრძალულია, ხოლო მესამე ჯგუფში ის პროდუქტია,

რომლის გამოყენება ექიმის დანიშნულების გარეშეც შეიძლება.

რეცეპტის ამოქმედება განპირობებულია ორი უმთავრესი მიზეზით: პირველი — არარაციონალური ფარმაცოთერაპია. მოგეხსენებათ, პაციენტების უმრავლესობა თვითნებურად, ყოველგვარი დიაგნოსტიკის გარეშე მიმართავდა აფთიაქს. ზოგი — სამეზობლოს, სანათესავოს რჩევით ყიდულობდა და იყენებდა სამკურნალო საშუალებას. ამან ძალიან ცუდი შედეგები მოგვცა. ბოლო პერიოდი აპელირებენ იმაზეც, რომ აიკრძალა მედიკამენტების გაყიდვა. ეს ტყუილია, არ აკრძალულა. ვამბობთ — შეიძინეთ, მაგრამ შეიძინეთ ექიმის დანიშნულებით. ხალხი ხშირად იყენებს ანტიბიოტიკებს, რაც ამა თუ იმ დაავადებას, ანთების პროცესს აჩერებს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ძალიან მწვავე ფორმით ვლინდება ეს დაავადება. ამიტომ აუცილებელია ექიმთან ვიზიტი, სწორი დიაგნოზი, სწორი სამკურნალო წამლის შერჩევა. მეორე უმთავრესი მიზეზი ამ კანონის ამოქმედებისა არის სააფთიაქო ნარკომანია: მეორე ჯგუფის ბევრი პროდუქტი გამოიყენება ნარკოტიკული თრობის მისაღწევად და არანაირი კონტროლი არ იყო ამ მედიკამენტებზე. ამ მიზეზების გამო, შარშან ზაფხულში შევიდა კანონში ცვლილება და სავალდებულო გახდა რეცეპტის წარდგენა მეორე ჯგუფის მედიკამენტებისთვის. კანონი უნდა ამოქმედებულიყო 1-ლი იანვრიდან, მაგრამ გარკვეული რისკ-ფაქტორების გამო, 1-ელ სექტემბრამდე გადავადდა.

— რისკ-ფაქტორებში რას გულისხმობთ?

— საზოგადოების ინფორმირებულობას, სამედიცინო სექტორის შემგუებლობას. პილოტური პროგრამა განხორციელდა და შეეთავაზეთ სამედიცინო დაწესებულებებს, ეტაპობრივად, ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით დაეწყეთ რეცეპტების გამოწერა. გვექნა შეხვედრები ფარმაცევტული და სამედიცინო სექტორების წარმომადგენლებთან. საზოგადოებიდან ბევრი შეკითხვა შემოდიოდა, ვანარმოებდით



გადაუდებელი დახმარების მიზნით, ურეცეპტოდ გასაცემი პრეპარატების სია: ეპინეფრინი (ადრენალინი) — ანაფრილაქციის საწინააღმდეგო საინიექციო ხსნარი; სალბუტამოლი — ბრონქული ასთმის საწინააღმდეგო აეროზოლი; კეტოროლაკი — ტკივილგამაყუჩებელი; ატროპინი — სპაზმოლიზური საინიექციო ხსნარი; ფურასემიდი — შარდმდენი; დექსამეტაზონი;

პრედნიზოლონი — ანაფრილაქციის საწინააღმდეგო ხსნარები; ინსულინი — ანტიდიაბეტური; დიმედროლი — ანტიჰისტამინური; გლუკოზა — ჰიპოგლიკემიის საწინააღმდეგო; ნიფედინის ტაბლეტები — კალციუმის ანტაგონისტი; მეტოპროლოლის ტაბლეტები — ბეტა-ადრენოლოკატორი; კაპტოპრილის და ნიტროგლიცერინის ტაბლეტები.

პიარ-კამპანიას და ასე მოვედით 1-ელ სექტემბრამდე.

— **თუ მოამზადებთ საზოგადოებას, მაშინ, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი? ხალხი ძალიან შეწუხებულია ამ ცვლილებით.**

— მომზადებული ნამდვილად იყო ნიდაგი. არაერთი გადაცემა მიეძღვნა ამ ცვლილებას, მაგრამ მაინც გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში გაკეთებული კომენტარებით ვხვდებით, რომ საზოგადოება შეცდომაშია შეყვანილი და ჰგონია, ანაღვინის ყიდვაც კი არ შეეძლება ურეცეპტოდ.

— **წნევის წამლები ხომ გაიცემა რეცეპტით, საქართველოში კი უამ-**

რება მჭირდება; ექიმთან ვიზიტს უნდა ველოდო?

— ესეც გათვალისწინებულია. მინისტრის ბრძანებით, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჩანთის ნუსხა განსაზღვრულია და აფთიაქებს შეეძლება 14 ნივთიერების გაცემა გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ურეცეპტოდ. ეს პრეპარატები პირველადი დახმარების აღმოსაჩენად სავსებით საკმარისია.

— **ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს ყოველთვის მოუწევთ ექიმთან მისვლა?**

— არ მოუწევთ. ექიმს აქვს უფლება, გამოწეროს ერთი წლის მარაგი და ამ

გვექონდა ქვეყანაში, ნლეგანდელი მონაცემებით, იმპორტი 70%-ით არის შემცირებული. მაშინ რაც შემოდოდა, ისიც არალეგალურ არხებში გაედინებოდა. რეალიზაციის წესის დარღვევა პირველ ჯერზე არის 6.000 ლარი, ხოლო მეორე ჯერზე — 12.000 ლარი. სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს კონტროლი და საზოგადოებაც გვეხმარება — ყოველდღიურად შემოდის ინფორმაცია ამა თუ იმ აფთიაქში გამოვლენილ სამართალდარღვევაზე. თვითონ მოსახლეობა, სამართალდამცავები გვანვდიან ინფორმაციას. არის შედეგი, მაგრამ ახლა ვიბრძვით იდეალური შედეგისთვის.

— **ხალხი იმის გამოც წუხს, რომ მედიკამენტები გაძვირდება. თურმე ამის მაგალითებიც უკვე არსებობს — რამდენიმე დასახელების წამლის ფასმა მოიმატა.**

— რატომ უნდა მოხდეს მედიკამენტების გაძვირება? ეს არ მოხდება. დღეს ექიმი თუ ჩვეულებრივ ფურცელზე წერს წამალს, 1-ლი სექტემბრიდან რეცეპტზე გამოწერს — ეს არის და ეს.

— **აქ არის მეორე პრობლემა: ექიმები ხშირად, გარიგებულები არიან ამა თუ იმ ფირმის წარმომადგენლებთან და ამის მიხედვით იმ ფირმის წამალს წერენ. ალბათ ექიმებს უფორ ტაგისნებათ გზა. ამას როგორ გააკონტროლებთ?**

— რეცეპტის ინსტიტუტი გვაძლევს იმის საშუალებასაც, დავადგინოთ, რომელი ექიმი რა მედიკამენტს და რა სისხშირით წერს. თუ მსგავსი ფაქტი იქნება, შესწავლა შესაძლებელი გახდება. დღეს ვერ ვადგენთ, რა მედიკამენტი დაუნიშნა ექიმმა პაციენტს.

— **ბოლოს, რას ეტყვით შემფოთებულ მოსახლეობას?**

— შემფოთებისა და პანიკის საფუძველი არ არსებობს. მიმართონ ოჯახის ექიმებს და მიიღებენ რეცეპტს. მთავარია, თვითონ არ შეირჩიოს ადამიანი წამალი და არ დაზარალოს საკუთარი ჯანმრთელობა.

მოგეხსენებათ, პაციენტების უმრავლესობა თვითნებურად, ყოველგვარი დიაგნოსტიკის გარეშე მიმართავდა აფთიაქს

რავი ადამიანი იღებს ყოველდღე ასეთ მედიკამენტებს.

— წნევის წამლები რეცეპტით გასაცემთა ნუსხაშია. რეცეპტის გარეშე მხოლოდ ადელფანი და რაუნტინი გაიცემა. პარაცეტამოლი ურეცეპტოდ გაიცემა.

— **სამაგიეროდ, ნიმესილი, რომელიც ხშირად გამოიყენება, რეცეპტით უნდა იყიდონ, არა?**

— ნიმესილი ნამდვილად არის რეცეპტით გასაცემთა სიაში. საერთოდ ამოღებულია ამერიკაში ეს მედიკამენტი. მას აქვს კარგი თვისებები, მაგრამ არ შეიძლება, ექიმის გარეშე მისი დალევა და ყველა ტკივილის დროს ნიმესილის მიღება. როგორც წესი, ნიმესილი მოსახლეობის დიდი რაოდენობა ყოველგვარი დანიშნულების გარეშე ხმარობს. ეს არასწორია — მას აქვს გვერდითი მოვლენები... ტკივილგამაყუჩებელი არასტეროიდული საშუალებები ურეცეპტოდ გასაცემია, თუმცა, ვერც ერთ ამჟამულას ვერ იყიდით ურეცეპტოდ, რადგან საინიექციო საშუალება მხოლოდ რეცეპტით გაიცემა. ანაღვინის ტაბლეტს იყიდით, მაგრამ ამჟამულას ექიმის რეცეპტის გარეშე ვერ შეიძენთ.

— **ანუ თქვენ თვლით, რომ ექიმთან მისვლის კულტურა რომ არ არსებობს, ესეც პრობლემაა და ამას ასწავლით მოსახლეობას?**

— ესეც პრობლემაა. საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში მოსახლეობის 100% დაფინანსებულია და ოჯახის ექიმთან ვიზიტს უფასოა. არანაირი პრობლემა სამედიცინო დაწესებულებებიდან არ იქნება და მიმართონ ოჯახის ექიმს.

— **ბევრისგან მსმენია, იქნებ უცებ ცუდად გავხდი, გადაუდებელი დახმა-**

რეცეპტის საშუალებით პაციენტს ან მის მეურვეს შეეძლება, რამდენჯერმე, თუნდაც სხვადასხვა აფთიაქში შეიძინოს სასურველი მედიკამენტი. არ არის საჭირო პაციენტის ვიზიტი ხშირად. წელიწადში ერთხელ ყველა ადამიანს სჭირდება ექიმთან ვიზიტი, მით უმეტეს — ქრონიკული დაავადებულს. ოჯახის ექიმს ნარკოტიკული საშუალების გამოწერაც კი არ ეკრძალება. ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში ესეც გამოწეროს.

— **საფთიაქო ნარკომანია ახსენეთ. ცოტა ხნის წინ ამოქმედდა კანონი და აიკრძალა გარკვეული მედიკამენტების გაცემა, რომელსაც ნარკომანები იყენებდნენ. თუმცა ამბობენ, რომ მაღალად ისევ გრძელდება ამ წამლების გაყიდვა აფთიაქებში. ყველა ყიდულობს მაინც. ამაზე რას იტყვი?**

— შესწავლილია მდგომარეობა. ამ კუთხით მართლა კატასტროფული სიტუაცია იყო. არც ახლა გვაქვს კარგი მდგომარეობა. ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, არ ხდება გაცემა რეცეპტის გარეშე-მეთქი, მაგრამ სისტემატურად მიმდინარეობს ინსპექტირება და გვაქვს ბლომად სამართალდარღვევის გამოვლენის ფაქტი. თუმცა, ამ კანონის ამოქმედებამ შედეგი რომ გამოიღო, ესეც ცხადია. ის ნივთიერებები მეორე ჯგუფში იყო და მათი კონტროლი არანაირად არ ხდებოდა, არც — იმპორტის. ნებისმიერ აფთიაქს ჰქონდა გაცემის უფლება. ახლა ეს წამლები პირველ ჯგუფშია გადატანილი და მისი შეტანის უფლება სპეციალურ აფთიაქებს აქვთ. იმპორტიც ხორციელდება წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. თუკი შარშან ათეულობით მილიონი ტაბლეტი

ქვეყანა-სახსართო პრობლემები

კოქსაროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიზური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ნრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მოწესრიგება.

მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარტილების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუწვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ტელ: 599 91-37-65 ქ-60: ქაითიო



ორდღიანი „თაფლობის თვე“ და განმარტობა თურქეთის პლაჟზე

მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი და მისი მეუღლე თაქო შოშიაშვილი ზაფხულის ყველაზე ცხელ თვეს თურქეთში, ზღვის სანაპიროზე ატარებენ. რატომ რჩებოდა წყვილი თითქმის მთელი ზაფხული თბილისში და რა გეგმები აქვს აქტიური დასვენების შემდგომი პერიოდისთვის — მსახიობის მეუღლე, თაქო გვიამბობს.

სოფო ჟონიშვილი

— მე და გიორგის ამ ზაფხულს ბევრი საქმე გვქონდა, ამიტომ ზაფხულის ცხელი დღეები თბილისში გავატარეთ. თუმცა, ცოტა ხნით მაინც შევძელით და დასასვენებლად თურქეთისკენ გამოვეშურეთ.

— **კარგად ისვენებთ ახალდაქორწინებულები?**

— მე და გიორგი ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. ერთნაირი შეხედულებები გვაქვს ყველაფერზე, ამიტომ ერთმანეთს დისკომფორტს არასოდეს ვუქმნით და სადაც უნდა ვიყოთ, თავს ბედნიერად ვგრძნობთ.

— **ზღვაზე დასვენების შემდეგ მთაში წასვლასაც ხომ არ გეგმავთ?**

— ძალიან გვინდა, ზღვაზე აქტიური



ერთნაირი გემოვნება გვაქვს და მსგავს რაღაცებზე კამათი არ გვიწევს

დასვენების შემდეგ სადმე მაღალმთიან ადგილას, სინყნარეშიც დავისვენოთ. მთა განტვირთვის კარგი საშუალებაა.

— **კურორტის შერჩევისას თქვენი გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა?**

— დიახ, ჩვენ ერთნაირი გემოვნება გვაქვს და მსგავს რაღაცებზე კამათი არ გვინებს ხოლმე, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მახარებს.

— **დასასვენებლად მარტო წახვედით თუ — მეგობრებთან ერთად?**

— ამჯერად მეგობრებთან ერთად არ ვართ. ჯვარი რომ დავინერეთ, მე და გიორგის ორდღიანი „თაფლობის თვე“ გვქონდა, ამიტომ ზაფხულის ბოლო თვე გვინდა, განმარტობით გავატაროთ. თაფლობის თვე ფაქტობრივად, ახლა გვაქვს (იცინის).

— **საერთოდ, აქტიური დასვენების მოყვარული ხარ?**

— ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და შესაბამისად, დასვენებაც აქტიური მიყვარს. წლებანდელი წელი იმდენად დატვირთული და ემოციური იყო ჩვენთვის, რომ მშვიდი დასვენებაც აუცილებლად გვჭირდება.

— **როგორც ვიცი, ძალიან მოკლე**

დროში გადანყვით დაქორწინება. რამდენ ხანს იყავით შეყვარებულები?

— შეყვარებულები სულ 5 თვე ვიყავით, მაგრამ ჩვენთვის ეს 5 თვე 5 წელი აღმოჩნდა. გაცნობის დღიდან შეგვიყვარდა ერთმანეთი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გიორგის მთელი ცხოვრება ვიცნობდი. აზრი აღარ ჰქონდა ურთიერთობის ასე გაგრძელებას და სიყვარულმა ძალიან მალე გადაგვანყვეტინა ერთად ცხოვრება.

— **თანაცხოვრების დაწყების შემდეგ თქვენს ურთიერთობაში რა შეიცვალა?**

— ის შეიცვალა, რომ მე და გიორგი სულ ერთად ვართ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ის ჩემი სხეულის ნაწილია. ამ ყველაფრით ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ.

— **ღამის კლუბებში და დისკოთეკებზე სიარული გიყვართ?**

— დიახ, გვიყვარს და როცა თბილისში ვართ, შეძლებისდაგვარად ვსტუმრობთ ხოლმე ღამის კლუბებს და სხვადასხვა გასართობ ადგილს.

— **ნამზეული ხშირად გაქვს?**

— როცა დრო მაქვს, ზაფხულის



აქტიური ადამიანი ვარ და დასვენებაც აქტიური მიყვარს

განმავლობაში თბილისის აუზებზეც დავედივარ და შესაბამისად რუჯიც მაქვს. მიყვარს ნამზეური, თუმცა, ავადმყოფურად — არა.

— როცა დასასვენებლად მიდიხარ, ბევრი დრო გჭირდება იმისთვის, რომ საჭირო სამოსი და ნივთები ჩააღაგო?

— ყოველთვის, როცა დასასვენებლად მივდივარ, წინა საღამოს „ვლაგ-დები“. წინასწარ რაღაცების დაგეგმა არ მიყვარს. ისე, ცოტა წელი ვარ და ხშირად გიორგის ვალოდინებ, რისთვისაც სულ მსაყვედურობს.

— ბევრი სამოსი მიგაქვს დასასვენებლად თუ ერთი შორტი და სარაფანიც საკმარისია შენთვის ზღვაზე ყოფნისას?

— არა, ერთი შორტი და სარაფანი ზღვაზე არასოდეს წავსულვარ (იციინის). მთელი გარდერობი მიმაქვს, თუმცა, იქიდან ნახევარი, ჩაუცმელი უკან ჩამომაქვს. წლებია უკვე მივხვდი, რომ ზღვაზე ბევრი სამოსი საჭირო არ არის, მაგრამ მაინც ყველაფერი თან მიმაქვს, დისკომფორტი რომ არ ვიგრძნო და განწყობის მიხედვით ჩაიცვა.

— გიორგისაც შენ ულაგებ ჩემოდანს?

— ერთმანეთზე ზრუნვა ძალიან დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. გიორგის ჩემოდანსაც მე ვაღაგებ, თუმცა, თავადაც მეხმარება, მახსენებს, თუ რა უნდა ჩავუღაგო და რა — არა. რაც უნდა ცოტა ხნით გავდიოდეთ ქალაქიდან, მაინც დიდი დრო გვჭირდება ჩაბარებისთვის.

— გიორგი ძალიან მოკლე დროში პოპულარული მსახიობი გახდა. ხომ არ ეჭვიანობ მის „სასიყვარულო“ როლებზე?

— ამ ყველაფერს პროფესიული კუთხით ვუდგები, აქედან გამომდინარე, მისი როლები არ მაღიზიანებს და შესაბამისად, არც ეჭვიანობ. ბუნებით ეჭვიანი არ ვარ. ერთმანეთი გვიყვარს, ვენდობით და პატივს ვცემთ. სიყვარულში მთავარი — ნდობაა; თუ ნდობა, იქ ყველაფერი კარგად იქნება. გიორგის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მე ვარ. ვგულშემატკივრობ და მახედნიერებს მისი თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი.

— გიორგი თუ არის ეჭვიანი?

— არც გიორგია ეჭვიანი. ამ მხრივ ერთმანეთს დისკომფორტს არ ვუქმნით. როცა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გავდივართ და ყურადღების ცენტრში ვხვდებით, ეს ყველაფერი გვსიამოვნებს და პატივს ვცემთ ხალხის კეთილგანწყობას.

— საკუთარი ხელით მომზადებული გემრიელი კერძებით თუ ანებივრებ მეთუღებს?

— სამზარეულოში ფუსფუსი ძალიან მიყვარს და მეხერხება კიდევ. დაოჯახებამდე სადილები ნამდვილად არ მომიზნადებია, მაგრამ ახლა მშვენივრად ვართმევ თავს.

— მოსწონს გიორგის შენი მომზადებული სადილები?

— ძალიან მოსწონს. ამბობს, რომ კარგი დიასახლისი დავდექი. მთავარია, მოვიწოდო და ნებისმიერ კერძს მოვამზადებ.

— თავად თუ ეხერხება კერძების მომზადება?

— სამწუხაროდ, სამზარეულოში ფუსფუსისა და გემრიელი სადილების მომზადებისთვის დრო არ რჩება. ისე, სურვილი აქვს ხოლმე, რომ რამე გემრიელი მომიზნადოს და მასიამოვნოს.

— ახლო მომავალში შვილის ყოლას ხომ არ გეგმავთ?

— დიახ, ორივე ვთვლით, რომ მზად ვართ, მშობლები გავხდეთ. ძალიან გვინდა, შვილი მალე გვეყოლოს. ვფიქრობ, გიორგი არაჩვეულებრივი მამა იქნება.

— პირველი, გოგო გინდათ თუ ბიჭი?

— არ აქვს მნიშვნელობა, გოგო იქნება თუ — ბიჭი, მთავარია, ჯანმრთელი დაიბადოს.

— შენი აზრით, რა არის აუცილებელი იდეალური ცოლქმრული ურთიერთობისთვის და რამდენად შესაძლებელია ამ იდეალურობის შენარჩუნება?

— ცოლქმრული იდეალურობის რეცეპტი არ ვიცი, ყველა ადამიანი ინდივიდია და ყველას სხვადასხვა შეხედულება აქვს ამა თუ იმ საკითხზე. ჩემთვის იდეალური — გიორგის თვალში ჩემი სულის ანარეკლის დანახვაა. ცოტა ხატოვნად გამომივიდა, მაგრამ სხვა-ნაირად ვერ შევძელი მეთქვა.



ძალიან გვინდა, შვილი მალე გვეყოლოს. ვფიქრობ, გიორგი არაჩვეულებრივი მამა იქნება

— ხშირად კამათობთ?

— რა თქმა უნდა, ხანდახან ვკამათობთ. თუმცა, იმდენად სასაცილო და უმნიშვნელო რაღაცებზე ვკამათობ, რომ კონკრეტულად არ მახსენდება არც ერთი კამათის თემა (იციინის). ერთადერთი, რაზეც გიორგი ხშირად მსაყვედურობს ის არის, რომ როცა სახლიდან ერთად გავდივართ, სულ მელოდება და მეუბნება, რომ წელი ვარ და ცოტა უნდა ავჩქარდე.

— კარგ დასვენებას გისურვებთ! — მადლობა!

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ პერსონაჟი ცოტნე ცოტაშვილი მაყურებელმა სულ მცირე ხანში შეიყვარა და შესაბამისად, ამ სერიალის ერთ-ერთ პოპულარულ მსახიობად იქცა. მე-ნ სეზონი დასრულდა და საინტერესოა, მაყურებელი ახალ სეზონში იხილავს თუ არა ცოტნე ცოტაშვილს. „სერიალი სავარაუდოდ, ოქტომბერში განახლდება, — ამბობს მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი, — თუმცა, წინასწარ არ ვიცი, რა ბედი ეწევა ჩემს პერსონაჟს და საერთოდ, დავრჩები თუ არა სერიალში. ყველაფერს ოქტომბერში შევითვალთ. ეს როლი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მიხარია და მსიამოვნებს, ხალხმა ჩემი პერსონაჟი ასე რომ შეიყვარა. ვნახოთ, რა იქნება. გამიხარდება, თუ ისევ ვითამაშებ სერიალში.“

მსახიობს 12-საათიანი ძილი ამშვიდებს

„რთულია, როცა საკუთარ თავს ეკრანზე ხედავ“

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ნინო მითაიშვილი სერიალიდან — „შუა ქალაქში“ ელენეს როლით გახდა პოპულარული, თუმცა, მანამდე სერიალში — „უამი ყვავილობისა“ ზაზა იაქაშვილის პერსონაჟის მეუღლეს ასახიერებდა... გადავწყვიტეთ გაგვერკვია, როგორი გემოვნება აქვს მსახიობს...



ქართულ სერიალებს იშვიათად ვუყურებ

ეთო ყორღანაშვილი

— მიმაჩნია, რომ გემოვნებიანი ადამიანი ვარ. ალბათ, საკუთარი თავი ყველას ასეთად მიაჩნია.

— მეგობრები თუ ენდობიან თქვენს გემოვნებას?

— მეგობრები ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ ხოლმე, მაგალითად — სამოსის შესახებ: რა მიხდება, რა უხდებათ და ა.შ. ეს ბუნებრივია.

— უპირატესობას როგორი სტილის სამოსს ანიჭებთ?

— საერთოდ, თავისუფალი სტილი მიყვარს, მაგრამ ძირითადად, კლასიკური სამოსის ჩაცმა მინევს: არის შემთხვევები, როცა გინდა თუ არა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები უნდა ჩაიცვა. მომწონს, მაგრამ დამლელია. ამიტომ ჩემი დღის განრიგს გააჩნია: თუ ბევრი სასიარულო მაქვს, კედებს, ჯინსსა და მაისურს ან ჯემპრს ვიცვამ.

— ნინო, სერიალს — „უამი ყვავილობისა“ ტელეეკრანზე განმეორებით აჩვენებენ. ამ სერიალში თქვენ მიერ შესრულებულ როლს ახლა როგორ აფასებთ?

— რომ არ დაგიმალოთ, განმეორებითი ჩვენება საერთოდ არ მინახავს. ერთხელ დედამ მკითხა, — ძველ სერიალს იმეორებენ, გაგრძელებას ხომ არ აპირებენო? ვუპასუხე, — არ ვიცი, ჩემთან არავის დაუურევავს-მეთქი... არ შეიძლება, შენს შესრულებულ როლში

ყველაფერი მოგეწონოს. ძალიან რთულია, როცა საკუთარ თავს ეკრანზე ხედავ: ამ დროს შენს თავს აბსოლუტურად სხვანაირად აღიქვამ; გგონია, რომ სულ სხვა რამეს აკეთებ და რეალურად — სხვა რაღაც ჩანს.

— სერიალების მოყვარული ხართ?

— დიდად — არა. იშვიათად ვუყურებ. ერთადერთი სერიალი, რომელიც ძალიან მომწონს, „ბიბისის“ გადაღებული „შერლოკ ჰოლმსი“ გახლავთ. ქართულ სერიალებს იშვიათად ვუყურებ.

— საერთოდ, ტელევიზორს უყურებთ?

— როცა ვისვენებ, შესაძლოა, იშვიათად რაიმე გადაცემა ვნახო.

— ზაფხულში დასვენებას სად ამჯობინებთ?

— საერთოდ, ზღვა ძალიან მომწონს. იქ ყველაზე კარგად ვისვენებ. ამ დროს ნიგნის კითხვაც მიყვარს. მთაც მომწონს — აგარაკი გვაქვს. მთას თავისი ხიბლი აქვს. იქ ყოფნა სასიამოვნოა, მაგრამ ზღვა მირჩევნია.

— ოთახში, სადაც ცხოვრობთ, ავეჯის, ნივთების მდებარეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ?

— მოგეხსენებათ, ზღვისპირეთში ასანთის კოლოფისხელა ოთახებია, რაც არ მომწონს. ავეჯს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. უბრალოდ, ელემენტარული საცხოვრებელი პირობები და ესთეტიკა უნდა იყოს.

— თქვენი საცხოვრებელი ბინა ე.წ.

„მინიმალის ზმის პრინციპით“ გაქვთ მონყობილი?

— ვერ ვიტყვი, რომ „მინიმალის ზმის პრინციპით“ არის მონყობილი, თუმცა, ბევრი ავეჯიც არ არის. რაც არის, ყველაფერი პრაქტიკულია. ჩვენი ბინა გასარემონტებელია და ყველაფერი თავიდან გასაკეთებელია.

— აღნიშნეთ, კითხვა მიყვარსო. რას კითხულობთ?

— არ ვიცი, დამთხვევით თუ რა, მაგრამ ახლა კოკო შანელის ბიოგრაფიას ვკითხულობდი (*იციინის*). საერთოდ, ლიტერატურის ყველა ჟანრი მიყვარს. განწყობას გააჩნია.

— კოკო შანელის შესახებ მნიშვნელოვანი რა შეიტყვეთ, რაც მანამდე არ იცოდით?

— ძალიან საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. ნიგნში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ იქმნებოდა „შანელის“ მოდა. როგორც იცით, კოკო შანელი დებთან ერთად იზრდებოდა: დედა დაეღუპა, მამამ ბავშვთა სახლში ჩააბარა... გარკვეული პერიოდი კათოლიკურ მონასტერშიც იზრდებოდა. სიმკაცრე, რითიც „შანელის“ მოდა გამოირჩევა, მთელ მის ცხოვრებასა და სამოსის სტილს გასდევს.

— გარუჯული სხეულიც კოკო შანელმა გახადა მოდური. ნამზეური გიყვართ?

— ძალიან მიყვარს! როცა გარუჯული ვარ, საკუთარი თავის დანახვა მსიამოვნებს...

— შვილის გემოვნების ჩამოყალიბებაზე თუ ზრუნავთ?

— უბრალოდ, შეიძლება, რაღაც მიმართულება მივცე ხოლმე, მაგრამ თვითონ ირჩევს, რა უნდა ჩაიცვას. რჩევებს თავადაც მეკითხება, ხან მიჯერებს, ხან — არა.

— კერძების მომზადება კარგად გამოდის?

— ჩემი მომზადებული კერძები ყველას ძალიან მოსწონს. ახლობლები მთხოვენ, — ესა და ეს კერძი მოამზადეო. შემდეგ ერთად ვსადილობთ. ნიგვზიანი საჭმლის მომზადება არ ვიცი, რადგან ჩემი დედამთილი უგემრიელეს კერძებს ამზადებს... სხვათა შორის, გუშინ ტყემლის სანებელა პირველად გავაკეთე.

— მერე, გემრიელი გამოგივიდა?

— კი, უბრალოდ, ცოტათი სქელი იყო.

— ზამთრისთვის კომპოტებს, მურაბებს ამზადებთ ხოლმე?

— არა. ერთადერთი, ყოლოს ვყიდულობ, შაქარში ვდებ და მთელი ზამთარი მაქვს ხოლმე. ჩაისთან ერთად გემრიელია.

— ყოლოს კომპოტს გულისხმობთ?

— არა, ყოლოს „ვაბლენდერებ“, მერე შაქარს ვამატებ და მაცივარში ვდებ. შაქარი ინახავს. გამიგონია, რომ ყოლოს თავლშიც დებენ — ბევრად გემრიელი იქნება.

— თქვენი ოჯახის ოთხფეხა მეგობარზეც გვიამბეთ...

— ჩემი სიამაყე, საქართველოს ჩემპიონი — ბასტი უკვე ჩვენი ოჯახის წევრი გახლავთ: ჩემს შვილს ძალი ძალიან უნდოდა. მცირე ზომის ძაღლს დიდხანს ვეძებდით, რადგან დიდ ბინაში ვერ გავაჩერებდით. ბევრი ძებნის შემდეგ, ინტერნეტში ბიგლის ჯიშის ძაღლი ვნახეთ. მის ყიდვას დიდხანს ვცდილობდით. მერე ერთი ქალბატონი გავიცანით, რომელსაც ბიგლი ჰყავდა. ის დაგვეხმარა, რომ ჩვენი ბასტი ლიტვიდან ჩამოგვეყვანა. ისე გამოვიდა, რომ ძაღლი ჩემს შვილს დაბადების დღეს ვაჩუქეთ. საერთოდ, ბიგლები ძალიან საყვარლები არიან. უღლევი ენერჯია აქვთ. მონადირე ძაღლის სახლში ყოლა რთულია: ბასტი




დილის გადაცემის წამყვანი ვერასოდეს ვიქნებოდი

აბსოლუტურად ყველაფერს ღრღნის. რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი და სათვალე შექმული აქვს. უჯრას ალებს და სასურველი ნივთებს საჭმელად ამზადებს. გვეუბნებოდნენ, — გაიზრდება და დანყნარდებაო. უკვე 2 წლის არის, მაგრამ როცა შინ მარტოა, რაღაცებს მაინც აფუჭებს. თან, ისე მიყურებს, რომ ვერც ვუბრაზდები. დღეში ორჯერ ვასეირნებ. პერიოდულად იპოდრომზე მივდივართ, სადაც სხვა ძაღლებიც არიან. საქართველოში მყოფი ბიგლების პატრონები ერთმანეთს ვეკონტაქტებით, ვიკრიბებით. ბიგლები ერთად დარბიან და თამაშობენ. საოცრად სასიამოვნო სანახავია.

— დასასვენებლად ბასტიც მიგყავთ?

— ვცდილობთ, ზღვაზე არ წავიყვანოთ, რადგან შარშანწინ ზღვის წყალი დალია და ცუდად გახდა. ოთახში შესვლის პრობლემაც გვაქვს — ყველას არ სურს, რომ ბინაში ძაღლი შევიყვანო. ამიტომ როცა ზღვაზე მივდივარ, ბასტის თბილისში ვტოვებ. სამაგიეროდ, მთაში მიგვყავს — ბუნებაში ნებივრობა ძალიან უყვარს.



რჩევებს თავადაც მეკითხება, ხან მიჯერებს, ხან — არა

— მის გარეგნობაზე როგორ ზრუნავთ?


— სტილისტი არ სჭირდება, რადგან გრძელი ბუნჯი არ აქვს. ვვარცხნით, ყურებს ვუნმენდთ, პერიოდულად ბრჭყალებს ვაჭრით, ყოველი გასეირნების შემდეგ — თათებს ვუნმენდთ. პატარა ბავშვივით ვუვლით...

— ნინო, როგორ პროექტში არ მიიღებდით მონაწილეობას?

— არ ვიცი. უბრალოდ, დილის გადაცემის წამყვანი ვერასოდეს ვიქნებოდი. ყოველდღე ადრე ადგომას მგონი ვერ შევძლებდი. ვინც ამას ახერხებს, გმირებად მიმაჩნია.

— თქვენი დილა როდის იწყება?

— დღის 11-12 საათზე, ხანდახან — უფრო ადრეც, როცა ელენე სკოლაში მიდის. ასეთ დროს, თუკი საქმე არ მაქვს, ბავშვის სკოლაში წასვლის შემდეგ, ძილს „ვიბრუნებ“. ვიცი, რომ ამდენ ხანს ძილი არ ვარგა, მაგრამ 12-საათიანი ძილის შემდეგ დამშვიდებული ვიღვიძებ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ...



ნინო მითაიშვილის ძაღლს — ბასტის სხვადასხვა ოინის მოწყობა უყვარს. ერთხელ რეპეტიციიდან 40 წუთით შინ დაბრუნებულმა მშიერმა ნინომ საჭმელი სახელდახელოდ მოიმზადა. ის იყო, მაგიდას მიუჯდა, რომ ტელეფონმა დარეკა. ადგა და დაახლოებით 2 ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ საჭმელი გამქრალიყო. სადილის ქურდი ბასტი აღმოჩნდა, რომელსაც პატრონი გაეკიდა, მაგრამ ძაღლი საწოლის ქვეშ დაიმალა და აღარ გამო-

დიოდა... ბასტი საკუთარ დანაშაულს კარგად ხვდება — თავდახრილი კუდს აქიციანებს ხოლმე. სხვა შემთხვევაში, არ იმალება — გახარებული სხეულზე გახტება... ცემაზე რეაქცია არ აქვს, რადგან მოსიყვარულე პატრონები ისე ვერასოდეს დაარტყამენ, რომ რამე ატკინონ.

სალამოს, როცა აგრილდება, ბასტის „დაჭეობანას“ თამაში მოსწონს. ამიტომ ნინოსთან ან ოჯახის სხვა წევრთან თავისი სათამაშო მიაქვს ან რაიმე ნივთს იღებს, რომ გაეკიდონ...

გაბა ჩიხლაძის ერთი სიყვარული და ორი ქორწინება

„ფეხმძიმედ იყო, როცა ცოლად ხელმეორედ მოვიყვანა“

„სიყვარული სამყაროს მოტორია. ყველაფერი მისით და მის გარშემო ხდება“, — ამბობს ჯგუფ „ფრანის“ სოლისტი გაბა ჩიხლაძე. რა შეცვალა სიყვარულმა მის ცხოვრებაში, როდის იბნევა, რა ვერ ისწავლა დღემდე და რას გააკეთებდა, ძალიან ბევრი ფული რომ ჰქონდეს — ამ ყველაფერს მის მიერ დასრულებული წინადადეგებიდან შეიტყობთ.

თაგუნა კვინიკაძე

— **დაბადების თარიღი...**
 — ...1984 წლის 27 აპრილი.
 — **ბავშვობაში მინდოდა, გამოვსულიყავი...**
 — ...მომღერალი. ადრეული ასაკიდან ვმღერი. ბავშვობაში მინდოდა, როკ-ენ-როლი მემღერა. სხვა პროფესიაზე მიფიქრია თუ არა? ჩემი სურვილები სცენას არასდროს გასცილებია. მშობლები სტომატოლოგობას მაძალებდნენ. სკოლის ბოლო წლებში, ქიმიასა და ბიოლოგიაშიც კი ვეშვებოდი, მაგრამ თეატრალურში „გავიჩიეთ“.
 — **ჩემზე ამბობენ...**
 — ...საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მაინც გიპასუხებ. ჩემზე კარგს უფრო ხშირად ამბობენ, ვიდრე — ცუდს. ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე ასე მოდის. მეუბნებიან, კარგი კაცი ხარო. ცუდი რა გამიგონია?.. ბევრს უთქვამს, ამაყი მეგონე, ცოტათი მძიმე ხასიათით და საერთოდ სხვანაირი ყოფილხარო. პატარა „სიამაყეები“ და ცოტა-ცოტა „სიმძიმეები“ ყველას გვაქ-

— ...მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ. მყავს მშობლები, მეუღლე, შვილები, დავიბადე საქართველოში. ბედნიერი ვარ, რომ ქუთაისელი ვარ. თბილი მამა ვარ, ჩემს შვილებზე ვგიჟდები, სულ მათზე ვფიქრობ, მაგრამ ძიძობა არ შემიძლია და რა ვქნა?!

— **თვისება, რომელიც ჩემში ყველაზე მეტად მომწონს...**
 — ამაზე არასდროს მიფიქრია. გულწრფელი ადამიანი ვარ-მეთქი, რომ გითხრა, ძალიან არათავმდაბლური ნათქვამი იქნება. რაც ყველაზე მეტად მომწონს, ისაა, რომ სინანული შემიძლია. საკუთარ შეცდომებს ვნანობ და ვცდილობ, აღარ გავიმეორო.

— **...რომელიც არ მომწონს და ვცდილობ, გამოვასწორო...**
 — ...ასეთი ალბათ ბევრია. მოკლედ რომ გითხრა — ის ყველაფერი, რაც მერე სინანულს იწვევს.

— **დათმობა შემიძლია, თუ...**
 — ...საერთოდ, დამთმობი ადამიანი ვარ. ვერ დავთმობ, თუ მეორე მხარეს ჩემი დათმობა დათვურ სამსახურს არ გაუწევს: თუ დასათმობი არ არის,



ერთხელ ლამაზი გოგოს დანახვისას ისე დავიბენი, მას შემდეგ, 7 წელია, ერთად ვართ

მისი ქცევა მიტევაბას ჰგავდა. დარიგება არ იყო, მაგრამ მაინც დღემდე გულში მაქვს ჩარჩენილი...

ვს, მაგრამ ეს თვისებები ჩემს ხასიათში ნამდვილად არ ჭარბობს.

— **ჩემს წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის...**
 — ...კონკრეტული ადამიანი უნდა გავიხსენო? ჩემი წარმატება ძალიან ბევრმა ადამიანმა განაპირობა. გარდა ამისა, თავადაც მიზანდასახული ვარ. თუ ეს თვისება არ გაქვს, რაც უნდა ხელი წაგიკრან, ერთი ნაბიჯიც კი შეიძლება წინ ვერ გადადგა.

— **ცხოვრებას თავიდან რომ ვინწყებდე...**
 — ...არაფერს შევცვლიდი.
 — **ბედნიერი ვარ, რომ...**

მაგრამ ვიცი, იმ მეორეს სასიკეთოდ გამოადგება, დაფუთობ.

— **ვიბნევი, როცა...**
 — ...ხშირად ვიბნევი. ვიბნევი, როცა ქუჩაში მხედება ადამიანი, გადამოცუნის, მომიკითხავს და ვერ ვიხსენებ, ვინ არის. ამ დროს ბოდიშს ვუხდი და ვეუბნები, რომ ვერ ვიცანი. ის კი მპასუხობს, ვერც მიცნობ, რადგან ერთმანეთს არ ვიცნობთო. ვუყვარვარ, როგორც მომღერალი. ერთხელ ლამაზი გოგოს დანახვისას ისე დავიბენი, მას შემდეგ, 7 წელია, ერთად ვართ. ჩემი შვილი თომა უკვე 5 წლის ხდება. ვიბნევი, როცა ის

მელაპარაკება, ნუთუ უამრავი შეკითხვის დასმას ასწრებს. მეკითხება, პირველად რომელი გაჩნდა — მეფე ღმერთი თუ პატრიარქი?

— **ამწუთას ძალიან მინდა ვიყო...**
 — ...ამ ბოლო დროს ბავშვობა მენატრება. თუ ნატვრაა, ბავშვობაში დაბრუნებას ვინატრებდი. რომ მეგონა, დიდობა სჯობდა, თურმე, ყველაზე საუკეთესო პერიოდი მაშინ მქონია.

— **წონასწორობას მაშინ ვკარგავ, როცა...**
 — ...უსამართლობას ვაწყდები. ამ დროს საკუთარ თავს ვეღარ ვაკონტროლებ და მერე ვნანობ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. შევესწარი ფაქტს, დაცვის თანამშრომელი როგორ ჩაგრაგდა ქუჩაში მოწყალეების სათხოვნელად გამოსულ ბავშვს. დაარტყა კიდეც. ერთ-ერთ ბარში ვჭამდი. ეს რომ დავინახე, ლუკმა ყელში გამეჩხირა, იმდენად გავგიჟდი, დაცვის თანამშრომელს მეც ძალადობით ვუპასუხე. რა თქმა უნდა, ეს კარგი საქციელი არ არის. შემრცხვა, მაგრამ იმწუთას თავი ვერ შევიკავე. იმ ადამიანს არ უნდა დავმსგავსებოდი. ძალადობას ძალადობით არ უნდა უპასუხო.

— **მე ვარ შეუმდგარი...**
 — ...სტომატოლოგი. პროფესიით მსახიობი ვარ, სცენაზე, ფილმში თამაშის დიდი სურვილი მაქვს. იმედია, ეს დროც მალე დადგება.

— **ცხოვრებას ვილამაზებ...**
 — ...ჩემი ოჯახით, მუსიკით და ჩემი

ჯგუფის წევრებით.

— სიყვარული ეს...

— ...ათი მცნება, მთელი სახარებაა, მთელი ცხოვრებაა. სიყვარული სამყაროს მოტორია. ყველაფერი მისით და მის გარშემო ხდება.

— როცა შეყვარებული ვარ...

— ...უფრო რომანტიკული ვარ. როცა ეს გრძნობა მიძინებულობს, ფანტაზია იძინებს. როცა შეყვარებული ვარ, დილის გათენება, მზის ამოსვლა, წვიმა — ყველაფერი მახარებს. მეტ სიმღერას ვწერ. სიგიჟეები?.. ამ ყველაფერს სიგიჟეებიც თან ახლავს. ახლახან ჩემს მეუღლესთან მეორედ ვიქორწინე, მაგრამ ისე, რომ დაშორებულები არ ვყოფილვართ. ამასაც თავისებური ხიბლი ჰქონდა. თან, ჯვარი დავინერეთ. ჩემი მეუღლე მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ, ცოლად ხელმეორედ რომ მოვიყვანე.

— ვოცნებობ...

— ...არაფერზე ვოცნებობ, უბრალოდ, სურვილები მაქვს. ეს ძალიან პირადია.

— ყოველთვის შეუძლია, კარგ ხასიათზე დამაყენოს...

— ...მაგარმა მსმენელმა. ამ განცდას არაფერი შეედრება. ამ დროს წონასწორობას (კარგი გაგებით) ვკარგავ. ცუდი მსმენელი „მანგრევეს“.

— ცხოვრებაში რისკზე...

— ...არაერთხელ წავსულვარ, მაგრამ გაუაზრებლად — არასდროს. სანამ დავოჯახდებოდი და საზრუნავი ნაკლები მქონდა, მეტად ვრისკავდი. ოჯახი, მამობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და თუ რამის გამო თავს ვიკავებ, ეს ჩემი ოჯახია.

— როცა საჯაროდ მაქებენ...

— ...თავს უხერხულად ვგრძნობ. ლანძღვას სჯობია, შეგაქონ, მაგრამ გააჩნია, ვინ და როგორი გულით მაქებს.

— ხშირად მსაყვედურობენ...

— ...ბევრს ნუ სვამო. სუფრა და ქეიფი მიყვარს, რა ვქნა? ნასვამი როგორ ვიქცევი? ხმის ბოლო იოგის ჩანყვეტამდე ვმღერი, ბევრს ვლაპარაკობ, ყველას ვეხუტები, ვეფერები, მეტად თავისუფალი ვარ.

— ვუფრთხილდები...

— ...ოჯახის სინძინდეს.

— ადამიანი, რომელთანაც ყველა თემაზე ვლაპარაკობ...

— ...ჩემი მოძღვარია. ის ბერია, ჩემი ბავშვობის მეგობარია და ყველაზე გახსნილი მასთან ვარ.

— დღემდე ვერაფრით ვისწავლე...

— ...ფესხაცმელზე თასმების შეკვრა. არადა, ამას სხვას ხომ ვერ გავაკეთებინებ! თავად მოვიგონე ახალი კომბინაცია, რომელსაც ვერც აგისხნი და რომც აგისხნა, ვერ გაივებ. თასმებს ჩემებურად ვხლართავ და იმდენს ვახერხებ,

რომ ფესხაცმელი არ მძვრება. დღემდე ვერაფრით ვისწავლე, ერთმანეთისგან როგორ გავარჩიო აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. რამდენჯერ ამისხნეს, მაინც ვერ გავიგე.

— ძალიან ბევრი ფული რომ მქონდეს...

— ...ძალიან მალე აღარ მექნებოდა. დიდი ფული მაშინებს. როგორც უფულობას უნდა მართვა, ისე — დიდ ფულს. ეს სხვა ცხოვრებაა. დიდი ფული არასდროს მქონია, არადა, საკუთარი თავის გამოცდა საინტერესო იქნებოდა.

— რამდენიც უნდა გადამიხადონ...

— ...ცოტა ხნის წინ მეგობრები ამ თემაზე ვლაპარაკობდით: რა თანხასაც დაასახელებ, იმდენი რომ გადაგიხადონ, არც სააბაზანოში, არც სახლში — სცენაზე ლაპარაკიც აღარ არის — აღარ იმღერებო? დავფიქრდი და წარმოვიდგინე, რა საშინელება იქნებოდა! სიმღერას თავს ვერანაირი თანხის სანაცვლოდ ვერ დავანებებ. რამდენიც უნდა გადამიხადონ, ოჯახს არ ვუღალატებ, სარწმუნოებას არ დავთმობ.

— ვერავინ მაიძულებს...

— ...მოვიპარო. ძალიან პრინციპული ვარ. ვერ გამაკეთებინებ იმას, რაც არ მინდა.

— დარიგება, რომელიც არასდროს დამაყენებდა...

— ...შალვა განერელიას სტუდენტი ვიყავი. ერთხელ ცუდად მოვიქეცი, ვანყენინე. მაშინ თქვა, ჩემი გაზრდილები ვინც ხართ, შეიძლება, დიდი არტისტები ვერ გამოხვიდეთ, მაგრამ კაცები უნდა

დე ცოტა ხნით ადრე დაბადების დღე ჰქონდა. მივედი და გულში ჩამიხუტა. მისი ქცევა მიტევებას ჰგავდა. დარიგება არ იყო, მაგრამ მაინც დღემდე გულში მაქვს ჩარჩენილი... კიდევ, ბებიასთან დაკავშირებულ შემთხვევას გავიხსენებ. გურული ბებია მყავდა. ერთხელ მასთან



ცხოვრებას ვილამაზებ ჩემი ოჯახით, მუსიკით და ჩემი ჯგუფის წევრებით

მივედი, მერე საქეფოდ წავედი და მთელი დღე დავიკარგე. ჩემმა საქციელმა გაანაწყენა. მითხრა, მე მოკვდები და ჩემს სატირალში არ ჩამოხვიდეო. ვიჩხუბე და სახლში გაბრაზებული წამოვედი. ბებია იმ ღამეს გარდაიცვალა... ყველა ეს მაგალითი ჩემთვის დიდი გაკვეთილია.

— დაბოლოს გეტყვით, რომ...



ამ ყველაფერს სიგიჟეებიც თან ახლავს

დადგეთ; პირველ რიგში, მთავარია, ადამიანი იყო. იმას, რაც შენ გააკეთე, თეატრი არავის აპატიებს. შენს წყალს გაჰყევი და თუ ასე გააგრძელებ, წყალი წავიდება. მისმა სიტყვებმა სინანულის გრძნობა აღმიძრა. გარდაცვალებამ-

— ...ბოლო სიტყვის თქმა ყოველთვის მიჭირს, მიძნელებდა. (პაუზის შემდეგ) დავაფასოთ, გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა. სადაც საჭირო იყო, იქ დავიბადეთ და მასზე ყველამ ერთად ვიზრუნოთ. ■

გველი მგია, მორიდებული პინგვინები და სპილოების ფლირტი

„...მთელი ოჯახი დასისხლიანებული დამხვდა“

„გამარჯობა, მე მზია ვარ. თბილისის ზოოპარკის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი მენეჯერი და ამ გვერდის ახალი ადმინისტრატორი. რამ მომიყვანა თბილისის ზოოპარკში? ცხოველების დიდმა სიყვარულმა... იმედი მაქვს, თქვენც გადმოგედებათ ეს სიყვარული, რადგან გულწრფელად მჯერა, რომ ადამიანები, რომლებსაც ეს ბენვიან-ბუმბულიანი, რქიან-ფაფრიანი და ფრთიან-ხორთუმიანი არსებები უყვართ, ბევრად უფრო კეთილები, ჰუმანური და შემწყნარებლები არიან არა მხოლოდ ფაუნის წარმომადგენლების, არამედ — ერთმანეთის მიმართაც...“ — ასე წარგვიდგინა თავი სოციალური ქსელის მომხმარებლებს მზია შარაშიძემ ახალ ამპლუაში.

ეთო ყორღანაშვილი

მას შემდეგ, ზოოპარკის ბინადრების შესახებ ისე საინტერესოდ წერს, რომ პირადად მე, მის „პოსტებს“ ჯერაღად დარელის წიგნებზე ნაკლები ინტერესით როდი ვკითხულობ. მზიას სასიამოვნოდ და საინტერესოდ საკითხავ „პოსტებს“ „ფეისბუქის“ კიდევ სხვა უამრავი მომხმარებელი ახსენებს და გარკვეულ იდეასაც სთავაზობს...

ზოოპარკის ბინადრების გარდა, „ჯადოსნური სამყაროს“ წარმომადგენელთა შესახებ მზიას სხვა უამრავი ამბავი აქვს: როგორც გვითხრა, თუთიყუშების უთვალავი თაობა გაუზრდია. მის სახლში ახლაც საინტერესო „ვიდეოები“ ცხოვრობენ...

— ზოოპარკი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო, სადაც ვიმუშავებდი. რამდენიმე წლის წინ, როცა „იმედის დილის“ გადაცემაში ვმუშაობდი, ზოოპარკიდან ჩართვა გვქონდა. მაშინ ჩემს ამჟამინდელ დირექტორს, ზურას რომ შევხვდი, ვუთხარი, — ზოოპარკში მუშაობა მინდა და ერთ მშვენიერ დღეს მოვალ-მეთქი. მიპასუხა, — მოდიო. ახლა პირობა შევასრულე (იცინის). ჯერჯე-

რობით, ამ სამსახურში კომფორტულად ვარ და იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

— ზოოპარკის ბინადრებიდან რომელიმეს განსაკუთრებულად ხომ არ დაუშვებდნენ?

— ცხოველებს ფოტოებს ყოველდღე ვუღებ. მაქვს იმის სიამოვნების საშუალება, რომ ვოლიერებში შევიდე. ხალხს განსაკუთრებით შურს, როცა პატარებთან (ბოკვრები, ჩვილი მაიმუნი...) შევედივარ. მახსოვს, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მარტორქამ მოახდინა — მასთან ტალახის წასასმელად შევედი. ლომისა და ვეფხვის ბოკვრები თავისთავად, საყვარლები არიან, მაგრამ ზოოპარკში მუშაობის დანეყამდე გველი ხელში არასოდეს დამიჭერია. მაინტერესებდა, როგორი შეგრძნება იყო. ახლა პითონს ძალიან გავუშინაურდი. უცნაური არსებები არიან: თითქოს არ გინდა, ხელი რომ მოჰკიდო, მაგრამ შეეხები თუ არა, სურვილი გიჩნება, კიდევ დიდხანს გეჭიროს ხელში...

— შენს სენია გველზე რა გვეტყვი?

— მზია პატარა გველია. ის ზოოპარკის თანამშრომლის საკუთრებაა. ერთ დღეს დამიძახა, — მოდი, შენი სენია უნდა გაგაცნო. თურმე, ზამთარში




გველი ხელში არასოდეს დამიჭერია

ჯემპრის ქვეშ, ნელზე შემოიხვევს ხოლმე, გველი თბილად რომ იყოს (იცინის). გამოაძვრინა და გაბადრულმა გამაცნო. მზია პირველი გველი იყო, რომელიც ხელში დავიჭირე, შემდეგ — პითონი...

— სოციალურ ქსელში, ზოოპარკის ოფიციალურ გვერდზე შენი „პოსტები“ დიდი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს. მომხმარებლები ხშირად გთხოვენ, რომ წიგნი გამოსცე...

— ჩვეულებრივ, გვერდის ადმინისტრირებას ვაკეთებდი. შემდეგ ზოოპარკის ყველა ბინადარი ახლოს გავიცანი. ვცდილობდი, ცხოველების შესახებ მეტი ინფორმაცია მომეპოვებინა. აღმოჩნდა, რომ თითოეულ ცხოველს ძალზე საინტერესო თავგადასავალი და სახელი აქვს. ყველაფერ ამას რომ იგებ, ცხოველი უფრო საინტერესო და ახლობელი ხდება. გადავწყვიტე, გავაქტიურებულიყავი და თითოეული ცხოველი — თავისი სახელით, ამბით, ჩვევით ჩვენი მეგობრებისთვის გამეცნო. ამან გაამართლა... თავდაპირველად, წიგნის გამოცემაზე არც მიფიქრია. წინათ ბლოგი მქონდა, რომელიც ერთხანს, ძალზე პოპულარული იყო. შემდეგ თავი მივანებე — აღარ მეცალა. წინა სამსახურშიც სულ წერა მიხდებოდა, ოღონდ — საქმიანი მიმართულებით და არა — სახალისო, ამიტომ „არ ჩანდა“. ზოოპარკმა ჩემი „სამწერლო მოღვაწეობის“ გაგრძელების საშუალება მომცა. „ფეისბუქის“ მომხმარებლებს



გადაშენების პირას მყოფი აფრიკული პინგვინის სახეობას მიეკუთვნებიან

იდეა გაუჩნდათ, რომ „პოსტები“ წიგნად გამოგვეცა. რალაცნაირად, დაფიქრდი, შესაძლოა, ეს მართლაც გავაკეთოთ... რამდენიმე კვირის წინ ამის შესახებ ჩვენმა დირექტორმაც მითხრა. „წიგნი“ ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ამ მასალებზე დაყრდნობით, ზოოპარკის ბროშურის გაკეთება შეიძლება. ფო-

გრანდი სომხეთიდან ჩამოვიდა) უკვე უნდა ჰქონოდა, მაგრამ მის ცხოვრებაში რალაც ცვლილებები მოხდა — „გადაუცდა“... ახლა, აგვისტოს ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში ველოდებით... ყოველ შემთხვევაში, სპილოები ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ, ერთად სეირნობენ... მთავარი ბარიერი დაძლეულია,

სინამდვილეში, აფრიკული პინგვინები ჩვენს კლიმატურ პირობებში თავს კარგად გრძნობენ. ჯერჯერობით, აკლიმატიზაციის პერიოდი აქვთ — ახალ სახლს უნდა გაუშინაურდნენ. ამჟამად, მათი ქვიშიანი სანაპირო შემოსაზღვრულია — დამთვალეიერებლებისგან იზოლირებულია. პინგვინებისთვის მგ ზავრობა



ხალხს განსაკუთრებით შურს, როცა პატარებთან (ბოკვრები, ჩვილი მაიმუნი...) შევდივარ

ტოების დიდი არქივი და ამბები მაქვს, რომელთა მეშვეობითაც დამთვალეიერებლები ზოოპარკის ბინადრებს უკეთ გაიცნობენ.

— სპილოებს — მალკასა და გრანდს შორის უკვე ყველაფერი მოხდა“?

— ის, რასაც ყველა ელოდება, ჯერჯერობით არ მომხდარა, რადგან ცხოველებს ადამიანებისგან განსხვავებული ფიზიოლოგია აქვთ: შეჯვარებისთვის აუცილებელია, გამრავლების პერიოდი ერთ-ერთს მაინც ჰქონდეს. წესით, მალკას ზაფხულის დასაწყისში (როცა

რადგან თავდაპირველად, არსებობდა საფრთხე, რომ მათ შორის კონფლიქტი მომხდარიყო.

— „სომეხი სიძე“ წარმოშობით საიდან გახლავთ?

— ეს არის აზიური, იგივე — ინდური სპილო, რომელიც მოსკოვის ზოოპარკში დაიბადა. რამდენიმე წლის შემდეგ, ერევნის ზოოპარკში გაგზავნეს და მას მერე, იქ იზრდებოდა ანუ — „სომეხი“ არ არის, უბრალოდ — ერევანში იზრდებოდა (ილიმის).

— ზოოპარკის სასიამოვნო სიახლე — პინგვინები თავს როგორ გრძნობენ?

— პინგვინებს ყველა მოუთმენლად ველოდით. მოლოდინი გაგვეწელა, რადგან აუზის მშენებლობის პროცესი ოდნავ დადგანს გაგრძელდა. შემდეგ პინგვინებს ბუმბულის ცვლა დაენციოთ. ამიტომ კიდევ დაიგვიანეს, სანამ განგური არ დაუმთავრდათ. ბოლოს და ბოლოს, ივლისის დასაწყისში, ბრიტანეთიდან ჩამოვიდნენ. ისინი გადაშენების პირას მყოფი აფრიკული პინგვინის სახეობას მიეკუთვნებიან. ზოგს ანტარქტიდული, ყინულბუმი მცხოვრები პინგვინები ჰგონია და წუხს, რომ ისინი თბილისში ჩამოვიყვანეთ და აუზში „ვხარშავთ“.

სტრესია, შემდეგ — ახალ გარემოში დასახლება. უამრავი ადამიანი მათთან რომ მიდის და უყურებს, კიდევ უფრო იძაბებიან. დამთვალეიერებლები ბრაზობენ ხოლმე, — აი, ჩვენ პინგვინების ნახვა გვინდა და არ გვაჩვენებთო!.. ამ შემთხვევაში, პინგვინების მდგომარეობა უმნიშვნელოვანესია.

— დამთვალეიერებლები პინგვინების ნახვას დაახლოებით როდის შეძლებენ?

— პინგვინები აქამდეც უნდა დაგვეკონტაქტებოდნენ, მაგრამ ისევ მორიდებულად იქცევიან. მომვლელებს უკვე მიეჩვივნენ... წესით, აკლიმატიზაციის პერიოდს მალე გაივლიან და ჩვენს ზოოპარკს შეეგუებიან.

— ზავშეთა დაცვის დღეს ზოოპარკი ფასიანი რატომ იყო?


— ყოველთვის ფასიანი იყო. გამოწვევის მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაუშვეს და დამთვალეიერებლებს შესვლა უფასოდ შეეძლოთ, მაგრამ თურმე ზოოპარკში ცუდი ამბავი ხდებოდა: დამთვალეიერებლებმა ვოლიერები დალუნეს, შესასვლელში „ჭყლეტა“ იყო... წელს, ზავშეთა დაცვის დღეს, ზოოპარკის ბილეთს სტანდარტული ფასი ჰქონდა.



სპილოები ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ, ერთად სეირნობენ...

— ცხოველებს პირველად როდის დაუმეგობრდით?

— ცხოველები ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად მიყვარდა. სულ მინდოდა, ძალი მყოლოდა, მაგრამ ამაზე მშობლები ვერ დავითანხმე: ხან რას იმიზეზებდნენ, ხან — რას. სამაგიეროდ, უამრავი თუთიყუში მყავდა, ბევრი თაობა გამოვზარდე. ბავშვობაში სახლში ქათმებიც კი მყავდა. წინილაც გავზარდე, რომელიც დიდი მამალი დადგა, მერე სოფელში გავაჩუქეთ... შემდეგ კატა გვყავდა. ძალიან კარგი ფისო იყო, რომელმაც ბოლოს, ჩემი იაღონი შეჭამა. მერე რალაც გაუგებრობა მოხდა: კატამ კნუტები დაყარა. შემთხვევით, მამაჩემმა ერთ-ერთს ფეხი უხერხულად დაადგა. კნუტი არ დაშავებულა, მაგრამ კატამ



ჩემს მსოფლმხედველობაში რალაცები შეიცვალა

მისი ჭყვილი რომ გაიგონა, გაგიჟდა და მთელი ოჯახი დაპორჭყნა. იმ დროს აბაზანაში ვიყავი და წივილ-კივილი მესმოდა. ვიფიქრე, — რა ხდება-მეთქი? გამოვვდი და მთელი ოჯახი დასისხლიანებული დამხვდა. საერთოდ, დედა შინ კატის ყოლის წინააღმდეგი იყო. ამიტომ ჩხუბი დამინყო, — წაიყვანე; ხომ გეუბნებოდი, რომ უნდა წაგეყვანაო! კატამ რომ გაიგონა, დედა მეჩხუბებოდა, ის-კუპა — დედაჩემს სახეში უნდა „მიჰფრენოდა“. წინ გადავუხტი და დედაჩემის ნაცვლად, მე დამპორჭყნა. ამის შემდეგ ჩვენი კატა გავაჩუქეთ... მერე გავთხოვდი. ახლა გერმანული ნაგაზი — ბონო გვყავს. ჩვენი ნებიერა დიდი „კამეჩია“. ასევე, თევზები და პატარა, ჭყვიტინა ჩიტები — ამაღინები მყავს. ამაღინების წყვილი მაჩუქეს — შენზე უკეთესი ვინ შეიფარებსო?! ისე გამრავლდნენ, რომ შინ ყველას ჩემი ამაღინების შვილები

ჰყავს. ბოლოს ბუდე ჩამოვუხსენი — ეყოფათ-მეთქი... ახლა აგარაკზე ვარ. ამაღინები თბილისში არიან. მათთვის საჭმლის დასაყრელად მივდივარ ხოლმე. ბოლოს რომ ვიყავი, გამოჩეკილი ბარტყები დამხვდა. რამდენიმე კვერცხი ისევ გამოსაჩეკია. ბარტყების გაჩუქებით ვარ დაკავებული.

— ამახ წინათ შენი „პოსტი“ ვნახე, რომელშიც წერდი, — ძველი, უმაქნისი და იავარქმინილი კამოდი ხომ არ გაქვთ, რომელსაც ჯადოს გაფუკეთებ და მეორე სიცოცხლეს ვაჩუქებო? „ჯადოებით“ რატომ დაინტერესდით და კამოდის გარდა, რა „მოგიჯადოებია“?

— ახალი გატაცება მაქვს. საერთოდ, ცხოველების გარდა, ჩემი შობი იყო: კერვა, ქსოვა, ძერწვა, თლა, მძივის აწყობა, ხატვა... ამჟამად, დიზაინით დავინტერესდები. დეკორატიული ნივთებს ვაკეთებდი. ახლა ძველ ავეჯს რესტავრაციას ვუკეთებ, ვლებავ და კარგი რალაც გამოდის. ამისთვის „ელიავაზე“ წავიდი, საჭირო მასალები ვიყიდე. „ელიავაზე“ რომ დავდივარ, გიჟივით მიყურებენ, ჭკუას მარიგებენ, მე პირიქით — ისეთ „სიბრძნეებს“ ვუბნები, რომ გაფართოებული თვლებით შემომხედავენ ხოლმე. ახლა აგარაკზე ამოვედი, სადაც ამჟამადაც გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს: აივანზე ძველი საწოლები დავშალეთ, „დავშაკლუ“, ლაპარაკს რომ დავამთავრებთ, უნდა წავიდე და „დავშკურკო“, შევლებო, მერე საღებავის მეორე ფენა უნდა „დავალო“ და დაძველების ეფექტი გავუკეთო. მოკლედ, ერთ ამბავში ვარ: ზედა სართულზე „დაშაკლული“ საწოლია, ქვედაზე — კარს ვლებავ, რომელსაც ვერაფერში ვიყენებდი, ახლა კი მისგან სარკეს ვაკეთებ...

— სამშენებლო კომპანიიდან წამოსვლა რატომ გადაწყვიტე?

— ორი წლის წინ, ბავშვი რომ გავაჩინე, დეკრეტში ვიყავი. სამსახურში რომ დავბრუნდი, ჩემს მსოფლმხედველობაში რალაცები შეიცვალა. თან, მსურდა, ბავშვთან მეტი დრო გამეტარებინა. მოკლედ, ღირებულებები გადავფასე და მივხვდი — ის პერიოდი დადგა, როცა ჩემს ცხოვრებაში რალაც უნდა შემეცვალა. „რედიქსიდან“ წამოსვლა სწორედ ეს ცვლილება იყო. ჩემი ცხოვრება სხვა მიმართულებით განვავრდეთ და ჯერჯერობით, კმაყოფილი ვარ.

— მასწავლებელი, საკუთარი პიარის კომპანიის შექმნას აპირებდი...

— ჩემი კომპანიისთვის ინტენსიურ მოქმედებას ვერ ვახერხებ, რადგან ზოოპარკს ბევრი დრო სჭირდება, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამჟამად ზოოპარკს ვემსახურები — ჩემი რესურსი მისკენ არის მიმართული (ილიმის). ■

ნათია ბადრიძეშვილი საზოგადოებამ „თქვენი შოუდან“ გაიცნო, ახლა კი „კომედი ჯგუფის“ თანამშრომელი გახლავთ: „კომედი შოუს“ სკეჩტრებსა და სერიალში — „ვნებების ჭუჭრუტანაში“ მონაწილეობს. „ვნებების ჭუჭრუტანაში“ ბრაზილიურ-არგენტინული სერიალების პაროდია გახლავთ. მასში ნათია გამოგონილი მსახიობის — ანასტასია ორეგანოს გამოგონილ პერსონაჟს — ტუსიას როლს ასრულებს. მოკლედ, ყველაფერი ისეა ჩახლართული, როგორც ამ ტიპის სერიალებისთვისაა დამახასიათებელი...

ეთო ყორღანაშვილი

— ამჟამად თბილისში ვიმყოფები, რადგან აქტიურად ვმუშაობ ახალ ვიდეოპორტალზე. სექტემბრიდან ინტერნეტის მომხმარებლებს ბევრ საინტერესო სიახლეს შევთავაზებთ... თბილისიდან გასვლა სულ რამდენიმე დღით მოვახერხებ. ჰოდა, ახლა ისევ აქ „ვიხრუკები“.

— რამდენიმე დღე სად დაისვენებ?

— ოჯახთან ერთად ზღვაზე ვიყავი, გავერთეთ...

— ვიდეოპორტალზე რა ფუნქცია გაქვია?

— პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი გახლავარ. გათამაშებები, გადაცემების ექსკლუზივები (ინტერნეტმომხმარებლები გარკვეული გადაცემების ნახვას მხოლოდ ჩვენს პორტალზე შეძლებენ) გვექნება...

— პროფესიით ჟურნალისტი, ახალ საქმიანობას თავს როგორ ართმევ?

— ჟურნალისტიკაში ბაკალავრის ხარისხი მაქვს, მაგისტრატურას რაც შეეხება, „ჯიბაში“ პიარს ვსწავლობ... ვცდილობ, ახალ საქმეს კარგად გავართვა თავი. თუ როგორ გამომივა, ამას დრო გვიჩვენებს.

— „კომედი ჯგუფთან“ თანამშრომლობას განაგრძობ?

— კი, სხვადასხვა სკეჩში ვთამაშობ. ამჟამად, გადაცემების ჩანერები არ მიმდინარეობს — ვისვენებთ.

— „კომედი შოუს“ სერიალში — „ვნებების ჭუჭრუტანაში“ ხშირად ჩანდით. როგორ დასამტკიცებლად რთული კასტინგის გავლა მოგიხდა?

— (იციინის) სერიალში „კომედი ჯგუფიდან“ აბსოლუტურად შემთხვევით, კასტინგის გარეშე მოხვდი. ტუსია „მერქვა“. ბევრი ვიცინე. ამ სერიალში მონაწილეობა ჩემთვის ძალზე სახალისო იყო, რადგან ბებო სერიალების დიდი ფანია — სულ უყურებს ხოლმე. ვუთხარი, — აი, ბებო, ჩემი მონაწილეობით სერიალის ახალ ვარიანტს შემოგთავაზებ-მეთქი (იციინის)... „ვნებების ჭუჭრუტანაში“

„საკუთარ თავსაც და სახლსაც კარგად ვუვლი“

„ანასტასია ორეგანო“ კადრს მიღმა

ხალხს მოეწონა, დადებითი ემოციებით შეხვდა...

— საერთოდ, სერიალებს უყურებ?

— არა, არ ვინტერესდები. ვცდილობ, იმ ქართულ სერიალებს ვუყურო, რომლებშიც ჩემი მეგობრები მონაწილეობენ. არც ერთი თურქული სერიალის სერია არ მინახავს — სიმართლეს გეუბნები.

— არც ბრაზილიური, არც არგენტინული სერიალი არ გინახავს?

— მახსოვს, ბავშვობაში „კასანდრა“ და „ემპაკუნა“ ვნახე (იკინის).

— ბავშვობაში მიღებული „მაყურებლის გამოცდილება“ ტუსიას როლის გათავისებაში დაგეხმარებოდა...

— მგონი, დიდად არა (იკინის). აღარც მახსოვს, რას ვუყურე...

— ტუსიას სექსუალური უნიფორმა შენი იდეა ხომ არ იყო?

— არა. უბრალოდ, სერიალებში მოსამსახურეებს ყოველთვის ასე აცვიათ — რალაც უნდა გამოუჩნდეთ, უხერხული ნაბიჯი გადადგან...

— ნათია, საზოგადოებამ „თქვენი შოუდან“ გაგიცნო. დღეს გიორგი აფციაურთან და მისი მაშინდელი გუნდის წევრებთან თუ ურთიერთობ?

— კი, ერთმანეთს თბილად მოვიკითხავთ ხოლმე.

— შარშან, გიორგი აფციაურის სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ, ვანო ჯავახიშვილმა აღნიშნა: ჩვენგან თანამშრომლები უკეთესი პირობების პერსპექტივით წავიდნენ, გიორგი აფციაურისგან კი — არანორმალური

რეჟიმის გამო. „თქვენი შოუში“ როგორ პირობებში მუშაობდი?

— „თქვენი შოუდან“ არ წამოვსულვართ. პროექტი დაიხურა, შესაბამისად, ამას „ჩვენი წამოსვლა“ აღარ ჰქვია — გადაცემა აღარ იყო... საერთოდ, გადაცემების, ჩანერგების რეჟიმი რთულია. მსახიობისთვის ეს ბუნებრივია.

— „თქვენი შოუს“ მსახიობთან და ამჟამად, გიორგის მეუღლესთან — სალიტა ჩუბინიძესთან მეგობრობდი. მახსოვს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთადაც ცხოვრობდით. მეგობრობა შეინარჩუნეთ?

— კი. მე და სალიტას ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. დიდი ხანია, არ მინახავს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობთ, კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება? — ყველაფერი კარგად არის (ილიძის).

— ანუ შეყვარებული ხარ?

— პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მინდა. სხვა დროს მოგიყვები, კარგი?

— ცხოვრების ამ ეტაპზე ოჯახის შექმნაზე თუ ფიქრობ?

— არ ვიცი. ასეთ რალაცებს ვერ დაგეგმავ. ყველაფერი ბუნებრივად ხდება: როცა ორი ადამიანი ოჯახის შესაქმნელად მზად არის, ამ სერიოზულ ნაბიჯს დგამს...

— როცა შენს პირად ცხოვრებაში რალაც მნიშვნელოვანი ხდება, მშობლები საქმის კურსში არიან?

— მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვმეგობრობთ. როგორც კი რამე სიახლეა, ვურეკავ, ვუყვები... მარ-



სულ ვცდილობ, „ვიდიასახლისო“

ტო ვცხოვრობ — მშობლები ქუთაისში არიან. თუკი სალამოს სადმე მივდივარ, დედ-მამას ვურეკავ და ვუბნები. პრობლემა არ გვაქვს — მიგებენ და მეც ვცდილობ, ისინი საქმის კურსში ჩაგვაყენონ.

— მარტო ცხოვრება რთულია?


— არა, უკვე მივეჩვიე: მეხუთე წელია, მეგობართან ერთად ვცხოვრობ. თავდაპირველად, რთული იყო. ზოგჯერ მოსაწყენი ხდებოდა, მაგრამ რადგან დატვირთული ვარ (მთელი დღე სამსახურში ვარ, სალამოს — უნივერსიტეტში, ლექციებზე), სახლში გვიან დაბრუნებული ვერც ვამჩნევ, მარტო რომ ვცხოვრობ — მაშინვე ვიძინებ.

— შენ და შენი მეგობარი საოჯახო საქმეებს როგორ ინაწილებთ?

— ამჟამად სულ მარტო ვცხოვრობ, რადგან დაქალი საცხოვრებლად ცალკე გადავიდა. საოჯახო საქმეები არანაირ პრობლემას არ მიქმნის, რადგან ადამიანების ისეთ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვისაც მაგალითად, კერძის მომზადება ეზარება. საკუთარ თავსაც და სახლსაც კარგად ვუვლი. მგონი, ყველანაირ კერძსაც კარგად ვამზადებ. ჩემს მეგობრებს მოსწონთ. სტუმრების მიღება და გამასპინძლება ძალიან მიყვარს. ასე რომ, სულ ვცდილობ, „ვიდიასახლისო“.

— კერძების მომზადებასთან ერთად, ალბათ ჭამაც გიყვარს. ნონასთან დაკავშირებული პრობლემა არ გექმნება?

— ვცდილობ, დიეტა დავიცვა, ვივარჯიშო, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვრო. მოკლედ, ამ საკითხს ვაკონტროლებ. ჩემს მომზადებულ კერძს მხოლოდ ვსინჯავ ან ცოტას მივირთმევ ხოლმე...



ნათია ბადირეიშვილი, ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, აქტიურ ვარჯიშს იწყებს. ძალიან გამხდარი ადამიანები არ მოსწონს. ზღვა განსაკუთრებულად უყვარს. ცურვა პირველ კლასში, დამოუკიდებლად ისწავლა: პლაჟზე მყოფმა აღმოაჩინა, რომ ირგვლივ თითქმის ყველა ცურავდა. აღფოთდა — მერატომ ვერ ვცურავო?! ზღვაში შევიდა და „გაცურა“. წყლის არ შეშინებია...

აქტიური დასვენება არ უყვარს: ზღვაზე ყოფნისას, დისკოთეკებსა და სხვა გასართობ ადგილებს იშვიათად სტუმრობს. ხუმრობს, — მე და პენსიონერები ერთნაირად ვისვენებთო. ძილი, პლაჟზე გასვლა და სიმშვიდე მოსწონს.

„ზოგჯერ მწერენ, – რა ამპარტავანი ხარო“

მოცეკვავე ანი ჯაჟანიძე ზაფხულს თბილისში ატარებს: მოსწავლეებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ინტენსიურად ავარჯიშებს. ყოველდღიური ფიზიკური შრომა დამღლელია, მაგრამ წარმატება ამაღ ღირსო, — ამბობს ანი, რომელსაც სოციალური ქსელების შესახებ ვესაუბრე...

ეთო ყორღანაშვილი

— სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი ვარ, რადგან დედა საზღვარგარეთ არის და ხშირად ვეკონტაქტები. „ოდნოკლასნიკზე“ დარეგისტრირებული არ ვარ, მაგრამ როგორც ამბობენ, ჩემს სახელზე ბევრი „პროფილია“ შექმნილი.

— ამის გამო, პრობლემები არ გექმნება?

— ჩემთვის მთავარია, რომ თვითმარქვიებმა პუბლიკას არასწორი ინფორმაცია არ მიანოდონ და ჩემი სახელით, შეურაცხყოფელი „პოსტები“ არ გამოაქვეყნონ, თორემ ისე, მათ მიმართ ანტიპათიით განწყობილი არ ვარ, — თუ სურთ, რომ „პროფილი“ ჩემს სახელზე დაარეგისტრირონ, წინააღმდეგი არ ვარ.

— არ არის გამორიცხული, შენი სახელით ვინმეს ეფლირტავენოდნენ კიდევ...

— არ ვიცი. ჩემი აზრით, ვისაც ეკონტაქტებიან, ისინი ადრე თუ გვიან მიხვდებიან, მე რომ არ ვარ.

— პირველად რომელ ქსელში დარეგისტრირდი?

საზღვარგარეთ ბევრი ახლობელი მყავს, უფრო მეტიც – საახლობლოდან საქართველოში მხოლოდ მე ვარ

— „სკაიპი“, შემდეგ — „ფეისბუკზე“, მოგვიანებით — „ტვიტერსა“ და „ინსტაგრამზე“...

— ქსელში ჩართვის მიზანი ახლობლებთან კონტაქტი იყო?

— კი, საზღვარგარეთ ბევრი ახლობელი მყავს, უფრო მეტიც — საახლობლოდან საქართველოში მხოლოდ მე ვარ (იცინის). ძირითადად, ყველას „სკაიპით“ ვეკონტაქტები. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს კონტაქტისთვის ძალზე მოსახერხებელი საშუალებაა.

— „ფეისბუკზე“ უცხო ადამიანების წერილებს თუ კითხულობ?

— რა თქმა უნდა. ძირითადად, დადებითი შინაარსის წერილებს ვიღებ. გოგონებს, ქალბატონებს სიამოვნებით ვპასუხობ.

— თაყვანისმცემელ ბიჭებს?

— (იცინის) პასუხს არ ვცემ. კომუნიკაციის ასეთი საშუალებით აწყობილი ურთიერთობები არ მიყვარს.

— „იგნორით“ გაღიზიანებულები შეურაცხყოფელ მესიჯებს ხომ არ გწერენ?

— ხანდახან ღიზიანდებიან, მაგრამ მათი წერილები დიდად შეურაცხყოფელი არ არის. ზოგჯერ მწერენ, — რა ამპარტავანი ხარ, პასუხს რატომ არ მწერო? ამაზე რეაქცია არ მაქვს.

— მონონეტების („ლაიკების“) რაოდენობა შენს განწყობილებაზე მოქმედებს?

— მთავარია, საზოგადოებას მოვწონდე, ადამიანებზე დადებითი შთაბეჭდილება მოვახდინო და არა — უარყოფითი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველას მოსაწონი ვერ ვიქნები. ეს უკვე მათი გადასაწყვეტია. ცხადია, სასიამოვნოა, როცა „პოსტი“, ფოტო თუ გვერდი ბევრ ადამიანს მოსწონს.

— სელფის გადაღება თუ გრევივა?

— კი, მაგრამ ყოველდღე არ ვიღებ და არ ვაქვეყნებ. როცა ღირსშესანიშნავი, განსხვავებული დღეა, შეიძლება, გადავიღო და სოციალურ ქსელში „დავდო“.

— აბაზანის ან ტუალეტის სარკესთან სელფი გადაგიღია?

— არა, მაგრამ ასეთი ფოტო ჩემს მეგობარს ჩემთან ერთად აქვს გადაღებული (იცინის). რესტორანში ვიყავით...

— ტუალეტის სარკესთან ფოტოს გადაღების სურვილი რატომ გაგიჩნდათ?

— მე არ გამჩენია და ასეთ ადგილებში გადაღების სურვილი არც მიჩნდება. უბრალოდ, მას უნდოდა და უარს ვერ ვეტყვოდი.

— უცნობებს იმეგობრებ?

— კი, რატომაც არა?! მინდა, ჩემი შემოქმედება რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს.

— წარმოიდგინე, რომ სოციალური ქსელები გაუქმდა...



ზოგჯერ მწერენ, — რა ამპარტავანი ხარ, პასუხს რატომ არ მწერო?

— ახლა შეჩვეული ვარ, რომ სოციალურ ქსელში შევიდე, ახალი ამბები შევიტყო, მეც რაღაც ინფორმაცია გავავრცელო... თუ სოციალური ქსელი არ იქნება, ალბათ, ამასაც შევეჩვევი და წყნარად ვიქნები. „ფეისბუკზე“ და საერთოდ, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული არ ვარ.

— ქსელში ძირითადად რა სახის ინფორმაციით ინტერესდები?

— ჩემთვის საინტერესო ადამიანების მიერ გაზიარებული ინფორმაციით ვინტერესდები. ყველაფერს „ახლო მეგობრების“ სიაში ვნახულობ, ძირითადად — სახალისო ბმულებსა თუ ვიდეოებს.

— ქსელში ვინმესთან კონფლიქტი მოგსვლია?

— არა. კომენტარსაც ძალიან იშვიათად ვწერ და ალბათ — ამიტომ.

— ბლოგის გაკეთების სურვილი გაგჩენია?

— კი, მაგრამ ეტყობა, ძლიერი სურვილი არ იყო, რადგან არ განმიხორციელებია. თუკი არაჩვეულებრივი იდეები შემანახულებს, შესაძლოა, მომავალში გავაკეთო (იღიმის).

— როცა ბლოგის გაკეთების სურ-

ვილი გაგინდა, მაშინ რა იდეები განუხებდა?

— მოდასთან, ცეკვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას დავწერდი. მაყურებელმა არ იცის, მაკიაჟს, თმას როგორ ვიკეთებთ, ტანზე რას ვისვამთ, კოსტიუმში როგორ იკერება, ფეხსაცმელი საიდან „ჩამოდის“... პლუს, ვარჯიში რამდენად მტკივნეული და დამღლელია... ვნახოთ, შეიძლება, ეს თემები განვავრცო და საინტერესო გამოვიდეს.

„სტატუსის“ დაწერის სურვილი რამ შეიძლება გაგინდოს?

— შეიძლება, რაღაც მოვლენით აღფრთოვანებული ვიყო და 2 სიტყვით დავწერო — „რა კარგია ცხოვრება“ ან რაღაც მსგავსი (იკინის). ხანდახან სამადლობელ ტექსტს ვწერ — ვინმეს ან რომელიმე კომპანიის მიმართ. საერთოდ, „სტატუსს“ იშვიათად ვაქვეყნებ.

ინფორმაციას თუ ფილტრავ?

— კი, ამ ხერხს მივმართავ, როცა მინდა, რომ ჩემ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, მაგალითად, მხოლოდ ახლობლებმა ნახონ. აგრეთვე, „მონიშვნებს“ ფილტრავ: ვინმე ფოტოზე რომ „დამთავას“, ჯერ ვნახულობ; თუ არ მომეწონა, ჩემს გვერდზე გამოჩენის უფლებას არ ვაძლევ. ჩემი აზრით,

ავტორს არ უნდა ეწყინოს, თუკი ფოტო ჩემს გვერდზე არ გამოვაჩინე. ხომ არ ვეუბნები, — სურათი საერთოდ აილე, რადგან მასზე საკუთარი თავი არ მომწონს-მეთქი?

— სწინით?

— ზოგს — კი.

— ამას წინათ წუხდი, — „ფეისბუქზე“ „პროფილი“ გამიტყვისო...

— ჰო. დღემდე არ ვიცი, ეს ვინ და როგორ ჩაიდინა. პაროლი სასწრაფოდ შევცვალე და ყველაფერი წესრიგში ჩადგა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონიდან უამრავი ფოტო იყო გაზიარებული... მოკლედ, ჩემს გვერდზე დიდი არეულობა იყო.

— სხვისი კომპიუტერიდან ან ტელეფონიდან „ფეისბუქით“ სარგებლობ ხოლმე?

— კი, რამდენჯერმე მისარგებლია. შესაძლოა, მომხდარი გაუგებრობა ამის ბრალიც არის.

— ინტერნეტში გამოქვეყნებული შენი ინტერვიუების კომენტარებს კითხულობ?

— ვერ ვიტყვი, სპეციალურად კომენტარების წასაკითხად შევდივარ-მეთქი, მაგრამ როცა ინტერვიუს ვნახულობ, კომენტარებსაც გადავავლებ ხოლმე თვალს.

— რომელიმე „კომენტატორისთვის“ გიპასუხია?

— არასოდეს. ისე, შესაძლოა, ჩემ მიმართ გამოთქმულ დადებით შეფასებას უფრო ვუპასუხო და მაღლიერება გამოვხატო, რადგან ჩემი აზრი და შეხედულება მოსწონთ; თუკი რაღაც ალიზიანებთ და არ მოსწონთ, არაფერს დავუწერ — ეს მათი აზრია.



შეიძლება, რაღაც მოვლენით აღფრთოვანებული ვიყო და 2 სიტყვით დავწერო — „რა კარგია ცხოვრება“

თქვი საზაფხულო

50% -მდე ფასდაკლება

ბიბლუსი Books

ქსელი ლაივში

ქსელშიდან გადისხარ? გაიყოლე ჩივილები!
ჩაიწიოსო, გაურთო, აუცილებლად იქნები!



ცხოვრება

ბინეკოლოგი, დიზაინერი, მეურნე...

„თუ რაიმე უკუღმართი მოგივიდა თავში, უნდა გაიხადო ხალათი და წახვიდე“

თუ ჩემი რესპონდენტის ფოტოს უკვე დახედეთ, არ გეგონოთ, რომელიმე უცხოელ კინოვარს კვლავთან ინტერვიუს გადავანახებთ. ეს მამაკაცი ქართველია; ამას წინათ „ფეისბუქზე“ ჩემს მეგობრებში სრულიად შემთხვევით გადავანახე და ჯერ ესპანელი მეგონა, მაგრამ მერე დავადგინე — ეს ფოტო ქართველს ეკუთვნოდა. აღმოჩნდა, რომ თურქეთში მცხოვრები, საკმაოდ წარმატებული ექიმი. საქართველოში გინეკოლოგად მუშაობდა, იყო კერძო კლინიკის დამფუძნებელი, დიზაინერობაც სცადა და სოფლის მეურნეობაშიც მოსინჯა ძალები... მაშ, ასე, გაიცანით — არჩილ გობოლაშვილი, 41 წლის, წარმოშობით — ფშავიდან, პროფესიით მეან-გინეკოლოგი და პერინატოლოგი (პერინატოლოგია — ნაყოფის მედიცინა). ბატონ არჩილთან ინტერვიუ 26 ივნისს, „სკაიპით“ ჩავწერე.

მარი ჰაფარიძე

— 61-ე სკოლა დავამთავრე, დოლიძეზე, შემდეგ — სამედიცინო უნივერსიტეტი. ორდინატურა მეორე სამშობიარო სახლში გავიარე და იქვე დავრჩი. მუშაობა რომ დავიწყე, 5 წელი თბილისიდან არ გავსულვარ, არ დამისვენია, 12 მორიგეობა მქონდა თვეში. ძალიან ბევრს ვმუშაობდი. დღისით დიაგნოსტიკური კაბინეტის ხელმძღვანელი ვიყავი, ღამით ვმორიგეობდი. კლინიკური ორდინატურა კამოზე, მეორე სამშობიაროში გავიარე, ფანტასტიკურ ხალხთან — მამულო იაშვილთან, ნოდარ გომელაურთან, გივი ცანავასთან. მათი გაზრდილი ვარ. ვაკის ლეჩოპოზინატში რომ სამშობიარო სახლი „ჰერა“ იყო, გემახსოვრებათ. მისი დამფუძნებელი ვარ. ცოტა ხანს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე ვიყავი სამკურნალო დარგში ანუ — მთავარი ექიმი. იქ რალაც მოხდა, სამი ექიმი დაიჭირეს და მაგ ამბის მერე მივედი. ცოტა ხანს სიტუაციის დალაგებას მოვუხედი, მერე წამოვედი. ახლა ძირითადად აქეთ ვარ, სტამბოლში. ბოლო ორ წელიწადში შვიდჯერ ვიყავი ორთვიან ჰოსპიტალიზაციაზე, გერმანიაში, კლინიკის მინვევით.

— თურქეთში როგორ მოხვდით?

— პირველად 2000 წელს, ბადრი პატარკაციშვილმა გამომიშვა საქმეზე და ძალიან მომეწონა. მაშინვე შემეყვარდა სტამბოლი. მერე, 10 წლის წინ ოჯახი დამეგრა. ჩემი ყოფილი მეუღლეც გინეკოლოგია, ჩემთან დავტოვე, ჩემს კლინიკაში და მე აქეთ წამოვედი. სიმართლე ესაა.

— ბადრის საიდან იცნობდით?

— ბადრი გამაცნო ინა რუხაძემ — „ვით გეორგიას“ მეპატრონემ. ის ჩემი

შვილის ნათლია და ჩემი მეგობარია.

— ბადრისთან მეგობრობდით?

— არ ვმეგობრობდით, მაგრამ ძალიან ახლოს ვიყავით. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან. გაგიკვირდებათ და, მე გაუუკეთე აუზებისა და 5-ტონიანი, უზარმაზარი აკვარიუმების დიზაინი.

— ეს საქმე გეხერხება?

— აუზების დიზაინი ჩემი ჰობი იყო თავიდან. მერე ეს საქმე საფუძვლიანად შევისწავლე. ეს ბადრის ჰობიც იყო და ამან შეგვავსებდრა ალბათ ერთმანეთს.

— პროფესიით ექიმი, აუზების დიზაინით რატომ დაინტერესდით?

— იცით, როცა სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე, მაშინ ექიმობა ძალიან დაბალანაზღაურებადი პროფესია იყო. ანუ თუ ოჯახში ექიმი გყავს, სადღაც 30 წლამდე უნდა არჩინო. მე ოჯახი მყავდა და სხვადასხვა საქმიანობას ვეწეოდი, რომ ჩემი ექიმობაც შემენახა და ოჯახიც. მე და ჩემი მეუღლე ცალკე ვცხოვრობდით, 22 წლიდან.

— კიდევ რის დიზაინს აკეთებდით?

— სხვა არაფრის. მხოლოდ იმის, რაც წყალთან იყო დაკავშირებული. თავიდან ეს ჩემი ჰობი იყო, მაგრამ როდესაც ერთი მინა 950 კგ-ს იწონის და ამით აუზს ან აკვარიუმს ასენებ, ეს უკვე ჰობი აღარაა. კიდევ რას აკეთებდით, მკითხეთ. ერთხელ, 1996 წელს, 33 ჰექტარი მინა დავამუშავე შირაქში და მახსოვს, სარეკორდო მოსავალი ავიღე.


— რა დათესეთ?

— ხორბალი. 52-53 ცენტნერი მივიღე.

— იოლი არაა ალბათ ემიგრაციაში ყოფნა. ხშირად ჩამოდიხართ?

— ადრე უფრო ხშირად ჩამოვდიოდი, ახლა ვეღარ ვახერხებ.

— თურქეთში რომელ კლინიკაში მუშაობთ?



წლებია, აქ ვართ ექიმები და ბუნებრივია, ნაცნობობის დიდი წრე გვყავს

— „ალმანჰასთანესი“ გერმანული, მულტიპროფილური კლინიკაა. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილებაში ვარ. გინეკოლოგის ლიცენზიას ახლა ვაკეთებ ანკარაში და ალბათ დავუბრუნებდი გინეკოლოგიას. თუმცა, ისე მოხდა, რომ საქართველოდან ძალიან ბევრი მირეკავდა და მთხოვდა, ამა თუ იმ კლინიკაში ამა თუ იმ დავადების მკურნალობის ფასი და პირობები გამეგო. რალაცნაირად, ბუმიან სტამბოლში მკურნალობაზე. ამიტომ, ასე ვთქვათ, გავაოფიციალურე ეს თემა და მეგობარ ქართველ ქირურგთან ერთად სამედიცინო ტურიზმითაც ვარ დაკავებული. ჩემი ფირმა, ტურკგეომედ ბევრ ქართველ პაციენტს ემსახურება, სტამბოლის საუკეთესო კლინიკებში. წლებია, აქ ვართ ექიმები და ბუნებრივია, ნაცნობობის დიდი წრე გვყავს სექტემბრიდან ტრენინგებსაც ვინწყებთ.

— მოგწონთ თურქეთი? შეეგუეთ?

— მიმართა, რომ აქ არის სამი ქვეყანა — სტამბოლი თავისი 20 მილიონი ადამიანით, სანაპირო ზოლი და დანარჩენი თურქეთი. ძალიან განსხვავდება ეს ხალხი ერთმანეთისგან. თან მეგაპოლისის ასეთი თვისება აქვს — ყველა ნახულობს თავის მოსაწონს, იმდენად დიდი არჩევანია. ძალიან მიყვარს სტამბოლი, თავისი მიქსით.

თურქული იოლად ისწავლეთ?

— აქ არის უცხოელებისთვის უნივერსიტეტი, სადაც ვსწავლობდი თურქულს და ამერიკელები, ფრანგები, იაპონელები იყვნენ ჩემს ჯგუფში. ყოველდღე მქონდა თურქულის 6 საათი. კარგად ვისწავლე, თან მალევე დავენივე მუშაობაც, თავიდან — გინეკოლოგად, დედეოღლუს კერძო პოლიკლინიკაში. მერე გავიცანი ძალიან ცნობილი კარდიოქირურგი და კარგი ადამიანი, ისმაილ უკსელტანი და მან წამიყვანა თავისთან ალმანში.

— ანუ საქართველოდან ალაღბედზე წახვედით? აქედან რომ მიდიოდით, არ იცოდით, როგორ იცხოვრებდით მანდ?

— არა, საიდან? არც მიწვევა მქონდა და არც წინასწარ რაიმე სამსახური შეგულებული. ორჯერ ვიყავი ნამყოფი მანქანით სტამბოლში და მომეწონა.

როცა დადგა საკითხი საქართველოდან ჩემს წასვლაზე, ავდექი და აქ წამოვედი. გავლენა იმანაც იქონია, რომ ახლოსაა ჩვენთან და ხშირად ჩამოვიდოდი ბავშვებთან და დედასთან. მყავს 2 შვილი. გოგონა 18 წლისაა და წელს სტუდენტი გახდა, ბიჭი — 10 წლისაა, ფეხბურთის ფანია. მათთან ურთიერთობის განწყვეტა არ მინდოდა.

— სანამ ექიმად დაიწყებდით მუშაობს, თავს როგორ ირჩენდით?

— ძალიან მალე დავენივე მუშაობა. აქ ჩემი ბიძაშვილი დამხვდა, რომელიც თურქეთის მოქალაქე იყო და ერთად მოვძებნეთ ჩემთვის სამსახური. პოლიკლინიკის პატრონი, სადაც ვმუშაობდი, იყო ლაზი, ტრაპიზონიდან. აჩი და შოთა არველაძეებზე იყო შეყვარებული და ამიყვანა.

— წელს თქვით, საქართველოდან ჩემი წასვლის საკითხი დადგა... როგორც მივხვდი, ოჯახის დანგრევის გამო მოხდა ეს...

— დიახ, ასე იყო. ეს ჩემთვის ერთგვარი სტრესი იყო. გადავწყვიტე, ახალი ცხოვრება დამენყო და წამოვედი.

— მიგაჩნიათ, რომ ახლა უფრო წარმატებული ხართ, ვიდრე საქართველოში იყავით?

— რაც მანდ მაქვს გაკეთებული და

ნამუშევარი, მაგის ნახევარი რომ აქ გამეკეთებინა, ბევრად წინ ვიქნებოდი. ჯერ გვიანი არაა, კიდევ ბევრია წინ...

— ახალგაზრდობა არც ისე ხალისიანი გექნებოდათ... სამოქალაქო ომიც გამოიარეთ ალბათ...

— რა თქმა უნდა, გამოვიარე. ძველი ჩინური წყევლა ყოფილა — გეცხო-



გავიცანი ძალიან ცნობილი კარდიოქირურგი და კარგი ადამიანი, ისმაილ უკსელტანი და მან წამიყვანა თავისთან ალმანში

საოცარი შესაძლებლობა გაითვისე, ვინაც უყვარს და აინტერესებს სხოველები!

ANIMAL PLANET-ის სხოველთა ილუსტრირებული ენციკლოპედია

სხოველთა შიგნაწილები, ველური სამყარო, ზოოლოგიური ამბები

კვირაში ერთხელ ყოველ ოთხშაბათს დიდი წიგნის თითო ნაწილი! წიგნი-ენციკლოპედიის აკინძვას შეძლებთ სპეციალურად შექმნილ ბაინდერში, რომელიც პირველ ნაწილს მოჰყვება საჩუქრად.

შეაგროვეთ დიდი ზოოატლასის ყველა ნაწილი (რომელიც პრესის გამავრცელებლთან იყიდება) და ექვს თვეში თქვენ გექნებათ სრულფასოვანი, 36მ-გვერდიანი წიგნი ცხოველებზე, რომლებსაც, თუ სურვილი გექნებათ, სხვა, თქვენთვის საინტერესო ილუსტრაციებსა და ინფორმაციასაც დაუმატებთ. სპეციალური ყდა ამის საშუალებასაც მოგცემთ.



თითოეული ნაწილი (16 გვერდი) 2 ლარი ეღირება.

20-დან 27 აბზისდომადი ნაწილი მისხრა

შექვანი დიდი წიგნი საკუთარი ხელით!

ვროს დიდი ცვლილებების დროსო!.. გამოვიარე რომელია?! ნახევარი სამე-გობრო შეინირა იმ პერიოდმა.

— **თურქეთში ცხოვრებისას რას ვერ ვგუებთ?**

— მანდ უფრო ბევრ რამეს ვერ ვე-გუებ და გეტყვით, რატომ. ყველაფერი უფრო მტკიავ და უფრო მწყინს. აქ თუ რამეს ვერ ვეგუებ, გავივლი და ეგაა, — ჩემი არ არის... სხვა ქვეყანაა. ისე, ძალიან თბილი ხალხია, მიყვარს აქაუ-რობა. ძალიან ბევრი ქართველი და ქარ-თული ოჯახია აქ, მაგრამ ერთ უბანში არიან თავმოყრილი და ფაქტობრივად,

და გადანერგვისკენ მივიღვართ.

— **რამდენი წელია, რაც თურქეთში ხართ?**

— 9 წელია.

— **საქართველოში ექიმს ერთი ოპე-რაციიდან, პაციენტის მიერ გადახდი-ლი თანხის ძალიან მცირე პროცენტი ხვდება. მანდ როგორია შრომის ანა-ზღაურება?**

— საქართველოში სამარცხვინოა ექიმის შრომის ანაზღაურება. აქ გა-ცილებით უკეთესია, გერმანიასაც კი სჯობია. ანუ კარგად ვარ, მაგრამ ჩემი კვალიფიკაციის თურქი ექიმი

გი მამაკაცები ქალებს ისევე აღიქვამთ, როგორც დანარჩენი მამაკაცები თუ — სხვანაირად?

— ამაზე გეტყვით გულწრფელად: როცა ხალათი გაცვია, პაციენტის მეტი ვერაფერი უნდა დაინახო. ღმერთმა დაგიფაროს და, თუ რამე უკუღმართი მოგივიდა თავში, უნდა გაიხადო ხალა-თი და ნახვიდე. გარეთ — იცოცხლე, იყავი, როგორც გინდა. გარეთ ქალებს ჩვეულებრივზე ცოტა უკეთესადაც აღვიქვამთ. აბა, დაფიქრდით, რადგან სპეციალისტი ხარ, ქალის შესახებ სხვა მამაკაცებზე 1000-ჯერ მეტი იცი და, რა თქმა უნდა, უკეთესად აღიქვამ.

— **თურქი ქალები მოგწონთ? პირად ცხოვრებაზეც მითხარით რამე.**

— ძალიან ბევრჯერ იყო თურქი ქალი „მის მსოფლიო“. აქ ხომ ნარე-ვი სისხლია?! ამხელა იმპერია იყო, წარმოდგინეთ: ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთ ევროპა, ყირიმი... აქეთ, ჩვენკენ „სტანი“ რომელი ქვეყნის სახელიც მთავრდება, ესე იგი, იქ ოს-მალეთი იყო ანუ გურჯისტანი — სა-ქართველო; მაჯარისტანი — უნგრეთი; აბაზისტანი — აფხაზეთი; ბულგარის-ტანი — ბულგარეთი...

— **თურქეთის ისტორიას იმიტომ მიყვებით, რომ ქალების თემას თავი**

საქართველოში სამარცხვინოა ექიმის შრომის ანაზღაურება. ამ გაცნობებით უკეთესია, გერმანიასაც კი სჯობია

სტამბოლიც კი არ იციან. საკვირველია, რომ წლებია, აქ ცხოვრობენ და იმ უბანს არ გაშორებულან. შესაბამისად, არც სტამბოლებს იცნობენ და ამი-ტომ ძირითადად, მცდარი წარმოდგენა აქეთ სტამბოლზეც და თურქეთზეც. ახლა თურქული სერიალებით კიდევ ცოტა მოახერხეს, გაიცნოთ აქაურობა. წარმოდგინეთ, სერიალით გაცნობაზე რომ მიდგება საქმე, რამხელა საინფორ-მაციო ვაკუუმი.

— **იქ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობა?**

— რამდენიმე ადამიანთან. ერთ-ერთი, ჩვენი კონსული იყო, გელა ჯაფარი-ძე, ძალიან მაგარი კაცი.

— **თქვენ სად ცხოვრობთ?**

— ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, Taxim-ის მოედანთან. ეს ცენტრია. როგორც ჩვენთან რუსთაველი, ასეთი ქუჩაა აქ, ისთიკლალ ჯადდეს და მის პარალელურ ქუჩაზე ვცხოვრობ. კლი-ნიკაც აქვეა.

— **ქართველებზე რას ამბობენ თურქები?**

— ჩემ გარშემო ყველა თურქი ასე ამბობს — „ჩემი ქართველები“.

— **ქართველი პაციენტები გყავთ ალბათ.**

— ძალიან ბევრი. ახლა სახლში ჩემთან 2 წლის ბიჭუნა ცხოვრობს, დედასთან ერთად. სამკურნალოდაა ჩამოსული. საქართველოდან დაუ-დგენელი დიაგნოზით წამოვიდა, აქ თანდაყოლილი ადრეკორტიკული უკმარისობა დადგინდა. ისე მოხდა, რომ 2 დღით გადაიდო მისი კლინიკა-ში დაწვევა და ჩემთან სტუმრობენ. დღეს, ჰოპკინსის კლინიკაში ქართველ პაციენტს გავუკეთეთ მანიპულაცია ღვიძლზე, რომელიც თბილისში არ კეთდება. ღვიძლის ციროზი და კიბოა

რამდენჯერმე ჩემზე მეტ ხელფასს იღებს. ამიტომ ახლა საბუთები მომყავს წესრიგში.

— **იღლებით დღის განმავლობაში?**

— იცი, როგორ ვიღლები? აი, ყუ-რებში რომ აღარ გესმის, ხომ წარმო-გიდგენია? აი, ასე ვიღლები.

— **როგორ ერთობით?**

— ჩემს პარალელურ ქუჩაზე ჩა-მოდის მილიონობით ადამიანი მთელი



ალარაფერი გინდა — აღარც თეთრი ხალათი, აღარც ექიმობა, მაგრამ სიკვდილზე რომ გაიმარჯვებ და ყველაფერი გაგივლის, აღარ გახსოვს...

მსოფლიოდან. ფაქტობრივად, გართო-ბის ეპიცენტრში ვცხოვრობ.

— **ყველაზე რთული ოპერაცია და ძნელი გამარჯვება...**

— ასეთი სიტუაციები თბილისში იყო. რომ აღარაფერი გინდა — აღარც თეთრი ხალათი, აღარც ექიმობა, მა-გრამ სიკვდილზე რომ გაიმარჯვებ და ყველაფერი გაგივლის, აღარ გახსოვს... ძალიან მაგარი შეგრძნებაა.

— **სულ მაინტერესებს... გინეკოლო-**

არრიდით?

— (იციან) პირადში არაფერი ხდება და ალბათ არცაა საინტერესო ჩემი პირადი ცხოვრება. ასე რომ, ამ თემაზე ლაპარაკი იმ დროისთვის გადავდოთ, როცა რამე შეიცვლება.

— **ხელახლა არ დაოჯახდით?**

— არა.

— **წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და კარიერაში.**

— გმადლობ.

რით ამხნევეს 71 წლის ქალბატონი თავის პირველ სიყვარულს

„ის ახლა ძალიან ცუდად არის“



თქვენი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალების გამო ბევრი მიტირია, ბევრიც მიცინია

„გამარჯობა. მე თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. მინდა, წერილი გადმოგცეთ“, — მითხრა ქალბატონმა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ გადაადგილება უჭირს. თქვენი წერილი რას ეხება-მეთქი? — ვკითხე. — ახლა ვერ გეტყვით, ეს პირადი საკითხია და ამაზე ხმამაღლა, ტელეფონით ვერ ვილაპარაკებ. თქვენი ჭირიმე, მითხარით, სად მოგიტანოთ და მიუხედავად სიბერისა, თქვენამდე როგორმე მოვალწევო, — ხმაში მუდარა გაურია. გული ვერ დავწყვიტე და მიუხედავად იმისა, არ ვიცოდი, რას გადმომცემდა, შინ ვესტუმრე.

ლიკა ქაჩია

ქალბატონმა ლიამ სამი რვეული დამახვედრა, ნაწერით სავსე. ლექსები, ჩანაწერები, მოგონებები... მისი წარსული ჩემ თვალწინ გაცოცხლდა...

— იცით, თქვენი ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალების გამო ბევრი მიტირია, ბევრიც მიცინია და ზოგჯერ მთელი კვირა ფიქრსაც არ მოვუსვენებია. მიფიქრია იმაზე, რომ ზოგიერთი ადამიანი ძალზე ზერელედ უყურებს სხვების სიხარულსა თუ გასაჭირს. დაუფიქრებლად გამოთქვამს საკუთარ აზრებს, მაგრამ მადლობა ღმერთს, რესპონდენტების უმრავლესობა საღად აზროვნებს და როცა საჭიროა, სწორ რჩევა-დარიგებას აძლევენ ადამიანს. მადლობა მათ ამისთვის!

— კონკრეტულად, თქვენ რისი გამოქვეყნება გნებავთ?

— მინდა, ჩემი პირველი სიყვარულის შესახებ გიამბოთ. ის ახლა თურმე, ძალიან ცუდად არის და იქნებ ამ ჩემმა სიტყვებმა გაამხნევოს... მთელი ცხო-

ვრება ვუყვარდი, მაგრამ არ გამოვიდა ყველაფერი ისე, როგორც ბავშვობაში გვინდოდა, გამოსულიყო. წლების განმავლობაში არ ველაპარაკებოდი ერთმანეთს და ახლა ამ წერილით მაინც გაიგებს, რომ ის არასდროს მძულდა...

ქალბატონი ლიას ჩანაწერის სტილი დაცულია:

„მე უკვე მოხუცი და ცხოვრების დიდი ხნის მგზავრი ვარ. ბევრი სიხარულიც განმიცდია და გასაჭირსაც ეკლებივით დავუჩხვლეტივარ. ჰოდა, გეტყვით: ადამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს და გაუფრთხილდით პირველ სიყვარულსაც! მერწმუნეთ, პირველი გრძნობა სამარადისოდ იბუდებს გულში და ყოველთვის შეგახსენებს თავს; განსაკუთრებით, სიბერეში, ფიქრი რომ გარს შემოგეჯარება და განვლილი ცხოვრების ყოველ დღესა და ყოველ წუთს ფხიზელი თვალით გადაგაფურცვლინებს, თვალებს ცრემლებით ავიკვებს და ცხოვრების თავიდან დაწყებას განატრებინებს.

მე მინდა, ჩემი ცხოვრების პატარა

ეპიზოდზე გიამბოთ. მით უფრო, იმან გადამანყვეტინა ამ სტრიქონების დაწერა, რომ ჩვენი ცხოვრება დასასრულს უახლოვდება. გავიგე, ავადმყოფობა და მინდა, ეს მოგონება შენამდე მოვიდეს. მე მხოლოდ შენთვის დავწერ ამ სტრიქონებს და თუ მიცნობ, თუ შენი გული იცნობს ამ მოგონებებს, ჩათვალე, რომ ეს სიბერის აღსარებაა! ეს სიმღერაა მომაკვდავი გედის, რომელიც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მღერის...

25 წელი გასულა მას მერე, რაც ბოლოს შეგხვდი და ეს ჩანაწერი გავაკეთე: „მზიანი დღე გათენდა. მართალია, გვიანი შემოდგომაა, მაგრამ დილა სასიამოვნოდ თბილია. ეს დილა გიორგობის, ნოემბრის დილაა. სოფლის თავში მდგარი პანანინა ეკლესიისკენ გავემართეთ. ეს ეკლესია ჩემი ბავშვობის დროინდელი სასიამოვნო მოგონება და უსაყვარლესი ადგილია. გზად ჩემს ძველ ნასახლარს ჩავუარეთ; ჩემი ლამაზი და უზრუნველი ბავშვობის ადგილს.

იქ, ჩვენს ნასახლარზე ვილაცხას სახლი დაუდგამს... როგორ დამწყდა გული, ნეტავ იცოდეთ... თითქოს ვილაცხამ წამართვა ბავშვობა. ნეტავ იმას, ვისაც ბავშვობის კერა ხელუხლებელი დარჩენია. როგორ ძლიერ მყვარებია აქაურობა... 46 წლისა მივხვდი, რომ ამ კუთხის გარეშე გულში რაღაც უკიდევანო სიცარიელე მქონია.

ზემოდან გადავხედე ქვემოთ, დაბლობში ჩასახლებულ ჩემს სოფელს და გული დამწყდა: განა შეიძლებოდა, ამ ლამაზი ადგილებიდან ქვევით, იმ დაბლობში დაედოთ ბინა? ეტყობა, სოფელი ისევ ზევით ინაცვლებს. აქაიქ მოჩანს ახალდაწყებული ბინების მშენებლობა. მჯერა, კვლავ აშენდება ამ ადგილას სოფელი, კვლავ გაიზრდებიან პატარა მაცვალა, ჯემალი, დალი, ლიკა, ლევანი...

ჰო, კვლავ გაიზრდებიან პატარები, აჟრიამულდება ეს მიტოვებული კუთხე, კვლავ იმღერებენ, იცეკვებენ, შეიყვარებენ ერთმანეთს გულწრფელად და წმინდად. ღმერთო, ხელი შეუწყვე მათ სიყვარულსა და სიხარულს!

აი, გამოჩნდა ის ორი უზარმაზარი ხე, რომლებიც წმინდა გიორგის პატარა ეკლესიას მცველებად დასდგომიან. იქ უამრავ ხალხს მოუყრია თავი. მათ შორის თვალებით ვეძებდი ჩვენს ახლობლებს, რომლებიც ადრე წამოვიდნენ ტაძარში და აი, ბედის ირონია, — სულ ცალკე,

პატარა ბორცვზე დგას ჯინსისქურთუ-
კიანი, მელოტი, შავი, ერთი შეხედვით
უბრალო მამაკაცი, რომელსაც ახლა
არავითარ ყურადღებას არ მივაქცე-
ვდი, რომ არა... მაგრამ ამ კაცში ხომ
ჩემი ლამაზი ბავშვობა ჩაბუდეული?!
ჰო, ეს ლევანია, ჩემი ბავშვობის მზიანი
დღეების მზეჭაბუკი. ასე განმარტოებით
რატომ დგას ანდა რა გულმოდგინედ
ათვალიერებს მანქანებს, ვის ან რას
ელის? ნუთუ, მე? არა მგონია! არა მგო-
ნია, სცოდნოდა, რომ აქ მოვიდოდი... ისე,
საგანგებოდ კი შეურჩევია ადგილი, ყვე-
ლა აქ მოსულს აუცილებლად შეამჩნევს.

რავდი. მზეთუნახავმა თუ არა, „არა
უშავს“ ქალმა ჩაგვიარე გვერდით, შენ-
მა ბავშვობამ ჩაგვიარე და მალულად,
თვალის შეგავლე. შენი შავი სახე ჯერ
გაფითრდა, მერე რაღაც საოცარი სი-
ნითლით განათდა. გამეცინა. შენც გაი-
გონე, რომ ხმამაღლა, უმისამართოდ
გამეცინა. ვის დავცინე? ჩვენს გზაბ-
ნულ ბედს, რომელმაც ერთმანეთს იმ
დროს შეგვავხვედრა, როცა ყველაფერი
წმინდა და სათუთი იყო. ამ გრძობამ
ჩვენს გულზე მკვეთრი ნაკვალევი
დატოვა და ბოლოს, გაგვყარა. ალბათ
ასე უნდა ყოფილიყო...

ამ დროს ეკლესიიდან მეორე ქალიც
გამოვიდა. გოგამ ხელი ჩაჰკიდა, წინ
დამიყენა და უთხრა: მოდი, შენი მული
უნდა გაგაცნოო.
— ჰო, ბიჭო, ნელან საყდარში გავიგე,
რომ ლია ყოფილა, — თქვა ქალმა და გა-
დამეხვია, გადამკოცნა: — ტყუილად არ
გამიგია შენი ქება, გო, მართლა კარგი
ქალი ყოფილხარო.
გამეცინა. აბა, რა უნდა მეთქვა?
დღევანდელი დღე არასდროს დამავი-
წყდება, ნარუშულელ დღედ დარჩება...
ისე, რა საბრალონი ვართ, არა? ლა-
პარაკის უფლება ვიღამ წაგვართვა?..“

როგორ დაბერებულა ჩემი მზეჭაბუკი, რა არასასიამოვნო ბარემნობის კაცი დამდგარა მისგან. რა იყო ამ ბიჭში ასეთი, რომ შემიყვარდა? არა, გული მაინც შემეკუმშა, რაღაც ნაცნობმა ქრქოლამ დამიარა


როგორ დაბერებულა ჩემი მზეჭა-
ბუკი, რა არასასიამოვნო გარეგნობის
კაცი დამდგარა მისგან. რა იყო ამ ბიჭში
ასეთი, რომ შემიყვარდა? არა, გული
მაინც შემეკუმშა, რაღაც ნაცნობმა
ქრქოლამ დამიარა. არ ვიცი, შემამჩ-
ნია თუ არა... ერთ ნუთმი რამდენი რამ
გავიფიქრე. მერე გიოს, ჩემს მეუღლეს
გავხედე. ის თავისი ჩვეული სიდინჯით
მართავდა საჭეს. რა კონტრასტია მათ
შორის. გიო ქერა, ცისფერთვალეა და
თმაქოჩორა, ლევანი კი შავი, ჯმუხი და
თავმოტვლეპილი. როგორ ფიქრობთ,
რომელს ავირჩევდი, ახლა მათ შორის
არჩევანის წინაშე რომ დავეყენებინე
ვინმეს? არც ერთს!..

— გოგო, შე სასიკვდილევ, აღარ
ბერდები? — მომფერა ნუნუ და ყურში
ჩამჩურჩულა: — რა თვალები დააჭყე-
ტვინე ლევანს?
— მართლა? მე რომ ვერ დავინახე?
— გავეპასუხე.
სალამომდე კარგი დრო ატარეს
ჩემმა ახლობლებმა. საღამოს ქალები
კვლავ ეკლესიისკენ წავედით, სანთლე-
ბის დასანთებად. ეკლესიაში ორი ქალი
დაგვხვდა. ვერც ერთი ვერ შევიცანი.
დავანთე სანთელი, ღმერთს შევავე-
დრე ჩემი უკეთილშობილესი მეუღლე,
ჩემი შვილები და გარეთ გამოვედი. ხის
ქვეშ შეჩერდი და სიყვარულით მო-
ვუთათუნე ხელი ამ ორ ბუმბერაზ ხეს.
ძმისშვილი მომიახლოვდა და მითხრა:
მამი, აი, ის ქალი ლევანის მეუღლეაო
და ვილცაზე მანიშნა. გავიფიქრე, — ეს
რა დაგმართვია, ჩემო მზეჭაბუკო, ასეთ
ქალს ეძებდი?.. მივხვდი, რატომაც
გამხდარხარ ასეთი, ყველას მსგავსი.
ჰო, ასეთი ქალის ქმარი სხვანაირი ვერც
იქნებოდი...

ამ ჩანაწერიდან 25 წელი გავიდა.
გულის რომელიღაც კუნჭულში კვლავ
ანთიხარ. გავიგე, ავადმყოფობ. ღმერთს
შევთხოვე შენს ჯანმრთელობას. არაფერი
გაბედო, იცოდე, ცხოვრების დარჩენილ
დღეებს ნუ გამოიფერებ. ჩემი გულ-
იდან ამოსულ სტრიქონებს გიძღვრე და
იცოდე, შენებურად არ გაამაყდე:
**„იყო დრო, როცა სიყვარულით
გალაღებულნი,
ამ ქვეყანაზე მხოლოდ შენთვის
ვახელდი თვალს,
შენი სახება, შენი ღიმილი მე
თვალწინ მდგა,
და სიზმრისთვისაც მხოლოდ შენ-
თვის ვხუჭავდი თვალს.
რა ვარდისფერი და რა ლამაზი იყო**

დავლილვარ, უზომოდ დავდლილ-
ვარ. დავუღლივარ გიოს სითბოს, მის
კეთილშობილურ თვისებებს; დავუღ-
ლივარ ლევანზე ფიქრსა და ოცნებებს.
რატომ მოხდა ასე? ალბათ ჩვენი აჩქა-
რებით, დაუფიქრებლობით!..
დავბინავდით. მერე ეკლესიისკენ
გავეშურეთ. არ გინდა, ახლა იმ ბორცვს
გაუარო წინ, რომელზეც ჩემი ბავშვო-
ბის დროინდელი რაინდი, ახლა კი ვი-
ლაცის შავი კაცი დგას? რატომაც არა?!
რა მაქვს მოსარიდებელი? გაგივლი
წინ, ჩემო ბავშვობავ, დაქალაქი და
ცხოვრებაში ჩახედული ქალი. გაგივლი
წინ და გაგცილდები სხვა გზით, ისე,
როგორც ამ ცხოვრებაში დავმორდით
ერთმანეთს. შემომხედე და ახლა შენც
შემოიჯარე ორგვლივ ფიქრის უსასრუ-
ლო ბურუსი. ხომ ვიცი, ეს შეხვედრა მე
და შენ დიდხანს გაგვყვება.

უცებ, თვალზე ვილცამ ხელები
ამაფარა. ჩემი კლასელი გოგია იყო.
გულში ჩამიკრა და მითხრა: ასეთი
კარგი, ასეთი ახალგაზრდა უფალმა ას
წელს მაჩვენოს შენი თავიო... ეკლესიის
უკნიდან დინჯი ნაბიჯებით გამოხვედი,
ჩემო შავგულავ. ერთი შემომხედე და
ეკლესიიდან გამოსულ მეუღლესაც არ
დალოდებხარ, ისე გააგრძელე გზა.
გოგამ სინანულით გააყოლა თვალი
და ჩუმად მითხრა: ცრემლიანი თვალე-
ბით დაუნთო სანთელი წმინდა გიორ-
გის, შენი ჯანმრთელობა შეავედრა და
თან, უსაყვედურა: ღმერთო, ან რად
შემაყვარა, ან რად წამართვიო? ხომ
იცი, როგორ უყვარხარ...



ამ ჩანაწერიდან 25 წელი
გავიდა. გულის რომელიღაც
კუნჭულში კვლავ ანთიხარ

სიცოცხლე,
რა იყო დარდი, რა იყო სევდა, სულ არ ვიცოდო,
მთელი ბავშვობა, ეს საოცნებო წლები, ძვირფასო,
შენზე ფიქრებსა და ოცნებებში ვიკარგებოდი.

ახლა კი რაღა, რა დარჩა ძველი, მხოლოდ ოცნება და ფიქრი მწველი, მაინც ვერა და ვერ დაგივიწყე, რადგან შენა ხარ ბავშვობა ჩემი“.

— შეგიძლიათ, თქვენს პირველ შეყვარებულზე რაიმე მაინც გვიამბოთ? ქალბატონი ლია:

— აბა, რა გითხრათ? ლამის ერთად გავიზარდეთ. მე რომ დავბადებულვარ, ის სამი წლის ყოფილა და თურმე, სულ ჩემს აკვანთან იჯდა.

— თქვენს მეზობლად ცხოვრობდა?

— კი, მაგრამ მთლად „მეზობელი კარისაო“ არ იყო. მამამისი მამაჩემთან ბუღალტრად მუშაობდა და თურმე, სახლში ხშირად მოჰყვებოდა მამას. ჩემს აკვანთან იჯდა და მელაპარაკებოდა, — ალუ, ალუო. ერთხელ მამამისისთვის დაუძახია: მოდი, მამიკო, მოდი, რაღაც უნდა გითხრა. იცოდე, ღია რომ გაიზრდებოდა, ცოლად შევიერთავო (იცინის). ძალიან ახტაჯანა და ცელქი, განებზერებული გოგო ვიყავი. მახსოვს, მაშინ სოფელში დოღი იმართებოდა ხოლმე და მამას ვეხვებებოდი, თავს ვიკლავდი, — მეც ნამიყვანე, მონაწილეობა მეც შემიძლია-მეთქი. მინდოდა, ჩემი მაყვალა (ასე ერქვა ჩემს ცხენს) გამოემეცადა.

— დღეზე საასპარეზოდ გაგიყვანეს?

— არა, საამისოდ პატარა ხარო, მითხრეს და ასე მომიშორეს თავიდან...

— მერე დოქზე მომიკიდა ხელი. ისეთი ამაყი და თავნება ვიყავი, გადავირიე, ეს როგორ მაკადრა-მეთქი? და დოქი პირდაპირ ფეხებში მივუმტვრიე. იმ დღის შემდეგ ის ბიჭი ძალიან გადამეკიდა. ერთხელ მოტაცებაც დამიპირა. გვიან მომიხდა შინ დაბრუნება და გზაზე მანქანით დამხვდა. მითხრა: ახლავე შენი ფეხით ჩაჯექი, ჩახტი მანქანაში, იცოდე, ხელი არ მომაკიდებინოო. შიშისგან ენა ჩამვივარდა, ერთ ადგილას გავკეპავდი. ამ დროს ვილაცამ სტვენა-სტვენით ჩამირბინა და მალე საიდანღაც ლევანი მოვარდა. მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, მე კი გზა გამითავისუფლა. თურმე, მისმა მეგობარმა ნახა, როგორ სიტუაციაშიც ჩამაგდო მამულოვმა და იქვე მცხოვრებ მეგობარს სასწრაფოდ შეატყობინა ყველაფერი...

— მათ შორის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა?

— საბედნიეროდ, კი... მთელი ღამე ფიქრებში გავატარე. მაშინ არც ვიცოდი, ის ჩემზე თუ ფიქრობდა, მაგრამ იმ დღეს მას სულ სხვა თვალთ შევხვდი...

— რატომ დაშორდით?

— მამამ არ მონიდომა ჩვენი ერთად ყოფნა და ეს გახლდათ ძირითადი მიზეზი.

— საინტერესოა, სასიძოს რა დაუნუნა?

— პრინციპში, არაფერი... თუმცა, ერთხელ თურმე, მეზობელი კაცები ქეიფობდნენ და ღვინო გამოლევიათ. მამაჩემს ჩემი შეყვარებულისთვის უთქვამს: გაიქეცი, ჩემს ცოლს ეს დოქი ნაუღე და ღვინით აგვისებსო. ერთ კაცს, გვარად სააკაშვილს, რომელიც

ავდექი და სხვას გავეყევი ცოლად.

— ანუ გათხოვების გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღეთ?

— კი, ასეა და უფალს მადლობას ვუხდით ამისთვის. მადლობელი ვარ, რომ ჩემი ბავშვური სისულელე ასე დამიფასა და ცხოვრების მეგზურად ისეთ ადამიანს შემახვედრა, როგორც ჩემი მეუღლეა. ეს არის უკეთესობილესი ადამიანი. ამქვეყნად ერთ ადამიანსაც ვერ ნახავთ, რომელიც მასზე იტყვის, რომ ამან ჭიანჭველას დაადგა ფეხი. დედამთილ-მამამთილიც არაჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ლევანთან ვერ განვიცდიდი იმას, რაც გიოს გვერდით განვიცადე... თუმცა, ფურცლებზე ისიც ვაღიარე, რომ ვიგრძენი, ამ ყველაფრისგანაც დავლოლოვარ. აღარც სამსახური მანუხებს, უკვე ჯოხით დავდივარ და მაქვს უამრავი დრო საიმისოდ, რომ ვიფიქრო ნარსულზე. როცა განვლილი ცხოვრების გზას ვფურცლავ, ყოველთვის მეფიქრება იმაზეც, თუ როგორი ვიქნებოდი მასთან, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, ცოლად ლევანს რომ გავყოლოდი და ასეთ დროს ყოველთვის ვაღიარებ, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი გიასთან.

— და მაინც, უნდა გკითხოთ, თქვენ და ლევანს, მამათქვენის წინააღმდეგობის მიუხედავად, სიყვარულისთვის არ გიბრძოლიათ?

— მისი ოჯახი მამასთან რამდენჯერმე მოვიდა, მაგრამ არც ერთხელ არ მიიღო კარგად. ერთხელ ჰაერში თოფიც კი გაისროლა... მაგრამ როცა კვდებოდა (63 წლის გარდაიცვალა), დამიძახა და მითხრა: დაგინგრიე, არა, შვილო, ცხოვრება? შენს საქმეში ცუდად ჩავერიეო...

— დაბოლოს, დაშორების შემდეგ, ლევანს მხოლოდ ერთხელ შეხვდით?

— არა. ერთხელ სამსახურშიც მომაკითხა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გამიბედა. უბრალოდ, თვალი შემავლო და ნავიდა... მეორედ, სახლთან შევეჩეხე. მითხრა, გელოდებოდი, შენთან უბრალოდ, დალაპარაკება მინდოდაო. მხოლოდ ის მკითხა, ყველაფერი კარგად მქონდა თუ არა? და ნავიდა... ვფიქრობ ხოლმე: ნეტავ, როგორი ვიქნებოდი, როგორ გავუმკლავდებოდი ცდუნებას, სხვანაირად რომ მოქცეულიყო? ყოველწუთს ჩემთვის თავბრუს დახვევაზე რომ ეფიქრა, ნუთუ, ისეთი ძლიერი აღმოვჩნდებოდი, როგორიც ახლა მგონია თავი? მაგრამ არა, ჩვენი სიყვარული, ჩვენი გრძნობა იმდენად სუფთა, ნმინდა და ალალი იყო, რომ მსგავსი რამ არც გაუბედავს. ის ყოველთვის პატივს მცემდა და ამიტომაც ვაფასებ ალბათ დღემდე!

მადლობელი ვარ, რომ ჩემი ბავშვური სისულელე ასე დამიფასა და ცხოვრების მეგზურად ისეთ ადამიანს შემახვედრა, როგორიც ჩემი მეუღლეა

მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ერთმა ბიჭმა შემაძინა. ჩვენს მეზობლად მამულოვები ცხოვრობდნენ. მათი შვილი, მიტო ციხიდან ახალი გამოსული იყო, როცა წყლის მოსატანად წასულს გზად გადამეყარა. მითხრა, — ვისი ხარ, გოგო, შენო? ხმა არ გავეცი. მაშინ მიბრძანა: წყალი დამალევენო! უსიამოვნო შესახედი, მაღალი, აწონილი, თავმოტვლებილი კაცი იყო. ასე რომ დამელაპარაკა, თითქოს შემეშინდა კიდევ. ვილაც ახლდა და იმან უთხრა: გაჩერდი, თავი დაანებე, ანა და ამ კაცის შვილია, ღიაო. — ე ბიჭო, უყურე შენი! ეს წინილი რავარი ჩლიხვი დამდგარაო!

კლუბის გამგე გახლდათ, მამასთვის უთქვამს: რაო, სასიძო შენი ნებით გაგზავნე ოჯახში? იუკადრისა თურმე მამამ მისი ნათქვამი. ეს კახელი კაცი სულ სვანურ ქუდს ატარებდა. ჰოდა, მოუხდია ქუდი და დაუქაღია: შენ ამაში ჩააფურთხე, თუ ეს ბიჭი ჩემი სიძე გახდესო. არ ვიცი, სიმთვრალეში ნათქვამი ველარ გადათქვა თუ რა იყო, მაგრამ მას მერე ქვა აავდო და თავი შეუშვირა, — ეს ბიჭი სასიძოდ არ მინდაო. გამაფრთხილა: რომ დინახავ, ქუჩაში მოდის, შენ გზის მეორე მხარეს გადადი. იცოდე, არ შეხვდეთ! ბოლოს, როდესაც ჩემმა რჩეულმა ცოტათი გამაბრაზა,

სად იყო საბჭოთა კავშირში სექსი?!

ინგა ჯაყელი

ბათუ ჩემი მეზობელია. გასულ ზაფხულს 27 წლის გახდა და ბუნებრივია, ოჯახში მთავარი სალაპარაკო თემა მისი დამოჯახებაა, მით უმეტეს, რომ ბიჭს შემოსავლიანი სამსახურიც აქვს და საკუთარი ბიზნესიც. ფაქტობრივად, ის არჩენს დიდ ოჯახს და ამით გულწრფელად ხარობენ მშობლები, ბებია-ბაბუები. ხშირ-ხშირად ეუბნებიან: შეირთე პატოსანი ოჯახის შვილი, ექიმი გვირჩევნია, იყოს. აავსე ბავშვებით სახლი და ერთად გავიხაროთ...

ბათუ არ ჩქარობს და იმის წარმოდგენაზე, რომ მთელი ცხოვრება ერთი ქალის გვერდით უნდა გაატაროს, თავის ტკივილი ეწყება. გულში მაინც ებლაუჭება იმედს, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მიიღებს ჩვენი პარლამენტი კანონს მრავალცოლიანობის შესახებ და... არც ქეთინოს დატოვებს გულდანყვტილს, არც ეკას და არც — მარიშას. სამივე ერთნაირად უყვარს და ამიტომ ვერ გაუკეთებია არჩევანი. ცხადია, უნაკლო არც ერთი არაა და ზოგჯერ „ბოროტი“ აზრიც გაუელვებს თავში: რომ დამაშლევინა ნაწილებად ეს სამი, ერთი კარგი ქალი გამოვიდოდა, მეც მეშველებოდა და ამათაცო...

ბათუ რიგრიგობით დაძვრებოდა სამივესთან და თუ მომენტი ჩაუვარდებოდა, არც შემთხვევით გართობაზე ამბობდა უარს. ერთი უცნაურობაც სჭირდა: როგორც ბავშვი ვერ იძინებს „იავნანასა“ და მულტფილმების გარეშე, ისე ვერ მოხუჭავდა თვალს, თუ

დაძინებამდე პორნოფილმს არ ნახავდა და სწორედ ამ ფილმებს უმადლოდა, გოგონების გაგიჟებას რომ ახერხებდა...

ბათუს საძინებლის გვერდით ამბაკოს სძინავს, უცოლშვილოდ დაბერებულ 80 წლის მოხუცს, რომელსაც მოჰბეზრდა მარტო ყოფნა და ძმის ოჯახს შეეკედლა. მისი ძმა — მახარე ბათუს პაპაა და არც მას უკლია ბევრი 80 წლამდე...

სწორედ ამბაკო გააღვიძა ერთხელ საშინელი კენესის ხმამ და გულგახეთქილმა მიუკაკუნა ძმის შვილიშვილის ჩარაზულ კარზე, იმაში დარწმუნებულმა, რომ ბიჭს რაღაც გაუჭირდა.

ბათუმ კარი კი გაუღო, მაგრამ მოხუცი ოთახში არ შეუშვა:

— ძილში კენესოდი ასე მწარედ?! — ჰკითხა ბიჭს და სწორედ ამ დროს მოესმა ქალის კენესის ხმა. მართლაც, შუბლზე აუცოცდა თვალები მოხუცს: — ბოზი მეიყვანე სახლში?!

ბათუმ გადაიხარხარა, ამბაკო საძინებელში შეიყვანა და ტელევიზორისკენ გაახედა. შეხედა ამბაკომ ეკრანს და გულზე ნაივლო ხელი გამოგნებულმა:

— რაია, ბაბუ, ეგი?! — რაია და სექსია. არ მითხრა ახლა, ვაჟნული დავერდიო, მაინც არ დაგიჯერებ! — ისევე ახარხარდა ბიჭი ამბაკოს დაჭყეტილი თვალების დანახვაზე.

— რას ვნახავდი, საიყო საბჭოთა კავშირში სექსი?! — ლამის ტელევიზორში შეძვრა მოხუცი...

მეორე დღეს შინ გვიან დაბრუნდა ბათუ. ერთი სული ჰქონდა, შხაპი მიე-

ლო და ლოგინში შემძვრალიყო მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, მაგრამ თავის ოთახს რომ მიადგა, შიგნიდან დახვდა ჩარაზული. გაკვირვებულმა გასცახა ბებიას, რომელიც სამზარეულოში ფუსფუსებდა:

— რა ხდება? — კიდეც ჩაკეტილები არიან?! — ავიშვიშა ტუსია ბებია: — ამბაკო და მახარე დილით რომ შეძვრნენ შენს ოთახში, საქმე გვაქვსო, სადილზეც არ გამოსულან გარეთ...

ბათუ ოთახში ფანჯრიდან გადაძვრა. მოხუცებმა ვერც შეამჩნიეს მისი შესვლა — გაოგნებულები უცქერდნენ უცნაურ პოზაში გამეშვებულ პორნოვარსკვლავს...

ბიჭმა ამომრთველს დააჭირა ხელი და ტელევიზორი გამორთო.

დაირცხვინეს მოხუცებმა და უხერხულად ჩაახველეს.

— რამ გადაგრიათ ამ სიბერეში?! — უსაყვედურა მაინც.


— ჰო, გედევირიე, გედევირიე! — მოულოდნელად იფეთქა ამბაკომ: — რას გვიმალავდნენ, რომ გვიმალავდნენ?... ეგი რომ მენახა ახალგაზრდობაში და ეს მცოდნოდა, უცოლოდ დავრჩებოდი?! — ისე ჰქონდა ანითლებული ლოყები, ბათუს შეეშინდა, წნევამ ხომ არ აუწიაო, და არც მახარე პაპა იყო უკეთეს დღეში. შვილოშვილს მხარზე გადახვია ხელი და მოურდებლად უთხრა:

— ეს რომ ბებიაშენმა ნახოს, თავს გამიჩჩქვავს, ისედაც მე მამბრალეს ყველა თავის ავადმყოფობას. სამოცი წელია, ერთ ზოზაში მყავდა გაბრტყელებული და მიტოვდა ალბათ, ყველა სახსარი რომ სტკივა... ეგი რომ ჰქონოდა ნანახი ჩემს თაობას, ბიჭო, დემოგრაფიული პრობლემა კი არ გვექნებოდა ახლა...

— ნუ ტლიკინობთ და ჩართეთ ეს ოხერი! — მოთმინება დაკარგა ამბაკომ.

მიუხედავად ბათუს პროტესტისა, მოხუცებმა ის ფილმი ბოლომდე ნახეს, თან — ძველ დროს აგინებდნენ. არც სტალინი დააყენეს საფლავში და არც მისი მომდევნო, საბჭოთა კავშირის ბელადები. ღამით კი „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება დასჭირდათ მათთვის ოჯახის წევრებს, რადგან ვერც ამბაკოს და ვერც მახარეს წნევა ვერ დაუწიეს. ექიმმა გამოაცხადა: ძლიერი ემოციური სტრესის ბრალიაო...

— მე ვიცი, რისი ბრალიცაა! — მჯიღს იცემდა გულზე ამბაკო და მახარეც სინანულით კენესოდა: — ვაი, ჩემო გაფრენილო ახალგაზრდობაო!



„მძაფრსიუჟეტიანი“ ცხოვრების მთავარი გმირების სიხარული და სევდა

როდესაც ან გარდაცვლილი ქიზიყელი მეღვინის, ნულლას, იმავე ზურა ბაკაშვილის ოჯახში ინტერვიუზე მივდიოდი, ჩანაფიქრი ასეთი მქონდა: თითქმის ლეგენდად ქცეული ადამიანის ხიფათით აღსავსე, საინტერესო ცხოვრებაზე უნდა დამეწერა. თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ მისი მეუღლის, მარიამ (მავრა) ყორღანაშვილის შესახებ უფრო მეტს მოგიყვებით. ეს არის ქალი, რომელმაც ქმრის სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი თავი და 3 შვილი განირა. ბევრ ქალს გაუჭირდებოდა იმის ატანა, რაც ქალბატონმა მავრამ შეძლო: ციხე, ყაჩაღებისა და „მხედრობის თავედასხმები, გატაცებული ქმრის დასაბრუნებლად ბრძოლა, ინტრიგები, ლალატი... ის ბრძოლას არც ახლა წყვეტს და უკვე 14 წელია, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან სასამართლო დავა აქვს, წართმეული ქონების დასაბრუნებლად.

მარი ჯაფარიძე

ამ „მძაფრსიუჟეტიანი“ ცხოვრების მთავარი მოქმედი „გმირი“ გახლავთ ფული, რომელიც ოჯახს არასოდეს აკლდა. სწორედ ფული და სიმდიდრე იყო იმ ადამიანთა სამიზნე, ვინც ბაკაშვილების ოჯახის ბედს აბრუნებდა და ხიფათით სავსეს ხდიდა. — ღირდა კი ეს ყველაფერი იმ სიმდიდრისა და ფუფუნების სანაცვლოდ? — ეს გახლდათ ჩემი

სიკვდილისთვის არ მემბება, თორემ რომ ვიცოდე, არ დახვრებით, დღესვე გეძყვით, სად არის

ბოლო კითხვა, რომელიც ქალბატონ მავრას 6-საათიანი ინტერვიუს ბოლოს დავეუსვი. მოთმინებით აღიჭურვეთ და მათი ცხოვრების დანვრილებით გაცნობის შემდეგ ამ კითხვაზე თავადვე გასცემთ პასუხს.

— ქალბატონო მავრა, რას ნიშნავს თქვენი მეუღლის მეტსახელი — „ნულა“?

— ზურას ბავშვობაში ქუჩა-ქუჩა ურმით დაჰქონდათ კანფეტები, ათასგვარი ნუგბარი, ქსოვილები, წვრილმანი. რალაც დაშაქრული ნუში ყოფილა, რომელსაც ნულლი ერქვა. ზურას ძალიან ჰყვარებია ეს კანფეტი და როცა დაინახავდა ურმით მოსულ მოვაჭრეს, გარეთ გაიქცეოდა და — ნულლი, ნულლიო! — გაიძახოდა. ჰოდა, მეზობლის ქალს

ფრაგმენტები ჟიჟიყელი მეღვინის, ნულლას ცხოვრებიდან



ზურას გასცინებია, ბებოსთვის ილღიებში ხელი ამოუდვია, „ტაჩკაზე“ შემოუსვამს

შეურქმევია მისთვის ეს მეტსახელი და სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. მის მშობლებს ზურა გვიან შესძენიათ, ამიტომ ასაკოვანი მშობლები ჰყავდა. მამამისი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა. ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ განათლება არ ჰქონდა. ხელის მოწერაც კი არ შეეძლო და სა-

გაძლოა და მოსკოვში, მეღვინეობის ფაკულტეტზე ჩააბარა. წნორის პირველ ქარხანაში დაიწყო მუშაობა 1972 წელს. ბოლოს ანაგაში მუშაობდა.

— ამბობენ, მოსახლეობისგან ყურძენს რომ იბარებდა, მოხუცი ქალი ვირიან-„ტაჩკიანად“ აწონაო.

— კი, იყო ასეთი შემთხვევა. მოსახლეობას ყურძენი სატვიტო მანქანებით მიჰქონდა ხოლმე და რთვლის დროს ქარხანასთან მანქანების გრძელი რიგი იდგა. ამ რიგში მოხუცი ქალიც იყო, ვირშებმული „ტაჩკით“. სასწორს რომ მიუახლოვდა, ზურაც იქვე მდგარა და მიუმართავს — შვილო, წონაში ხომ არ მომატყუებენო? ზურას გასცინებია, ბებოსთვის ილღიებში ხელი ამოუდვია, „ტაჩკაზე“ შემოუსვამს, სასწორზე თავის ვირიან-„ტაჩკიანად“ დაუყენებია და მთელი წონა ყურძენზე მიუწერია. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ზურას სიკეთე უთესია. დღემდე ახსოვს ხალხს და მიხარია, რომ მისი მაღლიერნი არიან.

— თქვენ როგორ გაიცანით?

— მყავდა ძმა, რომელიც მეღვინეობის დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლობდა. მამინ კანონი იყო: თუ დაუსწრებელზე სწავლობდი, აუცილებლად უნდა გემუშავა. ჰოდა, ის ზურასთან მუშაობდა, ღვინის ქარხანაში. მამინ მე X კლასში ვიყავი. ერთ დღეს ჩემი ძმა სხვის მაგივრად მუშაობდა, — ღვინის

ბუთებზე ჯვარს სვამდა. მე რომ მათი რძალი გავხდი, ვკითხე, — ასე ბრმად როგორ აწერდი ხელს დოკუმენტებზე, იქნებ გატყუებდნენ-მეთქი? გაეცინა, — მაგას სტალინის პერიოდში ვინ გაბედავდაო?! ვინაიდან მატერიალურად უჭირდათ, ზურას პატარა ასაკიდანვე უწევდა შრომა. პომიდორი მოჰყავდა, ციმბირში გაჰქონდა და იქ ყიდდა. 1939 წელს იყო დაბადებული. ომმა მცირე ასაკში მოუსწრო, ახალგაზრდობამ კი — სოციალიზმის აყვავების პერიოდში და ფეხის აწყობა არ გასჭირვებია. ძალიან ბევრს წვალობდა, ფიზიკურად შრომობდა, რომ მოხუცი მშობლები ერჩინა. იცოდა, რომ განათლების გარეშე გაუჭირდებოდა ცხოვრების

კასრს ცხელი ორთქლით ამუშავებდა. თან ამ დროს ბიჭებთან გართულა ლაპარაკში და ორთქლის მეტი დოზა ჩაუტვირთავს კასრში. ვინაიდან ორთქლს გამოსასვლელი არ ჰქონდა, შიგნით დიდი წნევის გამო კასრმა ბრუნვა დაიწყო. ჩემმა ძმამ ეს რომ დაინახა, გაიქცა, ორთქლი რომ გადაეკეტა. ამ დროს კასრი აფეთქდა და ბიჭი ჰაერში ააგდო. 19 წლის ძმა ასე ტრაგიკულად დამეღუპა. ამ ამბის შემდეგ გადავწყვიტე, მეც მეღვინე გავმხდარიყავი. მისაღებ გამოცდებზე რომ მივიდიოდი, დედაჩემი დაჩოქილი, ღმერთს ევედრებოდა, — ვერ ჩააბაროს, რომ ესეც არ მომიკვდესო! ჩავაბარე და მალევე ქარხანაში დავეინყე მუშაობა. იქ გავიცანი ზურა და 2 თვეში ოჯახი შევქმენით. შეგვეძინა 3 შვილი. უფროსი ვაჟი, მომდევნო — ტყუპი გოგონა.

— ღვინის ქარხნებიდან მაშინდელ მთავრობაში დიდძალი ქრთამი მიდიოდა. გამონაკლისი არც თქვენი მუშაობა იქნებოდა. რა მოხდა? რატომ განირეს? რატომ მიიღეს მისი დაჭერის გადაწყვეტილება?

— მაშინ ძალიან ბევრი უცნაურობა ხდებოდა. მავალითად, ნოემბრის დასაწყისში შევარდნაძე გამოსცემდა ბრძანებას — კახეთში რთველი განახლდესო და გარკვეულ გეგმასაც დაუსახავდა, რამდენი ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინა ქარხანას. სექტემბერში დაკრეფილი ვენახი რომ თვე-ნახევარში ახალ მოსავალს იძლეოდა, რალა უჭირ-



თბილისიდანვე გაიქცა და მას შემდეგ მიმაღვაში იყო

და გლეხს? როგორღა უნდა დაეკრიფათ უკვე დაკრეფილი ყურძენი? მაგრამ გეგმასაც ხომ ვერ ჩააგდებდნენ?! ამი-

მერე თქვეს, რომ მილიონი მედო ჩემოდანში, მაგრამ ემ ტყუილი იყო. თუმცა, რაც მქონდა, მაშინდელი საგომით ეპეც ძალიან დიდი თანხა იყო

ტომ იწყებოდა ათასგვარი მაქინაცია, რომ გეგმა შეგესრულებინა, თან — გადაჭარბებით.

— როგორც ამბობენ, ჭარხლისგან ამზადებდნენ ღვინოს...

— არა მარტო ჭარხლისგან. ათასგვარი ხერხით მზადდებოდა, მაგრამ ასე დამზადებული სასმელი ღვინოდ არ საღებოდა. ბელორუსიაში მიდიოდა, იქ სპირტად გამოიხდებოდა და შემდეგ უკვე სხვა დანიშნულებით იყენებდნენ. 1982 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყო რთველი. ზურა დაიბარეს თბილისში მითითებების მისაცემად. უკან რომ ბრუნდებოდა, გზაში თანამშრომლები დახვდნენ, „ობეხეესია“ (ძველი შსს-ს სისტემის დანაყოფი — „სოციალისტურ საკუთრებასთან ბრძოლის განყოფილება“. — რედ.) ქარხანაში შემოსული და არ გამოჩნდო. ზურა თბილისში გაბრუნდა, რომ იმ ხალხს დაჰკავშირებოდა, ვინც მითითებებს აძლევდა.

— ანუ ქრთამი ვისთანაც მიდიოდა.

— დიახ. იმათ უთხრეს, — ნუ გეშინია, ჩვეულებრივი შემონმებაა და მალე წავლენო, მაგრამ ზურა არ ენდო და სწორადაც მოიქცა. თბილისიდანვე გაიქცა და მას შემდეგ მიმაღვაში იყო. მაშინ ქარხანაში რამდენიმე ადამიანი დაიჭირეს.

— როგორც ვიცი — თქვენც.

— დიახ, მაგრამ მე ქარხნის საქმეზე არ დავეუკავებოვარ. ქრთამის გადაცემის მცდელობისთვის დამიჭირეს, მოსკოვში, აეროპორტში. აქ მიზეზი ვერ მომიძებნეს და მოსკოვში დამაკავეს. ზურა მიმაღვაში იყო, მე კი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოსკოველი გამოძიებელი იქაური ახლობლის დახმარებით დამიკავშირდა და შემპირდნენ, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ ამ საქმეს მოავგარებდნენ.

— ვინ იყო ის ახლობელი?

— მოსკოვში გვყავდა მეგობარი ოჯახი. ოჯახის უფროსი, ოსიპოვი ანტონი პროფესორი გახლდათ, ლომონოსოვის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ლექციებს კითხულობდა. სწორედ მისი საშუალებით დამიკავშირდნენ. მას ვენდობოდი და, როგორც აღმოჩნდა, ბრმა იარაღად გამოიყენეს. ანტონმაც

არ იცოდა, რომ ატყუებდნენ, გვიან მიხვდა. ამიტომ, სასამართლოზე ჩვენება შეცვალა, ბოლომდე არ გაგვწირა,

რადგან დარწმუნდა, რომ გამოიყენეს და ჩვენ გავინირეთ. ამის გამო ისიც დაისაჯა: საქართველოში ჩამოიყვანეს, აქ გაასამართლეს და 7 წელი მიუსაჯეს. დასავლეთ საქართველოს ზონაში იხდიდა სასჯელს. მოგვიანებით ჩემი ქმარი ციხიდან რომ გამოვიდა, შეხვდა. ილაპარაკეს, ზურა დარწმუნდა, რომ ანტონს არ უღალატია, მაგრამ ჩვენ შორის ურთიერთობა განყდა, გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა.

— რა თანხა მიგქონდათ მოსკოვში?

— თანხა, რაც დამისახველეს, ჩემოდნით მიმქონდა. მაშინდელი ფულით — 200 ათასი მანეთი და 50 ათასი მანეთის ობლიგაციები. მერე თქვეს, რომ მილიონი მედო ჩემოდანში, მაგრამ ემ ტყუილი იყო. თუმცა, რაც მქონდა, მაშინდელი საზომით ეგეც ძალიან დიდი თანხა იყო. ვინაიდან ფაქტზე არ დავეუკავებოვარ ანუ უშუალოდ ფულის გადაცემის დროს, ვთქვი, რომ ფული ბანკში შესატანად მიმქონდა, მაგრამ მანაც ქრთამის გადაცემის მცდელობა წამიყენეს ბრალად. 1 წელი „კავებს“ ციხეში გავატარე, შემდეგ გამასამართლეს, 6 წელი მომისაჯეს და ზონაში გადამიყვანეს.

— თქვენი დავაება მათ რამეში ხელს აძლევდა?

— დიახ, ფიქრობდნენ, რომ ზურა არ გამწირავდა პატიმრობისთვის და აუცილებლად გამოჩნდებოდა. მაშინ ჩვენი შვილები 6-7 წლისები იყვნენ და ჩემი მოხუცი დედა უვლიდა. სულ ვეუბნებოდი ზურას, — ნუ გარისკავ, არ გინდა, ვიმყოფინოთ, რაც გვაქვს-მეთქი, — მაგრამ არ მიჯერებდა. არ ვიყავი მდიდარი ოჯახიდან. მამა ენტომოლოგი იყო, ნამდვილი კომუნისტი, ხელფასზე ცხოვრობდა. სულ გვიჭირდა, არ ვიყავი ფუფუნებას შეჩვეული და ამის მოთხოვნილება არც ზურას მუშაობის დროს მქონია, მაგრამ ზურას თავისი პრინციპები ჰქონდა, მე არ მიჯერებდა და მოვიმკეთ კიდევ.

— მიმაღვის დროს მასთან ურთიერთობა გქონდათ?

— ერთი ადამიანის საშუალებით მუდმივად გვქონდა კავშირი. სულ ვუთვლიდი, — ყველაფერს გაგუძლებ, არ გამოჩნდე-მეთქი. ძალზე კონსპირაციულად ვურთიერთობდით, რადგან



ბევრს კარგს ეტყვიან მამაზე და არ მინდა, დედაზე უთხრან ცუდი, შვილი იყოს მოწმე, რას გავაკეთებ ბაქოში-მეთქი

ყველაფერი ისმინებოდა. თვეების განმავლობაში ძალოვანები მეზობლის სახლში ისხდნენ და იქიდან გვისმენდნენ. მას პრიმა-მუხლით დახვრეტა ელოდა. ზურა არ იყო ის კაცი, ვისაც დასახვრეტად გავიმეტებდი. ამიტომ გავწირე თავი და შვილებიც. ჯეშალ გახოკიძე იყო საგამოძიებო ნაწილის

უფროსი, დღემდე მიხსენიებს თავის წიგნებში. შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი, შოთა გორგოძე ხშირად მხვდებოდა და მეუბნებოდა, — შვილების ტანჯვად გიღირს ქმრის დამალვაო? — სიკვდილისთვის არ მემეტება, თორემ რომ ვიცოდე, არ დახვრეტო, დღესვე გეტყვით, სად არის-მეთქი. გორგოძის მოადგილემ, გივი კვანტალიანმა დამიბარა ერთხელ: — ვიცი, ზურა ბაქოშია, მასთან მე და შენ წავიდეთო. — შვილებს წამოვიყვან და წამოვალ; ჩემი შვილები რომ გაიზრდებიან, ბევრს კარგს ეტყვიან მამაზე და არ მინდა, დედაზე უთხრან ცუდი, შვილი იყოს მოწმე, რას გავაკეთებ ბაქოში-მეთქი. მერე თვითონვე გადაიფიქრეს წასვლა.

— როდემდე აპირებდა მიმალვაში ყოფნას? რამის იმედი ჰქონდა?

— მისი თანამშრომლების სასამართლო ჯერ არ იყო დამთავრებული. შედეგს ელოდა. როდესაც მეღვინეები გაასამართლეს, ერთ-ერთს დახვრეტა მიუსაჯეს. ამაზე ძალიან გამწარდა. განაჩენი სისრულეში მაშინვე არ მოჰყავდათ, რაღაც პერიოდი სჭირდებოდა. ზურამ ცოტა ხანს მოიცადა. როდესაც სასჯელის აღსრულების დრო მოახლოვდა, მაშინ გამოჩნდა. ჩამოვიდა და ვაგზალზე ჩაჰბარდა სამართალდამცველებს, რომ სიკვდილმისჯილი გადაეჩინა. მისი გამოჩენის შემდეგ სასამართლო პროცესი

ხელახლა დაიწყებოდა, მის დასრულებას საკმაო დრო დასჭირდებოდა და ამასობაში იქნებ რამე შეცვლილიყო კიდევ. მართლაც, ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა. მას 15 წელი მიუსაჯეს, აქედან 5 — „კრიტი“. თუმცა, ჩემზე ნაკლებადრო გაატარა ციხეში.

— თქვენ მალევე გამოგიშვეს?

— ზურას დაკავებიდან 1 თვის შემდეგ გამომიშვეს. საბოლოო ჯამში, 4-წელიწად-ნახევარი მოვიხადე, ზურა კი 3 წლის შემდეგ ამნისციით გაათავისუფლა ზვიად გამსახურდიას მთავრობამ.

— მომიყევით, თქვენ როგორ ცხოვრობდით ციხეში?

— როცა „კაგებეს“ ციხეში მიმიყვანეს, საკანში რამდენიმე ქალი დამხვდა. მაშინვე გამოვაცხადე, — მე არ მაინტერესებს, ვინ რაზე ხართ დაკავებული და მეც არაფერი მკითხოთ-მეთქი. იმ პერიოდში თელავის ტექნიკუმის თანამშრომლები იყვნენ დაკავებული, ქრთამის ალებისა და სტუდენტების მოწყობის ფაქტზე. ერთ-ერთი მათგანი ჩემს საკანში იჯდა. მე კედლისკენ ვიყავი მუდმივად შებრუნებული და ჩემს საფიქრალს მიცემული. მესმოდა, როგორ შეუწინა ამ თელაველ ქალს ერთი „ნასედეკა“ და ჩვენებას ჩვენებაზე სძალავდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ინფორმაცია, ნამდვილი მამაკაცებისთვის!

ყოველთვიური ჟურნალი!
იკითხეთ ჰრასის ბაზარცალაობათან!

არქანა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნაგაბის გარეშე

333.66 01ლ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ჩემი საყვარელი მსახიობი

„იკოლიტას შვილი რომ ვიყო, ძალიან ვიამაყებდი...“

„ძალიან მიყვარს მსახიობი ჯონი დეპი. ვგიჟდები ამ კაცზე. შემახვედრეთ ან დანერეთ მასზე რამე. წესით, უფრო პატარა თაობის მსახიობი უნდა მომწონდეს, მაგრამ რა ვქნა, ეს კაცი მესიმათიურება და მგონია, რომ მსოფლიოში საუკეთესო მსახიობია. ლიკა, 14 წლის“.

ამის მსგავსი მესიჯი სწირად მომდის. ზოგიერთი თინეიჯერი ტომ კრუზთან შეხვედრას მთხოვს, ვილაც ჯიუტად მოითხოვს ანჯელინა ჯოლისთან დამეგობრებაში დახმარებას (იმედია, ხუმრობს), ზოგს ჰარი პოტერის როლის შემსრულებელი მოსწონს და ა.შ. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ, ქართველ მსახიობებთან შეხვედრის სურვილსაც გამოთქვამენ. ასეთ მოზარდებს რამდენიმე კითხვა დავუსვი...

ლიკა ქაბანია

„სუსნიტაშვილი პარბად გამოსატამს გმირის ემოციებს“

— შენი საყვარელი მსახიობი ვინ არის?

იკუნა, 16 წლის:

— ქართველი? მიშა მესხს დავასახელებ. ძალიან მიყვარს ეს მსახიობი. ვფიქრობ, რომ ფილმში — „მოგზაურობა ყარაბაღში“ არაჩვეულებრივად ითამაშა. კარგი არტისტია. მისი მეუღლე, ია სუხიტაშვილიც მომწონს. მართლა მაგარი გოგოა: არა მარტო გარეგნულად, არამედ — როგორც მსახიობი. კარგად გამოხატავს გმირის ემოციებს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ყველა ფილმში მართალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— თეატრში სიარულს თუ ახერხებ?

— რამდენჯერმე ვარ ნამყოფი სამეფო უბნის და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. ძალიან მომწონს რეჟისორი დათა თავაძე, სიმპათიური ბიჭია (იციან) და „სამეფოში“ მისი ხათრით მივდიოდი ხოლმე. ისე, სპექტაკლებზე მეტად, ფილმების ყურება მიყვარს.



„ღვინის ქურდებში“ დუტას სიამოვნებით ვნახავდი“

მარიტა, 18 წლის:

— მე დუტა მომწონს. სცენაზეც მყავს ნანახი და ფილმებში — რამდენსაც გაგიხარდებათ, იმდენსი (ილიმის). ძალიან მიყვარს მისი როლი ფილმში — „გარიგება“. სასაცილო ტიპია, რა. ისე, „ღვინის ქურდების“ გადაღებისას შესაფერისი ასაკი რომ ჰქონოდა და პოპულარულიც ყოფილიყო, მგონია, რომ შეძლებდა სახასიათო პერსონაჟის შექმნას; ისევე, როგორც ეს დანარჩენებმა მოახერხეს. მოკლედ, მარანს და ღვინის სმას დუტაც მოუხდებოდა, ამის თქმა მინდა, რა (იციან).

— შენი აზრით, დუტას სმა უყვარს?

— ეს ხომ ცნობილი ამბავია?! თან, ისეთი კახელი კაცის რა ვთქვი, ღვინის სმა რომ არ უყვარს! ის კი არა, მეც ვწრუპავ და თამადასაც სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე (თუ არ „ჭედავს“, რა თქმა უნდა). დუტა ყველაზე მეტად, სცენაზე მომწონდა. სამწუხაროდ, მე რე თეატრში მისი საქმიანობა შოუებმა შთანთქა. გასაგებია, იქ უფრო მეტს უხდიდნენ და ამიტომაც, ვფიქრობ, არტისტმა სულიერი საზრდო დაკარგა, მხოლოდ მატერიალურზე გადაერთო, ეს კი ცუდია... გაისად სამსახიობოზე ვაპირებ ჩაბარებას. ვისურვებდი,

მსახიობს, თეატრის არტისტს ისეთი ხელფასი ჰქონდეს, რომ შოუებსა და რეკლამებში გადაღების სურვილი ათასში ერთხელ გაუჩნდეს.

— დუტას გარდა, არის კიდევ ვინმე ისეთი, ვისაც გამოჰყოფდი?

— მაშინ, გენდერულ ბალანსს არ დავარდვევ და ქალს — ნანული სარაჯიშვილს დავასახელებ. მიხვდით



მისი მეუღლე, ია სუხიტაშვილიც მომწონს



ნანული პირველად „მანანაში“ ვნახე და შევიყვარე

გასულ კვირას 63 წლის ამერიკელმა მსახიობმა, რობინ უილიამსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისმა ქართველმა თაყვანისმცემლებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს რობინის ფოტოები და გულისამაჩუყებელი სიტყვებიც არ დაიშურეს საყვარელი მსახიობისთვის.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტები წერდნენ, რომ რობინ უილიამსი ნარკოტიკებსა და ალკოჰოლური დამოკიდებულების პროგრამის ფარგლებში, სპეციალურ

კლინიკაში მკურნალობდა. ამბობდნენ, რომ მსახიობი დეპრესიაში იყო.

ცნობილი ადამიანები მას „ტვიტერზეც“ დაემშვიდობნენ:

ბარაკ ობამა: „რობინ უილიამსი იყო ექიმი, ძიძა, პრეზიდენტი, პროფესორი, გაზრდილი პიტერ პენი, მაგრამ პირველ რიგში, ის უნიკალური ადამიანი გახლდათ. ჩვენს ცხოვრებაში ის უცხოპლანეტელივით გამოჩნდა, მაგრამ ჩვენი ცხოვრებიდან, როგორც ახლო მეგობარი, ისე წავიდა“.

სტივენ სპილბერგი: „რობინი კომედიური გენიის თვალსაჩინო წარ-

ალბათ, რომ ფილმზე — „გარიგება“ „შეყვარებული“ ვარ. ამ ფილმში ქალის ტრაგედიაა ასახული, მაგრამ პირველი ნახვისას, რატომღაც, ამ ქალზე ყველანი ვხალისობთ. სასაცილო ტიპაჟია, მაგრამ რომ დაფიქრდე, ასეთი მძიმე ტვირთი (ანუ ქალისა და მამაკაცის ტვირთი ერთდროულად) XXI საუკუნეში ბევრ მანდილოსანს აქვს აკიდებული და არავინ უფასებს ამავს: მერე, შრომისგან მობრუნებულები, ნერვიულობისგან დაღლილ-დანაოჭებულები ხშირად

რა ასაკშიც ახლა არის, გარეგნულად ბავშვს რომ დაამსგავსოს რომელიმე ვიზაჟისტმა, მშვენივრად გაართმევს თავს მეთექვსმეტი გოგონას როლსაც კი... ეს დიდი ნიჭია!

„კატრინ ზეტა-ჯონსი უნდა ჩამომიყვანოთ?..“

ლუშა, 17 წლის:

— ჩემი საყვარელი მსახიობი? საყვარელი არ ვიცი, მაგრამ ძალიან მომწონს კეტრინ ზეტა-ჯონსი და რა

მშობლების თანხლებით. დიდი ხანია, სპექტაკლი არ მინახავს და ვერაფერს გეტყვით. ფილმებსა და ტელეშოუებში მყვანან ეს ადამიანები ნანახი, ასევე — გადაცემებში და თითოეული მესიმპათიურება.

— მამაკაც მსახიობებზე რას მეტყვი?

— ქართული ფილმების დიდი მოყვარული ვარ-მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ... თუმცა, აუ, იცი, ვინ მევასება? — ნოდარ გურგენაშვილისა და ბაჩო ქაჯაიას ტანდემი. აი, ეგენი რომ გამოდიან სცენაზე და სკეტრებს აკეთებენ, მაგრად ვხალისობ. ლაღობაა, რა! კარგი ტიპები არიან. კიდევ, ადრე სერიალს — „შუა ქალაქში“ ყველა უყურებდა და უნებურად, მეც ვადევნებდი თვალს. ჰოდა, გოგა ბარბაქაძის გმირი მომწონდა ძალიან. არა მგონია, რეალურად ისეთი ტიპი იყოს, როგორც ამ სერიალში გახლდათ. ეტყობა, კარგი მსახიობია.

— მაინც, როგორი ტიპი იყო გოგას გმირი ამ სერიალში?

— ცოტა „დარტყმული“ იყო და კიდევ, გამომძალველი...

„გიჟი გოგოა, მამრამ — კარგი მსახიობი“

ნინი, 15 წლის:

— ძალიან მომწონს გიორგი ბახუ-



მისი ფოტო სახლში, კარადაზე მაქვს გაკრული

მარტოც რჩებიან ხოლმე...

— ნანული სარაჯიშვილის სხვა როლებზე რას მეტყვი?

— არ იფიქროთ, თითქოს მხოლოდ ჩემი საყვარელი კინოფილმით ვაფასებ მსახიობებს. ნანული პირველად „მანანაში“ ვნახე და შევიყვარე. საოცრად ხალასი მსახიობია. შეიძლება, ბევრი პრობლემა აქვს პირად ცხოვრებაში, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მაყურებელს ამას არასდროს აგრძნობინებს, ინტერვიუების დროსაც არასდროს ნუნუნებს და ეს მომწონს მასში. ძლიერი პიროვნებაა და ამიტომაც ვაფასებ! თან, მჯერა, რომ იმ ასაკში,

იყო, რო? უნდა ჩამომიყვანოთ და შემახვედროთ?..

— კარგი იუმორის გრძნობა გქონია... ქართველი მსახიობებიდან ვის გამოარჩევ?

— ნანკა კალატოზიშვილი მომწონს, კარგი გოგოა და მგონი, კარგადაც თამაშობს. კიდევ, ია სუნიტაშვილი მომწონს, ნინო ბურდული, ეკა ჩხეიძე... რა ვიცი.

— ეს მსახიობები სცენაზე თუ გინახავს?

— თუ თეატრალურ სცენას გულისხმობ, თეატრში მხოლოდ ბავშვობაში დავდიოდი, ისიც — „მოზარდში“,



გოგა ბარბაქაძის გმირი მომწონდა ძალიან

მომადგენელი იყო. ის ჩვენი სიცილით იკვებებოდა. ის ჩემი მეგობარი იყო და მიჭირს დაჯერება, რომ ცოცხალი აღარ არის“.

გლენ ქლოუზი: „დამნუხრებული ვარ. რობინი ნაციონალური საგანძურის და ბრწყინვალე ადამიანი იყო“.

ჯონ ტრავოლტა: „არასოდეს შემხვედრია მასზე კეთილი, მხიარული, მეგობრული ადამიანი. მას ყველანი ვუყვარდით და ჩვენც ყველას გვიყვარს ის“.

სტივ მარტინი: „გაოგნებული ვარ მისი გარდაცვალების გამო. დიდი

ნიჭი, დიდებული პარტნიორი და არაჩვეულებრივი ადამიანი დავკარგეთ“.

პინკი: „მე დღეს რობინ უილიამსის ოჯახისთვის ვლოცულობ. მხოლოდ ერთხელ შევხვდი მას, მაგრამ ეს მომენტით-ერთი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში“.

ნილ პატრიკ ჰარისი: „გაოგნებული ვარ. მას უზომო სიხარული და სიკეთე მოჰქონდა მილიონობით ადამიანისთვის“.

კრისტინა აპლეტი: „მშვიდად განისვენე, გენიოსო. შენ იყავი შთაგონების წყარო და ლეგენდა“.

ტაშვილი. მართალია, მას მხოლოდ სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ ვიცნობ, მაგრამ როგორც მსახიობი, უკვე შემეყვარდა. დამაჯერებლად თამაშობს და ფიქრობ, დიდი მომავალი აქვს. იუმორისტებიდან (ეგენიც ხომ მსახიობები არიან?) მომწონს ნიკა არაბიძე, ბაჩო ქაჯაია, ნოდარ გურგენაშვილი და ნიკა გრიგოლია. მსახიობი ქალებიდან ძალიან ვაფასებ თინა მახარაძეს. რალაცნაირი, გიჟი გოგოა, მაგრამ — ძალზე საყვარელი და კარგი მსახიობი.



მარანს და ღვინის სმას დუტაც მოუხდებოდა

„იპოლიტა ჩემი ანტიდეპრესანტია“

მარი, 19 წლის:

— თეატრის დიდი მოყვარული ვარ. ამიტომაც, ხშირად მნახავთ სპექტაკლებზე. ჩემი საყვარელი მსახიობები არიან:



მსახიობი ქალებიდან ძალიან ვაფასებ თინა მახარაძეს

ლელა ალიბეგაშვილი, ნინო კასრაძე, ია სუხიტაშვილი, დავით დარჩია, ბაჩო ჩაჩიბაია, ეკა ჩხეიძე, ანა ალექსიშვილი და ა.შ. მოკლედ, ბევრი კარგი მსახიობი გვყავს ქართველებს და ამ ადამიანებს დაფასება სჭირდებათ. სპექტაკლებზე ახალგაზრდები თუ ივლიან, მსახიობები უფრო გაძლიერდებიან და უფრო და უფრო კარგი, მრავალფეროვანი წარმოდგენების ნახვის საშუალება მოგვეცემა.

— ძალიან ბევრი მსახიობი ჩამოთვალე, ბევრიც ვერ დაასახელე იმის გამო, რომ გაგანწყვეტინე: ყველას ვერც ჩამოთვლიდი. იქნებ დამისახელო

არტისტი, რომელიც გამორჩეულად მოგწონს და დიდ შენგან ყურადღებას იმსახურებს.

— მაშინ, ჩემს უსაყვარლეს მსახიობს, ძველი თაობის წარმომადგენელს, იპოლიტე ხეჩიას დავასახელებ. ამ კაცის ფოტოსაც რომ დავინახავ, უკვე კარგ

ხასიათზე ვდგები. მისი ფოტო სახლში, კარადაზე მაქვს გაკრული, რადგან ჩემი ანტიდეპრესანტია (იციინის). იცით, ბევრჯერ მიფიქრია, მისი შვილი რომ ვყოფილიყავი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება? ალბათ ძალიან ვიამაყებდი მისით. ძალიან ვიამაყებდი ისევე, როგორც დიდი ჩარლიჩაპლინის შვილი ამაყობს თავისი მამით, რომელიც საუკუნის შემდეგაც კი ახერხებს მსოფლიოს გაცინებას. სამწუხაროდ, იპოლიტემვერ შეძლო მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო თავი, მაგრამ ეს მისი უნიჭობის გამო კი არ მოხდა, არამედ იმის გამო, რომ ცუდ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. XXI საუკუნეში რომ ეცხოვრა, ალბათ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდა და მარტო ქართველ მომავალ თაობას კი არა, მთელი მსოფლიოს მომავალ თაობას, საუკუნის შემდეგაც კი ემახსოვრებოდა მისი სახელი. მე არ ვარ უცხოელი მსახიობების ფანი, მე ჩვენი იპოლიტე მიყვარს.



იცი, ვინ მევასება? – ნოდარ გურგენაშვილისა და ბაჩო ქაჯაიას ტანდემი

P.S. ძვირფასო მკითხველებო! იაქტიურეთ და მოგვწერეთ, რომელი ცნობილი ადამიანის ინტერვიუს წაკითხვას ისურვებდით „გზის“ მომდევნო ნომერში და რა კითხვას დაუსვამდით მას? ვისთან ისურვებდით შეხვედრას და რატომ? ან სულაც, თუ მიგაჩნიათ, რომ თანატოლებისგან რაიმეთი გამოირჩევით, გაქვთ საინტერესო ჩანაწერები (დღიურები) ან თუ თქვენს სანაცნობო წრეში რაიმეთი საინტერესო, გამორჩეული ადამიანები არიან და ფიქრობთ, რომ საზოგადოებისთვის მათი წარდგენა ღირს, ჩვენ სიამოვნებით მოგისმენთ. მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com

შვილის ანდერძის აღმსრულებელი დედის საზრუნავი და ტკივილი

„ყველა აღმსარებლობის ბავშვი გვყავს“



ბერის დედა ვარ, რაც უკვე თავისთავად დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს...

ამ ქალბატონს პირველად რომ შეეხვდი, მისმა პირადმა ტრაგედიამ თავიდან ბოლომდე შექმრა. ამასთან, მისგან დედაშვილობის საოცარ ნიმუშზე შევიტყვევდით, დედა 17 წლის ტრაგიკულად აღსრულებულ შვილზე მიყვებოდა, რომელიც მძიმე სენთან ბრძოლის ურთულეს გზაზე ბერად აღიკვეცა...

შვილმა სიკვდილის წინ დედას სთხოვა — ეზრუნა იმ ბავშვებზე, რომლებიც სიმსივნით იტანჯებოდნენ... თინა ჩხვიმიანმა შვილის ანდერძი აღასრულა: თავის მეუღლესთან, ნესტორ მილორავსთან ერთად, „ბერი ანდრიას სახელობის ფონდს“ ხელმძღვანელობს.

ლალა ფაცია

— თქვენი მძიმე, სამგლოვიარო სამოსი ადამიანებს აბნევს. ბევრს სასულიერო პირი ჰგონიხართ. არადა, მართლმადიდებელი ბერის დედა ხართ, რომელიც 3 წლის წინ ტრაგიკულად აღესრულა. ქრისტიანობა ქადაგებს, რომ გარდაცვლილ ადამიანზე ჭირისუფალმა ერთ წელზე მეტხანს სამგლოვიარო სამოსი არ უნდა ატაროს. რა განაპირობებს იმას, რომ ასე ხანგრძლივად გაცვიათ ძაძა?

— დიახ, ბერის დედა ვარ, რაც უკვე თავისთავად დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს... როგორც ადრე ვიმოსებოდი (სანამ ჩემს შვილს ბერად აღკვეცებდნენ), ისე მაინც ველარ ჩავიცვამ, თუმცაღა, ერთი წლის შემდეგ, ქრისტიანმა, შვილმკვდარმა დედამ შავი ტანსაცმელი უნდა გაიხადოს.

მიუხედავად იმისა, რომ ამას ჩვენი პატრიარქიც ბრძანებს, მე ამას ვერ ვახერხებ, რადგანაც ამ სამი წლის განმავლობაში უკვე 41 ბავშვი დავასაფლავე... მათგან მეცამეტე — მამა ანდრია იყო... ესენი ის ბავშვები არიან, ვისზეც ვზრუნავდი... იმის მერე, რაც ჩემი შვილის გამო, ფეხი შევდგი დედამინაზე არსებულ ჯოჯოხეთში (ასე დავარქვი იმ ადგილს, სადაც პატარები ტკივილებისგან იტანჯებიან და რასაც „ბავშვთა ონკოლოგია“ ჰქვია) და მისი სიმძაფრეც შევიგრძენი, სხვანაირად არ შემიძლია...

სულ ახლახან კიდევ ერთი ბავშვი გარდაგვეცვალა. როგორც დედა, ახლა მას ვგლოვობ... რა იქნება შემდეგ, ვერ გეტყვით, არ ვიცი, ყველაფერი ღვთის ნებაა. ამჟამად ეს სამოსი ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა. თავს ასე უფრო მშვიდად ვგრძნობ. ყოველი ბავშვი,

რომელიც ჩვენს ფონდშია, ძალიან მიყვარს. მათზე ისევე ვზრუნავ, როგორც მამა ანდრიაზე ვზრუნავდი...

— თქვენს ფონდში მხოლოდ სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვები არიან?

— კი. ბევრს ჰგონია, რომ ლეიკემიით დაავადებული პატარებიც არიან, მაგრამ ასე არ არის. თუმცა, ჩვენ მათ თანაუგრძნობთ და მათი მდგომარეობა გვაფიქრებს. „ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ მხოლოდ სოლიდური სიმსივნით დაავადებულ პატარებზე ვზრუნავს. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს, ყველაფერი მაღალ დონეზე აქვთ მონესრიგებული. არადა, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებსაც სჭირდებათ იგივე. სახელმწიფოსგან რომ არ ჰქონდათ, სწორედ ამან განაპირობა ფონდის დაარსებაც და კიდევ — სიკვდილის წინ მამა ანდრიას თხოვნამაც, მისმა კურთხევამ, რომ ეს ბავშვები მე და მამამისს არ მიგვეტოვებინა...

— ამ სულიერი ღვანისთვის პატრიარქმა ილია II-მ ძვირფასი ბეჭდით დაგაჯილდოვათ...

— კი, ეს უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მასთან ჩვენი ფონდის დასალოცად მივედით. თან მამა ნაზარი ბასილაია გვახლდა — ღვთაების ტაძრის ბერმონაზონი. პატრიარქმა თბილად მიგვილო, მოგვეფერა და ფონდიც დაგვილოცა. მე და ჩემს მეუღლეს კი გვითხრა, — თქვენ უფლის კურთხევა გაქვთ და ჩემგან კურთხევა როგორ არ გექნებათ?! ჩვენი პატარები დალოცა — ეს უდიდესი ნუგეში იყო. საპატრიარქოში საოცარი მასპინძლობა გავგინიეს. მაგალობელთა გუნდმა იგალობა, ლექსები წაიკითხეს, ლექსებს ჩვენი ბავშვებიც კითხულობდნენ. მერე უწმინდესმა თავისთან მიხმო. მის წინაშე მუხლი მოვეყარე. მან კოლოფი გახსნა და იქიდან ბეჭედი ამოიღო, რომელიც თითზე გამიკეთა და მითხრა, — თინათინ, ამ ბეჭდით იმისთვის გაჯილდოებ, რომ ამ ბავშვებს დედობას უწევ! ეს ისეთი დიდი საჩუქარი, რომ მაშინვე ვუთხარი, — ცხოვრებაში ამაზე დიდი არაფერი მიმიღია-მეთქი... პატრიარქმა მიპასუხა, — ეს უბრალო ბეჭედი არ არის, თეთრი ოქროა ბრილიანტებით განწყობილი... ძალიან მიყვარს ეს ნივთი, რადგანაც ის ჩემთვის მხოლოდ ბეჭედი არ არის.

ერთი პერიოდი თითზე მეკეთა, ყველას თვალი მისკენ გაუბრუნდა. თან, როგორც თქვით, ბევრს მონაზონიც ვგონივარ და განცვიფრდნენ, ჩემი განკითხვაზე სცადეს: რატომ უკეთია მონაზონს ბრილიანტის ბეჭედიო?!. ამიტომ მოვიხსენი და ახლა ჩანთით დამაქვს, სულ ჩემთან არის, მათობს, მაგრამ ადამიანები რომ არ შევაცბუნო, აღარ მიკეთია.

— როგორ არსებობს თქვენი ფონდი?

— ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება. ბავშვებსა და მათ მშობლებზე ზრუნვა ჩვენი მთავარი მიზანია. როცა უკვე დიდი აუცილებლობა დადგა იმისა, რომ „ბერი ანდრიას სახელობის ფონდს“ სარეაბილიტაციო სახლი, სასტუმრო ჰქონოდა, ამაზე ზრუნვაც დავიწყეთ. მაგრამ იმას, რაც დღეს გვაქვს, სარეაბილიტაციო სახლს ვერ დავარქმევ, უფრო სასტუმროა, სადაც დაავადებულ ბავშვებსა და მშობლებს კომფორტულად ცხოვრების საშუალება აქვთ. თანხას არაფერში იხდიან, მათთვის ყველაფერი უფასოა. მხოლოდ საკუთარი პირადი ჰიგიენის ნივთები მოაქვთ.

— როგორც ვიცი, ეს ოთხსართულიანი კერძო სახლია, რომელსაც ფონდი ქირაობს, ხომ?

— დიახ, ამ სახლის დაქირავებას დამოუკიდებლად ვერ გავბედავდით, რადგანაც სოლიდური თანხა ჯდება... თავიდან ასეთი იდეა მქონდა — მომეძებნა ადამიანი, რომელსაც ვთხოვდი, ფონდისთვის 2 წლით დაეკირავებინათ სახლი.

— რატომ 2 წლით?

— რომ ამით დამენახებინა სახელ-

მნიფოსა და ადამიანებისთვის (მეც მაინტერესებდა), ეს პროექტი როგორ იმუშავებდა. დაგირავებას იმიტომ ვთხოვდი, რომ პროექტის გამოცდის შემდეგ თანხას უკან დავაბრუნებდი. ჩემი იდეის შესახებ ყველგან ვამბობდი. როდესაც მამა ნაზარი ბასილიასაც ვუთხარი, ის თავის ახლობელს დაუკავშირდა და სთხოვა, იქნებ დავეხმაროთო. შემდეგ დაგვიკავშირდნენ და გვითხეს, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც მთელი გულით

სულ ახლახან კიდევ ერთი ბავშვი გარდაგვიცვალა. როგორც დედა, ახლა მას ვვლოვობ...

მზად არის, ხარჯი გაიღოს, ოღონდ, კი არ დაიგირავებთ, დაგიქირავებთ სახლს და თანხის დაბრუნება არ უნდაო. სამწუხაროდ, ბატონმა თემურმა მხოლოდ 4 თვის თანხა გადაიხადა (მას არც ვიცნობ, არც არასდროს მინახავს, პირდაპირ სახლის მეპატრონეს უხდიდა), რადგანაც ბიზნესში პრობლემები შეექმნა (რუსეთში მოღვაწე ქართველია), ანგარიშები გაუყინეს და დახმარების გაგრძელება ვეღარ შეძლო.

— რა თანხას იხდით?

— 1.835 დოლარს. აქედან 1.500 დოლარი მეპატრონისაა, დანარჩენი — საშემოსავლო გადასახადი. მოკლედ, როდესაც დიდი გასაჭირის წინაშე დავდექით, ამის შესახებ ცნობა „ფეისბუქზე“ გამოვაქვეყნეთ. გვყავს ასევე, ფონდის მეგობარები. ესენი არიან: დიზაინერი თინათინ მალალაშვილი და თამთა დემურიშვილი, ყოფილი საკრე-

ბულოს დეპუტატი, პროფესიით ექიმი. როდესაც მათ ჩვენი პრობლემის შესახებ შეიტყვეს, ჩვენთვის სპონსორებს დაუნყეს ძებნა. თამთა დემურიშვილმა ჩვენი პრობლემის შესახებ ადამიანებს საკრებულოშიც აცნობა. მალე იქ თავდაც მივედი და თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვინიეს: საკუთარი ხელფასიდან, შემონიროლობის სახით, 4 თვის განმავლობაში ჩვენს ანგარიშზე კვებისთვის საჭირო ფულს რიცხავდნენ. ამის შემდეგ

ირაკლი შიხიაშვილი თამთა დემურიშვილის მეშვეობით დამიკავშირდა და დახმარება აღგვითქვა.

— ერთი ამბავი იყო ატენილი საკრებულოს წევრების პრემიებთან დაკავშირებით...

— საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა ირაკლიმ გამოაცხადა, რომ გასაჭირშია „ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ და დეპუტატებს ასეთი რამ შესთავაზა: მოდი, ავიღოთ პრემიები და ფონდს ჩაგურიცხოთო. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს, მაგრამ სამწუხაროდ, თანხა შემდგომ ყველამ აღარ ჩარიცხა. დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ბატონ ირაკლის, რადგანაც სერიოზული დახმარება აღმოგვიჩინა, დიდი სამსახური გაგვინია, რომ მე და ჩემი შვილები ქუჩაში არ დავრჩით...

— ის თანხა უკვე დახარჯეთ?

— ჩვენს ანგარიშზეა, მაგრამ თუ რომელიმე ბავშვს რაიმე გადაუდებელი დახმარება სჭირდება, მკურნალობისას რაღაც სხვაობა დასაფარი ან მედიკამენტი შესაძენი, იმ თანხიდან გარკვეულ რაოდენობას ამისთვისაც ვიყენებთ. თანხებთან შეხება არც მე მაქვს და არც ჩემს მეუღლეს. გვყავს ბუღალტერი, ფინანსური დირექტორი; ეს ადამიანები ჩვენთან უანგაროდ მუშაობენ, გვეხმარებიან. მოკლედ, ანგარიშზე არსებულ თანხას ნელ-ნელა ვითვისებთ.

— ამ ყველაფრის შემდეგ, თქვენი ფონდის სახელი წინა საკრებულოს პირობებში რამდენჯერმე არც ისე სახარბიელო კონტექსტში მოიხსენიეს...

— ეს ჩვენი დიდი გულისტკივილი იყო, რომ საზოგადოებამ რაღაცები სხვანაირად მიიღო. ვწუხვარ, თუ ვინმე გავალიზიანეთ და უნებლიე ცოცხალი ჩავაგდეთ, მაგრამ დიდი სურვილი მქონდა, რომ ყველას კარგად გავეგო. არადა, ბატონმა ირაკლიმ მართლა



მე და ჩემი მეუღლე მართლა გულითა და სულით ვდგავართ ამ ბავშვების გვერდით...

უდიდესი დახმარება გაგვიწია, რასაც არასასურველი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ის კი არა, ერთ-ერთ გამოცემაში ასეთი რამაც დაინერა: თითქოს მამა ანდრია ირაკლი შიხიაშვილს დაესიზმრა და სთხოვა, ფული ჩამირიცხეო... ამის ავტორს მე შევეუნდე და უფალმაც შეუნდოს, მამა ანდრიაც რომ შეუნდობს, ესეც ვიცი, მაგრამ გული მეტკინა, რადგანაც იმ ადამიანმა ვერ იფიქრა და ვერ გაიაზრა ის, თუ 17 წლის ბერზე რას წერდა. ჩემს შვილს, საკუთარი ტკივილისა და ტანჯვის მიუხედავად, თავის თავზე არასდროს უფიქრია და სიკვდილის წინ მთხოვა, სხვა ბავშვებზე მეზრუნა. ღვთის შეწევნით, არ ვიცი, დღეს ამას რანაირად ვახერხებ, მაგრამ ამ საქმეს მთელი გულით ვაკეთებ. მე და ჩემი მეუღლე მართლა გულითა და სულით ვდგავართ ამ ბავშვების გვერდით... დახმარებასა და შემწეობას მივიღებთ ყველასგან, გარდა ბოროტი ძალებისა. ჩვენ ყველას თანაბრად ვაძლევთ საშუალებას, სიკეთე გააკეთოს. ადამიანებს მათი საქმიანობით ვაფასებ. მინდა, მამუკა ქაცარავას ღვანლიც გამოვყო. მან ბევრი სიკეთე გაგვიკეთა, არაერთ ბავშვს აღმოუჩინა დახმარება, მისი მეშვეობით უცხოეთში ვამგზავრებდით პატარებს. ჩვენთვის ყველა ძვირფასია, ვინც დაგვეხმარება.

— **თამთა დემურიშვილი ახსენეთ. როგორც ირაკლი შიხიაშვილი, ეს ქალბატონიც არც ისე სასიამოვნო კონტექსტში იყო თქვენთან დაკავშირებით მოხსენიებული...**

— ამ ქალბატონმა ბევრ საჭირო ადამიანთან დამაკავშირა, ვინც შემდგომ სერიოზულად დაგვეხმარა. საკრებულოში აღბათ ვერც შევალენ-

— ჩვენთან ის ბავშვები ხედებიან, რომლებიც კიბოს კვლევის ცენტრში მკურნალობენ. სწორედ იქ ცოტა ხნის წინ უნიკალური ოპერაცია გაუკეთდა ჩვენს ერთ-ერთ შვილობილს, მეგი ხაჩიძეს. ბიჭიკო ცალუღელაშვილმა, მამუკა ჩუთლაშვილთან ერთად (ბავშვის ქიმიოთერაპევტი) გადანყვიტეს თავის თავზე აეღოთ ეს ურთულესი ოპერაცია... ამის შემდეგ ყველა მშობელს მინდა ვუთხრა: არ არის პანაცეა საოპერაციოდ მაინცდამაინც უცხოეთში გამგზავრება. თანაც, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა მეგის მიღებაზე უარი თქვეს... ბავშვს ახლა 100%-იანი გამოჯანმრთელების შანსი მიეცა. მისი მუცლის ღრუდან სრულიად ამოკვეთილი იქნა სამ კილოზე მეტი წონის სიმსივნე...

16 ბავშვი გვყავს ისეთი, ვისაც ქიმიოთერაპია სჭირდება და თვეში ერთხელ ჩამოდის ამა თუ იმ რაიონიდან.

— **ამ ბავშვების შენახვა რა თანხა გიჯდებათ?**

— 11 ბავშვის მაგალითზე დავთვალე და გეტყვით: ჩვენმა სასტუმრო-სახლმა რომ იფუნქციონიროს, ქირაც გადავიხადოთ, საკვებითაც ვუზრუნველყოთ, მკურნალობისა და მედიკამენტების საფასურიც გადავიხადოთ, ზოგჯერ დასასვენებლად წავიყვანოთ, — თვეში სულ 13.500 ლარია საჭირო, რასაც ამჟამად ვახერხებთ.

— **როგორია თქვენი სასტუმრო-სახლი?**

— ნულ სართულზე გვაქვს სატრაპეზო, პირველ სართულზე — მისაღები, სადაც ბავშვები ტელევიზორს უყურებენ; იქვეა სტუმრების მისაღები კაბინეტი. მეორე სართულზე საძინებლებია, სადაც ექვსი დედა და



ისე კი ბავშვების იქ ყოფნა ძალიან მახარებს. ჩემს შვილებზე, როგორც კრუხი, ისე ვარ გადაფარებული...

თბილისში, რადგანაც უმრავლესობა, როგორც გითხარით, რაიონიდანაა... ჩვენი ყველაზე უმცროსი შვილი 11 თვის გახლავთ... ადამიანებს ჰგონიათ, ამ სახლში რომ მოვლენ, 27-ვე იქ უნდა დახედეს. ჯერ ერთი, სახლი ყველას ვერ დაიტევს, მერე — ეს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფარი არ არის. ყველას ჰყავს მშობელი და აქვს თავისი სახლი. სასტუმრო მათ მასპინძლობას მაშინ უწევს, როცა ეს ესაჭიროებათ. თუმცა, ბავშვებს იქიდან წასვლა არ უნდათ, მაგრამ კონტაქტი ახლობლებთან ხომ არ უნდა განწყდეს?! ისე კი ბავშვების იქ ყოფნა ძალიან მახარებს. ჩემს შვილებზე, როგორც კრუხი, ისე ვარ გადაფარებული... ცოტა ხნის წინ 2 კვირით დასასვენებლად მეუფე დემეტრემ ქობულეთში მიგვინვია. ამ დაავადების დროს მზის სხივები მავნებელია, მაგრამ ისინი იქ გასართუჯად ხომ არ ჩავყავს, უბრალოდ, ამ სიხარულს ვერ მოვაკლებთ. ადრე ბათუმშიც იყვნენ... აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა აღმსარებლობის ბავშვი გვყავს და თითოეულს თანაბრად ვუნანილებთ სიტბოს. რამდენიმე მოისურვა და გავაქრისტიანეთ კიდევ. მოკლედ, უფლის შეწევნით, ასე ვცხოვრობთ და ვარსებობთ...

ეს სახლი მათთვის საჭიროა, რადგანაც ქიმიოთერაპიაზე, როგორც სასჯელის მოსახდელად, ისე მიდიან, სახლში კი ამის შემდეგ შვიბას პოულობენ

ვდი და იმ ადამიანების დახმარებას ვერც მივიღებდი, რომ არა თამთა. მან გამაცნო ზაზა გაბუნიაც და სწორედ მისი ინიციატივით მოხდა შემდგომ, კვების თანხით ჩვენი უზრუნველყოფა. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ თამთა დემურიშვილს არანაირი შეხება არ აქვს „ბერი ანდრიას ფონდის“ თანხებთან.

— **დღეს რამდენი ბავშვი გყავთ?**

— ფონდი ამჟამად 27 ბავშვზე ზრუნავს.

— **როგორ ხვდებიან თქვენთან ისინი?**

ექვსი ბავშვი კომფორტულად არიან მოთავსებული. მესამე სართულზე დიდი სათამაშო ოთახია. გვაქვს პატარა ეზო, რომელიც მოვანესრიგეთ. მოლი დავაგეთ, ყვავილები დავრგეთ, რომ სულიერადაც დაისვენონ. ისე უხარიათ, სასტუმროში რომ მოდიან!.. ეს სახლი მათთვის საჭიროა, რადგანაც ქიმიოთერაპიაზე, როგორც სასჯელის მოსახდელად, ისე მიდიან, სახლში კი ამის შემდეგ შვიბას პოულობენ. მათ იციან, რომ აქეთ ორი სახლი — ერთი — საკუთარი და მეორე — ეს,



ბიბლუსი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

<http://svetnov.wordpress.com/>
gza.fantazia@gmail.com

სვეტა კვარაცხელია

დასაწყისი ნი. „მზა №28-33“

იმ დროისთვის, „სქეპირის“ შესასვლელს რომ მივადექით, რიკისგან უკვე მქონდა გარკვეული ინფორმაცია — სტუმართა დაახლოებით მონაცემები და აღწერილობა, ვინ როგორ გამოიყურებოდა და ვის რა თანამდებობა ეკავა. ჰოდა, ვიჯექი მანქანაში და გონებაში ვხარშავდი მიღებულ ინფორმაციას: ხუთი ოჯახური წყვილი, მათ შორის კომპანიის მთავარი ხერხემალი ჯონათან გრიტი მეუღლითურთ, რომელთაც ახლახან შეიღობილი შეეძინათ.

— აი, ამოუნურავი თემა მათთან სასაუბროდ, — საქმიანად აღნიშნა რიკმა.

მძლოლმა კარი გამიღო, რიკი კი გადმოსვლაში მომხმარა.

— როგორც შევთანხმდით, ბობ! სამ საათს არ გადააცილო. თუ უფრო ადრე დამჭირდი, დაგიკავშირდები! — უთხრა მძლოლს, ხელი ჩამკიდა და რესტორანში შემიძღვა.

სამი საათი! როგორც ჩანს, გრძელი ღამე მელის! — ცოტა არ იყოს, შევშოთიდი, მაგრამ შიგნით შევედი თუ არა, ისე გამიტაცა იქაურმა ატმოსფერომ და დარბაზის თვალიერებამ, ყველაფერი გადამავიწყდა. თვალს ვერ ვაშორებდი ინტერიერს, შემდეგ ხალხს დავუწყე „დაზვერვა“. ამასთან, ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ბუნებრივად დამეჭირა თავი, აცაბაცა არ დამეწყო ყურება, ტყიდან გამომხტარი ველურივით. რიკი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. ის ერთ-ერთ მაგიდასთან შეჩერდა. აქედან რესტორნის მთელი ხედი იშლებოდა, ყველა მხარე ჩანდა, თავისი სცენითა და საცეკვაო მოედნით. რიკმა სკამი გამოსწია და დამსვა. დამჯდარი არ ვიყავი, რომ ჩემ გვერდით ოფიციალტი გაჩნდა, რომელმაც კოქტილ-ბარის მენიუ მომაჩჩა ხელში. ფრთხილად გადავშალე მენიუ



სახიფათო სურვილები

და ყველაზე უწყინარი კოქტილის ძებნას შევუდექი. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ დავთვრე, ისედაც რთული ღამე მელოდება წინ.

— თუკი განსაკუთრებული რამე არ გაქვს ჩაფიქრებული, მატონიზებელს გირჩევ, — ჩუმად გადმომილაპარაკა რიკმა.

— შესანიშნავია, — მამიდაჩემის საყვარელი სიტყვა გამოვიყენე და გავუღიმე. როგორც კი რიკი ბარისკენ წავიდა შეკვეთის მისაცემად, კვლავ ჩავრგე თავი მენიუში, რათა მენახა, რა ინგრედიენტებისგან მზადდებოდა კოქტილი, რომელიც მან მირჩია. ლიმონის წვენი, შაქარი, შამპანური და ლიმონის ნაჭერი. „მე როგორ ვერ შევამჩნიე აქამდე ეს? გამოშტერებული!“ — დავტუქსე საკუთარი თავი.

სხვებთან შედარებით, საბავშვო სასმელია და მეტი არაფერი, თუ შამპანური არ ჩავთვლით.

რიკი კოქტილის ფუჟერებით დაბრუნდა და ერთი ცალი გამომიწოდა. მადლობის გამომხატველი ლიმილით ჩამოვართვი.

— ილბლიანი ღამისა იყოს! — გავიხუმრე.

— ილბლიანი ღამისა და ჩემი თანმხლები! — დაამატა მან.

სანამ პირველ ყულუს მოვსვამდი, კიდევ ერთხელ გავუღიმე ჩემს „დამქირავებელს“. ოოო, მშვენიერი რამ ყოფილა ეს სასმელი, იმედი არ გამიცრუა. აი, თურმე რატომ ილტივიან აქეთკენ მდიდარი და ცნობილი ადამიანები. უმაღლესი ბარმენები ჰყოლიათ, ნამდვილი პროფესიონალები!

— რა კარგად თქვი წელან, ლამაზი სადღეგრძელო იყო, — აღნიშნა რიკმა.

მისი ნათქვამი სრულიად ჩვეულებრივი წინადადება იქნებოდა, მის თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები რომ არ გამკრთალიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას მოეწონა დასაწყისი. როგორც ჩანს, კმაყოფილია იმით, როგორც ვიტყვევი. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა. რაც უნდა, ის თქვას. გადავწყვიტე, გამეტარებინა მისი ირონიული ტონი და ისეთი სახე მი-

მელო, თითქოს ვერ მივუხვდი.

— მადლობა! — თავი ოდნავ დავხარე. — ბრწყინვალე ადგილი! ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს გადასალებს მოედანზე ვიმყოფებით.

რიკმა ისეთი სისწრაფით გადაკრა სასმელი, თვალი ვერ მივაღვენი.

— გავიმეოროთ? — და ცარიელი ფუჟერი მაღლა ასწია.

— არა, ჩემთვის ჯერჯერობით საკმარისია, — მივუგე და თვალი ჩემი ფუჟერისკენ გავაპარე, რომელიც თითქმის სავსე იყო.

ნელსონმა საჩვენებელი თითი ჰაერში ასწია და მიმტანი უცებ გაჩნდა ჩვენ გვერდით. რიკმა კიდევ ერთი შეუკვეთა. ამასობაში მისმა სტუმრებმა იწყეს მოსვლა. ცოტათი დავიძაბე. უცხოდ ვგრძნობდი თავს და მეხამუშებოდა, სრულიად უცნობ ადამიანებთან ერთ მაგიდასთან რომ მიწევდა ჯდომა, მაგრამ დაძაბულობამ თანდათან გამიარა, რადგან ყველა მათგანი ძალიან უბრალო და გახსნილი აღმოჩნდა. ძალიან საყვარლები იყვნენ, არანაირი საბაბი არ მქონდა, უხერხულად მეგრძნო თავი. ერთადერთი ადამიანი, ვინც არ მომეწონა, ჯონათან გრიტი იყო, რომელიც ცოლის მაგივრად, ქერთანთან ახალგაზრდა გოგონასთან ერთად მოვიდა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ილიმოდა, ხმას კი არ იღებდა. ალბათ ისიც, როგორც მე, თანმხლებად იყო დაქირავებული.

როცა ყველამ გასინჯა საფირმო კოქტილი, სხვა მაგიდასთან მოგვიწია გადასვლამ, რომელიც სცენასთან უფრო ახლოს იდგა და პურმარლით იყო სავსე. ეჰ, საქართველოს არაფერი ჯობია. რა საჭიროა ორი მაგიდის გამოცვლა, როცა ერთზეც მშვენივრად შეიძლება მოლხენა? ყველა ქვეყანას თავისი წესები აქვს.

ცოტა ნავიკიკენ, რადგან მეშინოდა, არაფერი შემშლოდა. აქ ყველა კერძს თავისი „იარაღი“ ჰქონდა, მე კი ყველას სათანადოდ გამოყენება არ ვიცოდი. კიდოდ არც მშობოდა. თან ისეთი დარგი მოუ გამართეს მუსიკოსებმა, რომ მათ მაცურებელს

ნაკლებად მოუნდებოდა მუცლის ამოყოფა.

ერთი სიტყვით, სანახაობით დავტყვი. მაგიდა მრგვალი ფორმის იყო, რაც საშუალებას იძლეოდა, ყველას მიელო საუბარში მონაწილეობა. თემები სწრაფად იცვლებოდა, სტუმრები ერთმანეთს უდიოდნენ. ძალიან მალე იმასაც მივხვდი, რომ რიკმა სუფრის წევრების მოხიზვლა წამში შეძლო. მას უდიდესი ყურადღებით უსმენდნენ, მის ხუმრობებზე იცინოდნენ. გაოცებული ვიყავი მისი ნიჭიერებით. როგორ ოსტატურად ახერხებდა მისთვის ჯერ კიდევ უცხო ადამიანების ყურადღების მიპყრობას. ვატყობდი, ყველა დადებითად განეწყობოდა მის მიმართ.

ბოლოს დესერტი და ყავა შემოიტანეს. სინანულით ამოვიოხრე: ეს ალბათ იმას ნიშნავდა, რომ სალამო დასასრულს მიუახლოვდა. კიდევ ერთხელ მიმოვიხედე და მოულოდნელად ჯონათანის გაბრაზებულ და უკმაყოფილო სახე მომხვდა თვალში. ის გარეთ იყო გასული და ბრუნდებოდა. როგორც ჩანს, ჩემი მზერა იგრძნო, თვითონაც შემომხედა და ნაძალადევად გამიღიმა. ღმერთო, რა ყალბი იყო ეს ღიმილი!

ნეტავ, რა ენყინა? როგორც ჩანს, რიკი დიდად არ მოსდის თვალში. რა ჩაიფიქრა? ამის გაფიქრებაზე შევეკრთი და გამაჟრჟოლა. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. შევეცადა, სხვა რამეზე გადამეტანა ყურადღება, რადგან ეს სულაც არ იყო ჩემი საქმე. ან კი რა მანაღვლეობდა, ეს ერთი ღამე და მერე ველარასდროს ვნახავდი ამ სტუმართაგან ვერც ერთს, მათ შორის რიკსაც. ამიტომაც არ უნდა მენერვიულა მათ უთანხმოებაზე.

თითქოს იგრძნო ჩემი ხასიათის ცვალებადობა, რიკი ჩემკენ გადმოიხარა და ხელზე ხელი წამავლო.

— კარგად ხარ? ცოტათი მაინც გამხიარულდი? მოგწონს სალამო?

მისი შეხებისას ლამის შევხტი, ისე დამბურძგლა მთელ სხეულზე. მინდოდა, ხელი გამომენია, მაგრამ ვერ გავბედე. სისულელე იქნება ასე მოქცევა, რას იფიქრებს! არადა, რას განვიცდი? მე ხომ სრულებით არ ვიცნობ მას? დიდი ამბავი, ხელი თუ შემახო!

— გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა, — დავიჩურჩულე.

როგორც კი შევატყვევ, რომ ხელის გაშვებას არ აპირებდა, მოხერხებულად გამოვითავისუფლე თითები და ვითომ ძალიან მჭირდებოდა, ხელსანმენდს გადავწყვიდე.

ძალიანაც კარგი, თუკი მიხვდა,

ეს მანვერი რატომაც გავაკეთე. არ მალელებს, რა გაიფიქრა.

— წამოდი, ვიცეკვოთ! — მითხრა და სანამ უარს ვეტყვოდი, ხელი მაჯაში ჩამავლო და საცეკვაო მოედნისკენ გამიტაცა, თან სტუმრებს გასძახა:

— ვისაც გასურთ, შემოგვიერთდით!

სულ რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. ირგვლივ წელი მუსიკის ჰანგები იღვრებოდა, რაც რომანტიკულ განწყობას ქმნიდა. რიკი ისე ახლოს იყო ჩემთან, მისი ლოსიონის სურნელს ვგრძნობდი, გაპარსვის შემდეგ რომ ხმარობენ მამაკაცები.

რალაც უნდა მეთქვა, რათა ზედმეტად ინტიმური ატმოსფერო განმემუხტა და თავი ავნიე. სიტყვები ყელში გამეჩხირა, როცა მის მზერას წავაწყდი. თითქოს ჩასაფრებული იყო და მხოლოდ ამას ელოდაო, და-

კაცური ხიბლი მაგნიტივით მოქმედებდა ჩემზე. არ შემეძლო შევბრძოლებოდი იმ გრძნობას, რომელსაც იგი ჩემში ინვევდა.

— არ გეთანხმები, — მსუბუქად მითხრა, — თუმცა კაბა მართლაც თვალისმომჭრელია.

ძლივს მოვაცილე მზერა მის უცნაურად ლურჯ თვალებს და განზე გავიხედე.

— ეს კაბა მაჩუქეს. არაფერი მქონდა ისეთი, რომ ამ სალამოს ჩამეცვა.

სწორი გადაწყვეტილებაა, ყოჩაღ, კატო! საჭიროა, აგრძნობინო, რამხელა უფსკრულია თქვენ შორის!

— ვინ გაჩუქა, თუ საიდუმლო არ არის? — ისეთი ინტიმური ხმით ჩამჩურჩულა, თავბრუ დამეხვა.

— რა? — დაბნეულმა ავხედე.

— ვინ გაჩუქა-მეთქი? — კიდევ უფრო ჩუმად მკითხა. სახის გამო-



ყინებით ჩამაშტერდა თვალეში, თან ჩამჩურჩულა:

— ძალიან ლამაზი და სექსუალური ხარ, კეიტ.

გულის ყრუ დარტყმებმა მიმახვედრა, რომ საშიშროების წინაშე ვიდექი.

— ეს მხოლოდ კაბის ბრალია, მე არაფერ შუაში ვარ, — შევეცადა, ხმა არ ამკანკალებოდა და მშვიდი ტონით წარმომეთქვა.

შემფასებლური მზერა მომავლო, რამაც მუხლები ამიცახცახა. ოღონდ ეს არ შეემჩნია! მისი საოცრად მამა-

მეტყველება შეეცვალა, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ.

— მამიდა ჯულიმ, — დავაკონკრეტე.

— ჯული? — გაიკვირვა.

— ჯულიამ, — შევასწორე და მამიდაჩემის სახელის ინგლისური ვარიანტი ამოვთქვი.

— მამიდამ... ეს იგი, მამიდამ და არა — თავყანისმცემელმა? — სახე გაუნათდა და კიდევ უფრო მჭიდროდ მიმიკრა მკერდზე.

— თავყანისმცემელმა? — ნარბეზი შევჭმუხნე. — ეს როგორ იფიქრე

ჩემზე? — უფრო და უფრო ვუთამამდებოდით ერთმანეთს.

— რა ვიცი, ყველაფერი ხდება... — მშრალად გამომეპასუხა.

— მსგავს საჩუქრებს არ ვიღებ მამაკაცებისგან! — თვალელები დავაბრიალე.

— მიხარია ამის მოსმენა!

როგორ დამცინის! არ ვუყურებდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ირონიულად იღიმოდა.

— სხვათა შორის, აჯობებს გამიშვა, ნელი ცეკვა უკვე დამთავრდა, — მაშინვე ვუთხარი, როგორც კი მუსიკამ აუჩქარა.

— აჯობებს, მაგრამ არ მინდა გაგიშვა, — ჩემს ზურგზე დანყობილი თითები მუსიკის რიტმზე აათამაშა.

— ხალხი გვიყურებს...

— დაე, გვიყურონ! — მან თავი დახარა და ოდნავ შემეხო ტუჩებზე.

კიდევ... კიდევ მეგონა, რომ ნამდვილი ინგლისელ ჯენტლმენტან მქონდა საქმე.

რიკმა ჩაიცინა და ყოველგვარი შეცბუნების გარეშე მიპასუხა:

— შეცდი.

მის სიტყვებზე, სავარაუდოდ, უნდა გავბრაზებულიყავი, მაგრამ ამის მაგივრად, თავი ვერ შევიკავე და გამეღიმა.

— მაშინ, გარკვეული „თეზისების“ განხილვა მოგვიწევს, — გამოვუცხადე.

— შესანიშნავია! საინტერესო მოსასმენი იქნება, დაიწყე! — დაყენებული თავი ზიანობით მიპასუხა.

— მე შენი წინადადება მივიღე იმ პირობით, რომ აქ მოვსულიყავი...

— როგორც ჩემი გოგონა, — დამეხმარა წინადადების დამთავრებაში.

— როგორც შენი თანმხლები პი-

ბით აკვირდებოდა, — დღეს შენ ჩემი თანმხლები ხარ, თუკი ასეთი „წოდება“ უფრო გსიამოვნებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავს რამით შევიზღუდავ.

ღმერთო ჩემო! მთლად ქართველი კაცივით ლაპარაკობს! ნუთუ მართლა ყველა კაცი ერთნაირია?! — გული გამაღებით მიცემდა.

ამასობაში მუსიკა დამთავრდა და სწორედ ამ დროს ჩვენს სიახლოვეს ჯონათანი შევნიშნე თავის ქერათმიან „ნაშასთან“ ერთად. მამაკაცი თვალს არ გვაშორებდა, ისეთი დაჟინებული მზერით მოგვშტერებოდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, თავი ხელში ამეყვანა. რიკის მკლავებს დავუძვეერი და განზე გავდექი:

— თუ წინააღმდეგი არ ხარ, მაგიდას დავუბრუნდები.

— რა თქმა უნდა, — როგორც გალანტურმა კავალერმა, ხელი ჩამკიდა და სუფრასთან მიმაცილა.

ნუთუ კომპანიის „ხერხემალს“ ჩვენი საუბარი ესმოდა? ვცდილობდი, გონებაში აღმედგინა ჩვენი დიალოგის ყველა დეტალი, რათა მივმხვდარიყავი, რა დასკვნის გამოტანა შეეძლო ჯონათანს აქედან, მაგრამ მუსიკა და სუფრის ნევრების ხმაური ფიქრში ხელს მიშლიდა. როცა სხვა გზა არ დამჩნა, ყველას ბოდიში მოვუხადე და ტუალეტისკენ ავიღე გეზი, თან ვცდილობდი, რიკის მხარეს არ გამეხედა.

ძალაგამოცლილი, შესასვლელში დივანზე დავეხეთქე და სული მოვითქვი. მერე სარკეში ჩავიხედე და ჩანთიდან პომადა ამოვიღე, ტუჩები რომ შემელამაზებინა.

ვაითუ, ჯონათანმა იფიქრა, რომ რიკმა რომელიმე სააგენტოს მეშვეობით დამიქირავა? ლონდონში ხომ ბევრი სააგენტოა, სადაც გოგონებს ესკორტისთვის ქირაობენ! ამ აზრმა უსიამოვნოდ შემიფრთხილა გული. მაგრამ არა უშავს. ამ ღამეს როგორმე გადავიტან, ხვალისთვის კი ვერასდროს ვნახავ ვერც ერთს და ვერც — მეორეს. რა მნიშვნელობა აქვს, რას იფიქრებენ ჩემზე ამნუთას ან თუნდაც ხვალ? რატომღაც, თავიდანვე ანტიპათიურად განვეწყვე მაგ კაცის მიმართ. რატომ გვაყურადებდა? რა უნდოდა? რა მისი საქმე იყო, მე და რიკი რაზე ვსაუბრობდით?

თან ვბრაზობდი, თან ვამშვიდებდი თავს. არ იღვლოვ, კატო! შეასრულე ის, რასაც დაჰპირდი. ცოტა ხანში შენ ნახვალ და ეს საღამო ცუდი სიზმარივით დამთავრდება. თანაც ნახვალ ტაქსით და არა — რიკის მანქანით.

მისი ბოლო განცხადებების შემ-



— ახლა მაინც გაუჩნდებათ სალაპარაკო.

ამ შეხებას კოცნა არც ეთქმოდა, მაგრამ ისე დამახვია თავბრუ, ლამის წავბარბაცდი. ტუჩები იმდენად გამიხურდა, იძულებული გავეხდი, გამელოკა.

— ძალიან გთხოვ, ასე მეტად აღარ მოიქცე, — მტკიცე ხმით ვუთხარი, როცა გონს მოვეგე, — ასეთ რამეებზე არ შევთანხმებულვართ.

— საერთოდ, არც არაფერზე შევთანხმებულვართ, როგორც მახსოვს, — ნიშნის მოგებით დამხედა.

მოვიღუშე და წარბშეკრულმა მივუგე:

— იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ამის საჭიროება არ არსებობს-მეთქი და

რი, — ხაზგასმით შევუსწორე, — რაც მინიმალურ ფიზიკურ კონტაქტს გულისხმობს.


— და ამაზე რას იტყვი? ამნუთას რას გრძნობ? — მკითხა და თითები ვნებიანად ააყოლა ჩემს ზურგს მანამ, სანამ კაბის ჭრილს არ გასცდა და თითები შიშველ კანს შეახო. მეგონა, ცეცხლი წამეკიდა.

— ვერავითარ ინტიმურობას, — რაც შეიძლებოდა ბუნებრივად ვუპასუხე, მაგრამ ნათქვამს მაშინვე ოხვრა მოვაცოლე, შეკავებული სუნთქვისთვის გზა რომ მიმეცა.

თავდაჯერებით გადააქნია თავი.

— ვერაფრით დაგეთანხმები, — მისი თითები უფრო გათამამდნენ, თავად კი ჩემს რეაქციას ყურადღე-

ალექსანდერ რარი



ვლადიმირ პუტინი: „ბერბანდი“ კრემლში

ნაწყვეთები წიგნიდან ბაბრძალაძე. დასაწყისი ის. „გზა №19-33“

უნდა ითქვას, რომ პუტინმა თავიდანვე მცდარი წინაარჩევნო სტრატეგია აირჩია. როგორც ჩანს, სობჩაკის მოადგილე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის შეფს ყველაზე დიდი საფრთხე რადიკალი დემოკრატების მხრიდან ემუქრებოდა და მთელი ყურადღება მათ ყველაზე გამოკვეთილ წარმომადგენელზე — ქალაქის ადმინისტრაციაში გამეფებულ კორუფციასთან შეუპოვარი მებრძოლისა და კრიტიკულად სუფთა ადამიანის იმიჯის მქონე ახალგაზრდა და ენერგიულ იური ბოლდირევზე გადაიტანა. სობჩაკის მეორე კონკურენტს — თავის ყოფილ თანამშრომელს ვლადიმირ იაკოვლევს კი, რომელიც წინასაარჩევნო მარათონში აქტიურად ჩასაბმელად მერის მოადგილის პოსტსაც კი შეეღია, არცთუ ისე სერიოზულად მოეკიდა. სობჩაკმა და პუტინმა იაკოვლევს საქციელი ღალატად აღიქვეს და მის მიმართ სიძულვილს უკვე აშკარად გამოხატავდნენ. ვიცე-მერმა ყოფილ კოლეგას „იუდაც“ კი უწოდა. თუმცა იაკოვლევმა კარგი მეურნის იმიჯის მორგება და ამომრჩეველთა უმეტესობის მიმხრობა მაინც მოახერხა.

ამასობაში წინასაარჩევნო კამპანიაში მოსკოველი მაღალჩინოსნები

ჩაერივნენ და 1995 წლის სათათბიროს არჩევნებში დახმარებისთვის ჩერნომირდინმა სობჩაკს ღიად დაუჭირა მხარი. ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, სობჩაკი პუტინის ხელმძღვანელობით მოქმედი „სახელისუფლებო პარტიის“ რეგიონული განყოფილების შემადგენლობაშიც კი შევიდა. მაგრამ ვერც სობჩაკი და ვერ პუტინიც ვერაფრით წარმოადგენდნენ, რომ როგორც მთელი საარჩევნო კამპანიის, ისე უშუალოდ მათი ბედიც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. რუსეთის პრეზიდენტთან ლამის ყველაზე მეტად დაახლოებული სამი ადამიანი — მისი უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ალექსანდრ კორჟაკოვი, პირველი ვიცე-პრემიერი ოლეგ სოსკოვეცი და უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი მიხაილ ბარსუკოვი უკვე გამალებით ეძებდნენ ავადმყოფი ელცინის შემცვლელ ღირსეულ მემკვიდრეს. არადა, თავად ელცინი იმხანად საკუთარი საარჩევნო კამპანიის ჩატარებით იყო დაკავებული, თუმცა, მის გარემოცვაში უკვე სხვებსაც საფუძვლიანად ეპარებოდათ ეჭვი, შეძლებდა კი ეს ხანდაზმული და ავადმყოფი ადამიანი ქვეყნის შემდგომ მართვას? ასე რომ, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ და, რაც მთავარია, ჩერნომირდინის საპირწონედ, რომელიც საპრეზიდენტო ამბიციებს აღარ მალავდა, არჩევანი ტექნოკრატ სოსკოვეცზე შეჩერდა. კორჟაკოვთან, ბარსუკოვთან და გენერალურ პროკურორ ალექსეი ილიუმენკოსთან ახლო ურთიერთობა სოსკოვეცს რუსეთის ფედერაციის ისეთი ძალოვანი სტრუქტურების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების საშუალებას აძლევდა, როგორც პრეზიდენტის პირადი დაცვა, უშიშროების ფედერალური

სამსახური და პროკურატურის ორგანოები იყო.

ზემოთ ნახსენებ სამეულს რეგიონებში ერთგული მოკავშირეები სჭირდებოდა. ზედმიწევნით დამოუკიდებელი და რეფორმატორული მიდრეკილებების მქონე სობჩაკი კი ამ როლს არაფრით მიესადაგებოდა. კრემლის ინტრიგანები ხვდებოდნენ, რომ გუბერნატორის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში სანქტ-პეტერბურგის მერი რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული ოპოზიციის ყველაზე პერსპექტიული კანდიდატიც გახდებოდა. და ეს რომ არაფრით დაეშვათ, კორჟაკოვმა, ბარსუკოვმა და სოსკოვეცმა იაკოვლევს ღიად დაუჭირეს მხარი. მათ შეუერთდა მოსკოვის ყოვლისშემძლე მერიც, რომელსაც, ადრე თუ გვიან, გაპრეზიდენტების იმედი ჰქონდა და იაკოვლევს პოტენციურ მოკავშირედ მიაჩნდა.

კრემლისა და მოსკოვის მერიის მიერ ხელგაშლილად გამოყოფილმა სახსრებმა ვლადიმირ იაკოვლევს თავის საარჩევნო კამპანიაში გამოცდილი პოლიტიკენოლოგიების ჩაბმის საშუალება მისცა. სობჩაკს კი არჩევნებამდე დარჩენილ ორ კვირაში საარჩევნო ფონდში თანხაც კი აღარ დარჩა. თანაც, მოულოდნელად ისიც გაირკვა, რომ ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარი თანხებაც (1995 წელს გატარებულმა საგადასახადო რეფორმამ სანქტ-პეტერბურგს შემოსავლების მესამედი ჩამოაჭრა) ასევე გამოლეულიყო.

პუტინი გრძნობდა, რომ ცოტაც და, ნერვები უმტყუნებდა. თუმცა, წონასწორობიდან მასზე არანაკლებად გამოსულ სობჩაკს მაინც ამშვიდებდა და იმასაც მტკიცედ ჰპირდებოდა, — ქალაქის ქონების



სამეულს რეგიონებში ერთგული მოკავშირეები სჭირდებოდა. ზედმიწევნით დამოუკიდებელი და რეფორმატორული მიდრეკილებების მქონე სობჩაკი კი ამ როლს არაფრით მიესადაგებოდა

პრივატიზაციით გამდიდრებულ ბიზნესმენებს ჩვენი ერთგულების ფიცს საჯაროდ დავადებინებო. მართლაც, მან სახელმწიფო აგარაკზე „თეთრი ლამები“ ყველა ნაცნობი მსხვილი მენარმე შეკრიბა, შექმნილი სიტუაცია დრამატულ ფერებში აუნერა და სობჩაკის საარჩევნო კამპანიის მატერიალური მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მაგრამ ქალაქის ყველაზე მდიდარმა, ე.წ. „ახალმა რუსებმა“ პუტინის ფულის გაღებაზე ცივი უარი სტყვიეს.

ამის შემდეგ ვიცე-მერმა „მცირე და საშუალო მენარმეობის დახმარების კონგრესში“ გაერთიანებულ საშუალო კლასის წარმომადგენელთა დახმარებაზე დათანხმება სცადა. სწორედ ამ მიზნით მოაწყო „მრგვალი მაგიდა“, რომელზეც საპროგრამო სიტყვით სობჩაკი უნდა გამოსულიყო. მაგრამ სანქტ-პეტერბურგის ჭირვეულ მერს უბრალოდ დაავიწყდა ამ მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მისვლა და ამით მარტო შეკრებილებს კი არ წაართვა მისი მჭევრმეტყველებით დატკობის საშუალება, არამედ საკუთარი პოლიტიკური მომავლის გადარჩენის ბოლო შანსიც ხელიდან გაუშვა.

გაცოფებული პუტინი ადგილს ველარ პოულობმა. სობჩაკის მოსასმენად შეკრებილი ბიზნესმენები კი აღშფოთებულს ველარ ფარავდნენ. ხოლო როცა საქმე იქამდეც მივი-

აგროვებდა; მე კი, — ხაზს უსვამს იგი, — სანყის ეტაპზე შეგნებულად არაფერში ვმონაწილეობდი, რადგან თანამედროვე პოლიტიკური ტექნო-

მონაწილეების აზრით, პუტინი კრიმინალური წარსულისა თუ ანწყოს მქონე ბიზნესმენებისთვის დახმარების თხოვნას დიდად თითქოს,



ორმოცდათვრამეტი წლის სობჩაკმა ასეთ ზეწოლას ვეღად გაუძლო და გულის შეტევა პირდაპირ დაკითხვაზე დაემართა. ერთი თვის შემდეგ ლუდმილა ნარუსოვამ ქმრის საზღვარგარეთ გაყვანა მოახერხა

ლოგიების არაფერი გამეგებოდა და მერის საარჩევნო შტაბს მხოლოდ მეორე ტურის წინ ანუ მაშინ ჩავუდექი სათავეში, როცა საქმის შველა თითქმის შეუძლებელი იყო.

დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ არჩევნების გადატანა სერიოზული შეცდომა იყო. ვლადიმირ

არც უკადრისობდა. მაგალითად, „რუსული ვიდეოს“ პრეზიდენტი მას ადგილობრივ ტელეარხზე სობჩაკის ფართო სარეკლამო კამპანიის ორგანიზებას დაჰპირდა, ოღონდ სანაცვლოდ, ქალაქის ადმინისტრაციას 300.000 დოლარის კრედიტის მიღებაში „ხელის ნაშეველება“ მოსთხოვა, ხოლო როცა მოსკოვის პირდაპირი მითითებით, „რუსული ვიდეოს“ ოფისში საგადასახადო პოლიცია შევიდა, კრედიტის გამოყოფასთან დაკავშირებული ამბავი ყველა მისმა ფიგურანტმა უმაღლეს დივიზიას. თუმცა, პუტინის არაკეთილმოსურნეები შემდგომშიც ჯიუტად ირწმუნებოდნენ, რომ ის ამ კომპანიის ერთ-ერთი აქციონერი იყო. ასევე დადიოდა ხმები, რომ პუტინი თავის დროზე „კაგებეს“ მიერ შექმნილი და ჩვენს დროშიც წარმატებით მოქმედი ყალბი ფირმების საშუალებით (ერთ-ერთ მათგანში მისი ყოფილი პირადი მცველები — ზოლოტოვი და ტუეკოვიც მუშაობდნენ), სანქტ-პეტერბურგის მაფიას სხვადასხვა აფერის წარმატებით მოგვარებაში ეხმარებოდა და თვითონაც კარგად ხეირობდა. მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი ვერავინ წარმოადგინა.

იმ წლებში რუსული პრესა საკმაოდ ბევრს წერდა ძალოვანი სტრუქტურების კორუმპირებულ ნაწილთან და ფინანსურ ოლიგარქიასთან ორგანიზებული დანაშაულის შერწყმის თაობაზე. ჯერ კიდევ სობჩაკის დროს

დადიოდა ხმები, რომ პუტინი თავის დროზე „კაგებეს“ მიერ შექმნილი და ჩვენს დროშიც წარმატებით მოქმედი ყალბი ფირმების საშუალებით (ერთ-ერთ კმეარბურგის მაფიას სხვადასხვა აფერის წარმატებით მოგვარებაში ეხმარებოდა

და, რომ ქალაქში ცნობილმა დანაშაულებრივმა ავტორიტეტმა მათ თავხედურად შესთავაზა, ჩემ მიერ „სობჩაკის მხარდასაჭერად“ შექმნილ ფონდში 2.000-2.000 დოლარი შემოიტანეთო, „მონასტერი“ საბოლოოდ აირია. პუტინის ერთ-ერთი მეგობარი მოგვიანებით იხსენებდა, — იმ დღეებში დასაძინებლად დანოლილი ვლადიმირი გვერდით დატენილ იარაღს იღებდაო.

ნიგში — „პირველ პირში“ პუტინი ყველანაირად ცდილობს, საკუთარ თავს ნაკლები ჩრდილი მიაყენოს და ამ მოვლენას ცოტა სხვანაირად აღწერს. მისი თქმით, სობჩაკი თვითონ აწარმოებდა თავის საარჩევნო კამპანიას და სახსრებსაც თვითონვე

იაკოვლევმა მარჯვედ ისარგებლა მოწინააღმდეგეების შეცდომებითა და ჩავარდნებით, თავად ყველა აუცილებელი ნაბიჯი წინდახედულად გადადგა და მართალია, მხოლოდ მეორე ტურში და ხმათა უმნიშვნელო უპირატესობით, მაგრამ გამარჯვებას მაინც მიაღწია. ნებისმიერი სიძნელის მიუხედავად, დასახული მიზნის მიღწევას შეჩვეულ პუტინს კი დამარცხებასთან შეგუება მოუხდა. და როცა ახალარჩეულმა გუბერნატორმა, შერიგების ნიშნად, უწინდელ თანამდებობაზე დარჩენა შესთავაზა, გაცოფებულმა უპასუხა: „ჯობს, ერთგულებისთვის ჩამოშკიდონ, ვიდრე ღალატისთვის დამაჯილდოონ!“

საარჩევნო მართონის დანარჩენი

სანქტ-პეტერბურგში რამდენიმე გახმაურებული შეკვეთილი მკვლელობა მოხდა, რომელიც ვერც მილიციამ და ვერც უშიშროების ფედერალური სამსახურის ქალაქის სამმართველომ ვერ გახსნა, რომელსაც პუტინის ახლო მეგობარი ვიქტორ ჩერკესოვი ედგა სათავეში. მაგალითად, 1994



1995 წლის სათათბიროს არჩევნებში დახმარებისთვის ჩერნომირდინმა სობჩაკს ღიად დაუჭირა მხარი

ნელს, საწარმოო გაერთიანება „საადმირალო ქარხნის“ დირექტორის მოადგილემ ჩამონერილი წყალქვეშა ნაგებობის საზღვარგარეთ არაღელვარულად გაყიდვაში (როგორც ჩანს, მსგავს კრიმინალურ ბიზნესთან მერიის მაღალი რანგის ჩინოვნიკები იყვნენ დაკავშირებული) მონაწილეობა აღარ ისურვა და მაშინვე სიცოცხლეს გამოსალმეს. იმ წლების სანქტ-პეტერბურგში დანაშაული საერთოდ, განუხრელად იზრდებოდა. განსაკუთრებით მკვეთრად იმატა შეკვეთილი მკვლელობების რიცხვმა. 1997 წელს კილერებმა დღისით-მზისით ხალხმრავალ ქუჩაში ჩაცხრილეს თავის დროზე პუტინის რჩევით იაკოვლევის ადმინისტრაციამ საამუშაოდ დარჩენილი მიხაილ მანევიჩი, რომელსაც ტრაგიკულად დაღუპვამდე ვიცე-გუბერნატორისა

და სახელმწიფო ქონების კომიტეტის ტერიტორიული სამმართველოს მეთაურის პოსტები ეკავა.

ნაგებული არჩევნების შემდეგ პუტინმა თავისი კაბინეტი მანამ არ დატოვა, სანამ ერთი თვის თავზე იქიდან პრაქტიკულად, არ გამოაძევეს. როგორც ჩანს, სახელისუფლებო სისტემაში ნებისმიერ ფასად სურდა დარჩენა. სხვა აბა, რით უნდა აიხსნას, ოფიციალურად მოხსნამდე რამდენიმე კვირით ადრე სმოლნიში განთავსებულ ბორის ელცინის საარჩევნო შტაბში მისი აქტიური საქმიანობა? არც ისაა გამორიცხული, რომ პუტინს ელცინის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელისა და თავისი ყოფილი კოლეგის, ანატოლი ჩუბაისის მხარდაჭერის იმედიც ჰქონოდა. მაგრამ ჯერჯერობით იძულებული იყო, 1990 წლის მსგავსად, ყველაფერი თავიდან დაეწყო. სობჩაკმა წონასწორობიდან გამოსული პუტინის დამშვიდება შემდეგნაირად სცადა: ნუ ნერვიულობ, მალე ორივეს ელჩებად დაგვნიშნავენო. სანქტ-პეტერბურგის ყოფილ მერს მართლაც ძალიან უნდოდა, პარიზში ანდა ბონში ელჩის პრივილეგირებული თანამდებობის დაკავება და მისი და პუტინის ელჩებად გამწესების თაობაზე მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ პრიმაკოვთან პირადად დასალაპარაკებლად მოსკოვშიც ჩავიდა. მაგრამ მინისტრმა თხოვნაზე ცივი უარი სტკიცა.

ამის შემდეგ პუტინი 3 თვე უმუშევარი დაიარებოდა და თან, რალაცას დაძაბული ელოდა, თუმცა, ამ თემაზე ლაპარაკი არავისთან სურდა. ერთხელაც ოჯახთან ერთად, სანქტ-პეტერბურგიდან 100 კილომეტრში მდებარე ახალამენებულ აგარაკზე გამეზარა. მისი ცოლი ლუდმილა ხერხემლის სერიოზული ტრავმის გამო გადატანილი ურთულესი ოპერაციის შემდეგ ის-ის იყო, ოდნავ გამოკეთდა და ოჯახსაც ქალაქიდან გასვლის საშუალება მიეცა. მაგრამ ცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით დამშვიდებულ პუტინს ბედმა ახალი სასტიკი დარტყმა მიაყენა. ერთ დღეს აგარაკზე მისმა პირადმა მდივანმა, მარინა ელტანცევამ ჩააკითხა ქმართან ერთად და, მწვადის შეწვისა და სულ რამდენიმე ჭიქა სასმლის მირთმევის შემდეგ, მამაკაცებმა საუნაში გადაინაცვლეს. მაგრამ საკმარისი იყო, პუტინს ლუმელი დაენთო, რომ ცეცხლი უმაღლეს მთელ სახლს მოედო (მოგვიანებით გაირკვა, რომ ხანძრის მიზეზი სწორედ ეს არასწორად ამოყვანილი ლუმელი გახდა). თავზარდაცემულმა პუტინმა ჯერ მეორე

სართულზე მძინარე, უფროსი გოგონა გამოიყვანა ცეცხლმოკიდებული სახლიდან, მერე კი ისევ უკან შებრუნდა და იმ ოთახს მიაშურა, სადაც ფულით სავსე დიპლომატი ჰქონდა კარადაში დამალული, მაგრამ ის უკვე ბოლომდე დამწვარი დახვდა. თუმცა ფერფლში, სრულიად მოულოდნელად, ორი წლის წინ ნაკურთხი თავისი ნათლობის ჯვარი აღმოაჩინა.

ვლადიმირმა აგარაკი და მთელი თავისი დანაზოგიც უცხად დაკარგა. მაგრამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილს მოულოდნელად ალექსანდრ ბოლშაკოვმა გაუწოდა დახმარების ხელი. ბოლშაკოვი ერთ დროს ლენინგრადის მსხვილი თავდაცვითი საწარმოს დირექტორი იყო, მერე სულ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა, მათ შორის — ლენსოვეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც ეკავა, 1996 წელს კი ქვეყნის პირველ ვიცე-პრემიერად დანიშნეს.

ბოლშაკოვს კარგად ახსოვდა, რომ იმ რთულ დროს, როცა ბევრ პოლიტიკოსსა და ჩინოვნიკს მისნაირი „წითელი დირექტორებისგან“ თავი შორს ეჭირა, პუტინი ნიადაგ მის მიმართ პატივისცემას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა და ერთხელაც არ უთქვამს უარი სმოლნიში მიღებაზე. ამიტომაც, როცა სანქტ-პეტერბურგის ყოფილი ვიცე-მერის გასაჭირის შესახებ შეიტყო, მოსკოვში მის გადასაცემად ყველაფერი გააკეთა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთა მმართველ პაველ ბოროდინთან და მის კიდევ უფრო გავლენიან უფროს ნიკოლაი ეგოროვთან ბოლშაკოვის შეხვედრებისას პუტინისთვის ეგოროვის მოადგილის პოსტის შეთავაზება გადაწყდა. თუმცა, სანამ ხელისუფლებაში სახელგანთქმული სამეფული — კორჟაკოვ-ბარსუკოვ-სოსოვეცი იყო, დედაქალაქში პუტინის გადასვლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

სობჩაკის შემდგომი ბედი კი ძალიან ტრაგიკულად წარიმართა. არჩევნებში დამარცხების შემდეგ მასზე ნამდვილი „ნადირობის სეზონი“ გაიხსნა. ახალმა გუბერნატორმა თავის საძულველ მეტოქეს სამართალდამცავი ორგანოები და პროკურატურა მიუქსია. საბაბი — სობჩაკის მიერ ყოველკვირეულისთვის — „Совршенно секретно“ მიცემული ინტერვიუ გახდა, რომელშიც იაკოვლევეი „ჩრდილოეთ დედაქალაქში“ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, ე.წ. „ტამბოველებთან“ კავშირში პირდაპირ დაადანაშაულა. შედეგად, იური სკურატოვმა (მან გენერალური პროკურორის პოსტზე

პლიუშჩენკო შეცვალა) თავის ხელკვეითებს სანქტ-პეტერბურგის მერის პოსტზე სობჩაკის ყოფინს პერიოდის კომპლექსური შესწავლა დაავალა. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა სობჩაკმა ბევრი ისეთი მტერი შეიძინა, რომელიც კორუფციის ყველაზე უმნიშვნელო ფაქტის გარშემოც კი სკანდალის ასაგორებლად და მის ციხეში გამოსამწყვდევად იყო მზად. ყოფილი მერისა და მისი ცოლის

ბის მქონე, რუსეთის ძირითადი სპეცსამსახურის უფროსი გახდა. ეს ნადირობისას მოხდა. ელცინს ის იყო, აფრენილი ველური იხვისთვის უნდა ესროლა, რომ უეცრად, პუტინის ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები ჩაესმა ყურში: „პროფესორ სობჩაკის საქმეები კარგად ვერ მიდის. რამენაირად უნდა დავეხმაროთ. ძალიან უნდა სამშობლოში დაბრუნება“. თავიდან ელცინს სობჩაკის სახელის

მომდევნო თავებში ძალიან რთულ და სასტიკ თამაშსა და მსოფლიოში პოტენციურად ყველაზე მდიდარი ქვეყნის ფინანსური რესურსების კონტროლისა და გავლენის სფეროების მოპოვებისთვის გამართულ დაუნდობელ ბრძოლაზე გვექნება საუბარი.

1996 წელს რუსეთის პოლიტიკური, მმართველი და საქმიანი ელიტის ყველაზე გამორჩენილმა წარმომადგენლებმა ქვეყნის პოლიტიკურ ავანსცენაზე ისეთი ადამიანის გამოყვანის თაობაზე მოილაპარაკეს, რომელიც ხელისუფლებისგან მათი ჩამოცილების ნებისმიერ მცდელობას წარმატებით დაუპირისპირდებოდა და იმავდროულად, მათ ხელში მოქცეული უზარმაზარი სიმდიდრის შენარჩუნებასა და გაზრდა-გამრავლებასაც აქტიურად შეუწყობდა ხელს. ამ გადაწყვეტილების მიმღებებმა კულისების დატოვებისთანავე, პოლიტიკის ჩრდილიდან, შეუბღალავი რეპუტაციის მქონე ადამიანების გამოყვანა და სახელმწიფოს მეორე პირებად, პრემიერ-მინისტრად დასმა დაიწყეს. ამ თამაშის მიზანი მაშინდელი პრეზიდენტის პოტენციური მემკვიდრის როლში მათი გამოსა-

რუსული პრესა საკმაოდ ბევრს წმრდა ძალოვანი სტრუქტურების კორუმპირებულ ნაწილთან და ფინანსურ ოლიგარქიასთან ორგანიზებული დანაშაულის შერწყმის თაობაზე

ბინაში ჩხრეკა ჩატარდა, რის შემდეგაც, დაპატიმრების საფრთხეც კი დაემუქრა. 1997 წლის ოქტომბერში პუტინის მფარველი რამდენიმე საათის განმავლობაში, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს შენობაში ჰყავდათ დაკითხვაზე. სობჩაკისგან თხოვდნენ მის ყოფილ თანამშრომლებზე ისეთი ჩვენების მიცემას, რომელიც მათ კორუფციაში ამხელდა. საბოლოოდ, ორმოცდათერთამეტი წლის სობჩაკმა ასეთ ზენოლას ველად გაუძლო და გულის შეტევა პირდაპირ დაკითხვაზე დაემართა.

ერთი თვის შემდეგ ლუდმილა ნარუსოვამ ქმრის საზღვარგარეთ გაყვანა მოახერხა. მომხდარი ჰოლივუდურ სცენას მოგაგონებდათ. ნოემრის ბნელ საღამოს პულკოვოს აეროპორტში ფინეთიდან ჩამოფრენილი თვითმფრინავის ბორტზე ნაჩქარევად აიტანეს საკაცე, რომელზეც სობჩაკი იწვა. მოტორი ახმაურდა, თვითმფრინავმა ასაფრენი ბილიკი გაირბინა, პირქუშ ცაში აიჭრა და გეზი პარიზისკენ აიღო. თვითმფრინავის უცხოელი პილოტის ვინაობის დადგენა ვერაფრით მოხერხდა. მავანი კი ჯიუტად ირწმუნებოდა, რომ საკუთარი თვალთ ნახა ასაფრენი მოედნის სიახლოვეს მდგარი პუტინი, რომელიც სხვებისთვის რატომღაც, ბოლომდე შეუმჩნეველი დარჩა.

პუტინს სობჩაკი დიდად არასდროს ჰყვარებია, მაგრამ ყოველთვის სათანადო პატივისცემით ეპყრობოდა. თუმცა, თავისი დამრიგებლისა და მფარველის ხვედრის შემსუბუქების თხოვნით, პრეზიდენტისთვის მიმართვის უფლება თავს მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც მართალია, „კაგებესავით“ ყოვლისშემძლე არა, მაგრამ მაინც კოლოსალური შესაძლებლობე-

გაგონებაც კი არ უნდოდა და ამიტომაც, — დაე, ყველაფერი სასამართლომ გადაწყვიტოს, — უკმაყოფილო ხმით ჩაიბურტყუნა, მაგრამ მერე სიბრაზემ მაინც გაუარა, დაცვის ახალი უფროსი გამოიძახა და შესაბამისი განკარგულება გასცა. რამდენიმე კვირის შემდეგ, მძიმე ავადმყოფობით გატანჯულმა სობჩაკმა რუსეთის მიწაზე ფეხი ისევ დადგა.

სანქტ-პეტერბურგის ყოფილი მერი ნამდვილად არ მოელოდა, რომ მისი ფავორიტი ასეთ თავბრუდამხვევ კარიერას გაიკეთებდა და ახლა უკვე იმის დიდი იმედიც მიეცა, რომ თვითონაც მომავალი პრეზიდენტის მრჩეველი გახდებოდა. მანამდე კი ინტერვიუებს არიგებდა და ჟურნალისტებს თავის ყოფილ სტუდენტთან და პოლიტიკურ თანამებრძოლთან ახლო ურთიერთობაზე უყვებოდა.

1999 წლის დეკემბერში სობჩაკმა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები წააგო, მაგრამ დამარცხებას დიდად არ დაუბნევია და ისიც კი განაცხადა, 2000 წელს სანქტ-პეტერბურგის მერის პოსტზეც უსათუოდ ვიყრი კენჭსო. სობჩაკი პუტინის ერთგვარ „ნდობით აღჭურვილ პირად“ იქცა. მაგრამ მის ოცნებებს ახდენა მაინც არ ენერა. 2000 წლის თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ანატოლი სობჩაკი გულის შეტევით გარდაიცვალა და, როგორც ბევრმა ივარაუდა, პუტინის ყველა „საიდუმლოც“ საფლავში ჩაიტანა.

„სახელმწიფოსგან კაპიტალის გამოყოფა კატასტროფული შედეგების მომტანი შეცდომა იყო, რამეთუ კაპიტალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია“, — ბორის ბერეზოვსკი, „ცაიტი“, 17.10. 1997 წ.



„სახელმწიფოსგან კაპიტალის გამოყოფა კატასტროფული შედეგების მომტანი შეცდომა იყო, რამეთუ კაპიტალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია“

დეგობის შემონმება იყო. ქვემოთ სწორედ იმაზე იქნება საუბარი, თუ როგორ წარმართა და რით დასრულდა ეს თამაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სამყარო

ვახო ჩაჩანიძის დაუვინყარი გაფხული

„ამ ბოლო დროს, ფილოსოფიური ჟანრის ლიტერატურა, ისეთი ნაწარმოებები და ამბები მიტაცებს, რომლებიც დამაფიქრებს“, — ამბობს მსახიობი ვახო ჩაჩანიძე. ნაკითხულ ნაწარმოებებს ხშირად უბრუნდება. უყვარს პოეზია. იყო დრო, როცა ლექსებს თავადაც წერდა. ვახო ახლახან ოდესიდან დაბრუნდა და

დილოგი ამ თემით დავინყეთ.

კონკრეტი გვთავაზობს სანაპიროზე და ძილი რიგის მიხედვით

თამუნა კვინიკაძე

პრაქტიკული მაგიერ

— ოდესაში V საერთაშორისო კინოფესტივალზე ვიყავი, სადაც ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ აჩვენეს. საუკეთესო ფილმად აღიარეს და პრიზი ავიღეთ. ეს ამ ფილმისთვის მე-15 პრიზია. როგორც ვიცი, საქართველოში ფილმის ჩვენება შემოდგომაზე იგეგმება. აგვისტოში ახალ ფილმზე ვინც მუშაობას, რომელსაც „მამა“ ჰქვია. პარალელურად, ოთარ შამათავა იღებს დეტექტიურ სერიალს, რომელიც ერთ-ერთ არხზე გავა. 8 სერია უნდა გამოვიდეს. ამ სერიალშიც ვითამაშებ. „პილოტი“ უკვე გადაღებულია. დეტალებზე ჯერ ვერ ვილაპარაკებ. მგონი, ყველაფერი ბოლომდე გარკვეული არც არის.

— მოკლედ, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გაქვს.

— (იციანის) კიდევ კარგი, ასეა.

— დასასვენებლად წასვლას ვერ ახერხებ?

— ჯერ არ ვიცი, დასასვენებლად დრო მექნება თუ არა. ყველაზე კარგი სტუდენტობის წლებში იყო, მეგობრები სპონტანურად გადაწყვეტილი, საღვთისმშობლის, 15 ნუთში ვალაგებდით რაც საჭირო იყო და მივდიოდით. მახსოვს, ერთხელ ურეკში წავიდით. რვანი ვიყავით და ოთახი გვექონდა, სადაც მხოლოდ 4 სანოლი იდგა. მორიგეობით გვეძინა. იმასაც თუ ძილი ერქვა. სახლში გამთენიისას შევდიოდით. ზღვის სანაპიროზე კოცონს ვანთებდით და ვერთობოდით. ბევრი ადამიანი გავიცანით. ის ზაფხული დღემდე გამორჩეულად მახსოვს. კარავშიც არაერთხელ მძინებია, თუმეტი ამ მხრივ გამორჩეულია. ბოლო, საზღვრისპირა სოფელში ვცხოვრობდი. თუმეტი თუ არ გინახავს, არ უნდა თქვა, საქართველოს ვიცნობო.

— ნაწარმოები, რომელსაც დასვენების პერიოდში ნაკითხავს, რომელია?

— ბალზაკის ნაწარმოებებს სიამოვნებით მივუბრუნდებოდი. ამ ბოლო დროს ფილოსოფიური ჟანრის ლიტერატურა მიტაცებს. ისეთი ნაწარმოებები და ამბები მომწონს, რომლებიც დამაფიქრებს.

— ნიგნი მოგიპარავს?

— წლების წინ, ამსტერდამში ყოფნისას, ნიგნის მალაზიაში შევედი. ერთი ნიგნი ხელში ავიღე, ვათვალიერებდი და შენობა ისე დამიტოვებია, ვერ გავიგე. ნიგნი ასე, უნებურად გამომყვა. უკან მიბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა, აეროპორტში მაგვიანდებოდა და ნამოვიღე.

— ინტელექტუალური თამაშები გიზიდავს?

— ძალიან.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ათოსთან ვიმეგობრებდი. დროს სხვა მუშაკეტურებთანაც სასიამოვნოდ გავატარებდი. ათოსს მოზარდ მაყურებელთა თეატრში თავად ვთამაშობ და ეს გმირი ჩემთან ძალიან ახლოსაა, ჩემიანია. საერთოდ, ვთვლი, ნაწარმოებში რაღაც შენს ნაწილს თუ ვერ იპოვი, მის ბოლომდე ნაკითხვასაც ვერ შეძლებ. მნიშვნელოვანია, ამბავი როგორ არის მოთხრობილი. საინტერესოდ უნდა იკითხებოდეს. არ უნდა გლლიდეს. წამიკითხავს ნიგნები, რომლებიდანაც დიდი ინფორმაცია მიმიღია, მაგრამ დავლლიდვარ.

— პოეზია გიყვარს?

— რა თქმა უნდა, მიყვარს. ბავშვობაში ლექსები თავადაც დამინერია, ისევე, როგორც ძალიან ბევრ ადამიანს. მყავს მეგობარი პოეტი, გიორგი გამსახურდია, რომლის ლექსებიც გამორჩეულად მიყვარს.

— „ჩემი თავია ჩემივე მტერი, თავი რომ არა, მე რა დამწვავდა“. რომელი ნივთის მონოლოგია მიხეილ ქვლივიძის ეს ლექსი?

— არ ვიცი.

— დაფიქრდი, თავიდან რა იწვება?

— ვერ ვიხსენებ, დავიბენი.

— ასანთი.

— ო! მართალია. იგივე შეიძლება ადამიანმაც თქვას, არა მხოლოდ ასანთმა.

— ოსკარ უაილდმა ქალაქგარეთ გასასეირნებლად ახალი ტანსაცმელი „გამოიგონა“. რას ეძახიან დღეს მას?

— არ ვიცი.

— შორტებს. კლასში 45 მოსწავლეა, ვაჟების რაოდენობა გოგონების რაოდენობის 50%-ს შეადგენს. რამდენი ვაჟია კლასში?

— (პაუზის შემდეგ) 15.

— ისინი ძმები იყვნენ — ადოლფი და რუდოლფი. ერთმანეთი არ უყვარდათ. სავაჭრო ბაზარზე მათი დაპირისპირება პირად სიძულვილში გადაიზარდა. ისინი 2 ცნობილი ფირმის დამაარსებლები იყვნენ. დაასახელე ეს ფირმები.

— „ადიდასი“ და „პუმა“.

— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა?

— დარჩი.

— თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია დარჩის ბრძანებით აშენდა. რომელ ტაძარზეა ლაპარაკი?

— ანჩისხატზე.

— რძალი, მაწლი, სიძე, სიმამრი. აქედან რომელი ნათესავი არ შეიძლება ჰყავდეს მამაკაცს?

— მაზლი.
 — ვისი სცენარის მიხედვით არის გადაღებული ფილმი — „ქვევერი“?
 — ქართველი ავტორი არ არის (ფიქრობს). ლუიჯი პი-რანდელი. სწორად ვამბობ?
 — დიახ. რით გამოირჩევა ვენესუელაში მდებარე ჩან-ჩქერი — ანხელი?
 — ვარდნის ყველაზე დიდი სიმაღლე აქვს.
 — საქართველოს რომელი კუთხის შვილები არიან და-ვით კლდიაშვილის პერსონაჟები?
 — იმერლები.
 — ამერიკაში მის სახელს 7 მთა, 8 მდინარე და უამრავი დასახლებული პუნქტი ატარებს.
 — ვაშინგტონის.
 — რომში ის სიმამაცის სიმბოლოდ ითვლებოდა. ომის დროს ვინც პირველი შეიჭრებოდა მოწინააღმდეგის ქა-ლაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს მცენარე სჭეროდა. ხოლო ვინც მისით თავს დაუმსახურებლად შეიმკობდა, სენატის გადაწყვეტილებით, ციხეში სვამდნენ. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?
 — საქართველოშიც ხარობს?
 — დიახ. ერთ-ერთ ყვავილზეა ლაპარაკი.
 — არ ვიცი.
 — ვარდი. ქამელეონს ენა უფრო გრძელი აქვს თუ სხე-ული?
 — სხეული? არა, ასე რომ იყოს, ამ კითხვას არ დას-ვამდი.
 — ანუ?
 — ენა უფრო გრძელი აქვს.
 — ვინ არიან აღიარებული მსოფლიოში ყველაზე პა-ტარა ადამიანებად?
 — ჩინელები?
 — ცდები, პიგმეებზეა ლაპარაკი. ის ერთადერთი ქვე-ყანაა მსოფლიოში, რომელიც ფენბურთის ყველა ჩემპიო-ნატში მონაწილეობდა.
 — ბრაზილია.
 — „ეს რა მსახიობი ვილუპები“, რომელ ცნობილ პიროვ-ნებას აღმოხდა სიკვდილის წინ ეს სიტყვები?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ნერონს. თუ ის კარგია, ქაფი 3 წუთზე ადრე არ უნდა უქრებოდეს, უნდა შედგებოდეს პატარა ბუშტულებისგან. მისი არომატი უფრო საგრძნობია, როცა ცივია.
 — ლუდზეა მგონი, ლაპარაკი.
 — რა თქმა უნდა. „საუკეთესო ან — არაფერი“, რო-მელი ცნობილი ავტომწარმოებელი ფირმის დევიზია ეს სიტყვები?
 — „მერსედესის“.
 — რა ემართება ადამიანის თვალის გუგას, როცა ის რაიმე საინტერესოს უსმენს?
 — ფართოვდება.
 — რომელია მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა?
 — იუპიტერი.
 — სოფელი, რომელიც ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღლა...
 — (მანყვეტინებს) უშგული. იქ შარშან ვიყავი, ძალიან ლამაზია.
 — რა ერქვა ოლღა ბებიას, ილიკოსა და ილარიონის საზიარო ძროხას?
 — ჭრელა (იცინის), არა, არა, შემეშალა, — ფაქიზო ერქვა.
 — ჟირაფს მეტი კისრის მაღა აქვს თუ ბელურას?
 — ბელურას. მაგრამ ისე გიპასუხობ, ამის თავადაც არ მჯერა.

— ნამდვილად ასეა.
 — წარმომიდგენია, როგორი მინიატიურული კისრის მალეები ექნება.
 — აზიის ზეგრ სასტუმროში მასაჟისტებად ბრძები აპ-ყავთ. რატომ?
 — კლიენტებს სიშიშვლის რომ არ შერცხვით.
 — ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფიქსირებისთვის, ოფი-ციალურად ჰქვია პოლიფიზიოგრაფი. დაასახელე მისი საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.
 — ვერ გიპასუხებ.
 — სიცრუის დეტექტორი. რომელ სპექტაკლს დგამდ-ნენ სოფლის სცენაზე, ფილმში — „იმერული ესკიზები“?
 — (იცინის) 80 კაპიკი და კიდო მანათი. რა კარგად ამ-ბობს. „ოტელოს“ დგამდნენ.



— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი — „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მნიგნობრობა ქარ-თული“?
 — ფარნავაზზე.
 — რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვა-ნემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდო-ვიკო XIV-ს: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“?
 — სულხან-საბა ორბელიანმა.
 — ადამიანის რომელ გრძნობას უწოდა შექსპირმა „მწვანეთვალეა ურჩხული“ — მრისხანებას, სიყვარულს, ეჭვიანობას თუ სიძულვილს?
 — ალბათ ეჭვიანობას, არა?
 — გამოიცანი. დაბოლოს, დაასრულე თავორის ცნო-ბილი გამონათქვამი: „ახალგაზრდა ადამიანს რომ სიყ-ვარულისთვის უსაყვედურო, იგივეა, რაც დაავადებულ ადამიანს...“
 — „...ავადმყოფობისთვის“.

რატომ გვეძლევა ღვთისგან სხვადასხვა ნიჭი

«გზის» მკითხველმა რამდენიმე ხნის წინ გვთხოვა, გვესაუბრა ნიჭთან დაკავშირებით. რატომ ეძლევა ადამიანს ღვთისგან სხვადასხვა ნიჭი? რატომ იბადება ზოგიერთი ადამიანი გამორჩეულად ნიჭიერი, ზოგს კი საერთოდაც წართმეული აქვს ყველანაირი ნიჭი? შეიძლება თუ არა, ადამიანმა რაიმე განსაკუთრებული ნიჭის მიღება ითხოვის ღვთისგან?



უფალი ყველა ადამიანს გამორჩეულ, განსაკუთრებულ ნიჭს აძლევს

შორენა მერაპვილაძე

— რა არის ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებული უმთავრესი ნიჭი? **არქიმანდრიტი მასპარი (აბჰესაძე):**

— ყველაზე დიდი ნიჭი, რაც უფალმა ადამიანს მისცა, ეს არის თავისუფალი ნება და აქედან გამომდინარე, ეძლევა შემდეგ ყველა ნიჭი. უფალი ყველა ადამიანს გამორჩეულ, განსაკუთრებულ ნიჭს აძლევს, მაგრამ მათი გამოყენება და განხორციელება თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული — შეგვიძლია კეთილ საქმეებს მოვახმაროთ, ან პირიქით, უკეთური, ბოროტის სასარგებლო საქმეები ვაკეთოთ.

— რა მიზეზით ეძლევა ადამიანს სხვადასხვა ნიჭი?

— უფალი ყველაფერს მრავალფეროვნად იქმნის, ამის ნიმუში მთელი სამყაროა. ორი ერთნაირი რამ სამყაროში ფაქტობრივად, არ არსებობს. ადამიანებზე განსაკუთრებული, კონკრეტული ნიჭით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა, ვიცით, რომ ქრისტეს ეკლესიის წევრები, არიან ქრისტეს სხეული. ისევე, როგორც ადამიანის სხეული შედგება სხვადასხვა ნაწილისგან, ყველა ნაწილს კი თავისი დანიშნულება აქვს, ასევე ქრისტეს მისტიკური ნაწილის,

ეკლესიის წევრებსაც აქვთ თავ-თავიანთი დანიშნულება. უფალს წარწყმედისთვის არავინ შეუქმნია, ყველა სიკეთისა და ცხონებისთვის შექმნა, ამიტომ ყველას აძლევს შესაბამის კონკრეტულ ნიჭს, რომ ქრისტეს მისტიკურ სხეულში — ეკლესიაში ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს და დედამიწაზე თავისი საქმე აკეთოს, რათა უფრო იოლად აღესრულოს ცხონების საქმე. ყველამ რომ ერთი საქმე აკეთოს, შეუძლებელი იქნებოდა იმ საქმის აღსრულება, რაც დედა-

უფალი წინასწარ ჭვრეტს ყველა ჩვენგანის უნარსა და შესაძლებლობას და შესაბამისად აძლევს კონკრეტულ ნიჭს, რათა ეს მისთვის იოლად გამოსაყენებელი და საცხოვრებლად ადვილი იყოს

მინაზე უნდა აღსრულდეს. თანაც, ადამიანური აზროვნება უფალთან მიმართებაში მაინც შეზღუდულია და ამიტომაც არ შეიძლება, ერთ ადამიანში იყოს დატეული ყველაფერი. სწორედ ამ მიზეზების გამო აძლევს უფალი ყველა ადამიანს სხვადასხვა კონკრეტულ ნიჭს. ყველაზე ჭკვიანი ადამიანიც კი ვერ შეძლებს იმას, რასაც დედამიწის ყველა მცხოვრები ერთად.

— ზოგიერთი გამორჩეულად ნიჭიერი იბადება. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ღვთისგან ზოგიერთს მომეტებულიად დაებედა კონკრეტული ნიჭი?

— მართლაც ასეა, მაგრამ მთავარია, თვითონ როგორ გამოიყენა ის. შესაძლოა, კაცს მრავალი ნიჭი ჰქონდეს, მაგრამ ზარმაცი იყოს და მისი ნიჭიერება ფუჭად გაიბნეს. სწორედ შრომისმოყვარეობის შემდეგ გამოჩნდება, რომ ის ნიჭიერია. უფალი წინასწარ ჭვრეტს ყველა ჩვენგანის უნარსა და შესაძლებლობას და შესაბამისად აძლევს კონკრეტულ ნიჭს, რათა ეს მისთვის იოლად გამოსაყენებელი და საცხოვრებლად ადვილი იყოს. მაგრამ საკითხავია, იყენებს თუ არა ადამიანი ამას.

— გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს ხშირად ამპარტავნება ეუფლებათ...

— ადამიანს არ უნდა დაავინყდეს, რომ ღვთისგან ბოძებული ნიჭი მისი კუთვნილება არ არის და შესაძლოა, ერთ დღეს წაერთვას. თუ არ ერთმევა, ისევ ღვთის მოწყალების გამო; როდესაც მხოლოდ თავის განსაღიდეblად იყენებს ნიჭს და არა ღვთის სადიდებლად, მას ბოროტად იყენებს და სულს იღუპავს. ვინც ღვთისგან ბოძებულ ნიჭს კეთილად, ღვთის სათნოდ იყენებს, მაინც განდიდდება, მაგრამ ეს საკუთარ თავს კი არა, უფალს უნდა მიაწეროს, არ უნდა დაავინყდეს, რომ ეს განდიდება უფლის შეწევნით შეძლო და დიდებაც მას კი არა, უფალს ეკუთვნის. ამ გზით ამპარტავნებასაც ავიცილებთ. როდესაც ადამიანი უფლისგან ბოძებულ ნიჭს ღვთის საქმეთა აღსასრულებ-

ლად არ იყენებს, საცხოვრებლად არ წაადგება. ნიჭი ღვთის სადიდებლად უპირველესად იმის გამო უნდა გამოვიყენოთ, რომ ვცხოვრდეთ, თორემ ეს უფალს არ სჭირდება.

— გამართლებულია თუ არა, რომ ადამიანმა რაიმე გამორჩეული ნიჭის მოცემა ითხოვოს ღვთისგან?

— როდესაც წმინდა მამებს რაიმე განსაკუთრებული, გამორჩეული ნიჭი ეძლეოდათ, დაეუშვათ — ნი-

ნასწარმეცველების ან კურნების, უფალს სთხოვდნენ, განგვაშორე ეს ნიჭიო, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი სულისთვის უკეთესი იქნებოდა,



ეს არ ჰქონდათ, რადგან სულიერი საბრძოლველიც ემატებოდათ და უნდა დაეთრგუნათ ამარტავება, რომელიც ამ საქმეთა აღსრულების შემდეგ იჩენდა თავს. თუ ადამიანი უფალს შესთხოვს რაიმე გამორჩეული ნიჭის მინიჭებას, ეს ნიშნავს, რომ არა ღვთის, არამედ საკუთარი თავის განსაზღვრებად ითხოვს მას.

— მინც რატომ ეძლეოდათ წმინდა მამებს ღვთისგან გამორჩეული ნიჭი?

— წმინდა მამები, წმინდა და მარ-

თალი, ჭეშმარიტად ღვთისგან სულიერებით სულიერების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ. სწორედ მაღალი სულიერების გამო ეძლეოდათ მათ გამორჩეული ნიჭი, რათა ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. მათ შემთხვევაში იმის საშიშროება არ იყო, რომ ესა თუ ის გამორჩეუ-

ჰქონდათ, რომ ეს ადამიანები უფალთან მიეყვანათ.

— ბოროტ სულს თუ შეუძლია ბოროტების კეთების ნიჭი მისცეს ადამიანს?

— ბოროტი სული ვერანაირ ნიჭს ვერ მისცემს ადამიანს, მას ამის ძალა არ შესწევს. ადამიანს ნიჭი მხოლოდ ღვთისგან ეძლევა, უფალი კი

თუ ადამიანი უფალს შესთხოვს რაიმე გამორჩეული ნიჭის მინიჭებას, ეს ნიშნავს, რომ არა ღვთის, არამედ საკუთარი თავის განსაზღვრებად ითხოვს მას

ლი ნიჭი სულის საზიანოდ იქნებოდა გამოყენებული, რადგან დაძლეული ჰქონდათ ყოველგვარი საცდური, იცოდნენ, როგორ ებრძოლათ ამპარტავებასთან. თითოეული მათგანი სულიერ სრულყოფილებას ზიარებული თუ არა, მიახლოებული მანც იყო. ამის შემდეგ ეძლეოდათ ეს ნიჭი ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ. როდესაც სხვა ადამიანები დაინახავდნენ, რა უბოძა უფალმა ღვთისმოსავ ადამიანს, თვითონაც დაიწყებდნენ ღვთის დიდებას. წმინდა მამებს იმის ძალაც

ყველა ადამიანს კეთილად ქმნის. ამიტომ არ შეიძლება ბოროტების კეთების ნიჭი მისცეს. ნიჭის კეთილად ან ბოროტად წარმართვა, მისი გამოყენება ადამიანის თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს. როგორც მამები ბრძანებენ, ადამიანს ღვთისგან მრისხანების, სიძულვილისა თუ სხვა მსგავს თვისებათა ნიჭიც ეძლევა, მაგრამ იმისთვის, რომ სძულდეს ბოროტი, მრისხანებდეს ბოროტზე, ხოლო თუ მოყვასზე მრისხანებს და მოყვასი სძულს, გამოდის, რომ ამ ნიჭს ბოროტად იყენებს.

TIME

მე - 20 ს ა უ ქ უ ნ ი

გაზეთი „კვირის პალიტრასთან“ ერთად, თვეში ორჯერ

მსოფლიო ბესტსელერი!

25 აგვისტოდან
1 საქმიანობაში

ნიშნის ფასი: 7 ლ
გაზეთთან ერთად: 8 ლ

ნიშნის მეთორმეტი
აქია.
გამოღვიძება

ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

შემდეგი ნიშნი
აფრიკა -
მივიწყებული
ქონტინენტი

შეაბროვე 16 ნიშნად:

ლეგენდარული ჟურნალის მიერ
„ცხელ კვალზე“ მოპოვებული მასალები
დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები
და შეხვე ეპოქას!



ისინი ბრუნდებიან მთაში...

თავის დროზე ქართულმა მხატვრულმა ფილმმა, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, საბჭოთა საქართველოს „კომუნისტურ მშენებლობას“ კი გადაუხადა ხარკი, მაგრამ ცუდი სამსახური გაუნია საქართველოს ზღაპრულ მხარეს — ხევსურეთს. უნებურად, ხელი შეუწყო მთის დაცლას, სოფლები დაცარიელდა, უნიკალური ციხეები დაინგრა... 17 წლის ნინო ჭინჭარაული ახლა ხევსურეთშია. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია უცნაური — ხევსური ხევსურეთში უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ნინო სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში დაიბადა და გაიზარდა, მშობლიური პირიქითა ხევსურეთი კი პირველად ექვსი წლის წინ ნახა. მაშინ უკან ჩამოსვლამ მოუწია, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მისი სული და გონი იქ დარჩა.

მარინა გომოლაშვილი

— ბიძაჩემს მიკროავტობუსით ტურისტები მიჰყავდა და შემპირდა, შენც წაგიყვანო. დედულეთში, ჩირდილში, ადრეც ვყოფილვარ. ეს სოფელი პირაქეთა ხევსურეთშია და ზაფხულობით ვისვენებდი. თუმცა, პირიქითა ხევსურეთში, ჩემს მშობლიურ სოფელ კისტანში, რომელსაც მეორე სახელი იქვსი ეძახიან, არ ვიყავი ნამყოფი. უღელტეხილზე შევისვენეთ და მანქანიდან რომ ჩამოვედი... რა ვთქვა? ციდან დედამინას გადმოვხედე და ვიგრძენი, მთელი ჩემი არსებით სამუდამოდ იქ დავრჩი. წელს ბარათაშვილის ლექსები გავიარეთ სკოლაში და ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს ცის გულზე დამჩნევა, რა იგრძნო პოეტმა მთანმინდაზე შემოღამებისას... დავიხარე და ჯერ კიდევ ცვარშერჩენილი მინდვრის მთელი იღლია ყვავილები მოვკრიფე. კისტანში წავიღე. რად მინდოდა? უფრო ბევრი იქ დამხვდა. ლეზაისკარი პირიქითა ხევსურეთში პირველი სოფელია. იქ ახლა აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ უძველესი ციხე დგას, დღემდე ერთი ქვაც რომ არ ჩამოვარდნია. ჰყვებიან, ადრე, შემოსევების დროს, იქ ტყვე ჩაუგდიათ, მაღლიდან უთვალთვალდნენ თურმე. ქვით უთხრია ციხის კედლები და კენჭიცი ვერ გამოუძვრია. მეორე სოფელი, კისტანი, ჩემია! გაუქმებისგან რომ გადაგვერჩინა, ხუთი ადამიანი ჩავენრეთ, რომლებიც მხოლოდ ზაფხულში ადიან იქ, რადგანაც ზამთარი გაუსაძლისია, ელემენტარული საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო. უკანასკნელი მუდმივი მცხოვრები, ძია კვირია, ზამთარში, დიდ თოვლში ჩარჩა და ექიმი დასჭირდა. სად იყო ექიმი? დროზე რომ ემკურნალა, გადარჩებოდა... ახლა კისტანში ხუთი მამიშვილობა ვართ: ჩემი მამიშვილობა, ანუ ხირსილაურნი, აბუთელაურნი, ბაბკიაურნი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ძია გაბრიელი, ხუცესია, ჯულურნი და ობოლაურნი, რომელთაც მთა-



საკაცით ჩაიყვანეს და მოხდა ნამდვილი სასწაული — იქიდან თავისი ფეხით დაბრუნდა უკან (ათანგენობაზე, შოთა ჭინჭარაულთან და ხუცეს გაბრიელთან ერთად)

მომავლობა აღარ ჰყავთ... ძალიან ძველი გვარია. ზაფხულის არდადეგების მოახლოება და ნინოს მოუსვენრობა ერთია. წელსაც ერთი სული ჰქონდა, კარგად ჩაებარებინა XI კლასის საატესტატო გამოცდები. სახლში გააფრთხილეს, თუ რომელიმე საგანს ვერ გადალახავდა, ხევსურეთში არ გაუშვებდნენ.

— მოვკვდები ხევსურეთის გარეშე, — ამბობდა წასვლამდე. — თან წელს, ათენგენობაზე, ჩვენ უნდა ვიყოთ დასტურები — ჩვენი მამიშვილობის ბიჭები. ძია გაბრიელი იქადაგებს. კისტანის ჯვარი, ჩვენი მთავარი სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობისაა, თანაც ორია — ზენჯვარი და ქვენჯვარი. სწორედ ამ ჯვარმა აირჩია ხუცესად გაბრიელი, რომე-



ციდან დედამიწას გადმოვხედე და ვიგრძენი, მთელი ჩემი არსებით სამუდამოდ იქ დავრჩი

ლიც ხუცესად არჩევამდე ცოტა ხნით ადრე, განსაცდელის სახით, ლოგინად ჩავარდა. სიკვდილის პირას იყო; ჰქონდა გამოცხადება და მოითხოვა, ჯვარში ჩამოყვანეთო. საკაცით ჩაიყვანეს და მოხდა ნამდვილი სასწაული — იქიდან თავისი ფეხით დაბრუნდა უკან. მას შემდეგ 45 წელია, კისტნის ხუცესია. ახლა დაუძღურდა, წელს თუ ათენგენობაზე ასვლა ვერ შეძ-



მინდა, წიგნად გამოგვე მთებში გაბნეული მარგალიტები

ლო, ჯვარი მიანიშნებს, ვინ უნდა იყოს ხუცესი მის შემდეგ. თავად ძია გაბრიელი ბრმაა, თვალის ოპერაცია ისე გაიკეთა, ნარკოზი არ გაიკარა. ის რომ ხუცესის პერანგში გამოწყობა და ქადაგებს, თან ილოცება, მის ყურებასა და მოსმენას არაფერი სჯობს. ის პერანგი მისმა ცოლმა, ბაბაღემ, ხევესური წესით დაკერა... პაპაჩემი, თადო, მაგარი კაცი იყო. ანგელოზიანს ეძახდნენ, მაგარ ლექსებსაც წერდა. ერთმა ლექსმა მომღერალი გიორგი ჩიტაური ისე მოხიბლა, ისე გაითავისა, ვერც კი გააცნობიერა, როგორ დაისაკუთრა პაპაჩემის ცნობილი სტრიქონი: „ძროხამცა მამცა ისეთი, არაყ რო მაინველოსა“. „ძროხამცა“ შეცვალა „ნეტა ფურ მამცა ისეთიო“... და იმღერა. მერე ჩემი ბიძაშვილი შეხვდა ჩიტაურს, უხერხულობაში ჩავარდნილა ძალიან...

ნინომ ვერც შეამჩნია, ისე ალაპარაკდა ხევესურულ დიალექტზე:

— ერთხელ ანგელოზიანს ვილაღ დაუჭრია შუღლში. აპირებდნენ პაპას დაჭრასაც „მამკლავ-მამკვდრობის“

წესითა. ძია გაბრიელს გაუფრთხილება პაპა. საღმრთო დღესასწაულზე იყვნენ თურმე. იჯდა ანგელოზიანი და ამონვერილი ხანჯარი წინ ედო. ხელხანჯარიანი მტრები კი უვლდნენ გარ-გარ, ახლოს ვერ ბედავდნენ. ვერც მიბედეს და ბოლოს პაპამ კაფია ამოთქვა: „ჩიტებ მიმინოს ეხვევის,/ დგას ფრაშაფრუში ფრთებისა,/ მიმინო არის ნაღლულობს,/ იქავ ჩიტები მთხვებისა“. პაპას ცხრა შვილი ჰყავდა ორი ცოლისგან: ლელა და ხოშექა დებივით ყოფილან. ყველაფერი თავის რიგზე და წესზე ჰქონია მკაცრ ხევესურს. მეტიც, იცოდა თავისი სიკვდილის დღეც. მამა ჯარში რომ მიდიოდა, იტირა თურმე, ცხოვრებაში პირველად. — ბაღლო, ცოცხალს ვერ ჩამომისწრებო, ასე უთქვამს. ანგელოზიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი თვალების ფერი არ ვიციო, იტყვის ხოლმე მამა. ეს მამაშვილური მორიდება ჩემზეც გადმოვიდა, საბედნიეროდ. მასთან შილიფად ჩაცმულიც ვერ გავივლი. თვითონაა ასეთი, სხვანაირ ხათრს გაჭერინებს. კაცების ჭორობასა და ცანცარს ვერ იტანს. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ჰაგიოგრაფია სულ გადაკითხული აქვს, ვაჟა-ფშაველა ზეპირად იცის. აი, სუფრაზე სულ სხვანაირია. იქ ეძლევა გამოხატვის საშუალება...

ნინო ჭინჭარაულს ვერ დადლი ხევესურეთსა და ხევესურებზე საუბრით. შესაძლოა, სწორედ მისმა ამ დიდმა სიყვარულმა განაპირობა რუსთავში მცხოვრები, წარმოშობით ჯუგაანელი ახალგაზრდის, ალექსანდრე ნარინდოშვილის განსაკუთრებული დაინტერესება ხევესურეთით, რომელიც ახლა მუშაობს ხევესურული ტანსაცმლის მუზეუმის შექმნაზე. ძია გაბრიელმა გასულ ზაფხულს ის და ნინო და-ძმად გაფიცა: ჩათაღეს ვერცხლი ღვინოში და სამ-სამჯერ დალიეს ერთი ჭიქიდან.

თვითონ ნინოც არ აპირებს, მხოლოდ აღტაცებული სიტყვებით აუხსნას ხოლმე სიყვარული თავის ზღაპრულ ხევესურეთს:

— IX კლასში ვიყავი, ძია გაბრიელის ხელმძღვანელობით თემა რომ დავამუშავე ხევესურეთის ციხეებზე, კისტანზე, ხევესურ გმირებზე, კონკურსზე ვაპირებდი ნამუშევრის გაგზავნას, მაგრამ დედას სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა და ვერ შევძელი... არის ასე დარჩენილი. გარდა ამისა, ვაგროვებ ახალგაზრდა და მოხუცი ხევესურების ლექსებს. მინდა, წიგნად გამოგვე მთებში გაბნეული მარგალიტები. დაე, ხალხმა თვითონ დაასკვნას, მოერევა თუ არა რაიმე

ძირძველ და უფლის მიერ ნაკურთხ ხევესურულ ნიჭს.

რუდუნებით ნაგროვები ლექსებით სავსე შავ, სადა უბის წიგნაკს ვათვალთვლებ და ორ რამეში ვრწმუნდები: ჯერ ერთი, მარადიული და გაუცვლელი იქნება ბარში ჩამოსახლებულ ხევესურთა ნოსტალგია მანამ, სანამ მშობლიურ ჭიუხებში არ დაიგულევენ თავს. მეორეც, ახალგაზრდა ხევესურები, რომლებიც, უდავოდ, საკრალური ძაფებით არიან მიბმულნი მშობლიურ ჭიუხებთან, აუცილებლად დაბრუნდებიან უკან.

— კისტანში მაქვს ბიძის ვაგონები. იქ ყოფნა ყველაზე მდიდრულ სასახლეში ცხოვრებას მირჩევნია. მამიშვილობის ბიჭები აპირებენ, ერთი სახლი ააგონ ყველა კისტანელისთვის. გვინდა, აგრეთვე, დავანესოთ სოფლის დღეობა — კისტანობა და მერე, ეგებ ისე მოვანყოთ სოფელი, რომ მუდამ იქ ცხოვრებაც შევძლოთ, — ხმამაღლა ოცნებობს ხოლმე ნინო.

ნაზი ხანიაშვილი, ძველი ცივილიზაციების მკვლევარი:

— ქართველ მთის ხალხთა სალოცავები, მათზე ასახული გამოსახულებები, უდიდესი მითოლოგიური და რელიგიური რიტუალები უდიდესი კოსმიური მნიშვნელობისაა და ბევრის მთქმელია. ქართველებს აქვთ „კისტანის“ სალოცავები. იგი ადგილის დედის — დედამიწის ქალღმერთის სალოცავია... კისტანი — „კი“-ს ხეული დედა ქალღმერთის სულის ტაძარია.



ჩათაღეს ვერცხლი ღვინოში და სამ-სამჯერ დალიეს ერთი ჭიქიდან (ძმადნაფიც ალექსანდრე ნარინდოშვილთან ერთად)

რა კავშირია მიწიდან ამომძვრალ ჩონჩხებსა და ბავშვს შორის, რომელიც საპნითა და „გუბკით“ იკვებება

„გზის“ 2009 წლის №16-ში დაიბეჭდა ამბავი ნასაყდრალზე მცხოვრები ოჯახის შესახებ. საქმე ეხება გორში, ქუთაისის ქუჩაზე მცხოვრებ ცერაძეების ოჯახს. შეგახსენებთ, მათ ეზოში მიწის ზედაპირიდან ადამიანის ჩონჩხად ქცეული ნაწილები — თავის ქალები, კბილები და ძვლები ამოდიხ. მახსოვს, ეზოში პირველად რომ შევედი, სულ დაბლა ვიყურებოდი. ვცდილობდი, ძვლებისთვის, რომლებიც მიწის ზედაპირზე მოჩანდა, ფეხი არ დამედეგა. ანომალიური მოვლენები 9 წლის წინ, მას შემდეგ დაიწყო, რაც ეზოში საკანალიზაციო მილები შეცვალეს და ის მთელ სიგრძეზე გაითხარა.

ელენე ხირსალი

ჯერ ადამიანის თავის ქალა იპოვეს, მეორე დღეს კი მიწის ზედაპირზე რამდენიმე დაუზიანებელი ჩონჩხიც გამოჩნდა. ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც სხვებივით, ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული, ხელში თიხის ფილა ეჭირა. მოგვიანებით იპოვეს ვერცხლის მონეტებიც. დიასახლისი მიაბობდა — როცა ადგილს ძვლებისგან ასუფთავებდა, სულ მალე იქ ისევ ჩნდებოდა ახალი ძვლები. მისი თქმით, ძვლები სოკოებივით მრავლდება, განსაკუთრებით — წვიმის შემდეგ. შუაგულ ეზოში ძველი ეკლესიის ნანგრევებია — წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის ნიში. რამდენიმე წლის წინ აქ მრავალი მეცნიერი და ისტორიკოსი მოდიოდა. არქეოლოგები მასშტაბური გათხრების ჩატარებასაც გეგმავდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს საკმაოდ დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. არქეოლოგ ზვიად ბატიაშვილის თქმით, მსგავსი კვლევის ჩატარება დღეს დიდი ფუფუნებაა და კარგი იქნება, ამ ეროვნულ საქმეს სპონსორი თუ გამოუჩნდებოდა. მეცნიერთა აზრით, ცერაძეების საცხოვრებელი შესაძლოა, ძველი სასაფლაოს ტერიტორია აღმოჩნდეს. სამარხები, ფაქტობრივად, მიწის დონემდეა ამოსული. დაახლოებით 40 სანტიმეტრის სიღრმეზე სამარხის ქვები და მათ ქვეშ ორ წრედ არსებული ნამარხები ფიქსირდება. ზოგიერთი სარკოფაგი ნითელი აგურითაა ნაშენი. ერთ-ერთი ვერსიით, ნამარხში ადამიანები ქრისტიანული წესით არ იყვნენ დაკრძალულნი, ამიტომ შესაძლოა, სასაფლაო უფრო ადრინდელი იყოს, ვიდრე ტაძარი, რომელიც სავარაუდოდ, თურქებმა დაანგრიეს.

არქეოლოგ ზვიად ბატიაშვილის თქმით კი თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები ადრინდელი შუა საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება, ისევე, როგორც ოსტეოლოგიური მასალა (ძვლოვანი მასა). ეკლესიაც ადრეული შუა საუკუნის არის, შეიძლება — ცოტა გვიანდელიც.

ეს უცნაური სახლი ქალბატონ ლიდა ცერაძის მამამთილს 1935 წელს



ცერაძეების საცხოვრებელი შესაძლოა, ძველი სასაფლაოს ტერიტორია აღმოჩნდეს

შეუძენია. როცა ეზოში ეს უჩვეულო მოვლენები დაიწყო, დიასახლისი დაინტერესდა, თუ ვინ ცხოვრობდა აქ მანამდე, რა ბედი ეწია ძველ მობინადრეებს, მაგრამ ამის თაობაზე ვერც ოჯახის და ვერც ქალაქის არქივში ვერანაირ საბუთს ვერ მიაკვლია. წმინდა თევდორეს სახელობის ნიშთან ხშირად შესანიშნავად მამალიც კი მოჰყავდათ. შემდეგ მას იქვე კლავდნენ და ეკლესიის მოზრდილ ქვაზე სუფრასაც შლიდნენ. ეკლესიაში სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ. მსურველები აქაურობას ფულსაც სწირავენ. ამ ფულით კი ისევ სანთლებს ყიდულობენ. ამ მცხოვრებთ აქვთ რწმენა: თუ ნასაყდრალს უპატივცემულოდ მოეპყრობიან, ღმერთი დასჯის. ცერაძეები ნუხილს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ნასაყ-

დრო არაფერი შეცვლილა. თითქოს დრო შეჩერებულაო, ყველაფერი ისევ ისე დამხვდა. ეზოში ქალბატონი გამოვიდა, ძალი დააშოშმინა და ზუსტად იგივე სიტყვები მითხრა, რაც პირველი შეხვედრისას: ძალი ავი სულელებისგან გვიცავსო. ეს ქალბატონი ლიდა ცერაძე იყო.

ლიდა ცერაძე:

— ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ აღმოჩენამ გამოიწვია, კარგა ხანია, შეწყდა. ყველამ მიივიწყა ეს ამბავი. რამდენიმე წელია, აღარავინ გამოჩენილა. ამ ცოტა ხნის წინ ვილაცქურა ხნის მამაკაცი მოვიდა და 100 ლარის სანაცვლოდ, ეზოს გათხრის უფლება მთხოვა. ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ძვირფას ნივთებს აღმოაჩენდა. რა თქმა უნდა, უარით გავისტუმრე.

— უნიკალური ნივთები, რომლე-

ერთხელ სავარძელი გამომიგნა და „გუბკა“ მთლიანად შეჭამა, მერე ხის სახელურები დაღრღნა

დრალზე უწევთ ცხოვრება. თავისი უბედობის მიზეზსაც ამაში ხედავენ.

მას შემდეგ, რაც წინა ინტერვიუ ჩავწერე, 5 წელი გავიდა. დავინტერესდი, თუ რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში მათ ოჯახში, რა ბედი ეწია მათ უცნაურ კარ-მიდამოს.

ჭიშკარი რომ შევადე, მივხვდი,

ბიც წლების წინ ეზოში აღმოაჩინეთ — შუა საუკუნის დროინდელი თასები, მონეტები — ახლა სად არის?

— აქეთ-იქით გაიბნა. გამოსაკვლევად გავატანეთ თავის ქალასთან და ჩონჩხის სხვა ნაწილებთან ერთად. მაშინ იმდენი ვინმე მოდიოდა, უკვე აღარც ვიცი, ვინ რა ნაიღო. ის კი ვი-

ცი, რომ ნივთები ფასდაუდებელია. პირადი ინტერესებისთვის რომ გამო-
მეყენებინა, დიდად ფულს ვიშოვი-
დით. თუმცა, მიხარია, რომ ასეთი რამ
მაშინ აზრადაც არ მოგვსვლია, რად-
გან ეს სიკეთეს არ მოგვცინა. მინ-
და, ისინიც გავაფრთხილო: თუ ვინმემ
აქედან მოგება ნახა, გონს მოეგონ და
თავიდან მოიცილონ ეს ნივთები, თო-



ხანდახან ვფიქრობთ, მივატოვოთ ყველაფერი და გავიქცეთ აქედან შორს

რემ უბედურებას მოიმკიან. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მნამს. ქალიშ-
ვილთან და ორ შვილიშვილთან ერ-
თად ვცხოვრობ. მზიას იურიდიული
ფაკულტეტი აქვს დამთავრებული,
ქორეოგრაფიულზეც სწავლობდა.
ყველას ძალიან უყვირს, ასეთი ყოჩა-
ლი და გონიერი ქალი უშუშეგარი რა-
ტომ უნდა იყოსო?! ხელი არაფერში
ემართება. საქმე საქმეზე რომ იყოს
მისული, სასწაული მოხდება და ის
საქმე მაინც არ გამოვა. მეორე ბავშვი
რომ გააჩინა, ჯანმრთელობა შეერყა,
ერთი თვე იწვა, წონაშიც მოიმატა.
ჩემს მეორე ქალიშვილსაც სერიოზუ-
ლი პრობლემები აქვს. ჩვენს ოჯახში
ყველა შრომისმოყვარეა: ვშრომობთ,
ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გა-
მოდის. ცოტა ხნის წინ განვადებით
გამოვიტანეთ სამშენებლო მასალა
და ბაღში ორი ოთახის აშენება და-
ვინწყეთ. ვიფიქრეთ, გავაქირავებთ და
ცოტას ამოვისუნთქავთ-თქო, მაგრამ
არაფერი გამოდის, მშენებლობა ვერა
და ვერ დავამთავრეთ. თქვენი თვა-
ლით ხედავთ, რა პირობებში გვინევს
ცხოვრება: ქოხში მხოლოდ ერთი
ოთახია, რომელიც გადავტახტეთ და
ორი ისეთი პანანინა ოთახი გამოგვი-
ვიდა, კუდს ვერ მოიქნევ...

— სოციალური დახმარება არ გაქვთ?

— არ მოგვცეს. სულ შიშში ვარ: გათენების მეშინია, მომავლის მე-
შინია. ხანდახან ვფიქრობთ, მივა-
ტოვოთ ყველაფერი და გავიქცეთ
აქედან შორს, მაგრამ სად წავიდეთ?
ბავშვებით ღია ცის ქვეშ ხომ არ
ვიცხოვრებთ. მშველელი არსაიდან
ჩანს. ეკლესიის უპატივცემულობა
რომ ადამიანს ძვირად უჯდება, ამის
ბევრი მაგალითი ვიცი. ქარელის რაი-
ონიდან, სოფელ ღვლევიდან ვარ წარ-
მოშობით. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში
მეზობელმა ეკლესიის ნანგრევი ქვე-
ბით სახლი აიშენა. მალევე ჯერ ერთი
ბიჭი დაელუპა, მერე — მეორე. თავად
კი ამდენ უბედურებას ვერ გაუძლო
და ისიც გარდაიცვალა. ოდესღაც
ბედნიერი ოჯახი, სულ განადგურდა.
ცოცხალი მხოლოდ ამ კაცის მეუღლე
დარჩა, მაგრამ რალა ფასი ჰქონდა
მის სიცოცხლეს?! ის სახლი კი სულ
დაინგრა. დღეს იმ ადგილზე ქვების
გროვია მხოლოდ.

— სახლის გაყიდვა არ გიცდიათ?

— ტერიტორიაც დიდი და ად-
გილიც კარგია, მაგრამ ამ ადგილის
ამბავს ვინც გაიგებს, გაუჩნდება აქ
ცხოვრების სურვილი?.. ან რა ნამუ-
სით შევთავაზო სხვას აქ ცხოვრება
და ამ ცოდვის კისერზე აღება?! ამას
ვერ დავუშვებ.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— კარგი იქნება, თუ იმ ადგილ-
ზე, სადაც ნიშაა, ეკლესია აშენდება,
თუნდაც მცირე ზომის. ეს იქნებოდა
მოქმედი ეკლესია, სადაც ღვთისმ-
სახურება შესრულდებოდა. ჩვენი
სახლი კი უნდა დაინგრეს და თუ
შესაძლებელი იქნება, ცოტა მოშო-
რებით, ახალი აშენდეს ან კომპენ-
საცია მოგვცენ სახლის შესაძენად.
როგორც ვიცი, ჩვენი სახლი ეკლე-
სიის კედელზეა მიშენებული. ქვები,
რითიც სახლია აშენებული, ძალიან
ჰგავს წმინდა თევდორეს სახელობის
ნიშის ქვებს. არ არის გამორიცხუ-
ლი, სახლი დანგრეული ეკლესიის
ქვებით იყოს ნაშენი (ალიზით არის
აშენებული). შესაძლოა, თვით სახ-
ლიც მთლიანად ეკლესიის ნაწილი
იყოს. კარგია, თუ ამ კეთილ საქმეს
სპონსორი გამოუჩნდება. დიდ მადლს
იზამს: ეკლესიასაც აღადგენს და ერთ
გაჭირვებულ ოჯახსაც იხსნის უნებ-
ლიე ცოდვისგან.

— ამ სახლში ბედნიერი არასდროს ყოფილხართ?

— ამ სახლში არავის გაუხარია. ჩემი დედამთილი, როდესაც ამ ოჯახ-
ში პირველად შემოვიდა, თეთრებში
შემოსილი კაცი დაესიზმრა, რო-



ჩემი დედამთილი, როდესაც ამ ოჯახში პირველად შემოვიდა, თეთრებში შემოსილი კაცი დაესიზმრა

მელმაც ეზოში ადგილი მოზომა და თქვა: აქედან აქამდე (ეკლესიის ნიშში და მიმდებარე ტერიტორია) ჩემი საკუთრებაა, ნუ შეეხებით, ამის იქით კი — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო... ძალიან სათნო და მორწმუნე ქალი იყო. ეკლესიის ქვაზე ფეხის დაბიჯებას გვიკრძალავდა. თუ შემთხვევით ვინმე დააბიჯებდა, მოითხოვდა, მისთვის სამჯერ გვეკოცნა და ამით დანაშაული გამოგვესყიდა. ჩემი მეუღლე, ზაურ ცერაძე (9 წლის წინ გარდაიცვალა) დიდი მოქეიფე, ქალების მოყვარული კაცი იყო, კარგადაც მღეროდა. მდინარე მეჯუ-
დაში მაგიდას ჩადგამდა და წყალში ქეიფობდა ხოლმე. თავისნათქვამა იყო და მბრძანებლობა უყვარდა. მისი ყოველი კაპრიზი უნდა შემესრულებინა. აბა, გაგვებედა და არ დავმორჩილებოდით!.. ანდამატი-
ვით იზიდავდა ქალებს. მიუხედავად ამისა, მაინც მიყვარდა და დღემდე მიყვარს. ურწმუნო კაცი იყო, გამოუსწორებელი ათეისტი. თითქოს ეშმაკი ჰყავდა შეჩენილი. არც ჩვენს ეკლესიას აგებდა რამედ. ეკლესიის

ქვაზე ფეხსაცმელს ისე გაინმენდა, თვალსაც არ დაახამხამებდა. საშინელი სიკვდილით წავიდა ამ ქვეყნიდან. ტანჯვაში ამოხდა სული. ალბათ, რაც

ოკებელი სურვილი. შეუძლია დალიოს ჭურჭლის სარეცხი საშუალება, ფრჩხილის ლაქი, საღებავი, შეჭამოს საპონი, წიგნის ყდა და ქალაღდის

გამოჩნდებიან კეთილი ადამიანები და ჩვენს გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანენ.

მამა პირილე, გორის საკათედრო ტაძრის დეკანოზი:

— უნინ, სადაც სასაფლაო იყო, იქ აუცილებლად ეკლესიაც უნდა ყოფილიყო. სასაფლაომდე მიცვალებულს აუცილებლად მიაცილებდა მღვდელი. ნასაყდრალზე ცხოვრება ადამიანებს ბევრ პრობლემას შეუქმნის, ოჯახი ვერ გაიხარებს. ეკლესიის შეურაცხყოფისთვის სასჯელი გარდაუვალია. ერთმა კაცმა ეკლესიის ჯვარი ჩამოაგდო, ეპისკოპოსის პალატი შეურაცხყო... მთელი მისი გვარი ამოწყდა... ერთი ამბავიც მახსენდება: იყო უშვილო ოჯახი. ცოლქმარს მრავალი წლის მანძილზე არ უჩნდებოდა შვილი. მერე შეიტყვეს, რომ მათ სახლში ეკლესიიდან წამოღებული ქვა იყო. როგორც კი ქვა ეკლესიაში დააბრუნეს, ქალი, რომელიც უკვე მონიფულ ასაკში იყო, დაფეხმძიმდა.



ეს უდიდესი ცოდვია, ისევე, როგორც ნასაყდრალზე ცხოვრება

მამა გიდიონი, გორის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარი:

— ჩვენთვის არავის მოუმართავს. სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ერთ-ერთი სახლის ეზოში არქეოლოგები სამარხების გათხრას აპირებდნენ. მაშინვე მივედი იქ. თვითნებურად, წესების დაცვის გარეშე

კი ამქვეყნად მძიმე ავადმყოფობაა, ყველა მას შეეყარა: „შაქარი“, ასთმა, სახსრების ანთება... მერე — ციროზი დაემართა, მუცელში წყალი ჩაუდგა, ცივი ოფლი ასხამდა და სულ ცახცახებდა, ღამეს თეთრად ათენებდა. ძალიან დიდხანს იწვალა... ბოლოს კეთილი და მზრუნველი გახდა. ლუკმას პირში ისე არ ჩაიდებდა, ჩემთვის რომ არ გაეყო. სასთუმალთან ღამეებს ვუთენებდი, ვამშვიდებდი. ის კი პატივებს მთხოვდა, ცრემლები დაპაღუპით სდიოდა, მეუბნებოდა, რომ ჩემი ღირსი არ იყო. სიკვდილის წინ მოინანია, მითხრა, შენ რომ განამებდი, ამიტომ ვენამებო.

— **ახლა შვილიშვილებზე გვიამბებთ. პირველად რომ ვნახე, ძალიან პატარები იყვნენ.**

— ჩემთან მზიას შვილები ცხოვრობენ: გედევან გუგუტიშვილი, 13 წლის და ლიზი გუგუტიშვილი, 7 წლის. ბიჭი ბაზარში დადის პროდუქტების საყიდლად, ზამთარში ყოველდღე სამხერხაოდან ნახერხი მოჰქონდა და ასე გადაგვატანინა ზამთარი. ძალიან ნიჭიერია. ოთხჯერ მათემატიკის, ერთხელ კი ინგლისურის ტურში მოიპოვა გამარჯვება. ბევრი სიგელი აქვს მიღებული. წელს თბილისის ვ. კომაროვის 199-ე ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ჩაირიცხა. წარმატებებს თვითონ მიაღწია, დახმარების გარეშე. ამასთან ერთად, ბავშვებს ძალიან ბევრი უცნაურობაც სჭირთ: 4 წლიდან ბიჭს გაუჩნდა არასაკვები დანიშნულების სხვადასხვა ნივთიერების ჭამის დაუ-

ფურცლები. განსაკუთრებულად უყვარს „გუბკა“ (ღრუბელი), ასევე შეუძლია, დიდი რაოდენობით ჭამოს მარილი და შაქარი — მუჭებით იყრის ხოლმე პირში. ერთხელ სავარძელი გამოშიგნა და „გუბკა“ მთლიანად შეჭამა, მერე ხის სახელურები დაღრღნა. მახსოვს, სტუმრად ვიყავით, სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც

როგორც კი ქვა ეკლესიაში დააბრუნეს, ქალი, რომელიც უკვე მონიფულ ასაკში იყო, დაფეხმძიმდა

არ აკლდა. ბავშვმა პირი არაფერს დააკარა, სამაგიეროდ, საპირფარეშოში რომ შევიდა, იქ საპონი მიირთვა. სულ ვუშლით, ვუჯავრდებით. ისიც საკუთარ თავს ებრძვის, ცდილობს, თავი შეიკავოს. ძალიან რომ მოუნდება, საპონს გალოკავს და ამით ცოტას იკმაყოფილებს უცნაურ მოთხოვნას. საინტერესოა, რომ ასეთი განსაკუთრებული მენიუ მის ორგანიზმს არ ენებს. ყველა შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. ექიმთანაც გვყავდა, ანალიზი გავუკეთეთ. აღმოჩნდა, რომ მისი ორგანიზმი ბევრი აუცილებელი ელემენტის დეფიციტს განიცდის, სამი წლით ჩამორჩება თანატოლებს ფიზიკურ განვითარებაში. მეორედაც დაგვიბარეს ანალიზის ჩასატარებლად, მაგრამ მატერიალური მდგომარეობის გამო მისვლა ვერ მოვახერხეთ. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემები მოგვარდება, ამ სახლიდან რომ გადავაღებ. ვიმედოვნებ,

საფლავების გათხრა მკრეხელობა და მიცვალებულთა სულების შეურაცხყოფაა. ეს უდიდესი ცოდვია, ისევე, როგორც ნასაყდრალზე ცხოვრება. ამიტომ, მსგავსი სამუშაოების წამოწყება საპატრიარქოს ნებართვისა და კურთხევის გარეშე, დაუშვებელია. რაც შეეხება იმ ოჯახს, კარგი იქნება, თუ საცხოვრებელ ადგილს შეიცვლის. ჩვენ, როგორც კი გვექნება ამის საშუალება, მათ შესაბამის კომპენსაციას გამოვუყოფთ. საცხოვრებელ ეზოში არსებული ეკლესიის ნანგრევები და სამარხი საპატრიარქომ საკუთარ კონტროლზე აიყვანა. როგორც ჩანს, ეზოს მიწა თიხნარია, ამიტომაც წვიმის შედეგად მიწის დონემ თანდათან დაინია და სამარხები გამოჩნდა.

P.S. ვისაც ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდა, შეუძლიათ დაუკავშირდნენ შემდეგ ნომრებზე: 558-99-92-49; 598-53-49-76.

Lilo Slab city – უპოვართა ოცნება და შადრევნების საზაფხულო მიგრაცია ეზოებში

გადავხედე ჩემს „გამონიტორებულ“ ამბებს და აღმოვაჩინე, რომ ძირითადად ისეთ ქვეყნებში „ვმოგზაურობ“ და „გამოგზაურებ“, სადაც ჩვენზე უარესად ცხოვრობენ — შიათ, სტკივათ. ალბათ ეს ერთგვარი თავის დამშვიდებაა, რომ ვილაღად სადაღად ჩვენზე უარესად არის. გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ არცთუ ისე ცუდ დღეში ვარ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, მჯეროდეს, მაგრამ 2013 წლის დეკემბერში მოხდა ისეთი რამ, რამაც ჩემს ოპტიმიზმს სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ქეთი ნიკოლაჰა

სადგურის მოედანზე მომინია იმ დღეს გასვლამ საახალწლო სამზადისისთვის. მეტროსადგურის ამოსასვლელთან ხალხი შეგროვილიყო და ჩორჩოლი აეტყებათ. პოლიციელებს ყვითელი ლენტით შემოესაზღვრათ ტერიტორია და ცნობისმოყვარეებს იგერიებდნენ. მზერამ ბრბო გაარღვია და მის სახეზე გაჩერდა: ყინვისგან სიცოცხლემწყვეტილი, მრავალი წლის წინ კერას მოწყვეტილი, საზოგადოებაში „ვერადაპტირებული“, ყუყყიანი, ქუჩაში მრავალგზის ღამენათევი, უსახლკარო...

ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, — ლილოს დასახლებაში უსახლკაროთათვის სახლებს ავაშენებთო. ჯერჯერობით არაფერი აუშენებიათ. ცოტა ხნის წინ კი Slab city-ში ანუ

ქსოვილის ქალაქში მოვხვდი, უწინდებურად, „ფეისბუქის“ მეშვეობით.

სამხრეთ კალიფორნიაში, კოლორადოს უდაბნოში შეიქმნა Slab City, საზოგადოების იმ ფენისთვის, რომელიც განკვეთეს. ესენი არიან: ფსიქიკურად დაავადებულები, აივ-ინფიცირებულები, ნარკოდამოკიდებულები და სხვა ასოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ისეთებსაც შეხვდებით, ვინც აქ ცხოვრებით პენსიას იზოგავს. ზოგს მუშაობა ეზარება და ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დანიშნული უმუშევრობის შემწეობა ფუფუნებით ცხოვრების საშუალებას არ იძლევა, აქაურობას აფარებს თავს.

აქ არც ელექტროენერგიაა, არც პარკინგი, არც საკანალიზაციო სისტემა და დასუფთავების სამსახურიც არ იწუხებს თავს ნავის გაზიდვით. ნავის მზარდი მთა აქვთ და მხატ-



ადრე აქ შეერთებული შტატების საჯარისო ერთეულები იდგნენ

ვარი ლეონარდ აიტი ჰყავთ, რომელიც ამ მთას ყოველდღე საღებავით ფარავს და არტის სახეს აძლევს. აქ კაფეცაა და მალე Starbucks-იც გაიხსნება. შაბათ-კვირას ყველანი ღამის კლუბ The Range-ში იკრიბებიან და ჰოთდოგებს მიირთმევენ. საყინულეზე მეზობელ ნილანდში დადიან. საკუთარი ინჟინერიც ჰყავთ, რომელიც სამხედრო ყაზარმების ნანგრევებიდან ახალ საცხოვრებლებს აგებს. ადრე აქ შეერთებული შტატების საჯარისო ერთეულები იდგნენ. სახელწოდებაც იქიდან მიიღო დასახლებამ: Slab — ქსოვილია ბეტონის კონსტრუქციებისა, რომლებიც აქაურობას საჯარისო დანაყოფების ევაკუაციის შედეგად უხვად შემორჩა.

დაახლოებით 150-მდე კომლი აქ მუდმივად ცხოვრობს, თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც ჩრდილოეთ შტატებიდან გამოსაზამთრებლად ჩამოდიან. მუდმივმა მცხოვრებლებმა მათ „გადააფრენი ფრინველები“ უწოდეს. Slab city ზოგისთვის სამყაროს ფსკერია, ზოგისთვის — თავისუფლების კუნძული.

ჩვენში Lilo slab city უპოვართათვის ჯერჯერობით ოცნებად რჩება. მშენებლობისთვის ახლა არავის სცხელა. შადრევნების აშენებისთვის — კი. სცხელა ხალხს, ვერ გაამტყუნებ. ვისაც ხელენიფებოდა, ქალაქგარეთ გაიხიზნა, ხოლო ვინც დედაქალაქში დარჩა, წინა პრეზიდენტის პრაქტიკა გაიხსენა და შადრევნების აგებას მიჰყო ხელი, თანაც — საკუთარ ეზოებში. ერთ-ერთი ასეთი შედევრი ჩვენი ექსპრეზიდენტის „ვოლზეც“ მოხვდა, სიმპათიური წარწერით: „ბოდიში, რომ გახსნაზე ვერ დაგპატიყთ“.



აქ არც ელექტროენერგიაა, არც პარკინგი, არც საკანალიზაციო სისტემა

როგორ ავიცილოთ თავიდან „ზაფხულის დაავადებები“

„ასეთ დროს მებოტლის ან მებოტრის შერჩეული წამალი ვერ გვიშვავის“

ზაფხული — ამ სიტყვის ხსენებისას ძალაუნებურად ზღვა, მზე და ნანატრი შვებულება გვახსენდება, თუმცა, პაპანაქება სიცხესთან ერთად, ზაფხულმა შეიძლება სხვა უსიამოვნებებიც მოგვიტანოს. საქმე ის არის, რომ ამ დროს ძალიან აქტიურდება ბაქტერიები და მიკრობები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ჩვენს ჯანმრთელობას. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოების სამმართველოს უფროსი — შოთა ცხანაძე ამბობს, წელიწადის ამ სეზონზე განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე:



რისკის ჯგუფში შედიან ის ადამიანები, ვისაც პირუტყვთან ურთიერთობა ხშირად უწევთ

ხათუნა ჩიბობიძე

— ბატონო შოთა, დავინწყით ენტეროვირუსით, რომელიც საკმაოდ საშიშია და რომელიც ზაფხულში განსაკუთრებით აქტიურდება.

— საერთოდ, ენტეროვირუსული დაავადებები ძალზე გავრცელებულია, მათი გავრცელების არეალიც ფართოა. ენტეროვირუსით გამოწვეული დაავადებები განსაკუთრებით ხშირდება ზაფხულის პერიოდში, როცა ადამიანები უფრო მეტად სტუმრობენ სარეკრეაციო ზონებს. ვირუსის ერთგვარი „ბუდეა“ წყალსატევები, ტბები და მდინარეები. ამ პერიოდში განსაკუთრებით იმატებს ენტეროვირუსებით დაინფიცირების რისკი. ენტეროვირუსული დაავადება საკმაოდ სერიოზული მოვლენაა, რადგან მას ახასიათებს გართულება მენინგიტის სახით. ამ დაავადების ბევრი ვარიანტი არსებობს და ის საქართველოშიც არის გავრცელებული.

— ძირითადად, რა გზით ხვდება ენტეროვირუსი ადამიანის ორგანიზმში?

— ვირუსი შეიძლება შეგვხვდეს წყალსატევებისა და სარეკრეაციო ზონების სტუმრობის შედეგად, შეიძლება გადაეცეს საკვებით, წყლით,

ან — სხვა გზებითაც. დაავადება სერიოზულია და საჭიროებს განსაკუთრებულ მკურნალობას. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ და თუ თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება და უმიზეზო სისუსტე შეგვანუხებს, აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს. ეს თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა, რადგან ამ ვირუსის თავიდან არიდება პრაქტიკულად შეუძლებელია. წყალი ადამიანს ყოველთვის სჭირდება, ბოლოს და ბოლოს, საკვების მოსამზადებლად მაინც. ყველაზე დიდი რისკის ქვეშ ბავშვები არიან, რადგან ისინი ხშირად ყლაპავენ მდინარის ან ზღვის წყალს, ეს კი, ვირუსების ერთ-ერთი ბუდეა. ბავშვს უნდა ავუხსნათ, რომ წყლის გადაყლაპვა არ არის სასურველი. ასევე, ხარისხიანი საკვები უნდა მივირთვათ და ამით დავიცვათ თავი საშიში ვირუსებისაგან. ქუჩაში, ან არასაიმიდო ადგილებში უნდა ვივარდეთ, ეს შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ენტეროვირუსი ადამიანს შეიძლება ნებისმიერ ადგილას შეხვდეს, მაგრამ ზაფხულობით დაინფიცირების რისკი გაცილებით მაღალია.

— არანაკლებ საშიშია ყირიმ-კონგოს ცხელება, რომელმაც უკვე სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

— ეს საშიში დაავადებაც ზაფხულთან არის დაკავშირებული. ყირიმ-კონგოს ცხელება — ეს არის განსაკუთრებით საშიში ვირუსული დაავადება, რადგან აზიანებს ნერვულ სისტემას, ინვეს შინაგან სისხლჩაქცევებს, მენინგიტს და ა.შ... ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, სერიოზულად აზიანებს შინაგან ორგანოებს. საქართველოში ამ დაავადების უკვე 17 შემთხვევა დარეგისტრირდა. ამ ჩვიდმეტიდან სამი მართლაც გარდაიცვალა. ყირიმ-კონგოს ცხელების შემთხვევები ძალზე ხშირია შიდა ქართლსა და სამხრეთ საქართველოში. ყველა შემთხვევაში დამნაშავეა ტკიპა, რომელიც ადამიანს ჰკბენს. სწორედ ტკიპაა ამ ვირუსის გადამტანი, ტკიპების რაოდენობა კი ზაფხულობით ძალზე დიდია. ასე რომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ — განსაკუთრებით, ცხოველებთან ურთიერთობის დროს და იმ ადგილებში ყოფნისას, სადაც ტკიპები ბლომად არიან. რისკის ჯგუფში შედიან ის ადამიანები, ვისაც პირუტყვთან ურთიერთობა ხშირად უწევთ. ეს ძალიან საშიში დაავადებაა და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მისგან თავი დავიცვათ — სადაც ტკიპები არიან, ხელთათმანებისა და მაღალყელიანი ფეხსაცმელების გამოყენება აუცილებელია. ამ გზით

დავიცავთ თავს იმისაგან, რომ ყირიმ-კონგოს ვირუსი არ შეგვეყაროს. თუ ყველგან კომპლექსური ღონისძიებები არ გატარდა, თუ პირუტყვი არ დამუშავდა ისეთი ნივთიერებებით, რომელიც ტკიპას მოაცილებს, ვითარება საკმაოდ დამძიმდება, დაავადების შემთხვევები მოიმატებს. დაავადების სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, სახსრების ტკივილი, სისხლჩაქცევები და ა.შ... ეს არის უმძიმესი დაავადება, რომელიც მარტო ერთ ორგანოს კი არ აზიანებს, არამედ — მთელ ორგანიზმს. მან შეიძლება ყველა ორგანო ჩაითრიოს და დააზიანოს. თანაც, ეს დაზიანებები სიცოცხლისათვის საშიშია. ტკიპების ცხოველქმედება ზაფხულობით აქტიურდება, ზამთარში ისინი არ ჩანან და მათთან კონტაქტიც აშკარაა. ამიტომ, ეს დაავადებაც ზაფხულის დაავადებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ზაფხულობით ჩვენი მინდორ-ველები მოფენილია მისი გამომწვევი ტკიპებით და ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყყოთ. თუ ენტეროვირუსები მდინარესთან და წყალთან ასოცირდება, ტკიპა ბინადრობს მინდვრებში, ველებზე — ყველგან, სადაც პირუტყვია, სისხლს სწოვს მას და ასე ცოცხლობს.

— ალბათ ზაფხულის დაავადებების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ საკვებით ინტოქსიკაციაც.

— საკვებისმიერი ინტოქსიკაცია-

ციები და ინფექციები ამ სეზონზე მართლაც ყველაზე აქტიურია, რადგან ზაფხულში მათ მიკრობები განსაკუთრებით აქტიურდებიან. თუ საკვებს სწორად არ მოვამზადებთ და არ შევინახავთ, მომწამლავ მიკრობებს გამრავლებისათვის ხელსაყრელ გარემოს შევუქმნით. ისინი გამოყოფენ ტოქსინებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს ასნებოვნებს და აზიანებს. ამიტომ, საკვების მომზადების, შენახვისა და გამოყენების დროს შეძლებისდაგვარად, ყველა წესი უნდა დავიცვათ, გამრავლების საშუალება რომ არ მივცეთ. მიკრობი მაშინ არის საშიში, როდესაც მრავლდება. რაოდენობის მიხედვით, მონამვლას ზაფხულობით პირველი ადგილი უკავია, თუმცა, შედეგების მიხედვით გაცილებით საშიში ენტეროვირუსები და ყირიმ-კონგოს ცხელებაა. აბსოლუტურად ყველანაირი საკვები უნდა შევინახოთ დაბალ ტემპერატურაზე, მაგრამ თერმულად დამუშავებაც აუცილებელია, რომ არ მოვიწამლოთ. სხვათა შორის, ზაფხულობით ბოტულიზმი იშვიათად გვხვდება, ეს საშიში დაავადება უფრო ზამთარში ვრცელდება, როდესაც კონსერვებს იყენებენ ხოლმე.

— ზაფხულში საკმაოდ მაღალია სოკოვანი დაავადებით დაინფიცირების რისკიც. ამაზე რას გვეტყობით?

— დიახ, ზაფხულში სოკოვანი დაავადებებით ისეთივე „წარმატებით“

შეიძლება დაინფიცირდეთ, როგორც სხვა ბაქტერიებითა და ვირუსებით. სოკო ჩვენი პარაზიტია და ადამიანის ხარჯზე ცხოვრობს. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ამ დაავადებას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. სოკოვანი დაავადების რისკი მაღალია დახურული ტიპის წყალსატევებში, აუზებზე, ტბებში — ერთი სიტყვით, დამდგარ, მდორე წყალში, რომელიც არ არის სათანადოდ გაფილტრული და განმენდილი. ამავე დროს, სოკოს სპორები საკვებშიც შეიძლება იყოს. სხვათა შორის, ზღვა და მდინარე ამ მხრივ საშიში არ არის, რადგან თვითგანმმენდის უნარით არის დაჯილდოებული. ასე რომ, ზღვისა და მდინარის წყალი საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ წყალს არ ჩავეყლაპავთ.

— დასასრულ, რას ურჩევდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს, რომ ზაფხული ყოველგვარი ვირუსისა და ავადმყოფობის გარეშე გაატარონ?

— შეძლებისდაგვარად ვეცადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ საშიში ვირუსები. ეს 100 პროცენტით ვერ ხერხდება, მაგრამ თუ საეჭვო სიმპტომებს შევამჩნევთ, თვითმკურნალობას კი არ მივმართოთ, საკონსულტაციოდ ექიმს მივაკითხოთ და მისი რჩევები გავითვალისწინოთ. ეს ის შემთხვევაა, როცა მეზობლის, ან მეგობრის მიერ შერჩეული წამალი ვერ გვიშველის.

ყველა დროის აღიარებული ავტორის
ლევ ტოლსტოის 10-ტომეული

ლევ ტოლსტოი
ომი და მშვიდობა
ტომი 4

„ომი და მშვიდობა“


ტომი 3
21-დან 28 აგვისტომდე

წიგნის ფასი: 5 ლარი
შურნალთან ერთად 6 ლარი
შემდეგი წიგნი - „ომი და მშვიდობა“ ტომი 4

სარიდიან „ჩემი რჩეული მსოფლიო“
შურნალ „გზასთან“ ერთად ყოველ ხუთშაბათს
აირჩიე შენი ავტორი!

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომერზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ

სტუდენტის მერხიდან – ლექტორობამდე ანუ რატომ უნოდებენ ლაშა ლაკირბაიას ბენიოსს



ოლიმპიადა ეროვნულ გამოცდებს ემთხვეოდა და იქ აუცილებლად უნდა წაგესულიყავით, რადგან ქვეყნის პრესტიჟზე იყო საუბარი

ეკატერინე აბაშიძე

— ლაშა, შენ 2010 წელს თავისუფალ უნივერსიტეტში გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხე. როგორ?

— ეს შემთხვევა ცოტა არასტანდარტული იყო. მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილე ვიყავი, საქართველოს ნაკრებში ვირიცხებოდი. ოლიმპიადა ეროვნულ გამოცდებს ემთხვეოდა და იქ აუცილებლად უნდა წაგესულიყავით, რადგან ქვეყნის პრესტიჟზე იყო საუბარი, თან დიდი ხნით ადრე შეგვარჩიეს და ა.შ. გამოწვევის დაშვება გადაწყდა და პრეზიდენტის ბრძანება გამოიცა ამასთან დაკავშირებით. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ჩვენთვის სასურველ უნივერსიტეტებში ჩავირიცხეთ სრული დაფინანსებით, მაგრამ პირობა ასეთი იყო: მომდევნო წელს მაინც უნდა ჩაგვებარებინა ეროვნული გამოცდები და თუ დადგენილ ქულებს ვერ მოვაგროვებდით, უნივერსიტეტს დავტოვებდით. ერთწლიანი შეღავათი გვქონდა, მაგრამ საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ ჩვეულებრივი აბიტურიენტებივით გავვდიეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

— შარშან ამერიკულ კომპანიაში VMware იყავი სტაჟირებაზე. იქ როგორ მოხვდი?

22 წლის ლაშა ლაკირბაია პროგრამისტია. თავისუფალი უნივერსიტეტი ახლახან დაამთავრა, მაგრამ უკვე ბევრისგან შეიტყობთ, რომ ის დიდი ტალანტის პატრონია. ამას ისიც მონიშნავს, რომ სულ მალე ამერიკაში, კომპანია Rocket Fuel-ში დაინიშნება მუშაობას. ლაშა თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, დაბალკურსელებს ლექციებსაც უკითხავდა.

— ამ კომპანიაში ჩემი ორი ქართველი მეგობარი მიიწვიეს ერთი წლით ადრე. მათ მიჩიეს, რომ ბედი მეცადა, რადგან თვლიდნენ, რომ Rocket Fuel-ში მიმიღებდნენ. მათი რეკომენდაციები ძალიან დამეხმარა, რადგან საკმაოდ რთულია, იქ გასაუბრება დაგინიშნონ, მით უმეტეს — უცხოელს. როგორც იცით, ჩვენს უნივერსიტეტებს და ჩვენს ქვეყანას ამერიკაში არცთუ ისე კარგად იცნობენ, ამიტომ რთულია, რეკომენდაციების გარეშე ისინი შენით დაინტერესოს. თავისუფალი კარგ უნივერსიტეტად ითვლება, მაგრამ მათთვის ნებისმიერი ქართული უნივერსიტეტი ერთია. ზოგმა საქართველოს არსებობის შესახებაც კი არ იცის. დამინიშნეს გასაუბრება და მომცეს დავალება, რომელიც ერთ კვირაში უნდა შემესრულებინა. თავი გავართვი და შესაბამისად, სტაჟირებაზე მიმიწვიეს.

— ეს შენთვის ალბათ დიდი გამოცდილების მომტანი იყო...

— რა თქმა უნდა. დიდი გამოცდილება იყო არა მარტო პროფესიული, არამედ სხვა კუთხითაც. საერთოდ, რამდენიმე თვით სხვა ქვეყანაში ცხოვრება მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, ბევრი რამის სწავლა შეიძლება: თუნდაც, უკეთესად ითვისებ ენას. სხვადასხვა ეროვნების უამრავ ადამიანს შევხვდი და გარკვეული წარმოდგენებიც შემეცვალა. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ უცხოელების უმრავლესობა ცივი ხალხია და მათთან ურთიერთობა რთულია, მაგრამ მე რაც ვნახე, პირიქით, მგონი, ხალხი აქ უფრო ჩაკეტილია.

— სულ მალე კომპანია Rocket Fuel-ში მიდისარ სამუშაოდ. იქ როგორ მიიწვიეს?

— 5-თვიანი სტაჟირების შემდეგ ჩამოვედი და VMware-ში აღარ დავრჩი, თან მეოთხე კურსი იწყებოდა. კომპანიიდან მივიღე შემოთავაზება — სწავლის დამთავრების შემდეგ სრულ განაკვეთზე მემუშავა. რეალურად, იქ დაბრუნება ბევრი რამის გამო დიდად აღარ მინდოდა. თანაც, ბევრმა მიჩიეს, რომ კარიერის საწყის ეტაპზე ვიყო, სხვადასხვა კომპანი-

აში მეცადა ბედი. VMware-მ იმდენადაც არ აღმაფრთოვანა, რომ სხვაგან ძალების მოსინჯვაზე აღარ მეფიქრა. მოსაფიქრებელი პერიოდი მქონდა და ამასობაში Rocket Fuel-შიც ვცადე ბედი. გავიგე, იქ რაზეც მუშაობენ და ეს ჩემთვის მეტად საინტერესოა. სრულ განაკვეთზე ბევრად დიდი მოთხოვნები აქვთ, ვიდრე სტაჟირებაზე აყვანის შემთხვევაში. განსაზღვრული ვადა კონტრაქტს არ აქვს, იქ წერია, რომ ორივე მხარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს კონტრაქტი გაწყვიტოს. სამუშაო ვიზა კი სამწლიანია, რისი გახანგრძლივებაც სურვილის შემთხვევაში პრობლემა არ იქნება. ბევრ რამეზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს დავრჩები. მინიმუმ 1 ან 2 წელი იქ ვიმუშავებ.

— ახალგაზრდებს თვლი უცხოეთისკენ უჭირავთ, შენ კი ვიცის, საქართველოში დაბრუნება მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი. რატომ?

— ამას ბევრი მეკითხება, განსაკუთრებით — მეგობრები. ზოგს მგონი, არც სჯერა, რასაც ვამბობ. იქ პირველად რომ მივდიოდე, შეიძლება, ასეთი თავდაჯერებული არ ვყოფილიყავი და მეფიქრა, რომ სამოთხე დამხვდებოდა და ცხოვრებაც იქ მომიწინებოდა, მაგრამ არა მგონია, დედამისნაზე ისეთი ადგილი არსებობდეს, რომელიც ისე მომეწონება, რომ აქ ჩამოსვლა აღარ მომიწინებდეს. რა თქმა უნდა, კარიერა მნიშვნელოვანია და ამიტომაცაა, რომ ამდენი ხანია, ვშრომობ და თავს არ ვზოგავ, მაგრამ მთავარი ღირსება და ადამიანური ურთიერთობებია. თუ ეს არ იქნა, ბევრი რამ აზრს კარგავს. ამ კუთხით საქართველო ბევრად მიჩვენია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა. არ ვამბობ, რომ ისინი არამეგობრულები არიან, მაგრამ შეიძლება, ადამიანთან თბილი იყო, სინამდვილეში კი მისი არაფერი გაინტერესებდეს. ეს ამერიკაში ბევრჯერ შემიმჩნევია: ხვდება ერთი თანამშრომელი მეორეს, მოიკითხავს, მაგრამ პასუხს არ ელოდება და ყურსასმენებს იკეთებს. აქ ბევრად ბედნიერი ვარ...

— თავისუფალ უნივერსიტეტში ატარებდი ლექციებს. კომფორტუ-

**ლად გრძნობდი ლექტორის ამბლუ-
აში თავს?**

— ჩვენს უნივერსიტეტში ერთ-
გვარი ტრადიციაა — სტუდენტები
უმცროსკურსელებს ეხმარებიან.
ჩემს ფაკულტეტზე ე.წ. სექციის ლი-
დერები უმცროსკურსელების კითხ-
ვებს პასუხობენ, მათ დავალებებს
კითხულობენ და შენიშვნებსა და რჩე-
ვებს აძლევენ. შემომთავაზეს, მეორე
და მეოთხე კურსებზე სემინარები
ნამეკითხა. ლექციებს ლექტორი ატა-

ვარს. ხშირად ვხვდები მეგობრებს.
ვთამაშობ ჭადრაკს, ბილიარდს. სხვა-
დასხვა დროს ბევრ რამეს ვაკეთებ.
მაქვს დროებითი გატაცებები. რაღაც
დამაინტერესებს, იმ სფეროში გავერ-
კვევი და შემდეგ შეიძლება, შევეშვა.
ასე ხშირად ხდება.

— **ფორუმებსა და ინტერვიუებშიც
წავიკითხე, რომ გენიოსს გინოდებენ.
ფსიქოლოგიურად შენზე როგორ
მოქმედებს, რომ შეიძლება, გენიოსად
გთვლიდნენ?**



ლექტორებმა ხელი შემიწყვეს და ჩემს განაცოფში ყველაზე ძლიერი
და მონდომებული ბავშვები მოახვედრეს

რებდა, ჩემი დავალება კი პრაქტიკუ-
ლი მეცადინეობების ჩატარება იყო.
უნდა დავხმარებოდი სტუდენტებს,
რომ გარკვეული საკითხები უკეთ
გაეგოთ. კურსს „პროგრამირების
აბსტრაქციები“ ერქვა, რომელიც
ნაკითხვამდე ერთი წლით ადრე გა-
ვიარე. მეც ძალიან კმაყოფილი დავ-
რჩი. ლექტორებმა ხელი შემიწყვეს
და ჩემს განაცოფში ყველაზე ძლიერი
და მონდომებული ბავშვები მოახვედ-
რეს. დისციპლინის პრობლემა არ ყო-
ფილა, არც ის იგრძნობოდა, რომ მე
მათზე ერთი წლით უფროსი ვიყავი.
ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ
ერთი კურსი, რაზეც ლექტორის ასის-
ტენტი ვიყავი, ინფორმაციის უსაფ-
რთხოება იყო. ლექტორი ამერიკაში
მუშაობს, ლექციები ჩართვით იყო
და საჭირო გახდა, აქაც ყოფილიყო
ადამიანი, ვინც ორგანიზაციულ სა-
კითხებს მოაგვარებდა. ასე რომ, მე
ვეხმარებოდი. ლექციების ჩატარება
კომფორტული იყო. კარგი ჯგუფები
მყავდა და ძალზე სასიამოვნო იყო
მათთან მუშაობა. ვფიქრობ, საკმაოდ
საინტერესოა ლექტორობა, ოდნოდ
ამას თუ მივყვები, აუცილებლად —
სხვა საქმის პარალელურად.

— **თავისუფალ დროს რას აკეთებ,
რით ხარ დაინტერესებული?**
— ყველაზე მეტად ფეხბურთი მიყ-

— ძალზე სასიამოვნოა, როცა
ხალხი ასე ფიქრობს, მაგრამ რა თქმა
უნდა, ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ.
მგონია, რომ არც ისე დიდაა გონებ-
რივი განსხვავება ჩემსა და სავარა-
უდოდ, იმ ხალხს შორის, ვინც ამას
ამბობს. უბრალოდ, ჩემი აზრით, რის
გამოც მათ გენიოსი ვგონივარ, არის
ის, რომ ძალიან ბევრი დრო გავატა-
რე რაღაცის დასახვეწად, ჩემს თავზე
ბევრი ვიმუშავე. არა მგონია, ეს გენი-
ოსობისთვის საკმარისი იყოს.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**
— რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ
ამერიკაში წავალ და 1 ან 2 წელი დავ-
რჩები. მაგისტრატურაში სწავლის
გაგრძელება აუცილებლად მინდა.
შარშანდელი სტაჟირების გამო გეგ-
მები ამერია. იქ რომ არ წავსულიყავი,
ალბათ გავაგრძელებდი სწავლას. გა-
დავწყვიტე, სამუშაოდ წავიდე და შემ-
დეგ გავაგრძელო მაგისტრატურაში
სწავლა. მთავარი პლუსი ის იქნება,
რომ კარგ უნივერსიტეტში მოხვედ-
რის ალბათობა გაიზრდება, რადგან
ნამუშევარი მექნება მათთვის კარგად
ნაცნობ კომპანიაში. როგორც იცით,
მაგისტრატურაში სამუშაო სტაჟს
ყურადღებებს აქცევენ. ამასთან, თან-
ხის დაფაროვნაზეც შემიძლება, რომ,
საჭიროების შემთხვევაში, სწავლა
თავად დავაფინანსო.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია არნოდ ჩიქობავას
რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თეიმურ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010; №1-52, 2011; №1-50, 2012;
№1-52, 2013; №1-33, 2014

ქარიცლაპია — მტაცებელი
თევზი.

ქარიშხალა — ზღვის ფრინველი
ერთგვარი.

ქარკაპი (ძვ.) — ციხეზე ან კოშ-
კზე მიშენებული სამკუთხა პრიზ-
მის სახის ნაგებობა ქარისაგან
დასაცავად და მეციხოვნე ჯარის
საფრად ბრძოლის დროს.

ქარსალა — ზღვის წვრილი
თევზი ქაშაყების ოჯახისა.

ქარტხილი — ძლიერი ქარი.

ქარტია (ბერძ.; წიგნ.) — ზოგი
სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური
მნიშვნელობის დოკუმენტი.

ქარქარა — ძლიერ თეთრი, —
ქათქათა.

ქარქვეტი — ხმელი კაჭაჭი (სა-
ბა: კაჭაჭი — გამხმარი ღერო მა-
ღალი მსხვილღეროიანი ბალახისა,
მზესუმზირასი და მისთ.)

ქარშიკი — ლაზლის ან სხვა
მომსხო ძაფისაგან მოქსოვილი
ბრტყელი სარტყელი საქონლის
ზურგზე ჩულის დასამაგრებლად.
ქარშიშინი — მშრალი, ცხელი
ქარი — ხორშაკი.

ქარჩი (კუთხ.) — ერთი (ბრტყე-
ლი) პირის მქონე წერაქვი.

ქარცახი — იგივეა, რაც გელა
(ხის ან რკინის კეტი, ცეცხლის
საჩხრეკი).

ქარცემული — ქარისგან გამხ-
მარი (მცენარე).

ქარცხვი — ბალახოვანი მცე-
ნარე მაჩიტასებრთა ოჯახისა;
ცხვრის კარგი საკვებია.

ქარწი — კვარცი, მთის ბრო-
ლი.

ქასრა — სარეველა ბალახი
მარცვლოვანთა ოჯახისა.

ქასური — სალესავი ქვა ერთ-
გვარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სწავლული აგრონომი, ფიტოთერაპევტი ნიკოლოზ იოსებია

ზობი რამ ჩვენი ფაუნის წარმომადგენლები

მელა

მელამ თავისი კუდი როდის ან სად მოიყვანა მოწმედ, არ ვიცი, მაგრამ, სირბილის დროს კუდი საჭის მაგივრობას რომ უწევს, ცნობილია.

მელა გავრცელებულია ყველგან,

არიან, ხოლო 1 თვის ასაკში გამოდიან სოროდან და მის ახლომახლო თამაშობენ.

მელიები არც ისე ჭკვიანები და ეშმაკები არიან, როგორც ეს გავრცელებულია. უბრალოდ, დროთა

მისი ბენევი ერთ-ერთი საუკეთესოა ბენვის მომცემ ცხოველებს შორის.

კვერნა — სისხლმონყურაბული მტაცებელი

(ტყის ანუ ყვითელგულა კვერნა)

ორი სახეობის კვერნა გვხვდება საქართველოში — ყვითელგულა და თეთრყელა. ორივე საშინელი სისხლმონყურებელი მტაცებელია. საკვების საშოვნელად შებინდებისას გამოდის. იმდენად გაბედული და თავხედი ცხოველია, ხშირად თავისზე დიდსაც ესხმის თავს. მსხვერპლის მოკვლა მისთვის დიდი სიამოვნებაა. ვისაც კი მოერევა, ყველას კლავს, თავს მოაღრღნის და ტვინს ამოსჭამს. მკერდსა და სხვა რბილ ნაწილებს ნაკლებად ეტანება.

ულრანი ტყეების ტიპური ბინადარია, უფრო ხშირად — წიწვიანი ტყეებისა. ბუდეც იკეთებს ხის ფულურობში, კლდეთა ნაპრალებში, ხეების ფესვების ან ქვების ქვეშ. მკვირცხლად დარბის როგორც მიწაზე, ისე ხეებზე. თავს ესხმის ციყვებს, მოზუდარ ფრინველებს. სიამოვნებით მიირთმევს ხილსაც: პანტას, მაჟალოს, ტყემალს, შინდს, ზღმარტლს, ასკილს, ხურმას, წყავს, სუროსა და ჭნავის ნაყოფსაც კი, რომელთაც არც ღორი და არც დათვი არ ჭამენ.

ერთ-ერთი უძვირფასესი ბენვის მქონე სანადირო ცხოველია. ნადირობენ ხაფანგებით და თოფით. საქართველოში 60-70-იან წლებში წელიწადში 4 000-მდე კვერნის ტყავი მზადდებოდა. სხვათა შორის, კვერნა მხოლოდ ტყისა კი არა, დასახლებული ადგილების ცხოველიც გახლავთ, ცხოვრობს ადამიანის საცხოვრებელთან ახლოს.



ზოგჯერ თავხედურად იჭრება მაჩვის სოროში

გარდა ანტარქტიდისა. არსებობს მისი 6 სახეობა და 18 ქვესახეობა. საქართველოში გვხვდება — შ. ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, ველებზე, მდინარეთა ნაპირებზე და ხეხილის ბაღებშიც კი. გავრცელების ვერტიკალური საზღვარი ზღვის დონიდან 4000 მ-ია, ბუნავს იკეთებს კლდის ნაპრალებში, ნაქცეული ხის ფულურობში ან სხვა ცხოველების მიერ მიტოვებულ სოროებში. ზოგჯერ თავხედურად იჭრება მაჩვის სოროში, აბინძურებს და ბუნებით სუფთა მაჩვს აიძულებს, მიატოვოს საცხოვრებელი.

საშუალო სიდიდის ნადირია, სხეულის სიგრძე 90 სმ-მდეა, კუდის — 40-60 სმ, წონა — 10 კგ.

იკვებება ყველაფრით, დანყებული მწერებით, თავგებით, ხვლიკებით და დამთავრებული კურდღლით, აგრეთვე შვლის ნაკრით. არ ინუნებს არც ხილ-კენკრას და თხილს. დაუძინებელი მტერია მიწაზე მოზუდარი ფრინველებისა, ანადგურებს მათ კვერცხებსა და ნაშიერებს. არცთუ ისე იშვიათად დაძრწის დასახლებული პუნქტების სანაგვეებზე. მიუხედავად მელიის „მენიუს“ მრავალფეროვნებისა, მისი ძირითადი საკვები მაინც თავგები და თავგისნაირი ცხოველებია. მელა რომ გაძღეს, 10-დან 29 თავგამდე მაინც უნდა მიირთვას.

მრავლდებიან გაზაფხულზე. შობენ 6-12 უსუსურ, თვალყურდავსებულ ლეკვს, რომელიც 3 კვირის შემდეგ უკვე განვითარებულები

განმავლობაში უმუშავდებათ სიფრთხილად, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა ცხოველებთან შედარებით, ხაფანგშიც ადვილად ებმებიან და სანამლაგის მსხვერპლიც ყველაზე უნინ ხდებიან.

მელას შესანიშნავად განვითარებული ყნოსვა და სმენა აქვს. მას დაახლოებით 100 მ მანძილზე ესმის თოვლქვეშ მყოფი თავგის წრიპინი და ძალიან ადვილად აგნებს მას. უმოძრაოდ მყოფ ადამიანს ყნოსვით უფრო შეიგრძნობს, ვიდრე მხედველობით.

მიუხედავად იმისა, რომ მელა დიდ ზარალს აყენებს სანადირო მეურნეობებსა და სოფლის მოსახლეობას, თავისი მტაცებლობით, არანაკლები სარგებლობაც მოაქვს ადამიანისათვის, სხვადასხვა სახის მავნე მწერებისა და მღრღნელების განადგურების გამო.



ერთ-ერთი უძვირფასესი ბენვის მქონე სანადირო ცხოველია

ბამრძილება № 83 70

ჟურნალ **week** - ის და
საქართველოს კალათბურთის ფედერაციის
ერთობლივი პროექტი !



საქართველოს ნაკრების მაისური ჟურნალ „ლელო WEEK“ - ის
23 აგვისტოს ნომერთან ერთად

შეიძინე ჟურნალი „ლელო WEEK“
მაისურთან ერთად
და უზულშემატკივრე საყვარელ ნაკრებს ევრობასკეტის
შესარჩევ ეტაპზე !



ჟურნალის ფასი - 1.50 ლარი
მაისურთან ერთად - **20** ლარი

დასაწყისი იხ. გვ 68

ბუ

ჩვენს მინა-წყალზე 7 სახეობის ბუ არის გავრცელებული: ზარნაშო, ოლოლი, ბაიყუმი ანუ ჭაობის ბუ, ჭოტი, კავკასიური ბუ, ბუკოტი და წყრომი. მათ შორის ყველაზე მცირეა წყრომი. მისი წონა არ აღემატება 80 გრამს. ზომით შაშვზე ოდნავ დიდია.



თავს ნებისმიერი მიმართულებით, 180 გრადუსით ატრიალებს

გვხვდება ბალებსა და პარკებში. ხშირად სახლის ჭერში ან კარმიდამოში ბინადრობს. მეტწილად ხოჭოებითა და ღამის პეპლებით იკვებება, რომელთაც ფრენისას იჭერს. იშვიათად ღამურებსაც ეტანება.

საინტერესო და მეტად თავისებურია ჭაობის ბუ. საქართველოში გავრცელებულ ბუთა შორის ის ერთადერთია, რომელიც არც ტყეში შედის და არც ხეზე ჯდება. ეტანება ღია ადგილებს. გამრავლების დროს ირჩევს წყალსატევების მახლობელ ჭალებს, სანაპირო მდელოებს. სხვებისგან განსხვავებული თვისება ისიც ახასიათებს, რომ თავს ნებისმიერი მიმართულებით, 180 გრადუსით ატრიალებს.

ოლოლი ანუ ყურებიანი ბუ უმთავრესად წინვიან ტყეში, ხშირად პარკებსა და ბალებში ცხოვრობს. იკვებება პატარა ზომის ფრინველებით, თავვისებრი მღრღნელებით.

ჭოტი ანუ ბუკნაჭო საშუალოზე პატარა ფრინველია. წონით — 155-260 გრამი. თავვისებრ მღრღნელებთან ერთად სიამოვნებით მიირთმევს ათასგვარ მავნე მწერს, იშვიათად — ხელიკებსა და პატარა ზომის ფრინველებს. ბუკოტიც პატარა ზომისაა — 105-190 გ-ს იწონის. საქართველოში გვხვდება კავკასიური ბუკოტი. ბუდობს წინვიან, შერეულ და ფოთლოვან ტყეებში. ძირითადად იკვებება თავვისებრი მღრღნელებით, ძალიან იშვიათად — პატარა ფრინველებით.

ყველა სახეობის ბუ, მათი კვების ხასიათის მიხედვით, ბუნებისთვის სასარგებლოა და ეს დამწყებმა მონადირეებმა უნდა გაითვალისწინონ.

რაც შეეხება ზარნაშოს, იგი გარკვეულწილად ზარალს აყენებს ბუნებას, მაგრამ იმდენ მღრღნელს ანადგურებს, რომ მაინც სასარგებლო ფრინველად ითვლება.

ოფოფი

ყველა ბუნების მოყვარულმა ალბათ იცის, რატომ ჰქვია ამ ულამაზეს ფრინველს ოფოფი — მისივე გამოცხადების გამო. „ოფ-ოფ“, გაისმის ველ-მინდვრებში გრძელნიკარტა, ლამაზქოჩორა ოფოფის ხმა. უფრო ხშირად მას მინაზე მოსიარულეს ვხვდებით, მაგრამ ფრენისას სულ სხვა სილამაზე აქვს. ოფოფი ხეზეც მარჯვედ დადის. არც მწერების მოპოვებაში უდებს ვინმეს ტოლს. თავისი გრძელი, ოდნავ მოხრილი ნისკარტით ხან საიდან გამოათრევს მწერს და ხან — საიდან.

ბუდეს ხის ფულუროში იკეთებს. არ იწუნებს სახურავებს, კლდის ნაპრალებს, ნანგრევებს...

ოფოფის საკვები მრავალგვარი სახეობის მწერია: ხოჭოები, პეპლები, კალიები, კუტკალიები და ა.შ. ამით დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის.

იგი გადამფრენი ფრინველია. ზამთრობს სამხრეთ აფრიკაში. საბუდარ ადგილებში ჩნდება მარტ-აპრილში. ბუდობისა და ბარტყების დაზრდის შემდეგ (აგვისტოს ბოლოს) თბილი ქვეყნებისკენ მიემართება.

მეცნიერთა მტკიცებით, ერთხელ დაწყვილებული ოფოფები სიკვდილამდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან. როგორც წესი, მდედრი 5-6 კვერცხს დებს.

კრუხობს 2 კვირაზე ცოტა მეტს. ამ დროს მამრის საქციელი რაინდულია: ჯერ ერთგულად კვებავს კრუხს, ხოლო ინკუბაციის წინ ცვლის მას ბუდეში. ერთი „სენი“ სჭირთ ოფოფებს, — მშობ-



დაწყვილებული ოფოფები სიკვდილამდე ერთმანეთის ერთგულნი რჩებიან

ლები ბარტყებს ბუდეს არ უსუფთავენ ბენ, რის გამოც გაფრენამდე სკინტლში „ბანაობენ“. ოფოფების ცხოვრებაში ერთი საოცარი დეტალია, რომელიც დღემდე გაურკვეველია — დაჭერილ მწერს ჯერ მოკლავენ, მერე ჰაერში აისვრიან, კვლავ იჭერენ და ამის შემდეგ ყლაპავენ. არავინ იცის, ეს ოფოფების ახირებული ჩვევაა თუ კვების დროს ერთგვარი კომფორტი.

ეს საინტერესოა

რამდენ მწერს ჭამენ ბარტყები

სიცოცხლის პირველ დღეებში, ბარტყები თავიანთ წონაზე მეტ საჭმელს ჭამენ. შაშვის ბარტყი ტყვეობაში ზოგჯერ დღეში 68 მატლს ჭამს. გუგულის ახალგამორჩეილი ბარტყი ორი საათის განმავლობაში 160 მუხლუხოს უღებს ბოლოს. მოშისა ერთი ბუდის ნაჩეკმა ხუთ დღე-ღამეში 796 მაისის ხოჭო, 160 მათი მატლი, 27 ხოჭო-ტკაცუნა და 12 მათი მატლი გადასანსლა. ბოლოცეცხლა ერთი ზაფხულის განმავლობაში 1 მილიონ მწერს ანადგურებს, მემატლია — 50 ათასზე მეტ ბუხს. ზოგიერთი წიფნივა წელიწადში 6 მილიონ მწერს უღებს ბოლოს. აი, რამდენი სარგებლობა მოაქვთ ამ პანია ფრთოსნებს ტყისა და სოფლის მეურნეობისათვის.

მოლაღური — ხალისიანად გალობს — გამოსცემს ფლეიტის ჰანგებს, ეს ნიშნავს, რომ კარგი ამინდი იქნება. თუ კატასავით ჩხავის, ამინდი გაფუჭდება.

ტოროლა — თუ ცაში აიჭრა და გალობს, აუცილებლად კარგი ამინდი იქნება.

ქათამი — ქვიშაში იქექება, ფრთებს აფართხუნებს, კაკანებს — ამინდი გაფუჭდება. თუ ქათმები ცდილობენ რაც შეიძლება მაღლა შეფრინდნენ და მოიკალათონ, აუცილებლად განვიმდება.

მამალი — თუ შუა დღისას ყივის და მამლები ერთმანეთს ეხმაურებიან, განვიმდება.

ანტიბიოტიკების არასაჭიროებისამებრ გამოყენების მარვენებელი 40 პროცენტით გაიზარდა

ინგლისში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ იმ პაციენტთა რიცხვი, რომლებიც ხველისა და გაცივებისას ანტიბიოტიკს იღებენ, ამ საუკუნეში 40%-ით გაიზარდა. დიდი ხანია, ინგლისის მთავრობა ანტიბიოტიკების რეცეპტით გამოწერის რიცხვის შესამცირებლად კონკრეტული ზომების გატარებას ცდილობს, მაგრამ გაირკვა, რომ — უშედეგოდ. მეცნიერების თქმით, ანტიბიოტიკს არანაირი ეფექტი არ გააჩნია ხველისა და გაცივებისას, ის მხოლოდ ყელის ტკივილის შემთხვევაში მოქმედებს, ისიც, შემთხვევების 10%-შია წარმატებული.

მორენა ლაბაძე

ლონდონის უნივერსიტეტის კვლევამ ოჯახის ექიმების გამოცდილებაც შეისწავლა. კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა 1999-2011 წლების 500-ზე მეტი ოჯახის ექიმის გამოცდილება შეისწავლეს. 1999 წელს იმ პაციენტთა რაოდენობა, რომელთაც ოჯახის ექიმმა ხველისა და გაცივებისას ანტიბიოტიკი გამოწერა, 36% გახლდათ, 2011 წლისთვის კი მაჩვენებელი 51%-მდე გაიზარდა. ახლახან პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ მსოფლიო მედიცინა შესაძლებელია, ძველ, ბნელ წლებში დაბრუნდეს, თუკი ანტიბიოტიკების არასწორი მოხმარების აღმოსაფხვრელად მსოფლიო კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს.

ჯანდაცვის დეპარტამენტმა ანტიბიოტიკების გამოწერის შემცირების შესახებ რეკომენდაციები ჯერ კიდევ 1998 წელს გასცა. მათ შორის იყო მო-

ან ვირუსული ყელის ტკივილისას. კვლევის მიხედვით, ანტიბიოტიკების დიდი ნაწილი ყურის ინფექციებისას არის გამოწერილი. პაციენტების 97%-ს ამ შემთხვევაში ანტიბიოტიკს ოჯახის ექიმი უწერდა.

ჯერემი ჰოუპერი, ექიმი-ეპიდემიოლოგი:

— გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ანტიბიოტიკის გამოწერა გაცივების ან გრიპის არც ერთი შემთხვევისას არაა საჭირო, მაგრამ ჩვენი კვლევა ცხადყოფს, რომ ეს საკითხი მკაცრად უნდა გადაიხედოს.

მორენა ლაბაძე, ოჯახის ექიმი:

— ანტიბიოტიკები ძალზე ეფექტიანი წამლებია, თუ მათ საჭიროებისამებრ გამოვიყენებთ. სამწუხაროდ, ექიმები „შემაშფოთებლად ენდობიან“ მათ. გარდა ამისა, ოჯახის ექიმები ხშირად ამ წამლებს ძლიერი ზენოლის ქვეშ წერენ ხოლმე ისეთი უმნიშვნელო სიმპტომების დროსაც კი, რომლებიც წამლის გა-



ბარება. ზენოლას თავად პაციენტი ახორციელებს. აუცილებელია, წინა თაობამ და საზოგადოებამ იცოდნენ იმ რისკების შესახებ, რომლებიც ანტიბიოტიკების არასაჭიროებისამებრ გამოყენებას უკავშირდება, ამასთანავე — როგორ გამოვიყენოთ ისინი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილის დაცვით. ეს კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ პაციენტების არაკეთილგონივრულობას, ვინც ექიმებს ანტიბიოტიკის გამოწერას აიძულებენ და არ ეთანხმებიან ექიმის მიერ შეთავაზებულ მკურნალობის ალტერნატიულ გზებს.

სელი ჰიქარი, ინგლისის მთავარი სახელმწიფო ექიმი:

— სამედიცინო პერსონალი ხსენებული პრობლემის გადასაჭრელად ბრძოლის წინა ხაზზე დგას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამ საქმეში თითოეული მოქალაქის ჩაბმაც საჭიროა, განსაკუთრებით, იმ პაციენტების, ვინც ექიმებს ანტიბიოტიკის გამოწერას აიძულებს.

საქართველოში ანტიბიოტიკების შესახებ ევროპის ინფორმირებულობის დღე პირველად 2013 წელს აღინიშნა. როგორც აღმოჩნდა, პრობლემა ჩვენს ქვეყანაშიც მწვავედ დგას. იმერეთის რეგიონში ჩატარებული კვლევის თანახმად, ექიმის მიერ პაციენტისთვის გამოწერილი ათი ანტიბიოტიკიდან ცხრა არასაჭიროებისამებრ იყო დანიშნული... ბავშვთა ასაკში წამყვანი პრობლემა სასუნთქი გზების დაავადებებია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, ვირუსულია. ანტიბიოტიკი ამ დროს არათუ სასურველი არ არის, არამედ უფრო მეტიც — ორგანიზმში რეზისტენტულ ფონს ქმნის. ანტიბიოტიკის არასაჭიროებისამებრ დანიშვნის მიზეზებს შორის ექიმების დაბალ კვალიფიკაციასა და თვითმკურნალობას ასახელებენ.



ნოდება, რომ არ გამოწერილიყო ისინი ჩვეულებრივი ხველის, გაცივების

რეშეც გაივლის ან მკურნალობის სხვა საშუალებებსაც დაექვემდებ-



გზავნილები

გამარჯობა. დღეს, როცა „გზავნილებს“ ვწერ, წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა ქვეყანაში. ოღონდ არ გეგონოთ, რაიმე იაღლიში მომივიდა და სიცხეს მინდა გადავაბრალო... თუმცა, ზაფხული უკვე თითქმის გა-

მოდემ ერის შემცდენელი და დამწყები მაბინებელი

ვიდა... ამ დილით სამსახურში რომ მოვდიოდი, შევნიშნე, მანქანები მომატებულა ქალაქში. ჩამოვიდნენ „დაჩნიკები“. ერთი ბე-ემ-ვე ისეთი სისწრაფით მოძრაობდა, ვეღარ გაეგო, რა ექნა, გვერდი ვისთვის როგორ აექცია. გაძვრებოდა, გამოძვრებოდა... ჩემ წინ მიდიოდა განუზაფხველი „ლექუსი“ და უკანა მინაზე ეწერა — „იყიდება“... ჰოდა, ამ

ბე-ემ-ვემ გადამასწრო. ის იყო, „ლექუსისთვისაც“ უნდა აველო გვერდი, რომ იმანაც წინა მანქანის გადასწრება მოინდომა და...

ფაქტობრივად, ის „ლექუსი“ იქვე გაიყიდა... ვულოცავ ახალი მანქანის შეძენას ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ბე-ემ-ვეს საჭესთან იჯდა. ახლა კი ამ კვირაში გამოგზავნილ ამბებს გავეცნოთ:

სიკვდილის შიში

„ამ ერთი კვირის წინ ზემო აჭარის გზით მომიხდა მგზავრობა, თანაც გვიანი საღამოს საათებში... კოქისპირული წვიმა წამოგვეწია და... ხულოს ასფალტირებული გზა რომ დამთავრდა, დაიწყო, მარა რა დაიწყო! ზადორნოვის პამფლეტი ხომ გახსოვთ, „У нас не дороги, а просто направления!“ ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ „ნაპრაველენიასაც“ ვერ დაარქმევდი... კომმარ... ზარზამდე 55-კილომეტრიანი კომმარი... გო-

დერძის უღელტეხილზე რქსავით გაუმიჭვირვალე ნისლი... ღამე, ტემპერატურა 9 გრადუსი... ალპური ზონის უსულდგმულო სივრცე... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... სიცოცხლის თუნდაც სულ მცირე ნიშანწყალიც კი არ ჩანდა... ერთი მბჟუტავი ნათურაც კი არასად მოჩანდა იმედად! ტალახი, ღრმა ხრამისკენ (ზღვის დონიდან 2 800 მ სიმაღლეზე) წვიმით მოხეთქილი ვინრო სავალი ნაწილი, ტალახიანი მასა, რომელსაც „მერ-

სედესის“ ჯიბი ვერ უმკლავდებოდა... თითქმის 3-საათიანი სიკვდილის შიში (არ მეცინება! ძვლებსაც ვერ იპოვიდნენ ჩვენსას!). დაბოლოს, უღრანი გზიდან უეცრად აღმოვჩნდით განათებულ-გაბდღვრილებულ, სქელასფალტისსაფრიან ტრასაზე... ეფექტი... საოცარი!!! პირველი გაღვება ფიქრისა — გადავრჩით! და უცებ, ვხედავ ხელმარჯვნივ განათებულ რაბათის ციხეს და ჩემი შეკვივლება... გამიჩრეთ, ასფალტს უნდა ვემთხვიო-მეთქი. საშინელება ყოფილა, სიკვდილს რომ თვალეზი ჩახედავ“.



„2002 წელი იყო, გვარდიაში ვმსახურობდი, „ვარდოსნები“ ჯერ არ მობძანებულიყვნენ, არც ნაპოლეონ ოქრუაშვილი იყო მინისტრი, მგლის ბილეთით რომ გავესტუმრებინე... სწავლება ტარდებოდა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. უპრეცედენტო

მოდემ ერის შემცდენელი

შემთხვევა გახლდათ — 250 ამერიკელი გვარდიელი იყო ჩამოსული და ჩვენთან ერთად გადიოდნენ წვრთნას... სპეციალობების მიხედვით მიმაგრებულები ვიყავით ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან, მე დაზვერვის 4 ოფიცერთან მომიწია მუშაობამ, მაგარი კაი ტიპები იყვნენ, რუსულ ენას ლამის ჩემზე კარგად ფლობდნენ, ბუნებრივია, ინგლისურიც იცოდნენ. მოკლედ, წვრთნა-ვარჯიშის გარდა, მეგობრული ურთიერთობებიც ჩამოგვიყალიბდა. თავისუფალ დროს კალათბურთი, ამერიკული ფეხბურთი და თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ერთი თვის მანძილზე, უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ აზრი,

— სად ჯობია, ვჭამოთ ხინკალი. კვირა დღეა, ექსკურსიაა დაგეგმილი ამერიკელებისთვის, კახეთში. ალავერდის დათვალეირებაც შედის. ჩემმა ოკეანეს იქითა ძმაკაცებმა მთხოვეს, შენც წამოგვეყვიო. რავა ვეტყოდი უარს? ნავედით. 40 წუთია გათვალისწინებული ალავერდში გაჩერება-დათვალეირებაზე... 8 გიდი დაგვხვდა, — ხალხი გადანაწილდით ჯგუფებადო. ჩემმა ძმაკაცმა ამერიკელებმა იუარეს ვინცხა გიდი და მე მთხოვეს, — ნაგვიძეხიო. ჩემზე ჭკვიანი კაცი თუ არსებობს, არ სჯერათ. მათ თავის მხრივ, 20 ამერიკელი აეკიდა, — ესენი ჭკვიანი ხალხია და ამას ტყუილად არ დაჰყვებიანო... მეც გავშალე ფრთები, შევუბერე და რა შევუბერე...

ყველი – ურაცვატოდ

„ჰოდა, გაიგებდით ალბათ, ნამლები ურეცეპტოდ რომ არ გაიცემა. აი, მაგან გამახსენა ერთი ამბავი: ლიუცია ბიცოლას თავი სტკიოდა ხშირად და „ციტრანომი“ (ასე ეძახდა) შველოდა. ჰოდა, ერთხელ გამოეღია ეს ნამალი და — თავი მტკივა, ნამალი მომიტანეთო. ერთი ძალიან მხიარული და მადვალაკი შვილიშვილი ჰყავდა, — ახლავე, ბებიაო! — მონახა რალაც გამხმარი ყველის ნაჭერი, იმისგან გამოუჭრა აბი და მისცა, — აჰა, ნამალიო, დააღვინა. ცოტა ხანში ლიუცია ბიცოლას თავის ტკივილმა გაუარა... ბოლო-ბოლო, ეგრე ვიზამთ, რა! — გამხმარი ყველი ხომ იყიდება ურეცეპტოდ?“

ყველაზე შოვინისტ სომეხ ისტორიკოსს შემურდებოდა, ისეთებს ვაბრეხებდით...

პარალელებს ვავლებდი, — აგერ ირანს ატომური პროგრამა რომ ვერ გაუჩრეთ, საქართველო ჯანზე რომ იყო, ატომური პროგრამა კი არა, ხმლის გაღვსვის უფლება ჰქონდათ ჩამორთმეული-მეთქი. მისმენდნენ თვალეზადმოკარკლულები. სიმაღ-

ლეში 10 მეტრი წავეშატი ალავერდს, ასაკში — 400 წელი... დრო-გამოშვებით, დასმულ კითხვებსაც ვპასუხობდი, ვიცოდი თუ არ ვიცოდი პასუხი. უცებ, ერთმა პატარა, კოხტა, აფროამერიკელმა გოგომ მკითხა (თან მაჩვენა ეკლესიის მომწვანო თიხის იატაკზე ხელის ანაბეჭდი), — ეს რა არისო? — დავხედე, პასუხი მოსაფიქრებელია... მე ხომ ყოლიფერი ვიცი... — ეს არის... — დავადე ხელი იმ ანაბეჭდს და... გამართულად გან-

ვაცხადე: ასეთი გადმოცემაა, — ამ ანაბეჭდს თუ ხელს დაადებ და მის წინამდებარე ხატს შესთხოვ რამეს, სურვილი აგისრულდება-მეთქი. გამოვიგონე ექსპრომტად და ძვირად დამიჯდა. ჩემი ჯგუფის წევრებმა სურვილი გამოთქვეს, შანსი არ გაეშვათ და ძირს ხელდადებულებს წმინდა გიორგისთვის რაღაცები ეთხოვათ... ჩემს 20-კაციან ჯგუფს კიდევ გადაიტანდა კაცი, მარა სხვა ჯგუფებმაც მოჰკერეს თვალი, რაღაც ხდებოდა...

დადგა გრძელი, 250-კაციანი რიგი, სურვილთშესრულებისა. ზოგი ჯეკ-პოტის მოგებას სთხოვს, ზოგი — ნოდების მომატებას, ზოგი რას და ზოგი — რას. 40 წუთის მაგივრად, 3 საათის მერე ძლივს გამოვედით... ამერიკელები კი დარჩნენ ფრიად კმაყოფილები, უძველესი სურვილამსრულებლით სარგებლობისთვის, მარა დაგვიანების მიზეზი რომ გაირკვა, მე მხივს საყვედური სამსახურში, მოძმე ერის შეცდენისთვის“.

გადამრჩენელი კოლო

„ბოლო დღეებია, ამ „ღვთისნიერ“ არსებას საკმაოდ უდიერად მოიხსენიებენ ადამიანები. მე თუ მკითხავ, დაჭყლეტილი ბოთლის, ველისპედიის, შლოპანც-კვერცხების ძეგლების დადგმას, დიდი კოლოს ძეგლი დაგვედგა, აშკარად ჯობდა. ისე, ბევრი ადამიანის ძეგლსაც აჯობებდა. კოლოს ძეგლი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში შეტანილი ღვაწლისთვის!

პირველი, რაც დაიწყო, ეს გახლდათ საქართველოს რუსიფიკაცია, პირდაპირი მნიშვნელობით! განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საქართველოს შავი ზღვისპირეთი და დაიწყო მასობრივი ჩამოსახლება სლავური წარმოშობის მღვდრ-მამრებისა, რომელსაც სხვა ხელშეწყობასთან ერთად, იმპერიის ბიუჯეტიც უმაგრებდა და ზურგს. ქართველებში აღარ არსებობდა ის ძალა, ვინც ამ პროცესს შეაჩერებდა, მხოლოდ ღვთის იმედად თუ ვიქნებოდით. იმ ტემპებით, რა ტემპებითაც ეს პროცესი დაიწყო, 20 წელი სრულიად საკმარისი იქნებოდა, გურულ-მეგრელი კი არა, საჯიშედ იმერელიც აღარ შეგვრჩენოდა, ქართულენოვანი.

აქ კი გამოჩნდა ჩვენი მხსნელი! ის არც თეთრ ცხენზე იჯდა და არც მახვილს იქნევდა, უფრო მეტიც, ასანთის თავისხელა პატარა ფრთებითა და გრძელი ხორთუმით! კოლხური კოლო! მალარია!!! რომელიც ვერაფერს აკლებდა კოლხურ გენს, იმ დროისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა სლავებისთვის. არათუ მათი ახალშობილები, არამედ დიდებიც ავადდებოდნენ და იხოცებოდნენ. მალე ეს პროექტი შეწყდა და არათუ ახლები აღარ მომატებინან, ჩამოსულებიც გატრიალდნენ, ვინც ცოცხლები გადარჩნენ... ახლა გეკითხებით, ეკუთვნის თუ არა კოლო „განმათავისუფლებელს“ ან თუნდაც კოლო „ლომგულს“ ან სულაც „კოლო სლავთმმუსრავს“ ძეგლი?“

„ვაჰ, რა მაგრად მაცინეს... მოკლედ, ეზოში ერთი კახელი კაცია, „ფორდით“ ნესვი და საზამთრო აქვს ჩამოტანილი. აგერ, უკვე მეოთხე დღეა, ჩვენს ქუჩაზე უყენია მანქანა და ყიდის ხილს. ეტყობა, მაგარი ენაწყლიანია ეს ნოდარი (ასე ჰქვია). კახელი? არა, რა კახელი, ქიზიყელია, — ნუკრიანელი. მეზობლის კაცებმა ბირჟა დაიდეს ამ ნოდარასთან. ეს კიდევ ახარხარებს ამ „ბირჟავიკებს“. მოკლედ, აი, ამას მოჰყვა და რამდენად მართალია, არ ვიცი: ჯო, მიშამა დაიწყო სიღნაღის მშენებლობა, გაგვიხარდა მაშა, ე მანდ ხეირსა ვნახავთო, ხეირი მა, დედიმისისა, რა ხეირი? დედა მოგვიხნა, ისე წალო

კახელი მიტოსა და ქაბაბის მჭამელი პრეზიდენტის ამბავი

მამაპაპისეული ადგილი და სახლ-კარი. რაღაცა რეესტრი ნდომებია და ნახევარ სიღნაღსა ეგ „რეესტრი“ არა ჰქონდა. ან კი რა რეესტრი ექნებოდა, ერეკლე მეფე მაგას არ იძლეოდა, ისე ჩაგვასახლა სიღნაღში და თანაც სომხებიც ჩამოიყვანა — ისწავლეთ, სახედრებო, ხელობა და ვაჭრობა, სულ სმასა და ხაშლამაზე რომ ხართო! მოკლედ, ერეკლეს ნაბოძარი სახლკარი ნაგვართვა ამ დედა... ვანოამ, მიშამა და იმ ჭია ადვიშვილმა. არა, ვინც

ამათი იყო, იმათ კი აუშენეს ახალი სახლები და კრამიტით გადაუხურეს, ჩვენ კი, ვინც არ შევეპუეთ, ციხეებში გაგვიშვა, ზოგიერთებს სხვაგან, ტრაკისკენ გამოგვიყვანი მინა და იქ გადაგვიყვანეს. მოკლედ, ააშენა ახალი ქალაქი და გახსნა... სიტყვით გამოიდა — სასტუმროები და სიყვარულის ქალაქიო, ჯო, სიყვარულისა და სექსის ქალაქიო, გაიგე, ჯო? სად სიყვარული და სად სიღნაღი, მარა ეგ საჟიმათო გააკეთა ეტყობა, კვირა არ გავიდოდა, ჩამოვიდოდა და ახურუშებული მოზვირვით დაალაჯებდა.... ერთ ჩამოსვლაზე და ბლომ ბოზეებით ჩამოვიდა და მიტუას საქაბაბეში შენავალა და აქეთ ხინკალიო, ღვინოცა და ქაბაბიო. მიტუა ეუბნება, — მე კი არ მენანება, მარა ე მანდ არ აწყინოს ამდენმაო, მარა არ დაუჯერეს მიტოსა და ამ საქონელს 12 ცალი ქაბაბი უჭამია. ჰოდა, ავად გახდა, მუცელი ასტკივდა და ტირილი დაიწყო ჯო,



წასალი ცხიჯარების
გაშტკომესებში ვეხმარება.
განსაყოფარებაი მათი, ვინც მას
ყიდის

— მამნამლესო, ტიროდა. გაიგდეს ეს მიტუა ნიხლებქვეშ, მიტუა კიდე აგინებს ამათ, — რადა მცემთ, თქვე პატრონმიოხრებულეხო, 12 ქაბაბი შეჭამა, მიუშვით ქალებზე, მონიელებს და კარგად გახდება, არა და, თქვენი დედებიცო!

იმან, ვის გამოც მიტუა ასეთ დღეში იყო, არც იცოდა, მიტუას რომ სცემ-

დნენ... მერე, აზრზე რომ მოიდა, — დამიძახეთ „პოვარსაო“! მიუყვანეს მიტუა, თავყბადანგრული. — ეეე, რა კარგი ქაბაბი გცოდნია, ძია კაცო, ხშირად ჩამოვალ და ბევრ სტუმარსაც ჩამოგიყვანო... — რაო?! — იმცხეთა მიტუამ. — აქა აღარ დამენახო, შენი სტუმრებიანადო. აგინა, მარა რა აგინა მიტუამ... მიტუა ამნისტიით გაათა-

ვისუფლეს, ბიძინა რო მოიდა, ისე კი შტირლიცივითა, ვითომა შპიონი იყო და ამიტომ დაეჭირეთო, ჯო, გაიგია? იმის მუცელს გადააყოლეს მიტუა... ვიცი, „მიშისტები“ ამას არ დაიჯერებთ და თუ გინდათ, გადაამონმეთ, X კვარტალში, ხრუშჩოვის მოედანს ეძახიან, იქა დგას ეგ ქიზიყელი ნოღარა და თანაც ნესვიც იყიდეთ“.

დამწყები მამინებელი

„კომუნისტური წყობის დროს განათლების სამინისტროში ვმუშაობდი. ერთხელ, კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან ერთი მშობლის საჩივარი შემოვიდა — სკოლაში, სადაც ჩემი შვილი სწავლობს, დირექტორ-მასწავლებლებიანად ყველა იგინება და ეს ბავშვის ფსიქიკაზე ცუდად აისახებაო. გამოყვეს 3-კაციანი კომისია და გაგვიშვეს. ჯგუფის უფროსად დანიშნეს ძალიან ინტელიგენტი მამაკაცი — აკაკი. ისეთი თავაზიანი, ზრდილობიანი და მორიდებული კაცი იყო, მასთან ერთად ჭამაც კი მოგერიდებოდა. მისი მანქანით წავედით კახეთში, სიტუაციის შესასწავლად. მივედით საჩივარში აღნიშნულ სოფელში და გლენს ვკითხეთ, სკოლა სად მდებარეობსო — აი, აეგრე წადით და 2 კილომეტრს რომ გაივლით, დაინახავთ, მაგათი დედაცო! — შეიგინა გულიანად და ხელი იქით გაიშვირა, საითაც უნდა წავსულიყავით.

მივედით სკოლასთან, გარეთ დარაჯი იდგა. ვკითხეთ, — დირექტორის კაბინეტი რომელ სართულზეა-თქო? — ხელი მეორე სართულის ფანჯრისკენ გაიშვირა, — აგე, იქაა, ერთი მაგის დედაცო! — ავედით მეორე სართულზე და დირექტორი არ დაგვხდა კაბინეტში. სამასწავლებლოდან გამოსულ პედაგოგს ვკითხეთ მის შესახებ — კრებაზეა და გამოვა მალე, მაგის დედაცო! — ამანაც გულიანად შეუკურთხა. როგორც იქნა, მოვიდა დირექტორი, შეგვიძღვა კაბინეტში. ვუთხარით, — საჩივარია შემოსული, რომ ყველა იგინებით სკოლაში და სიტუაციის სანახავად ვართ მოსულები-თქო. ცოტა დასცხა... დაფიქრდა... — ვინ მიჩივლა? სად გაუგონია გინება, მე მაგის დედაცო!

მოკლედ, წამოვედით იქიდან... მე და ჩემი კოლეგა მთელი გზა ამ ამბავზე ვლაპარაკობთ, ხან ვიცინით, ხან აღშფოთებას გამოვთქვამთ...



აკაკი ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. არც ჩვენ გაეჩუმდით თბილისამდე... ჰოდა, ქალაქში რომ შემოვედით, აკაკის ნერვებმა უმტყუნა — მაგის მეტი სალაპარაკო არაფერი გაქვთ, მაგ კახელი დირექტორის დედაცო! შოკში ჩავეცივდით, აკაკისგან ამას არ მოველოდით, მაგრამ გინების მეტი დღის განმავლობაში არაფერი გაგვიგონია და გადაედო, ეტყობა... ამ პატიოსან და მოკრძალებულ კაცსაც გინება დაანყებინეს კახელებმა“.

12 1 20 = 33
ლ+ა+ს
 30 1 200 = 231

„მარი, ისევე მე ვარ, წელან გინებაზე რომ მოგიყევი ამბავი. ერთი პერიოდი სკოლაში დანყებით კლასებს ვასწავლიდი. ჰოდა, პირველ კლასში ვხსნიდი ასო-ბგერა — „ს“-ს. ბავშვებს

ასო-ბგერების სწავლების სირთული

ვთხოვე, ს-ზე დანყებული სიტყვები ჩამოეთვალათ. — სკოლა, სახაზავი, საათი, სურათი, სანთელი... სათითაოდ თვლიდნენ. ერთ-ერთ მათგანზე რომ მიდგა ჯერი, — სექსიო, თქვა. მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ დედა რომ მოვიდა მის წასაყვანად, იმას ვუთხარი, — ბავშვს ყურადღება მიაქციეთ, ასე და ასე მოხდა გაკვეთილზე-მეთქი, — და დანვრილებით მოვუყევი ამბავს. მეორე დღეს, ბავშვი სკოლაში რომ მოიყვანა, რაღაც-

ნაირად გამიღიმა დედამისმა. — რამე მოხდა-მეთქი? — ვკითხე.

— ჩემს ქმარს მოვუყევი გუშინდელი ამბავი და თქვენთან რაღაც დამაბარაო. — რა-მეთქი? — ყურები ვცქევიტე. — ცილა მასწავლებელს უთხარი, ასო-ბგერა „ყ“-ს რომ ახსნის, წინასწარ შემომითვალოს, რომ იმ დღეს ბავშვი სკოლაშიარ გაეშუშა, კიდე არ შეგვარცხვინოსო. აბა, რა უნდა ელაპარაკო ბავშვს, როცა მშობელი ასეთია? თუმცა, მაინც ვიცინე ამ ამბავზე“.

მომდევნო ნომრისთვის
 (თქვენ მიერვე შერჩეულ
 თემებზე) ამბები შეგიძლიათ
 გამოგზავნოთ მესიჯებით
 ტელეფონის ნომერზე:
 5.77.45.68.61
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
 marorita77@yahoo.com





ძაღუბი

1. მსურს მეგობრობა მარადიული, მინდა გაგეზი. მარინა, 19 წლის.
2. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სიმპათიური გოგო, დასავლეთისკენ. ნაცოლარები ნუ გამომეხმარებთ.
3. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, წესიერ მამაკაცს, 45 წლამდე.
4. გავიცნობ მაყუთა მამაკაცებს. ვარ 21 წლის გოგო. სამასხაროდ არ მცალია. დამირეკეთ 50 წლამდე. სალო.
5. გთხოვთ, მომცეთ მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
6. გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ მე-13 სმს-ის ავტორის ნომერი... გმადლობ...
7. ვარ 52 წლის, ქვრივი, თბილისელი, ბინით უზრუნველყოფილი. დაოჯახების მიზნით ვეძებ სულით ლამაზ მამაკაცს.
8. გთხოვთ, მომცეთ მე-8 მესიჯის ავტორის ნომერი.
9. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. ვარ ნატალია, 28 წლის.
10. გთხოვთ, მისცეთ 36-ე მესიჯის ავტორს ჩემი ნომერი.
11. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი მე-11 მესიჯის ავტორს.
12. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. მქვია ნათია, ვარ 29 წლის.
13. ვარ ფოთელი, პუტკუნა, სიმპათიური, ძალიან მეგობრული, 35 წლის მანდილოსანი. ამჟამად ვცხოვრობ თბილისში, გავიცნობ უბრალოდ კარგ, მეგობრულ პიროვნებას.
14. ვარ 50 წლის. ოთხი წელია, ვარ ქვრივი, სუფთა ნარსულით, მონესრიგებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ჩემი ასაკის, მონესრიგებულ კაცს, ვინც იცის ოჯახის ფასი.
15. გავიცნობ 55-60 წლამდე ასაკის ნამდვილ მამაკაცს, კაცურ კაცს. ვარ ხელოვანი, 50-ს გადაცილებული, სანდო, კარგი ბუნების ქალბატონი. ამდენი ადამიანის არაადამიანურობამ გამაგიჟა.
16. გავიცნობ მზრუნველ და პატი-

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მესიჯი გამოგზავნეთ ტელეფონის ნომერზე: 91779. მესიჯის ფასი 6 თეთრი.

- ოსან მამაკაცს, სამეგობროდ, 25-დან 35 წლამდე. სალო.
17. გამარჯობა. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. გახლავართ 29 წლის, მქვია ნატალია. არასერიოზულები გთხოვთ, არ შემეხმიანოთ.
18. მყავს 43 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ქერა, ცისფერთვალეა ნათლია. ცხოვრობს 11 წლის შვილთან ერთად. სიამოვნებით გავიცნობს სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს, 50 წლამდე.
19. გთხოვთ, მომცეთ მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
20. გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი... გმადლობ...
21. ვარ 52 წლის ქვრივი. თბილისელი, ბინით უზრუნველყოფილი. დასაოჯახებლად ვეძებ სულით ლამაზ მამაკაცს.
22. გთხოვთ, მომცეთ მე-8 მესიჯის ავტორის ნომერი.
23. გავიცნობ ეკლესიურ მამაკაცს, 25-დან 33 წლამდე. დამირეკეთ ამ ნომერზე. მქვია ეთო. სერიოზულებმა დამირეკონ.
24. გავიცნობ მამაკაცს სერიოზული ურთიერთობისთვის, 25-დან 30 წლამდე. ვარ 26 წლის, 172 სმ სიმაღლის, ქერათმიანი. არ მყავს ქმარი და შვილი. ლიკა.
25. ვარ 40 წლის, გაუთხოვარი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მანდილოსანი. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს 45 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით.
26. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №32-ის, 34-ე მესიჯის ავტორის ნომერი.
27. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №32, 30-ე მესიჯის ავტორის ნომერი.
28. მყავს შვილი. გავიცნობ თბილისელ, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილ, 35-დან 40 წლამდე ასაკის, ნორმალურ მამაკაცს. გამართობებმა თავი შეიკავეთ. მსურველს მიეცით ნომერი.
29. მინდა გავიცნო სერიოზული, ახალგაზრდა მამაკაცი. გთხოვთ, მხოლოდ დამირეკოთ. მქვია ნინიკო, ვარ 30 წლის. გამომეხმარეთ, დარეკეთ.
30. გთხოვთ, მომცეთ 27-ე და 29-ე მესიჯის ავტორების ტელეფონების ნომრები. ვარ 55 წლის, მონესრიგებული, კულტურული ქალბატონი.
31. გთხოვთ, მომცეთ 51-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

32. ვარ 28 წლის, დასაქმებული. მყავს ერთი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ და დასაქმებულ მამაკაცს. ანი.
33. მე-5 განცხადების ავტორს: ვი-დაქალოთ, თუ სურვილი გაქვს.
34. ვარ სიმპათიური გოგო, დასავლეთისკენ. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ, უცოლო მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. გასართობად ნუ გამომეხმარებთ.
35. გთხოვთ, მომცეთ 32-ე მესიჯის ავტორის ნომერი.
36. ვარ 30 წლის, ქმარს გაცილებული, მყავს ერთი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სიმპათიურ, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. აფერისტები ნუ გამომეხმარებთ.
37. მსურს გავიცნო 50 წლის, დასაქმებული მამაკაცი სამეგობროდ, ვინც დამეხმარება მატერიალურად. ვარ 48 წლის, ქვრივი ქალბატონი.
38. ვარ 22 წლის, განათხოვარი გოგო. მინდა ვიდაქალო ისეთ გოგოსთან, ვისაც არ გაუშართლა ჩემნაირად. ვარ ძალიან მეგობრული. თუ ფიქრობ, რომ ხარ ასეთი, გამომეხმარეთ, გოგონებო.
39. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო 45 წლამდე ასაკის, სერიოზული, ჩამოყალიბებული მამაკაცი.
40. გთხოვთ, მომცეთ 34-ე მესიჯის ავტორის ნომერი.
41. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. ვარ ნატალია, 28 წლის.
42. გთხოვთ, მისცეთ 36-ე მესიჯის ავტორს ჩემი ნომერი.
43. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. მქვია ნათია, ვარ 29 წლის.
44. გავიცნობ 55-60 წლამდე ასაკის ნამდვილ მამაკაცს, კაცურ კაცს. ვარ ხელოვანი, 50-ს გადაცილებული, სანდო, კარგი ბუნების ქალბატონი. ამდენი ადამიანის არაადამიანურობამ გამაგიჟა.
45. გავიცნობ მზრუნველ და პატიოსან მამაკაცს, სამეგობროდ, 25-დან 35 წლამდე. სალო.
46. გთხოვთ, მომცეთ მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
47. გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი... გმადლობ...
48. ვარ 40 წლის, სერიოზული ქალბატონი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 40-50 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს.

49. გავიცნობ ეკლესიურ მამაკაცს, 25-დან 33 წლამდე. დამირეკეთ ამ ნომერზე. მქვია ეთო. სერიოზულებმა დამირეკონ.

50. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, საჭირო ინტელექტითა და მატერიალური მდგომარეობით, ოჯახის შექმნის მიზნით. 43-50 წლის. ვარ ასეთივე მონაცემებით, სიმპათიური, ბავშვით, ბინით.

51. გავიცნობ მამაკაცს სერიოზული ურთიერთობისთვის, 25-დან 30 წლამდე. ვარ 26 წლის, 172 სმ სიმაღლის, ქერათმიანი. არ მყავს ქმარი და შვილი. ლიკა.

52. ვარ 58/176/76, ბინით უზრუნველყოფილი. ვცხოვრობ მარტო. გამომეხმაროს 40 წლამდე ასაკის, განათლებული, ლამაზი ქალბატონი.

53. ვარ 19 წლის, გავიცნობ სამეგობროდ 20-25 წლამდე თბილ, მოსიყვარულე და პატიოსან ბიჭს. იმედია, ტელეფონზე შემეხმიანებით. ვარ თბილისელი და რუსთაველი. ნათია.

54. ვარ 21 წლის ქვრივი. გავიცნობ 40-დან 50 წლამდე ასაკის, შეძლებულ მამაკაცს. ვცხოვრობ მარტო. ისეთმა დამიმეხიჯეთ, ვისაც გასართობად არ ვუნდვივარ და ჩემი ერთგული იქნება. ეთუნა.

55. 29 წლის, განათხოვარი, საკმაოდ ლამაზი, დასაქმებული გოგონა 11. გავიცნობთ ოჯახის შექმნის მიზნით. დაუკავშირდით.

56. გთხოვთ, მომცეთ მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

57. გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი... გმადლობ...

58. გთხოვთ, მომცეთ მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი.

59. ვარ შავგვრემანი, სექსუალური გოგო. ველი სიმპათიურებს.

60. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი მე-14 მესიჯის ავტორს.

61. ვარ 43 წლის. მინდა კარგი და საყვარელი ოჯახი მქონდეს. გთხოვთ, შემეხმიანოთ, ვისაც იგივე სურვილი გაქვთ. გელოდები და არ ინანებ.

62. ვარ 32 წლის ქალბატონი. მყავს შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, ნორმალურ მამაკაცს.

63. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მარტოხელა, სერიოზულ, დასაქმებულ კაცს, 50-დან 55 წლამდე.

64. გავიცნობ 20-დან 25 წლამდე სერიოზულ ბიჭს. ვარ სიმპათიური, გასათხოვარი გოგო, დასავლეთიდან. ცოლიანები და ნაცოლარები ნუ გამომეხმარებია.

65. ვარ 29 წლის, დასავლეთიდან, განქორწინებული. მხოლოდ

სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი შესაფერის მამაკაცს, ჩემსავით უბრალოს, ერთგულს, სანდომიანს.

66. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ კაცს, 38-დან 42 წლამდე. ვისაც სერიოზულად უნდა ოჯახის შექმნა.

67. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაკაცი. ვარ 25 წლის. გთხოვთ, მხოლოდ დამირეკოთ.

68. ვარ 25 წლის, შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27-38 წლის მამაკაცს, თუნდაც — განქორწინებულს ან ქვრივს. დანარჩენი — პირადად.

69. გამომეხმაროს სერიოზული მამაკაცი, ვინც მართლა ფიქრობს ოჯახის შექმნაზე. უსაქმურები, უინტელექტოები ნუ შენუხდებით. ვარ 43 წლის. დანარჩენი — პირადად.

70. გთხოვთ, მომცეთ მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი.

71. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი მე-14 მესიჯის ავტორს.

72. ვარ 43 წლის. მინდა კარგი და საყვარელი ოჯახი მქონდეს. გთხოვთ, შემეხმიანოთ, ვისაც იგივე სურვილი გაქვთ. გელოდები და არ ინანებ.

73. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მარტოხელა, სერიოზულ, დასაქმებულ კაცს, 50-დან 55 წლამდე.

74. ვარ 29 წლის, ვარ დასავლეთიდან, განქორწინებული. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი შესაფერის მამაკაცს, ჩემსავით უბრალოს, ერთგულს, სანდომიანს.

75. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ კაცს, 38-დან 42 წლამდე. ვისაც სერიოზულად უნდა ოჯახის შექმნა.

76. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაკაცი. ვარ 25 წლის. გთხოვთ, დამირეკოთ.

2. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი. მსურს გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით 35 წლამდე ასაკის, თბილისელი, სიმპათიური გარეგნობის ქალბატონი.

3. ვარ 37 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სტაბილური სამსახური. მინდა გავიცნო პატიოსანი მანდილოსანი, ოჯახის შექმნის მიზნით.

4. გამომეხმაროს თბილისელი, 35 წლამდე ასაკის, ქვრივი ან მარტოხელა ქალბატონი, რომელსაც სჭირდება გვერდით მდგომი მამაკაცი. დამიმეხიჯეთ. ვია.

5. გავიცნობ ახალგაზრდა გოგოს, 18-დან 20 წლამდე ასაკისას. თუ ერთმანეთს გაუგებთ, შეიძლება ჩვენმა ურთიერთობამ სერიოზული სახე მიიღოს.

6. ვარ თბილისელი, სანდო, ალერსიანი მამაკაცი. სამეგობროდ ან ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს თბილისიდან ან ახლომდებარე ქალაქებიდან, 50 წლამდე ასაკისას.

7. გავიცნობ ქვრივ, 35 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს, რომელსაც სჭირდება გვერდში მდგომი მამაკაცი.

8. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, პუტკუნა გოგოს. ვარ 28 წლის, სერიოზული და დასაქმებული. მთავარია, სულიერად ლამაზი იყო... დათო.

9. გამარჯობა. გეხვეწებით, მომეცით მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი, რომელსაც უნდა გავიცნოს 20 წლამდე მეგობარი. გთხოვთ, ჯიჯრები ხართ.

10. ვარ 41 წლის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ ბინიან ქალბატონს!

11. გავიცნობ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. სასურველია, იყოს ასაკით 27-დან 32 წლამდე. დამაკავშირეთ. დათო.


12. ვარ ერთგული ადამიანი. მარტო ვგრძნობ თავს. მინდა გავიცნო გოგო, ნამდვილი მეგობრობისთვის, 21 წლამდე. ვარ 21 წლის, თბილისელი ბიჭი, ლუკა.

13. მსურს მეექვსე ნომრის გაცნობა.

14. გთხოვთ, გამომეგზავნოთ მე-12 მესიჯის ავტორის ნომერი.


15. ვინც უსიყვარულობამ დაღალა და ვინც ამ ღვთის საჩუქარს ელოდება, ვარ ის მამაკაცი, ვინც ქალისა და სიყვარულის ფასი იცის. გამომეხმარეთ ქალბატონები.

16. გავიცნობ სასიამოვნო ქალს, ფარული შეხვედრებისთვის, მატერიალურად უზრუნველყოფილს, 35 წლამდე. ლექსო.



მამაკაცები

1. გთხოვთ, მომცეთ მე-2 მესიჯის ავტორის ნომერი.



მარცხოხედა ქალთა და მამაკაცთა კლუბი



იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მესიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 91779 მესიჯის ფასი 6 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.

17. პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მინდა.

18. მინდა გავიცნო მარტოხელა, თბილი, მეგობრული ქალბატონი, ასაკით 40 წლამდე, სასურველია — თბილისელი, გარეგნულად კი ფუმფულა, დიდმკერდიანი. ვარ სიმპათიური ბიჭი, 22 წლის.

19. გავიცნო 35 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, დაოჯახების მიზნით. ვარ 40 წლის, განქორწინებული. მქვია დათო.

20. ვარ თბილისელი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნოთ თბილისელ, პუტკუნა ქალს.

21. მინდა გავიცნო კარგი გოგო, 20-დან 25 წლამდე. ვარ სიმპათიური, წესიერი, თბილისელი, 25 წლის ბიჭი. გამომეხმაროს კარგი გოგო.

22. გთხოვთ, მომცეთ მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.

23. გთხოვთ, მომცეთ მე-15 მესიჯის ავტორის ნომერი.

24. ვისაც სურს, ჰყავდეს მეგობარი მამაკაცი, გამომეხმაროს 25-35 წლის გოგო.

25. წავიკითხე თქვენი ჟურნალი და მინდა გთხოვოთ, გამომიგზავნოთ მე-8 მესიჯის ტელეფონის ნომერი. მინდა მასთან მეგობრობა. ძალიან გთხოვთ, მომწეროთ.

26. გავიცნო 20-დან 50 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ 28 წლის, კარგი აღნაგობის ბიჭი. გავიცნოთ ქალს, სერიოზული ურთიერთობებისთვის.

27. ვარ 21 წლის, თბილისელი ბიჭი. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით ისეთი გოგო, რომელიც გულს გამითბობს და ბედნიერებას მაჩუქებს.

28. გავიცნო 25-დან 35 წლამდე ასაკის გოგოს, სამეგობროდ. გამომეხმარეთ, თუ სიტბო და სიყვარული გაკლიათ, ვიპოვოთ ერთმანეთი. გელოდები.

29. ვარ მარტოხელა მამაკაცი. მინ-

და კარგი ქალის გაცნობა. მქვია ბექა და მეტსახელია გაიოზა. შემეხმანეთ კარგი ქალები. ვარ მაღალი, ქერათმიანი. ვეძებ გასართობს.

30. გთხოვთ, გამომიგზავნოთ მეორე და მესამე მესიჯის ავტორების ტელეფონის ნომრები. წინასწარ დიდი მადლობა.

31. ვარ 28 წლის. გავიცნოთ კარგ, სექსუალურ ქალს. ბექა. თანხა პრობლემა არ არის, თუ მომეწონება, კარგ საჩუქარსაც ვაჩუქებ ან მანქანას, ოღონდ კარგს და სექსუალურს.

32. მეცხრე მესიჯის ავტორის ნომერი მომწერეთ.

33. ვარ 27 წლის. მინდა მყავდეს უფროსი ასაკის, მატერიალურად ძლიერი ქალი, რომელსაც სიტბოსა და ალერს არ მოვაკლებ.

34. მომწერეთ 21 წლის ეთუნას ნომერი, რომელიც მე-9 მესიჯის ავტორია.

35. ვარ თბილისელი, დასაქმებული, სერიოზული, საკმაოდ სიმპათიური, 180 სმ სიმაღლის, 78 კგ. გავიცნოთ ასაკით ჩემზე უფროს, სერიოზულ, მიმზიდველ ქალს. 28-დან 40 წლამდე. გელით. ლაშა.

36. გავიცნოთ 27-დან 32 წლამდე, სიმპათიურ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით.

37. ლამაზი ლექსები, ნამდვილი მეგობრობა გიოსთან, ასაკით უფროს ხალხთან.

38. გავიცნოთ გოგოს 20-დან 30 წლამდე, ფარული შეხვედრისთვის. ვარ 23 წლის.

39. ვარ 19 წლის. გავიცნოთ გოგოს, 25 წლამდე, სექსუალური ურთიერთობისთვის.

40. ვაკეთებ რემონტს იაფად, ვაერთებ გაბზარულ გულებს და ვამშვიდებ აფეთქებულ მეგრებს. აგური მომანოდე, ქალო! წრუნუნა.

41. გთხოვთ, მომცეთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი ან როგორმე დამაკავშიროთ მასთან.

42. სამეგობროდ მინდა გავიცნოთ თბილისელი, მარტოხელა, ფუმფულა და დიდმკერდიანი ქალბატონი, ასაკით 40 წლამდე. ვარ 22 წლის, მაღალი და სიმპათიური სტუდენტი ბიჭი.

43. მსურს, გავიცნო 35 წლამდე ასაკის მანდილოსანი, შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული და სერიოზული. გთხოვთ, არასერიოზულები და ცანცარები არ შენუხდეთ. პატივისცემით, თეოდორი.

44. გავიცნო 18-დან 23 წლამდე ასაკის მომხიბვლელ გოგონას, სამეგობროდ. ვარ 22 წლის, გიო, თბილისიდან.

45. ვარ 59 წლის, უცოლო. ოჯახის შესაქმნელად მინდა 50-60 წლამდე ქალი, ბინიანი.

46. გავიცნოთ უბრალოდ, კარგ გოგონას, 30 წლამდე, სამეგობროდ, 45 წლის, ბიზნესმენი მამაკაცი. გინდაც სტუდენტს. სასურველია, იყოს რაიონიდან.

47. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 52-ე ნომრის მე-8 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

48. მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერს გთხოვთ.

49. ვარ 25 წლის, 174 სმ სიმაღლის, შავგვრემანი. გავიცნოთ მანდილოსანს, ინტიმური ურთიერთობისთვის, ბინით უზრუნველყოფილს, 20-დან 40 წლამდე.

50. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №39-ის მე-9 მესიჯის ავტორის ნომერი. გიორგი.

51. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №32, მე-17 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი.

52. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №39, მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი. გამადლო.

53. გთხოვთ, მომწეროთ მე-3 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი.

54. ვეძებ სიმპათიურ გოგოს. თუ ვინმეს მეგობრობა უნდა ჩემთან, მომწეროს. მე რეზი მქვია.

55. მიინდა გავიცნო თბილისში მცხოვრები, ერთი უბრალო მოსიყვარულე და თბილი ადამიანი, რომელიც ქალის სიტბოს მაგრძობინებს. 20-დან 28 წლამდე მანდილოსნებო, მომწერეთ...

56. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის ლამაზ გოგოს. არასერიოზულებმა არ დამირეკონ. მაქვს სტაბილური სამსახური, პატარა ბიზნესთან ერთად. თუ გაქვთ „გზას“ კარგი გოგოს ნომერი, მომანოდეთ.

57. ვარ 46 წლის. სამეგობროდ გავიცნობ უქმრო, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ემუშაოთ თბილისში.

58. გთხოვთ, მომცეთ ნომრის პირველი მესიჯის ნომერი.

59. ვარ ბათუმელი, სიმპათიური, სპორტსმენი ბიჭი. ფარული ურთიერთობისთვის გავიცნობ გოგოს. დამიმესიჯონ მსურველებმა.

60. გამარჯობა. გთხოვთ, მომცეთ მე-3 მესიჯის ტელეფონის ნომერი. გმადლობ.

61. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 40-წლამდე ქალბატონს. ვარ რაიონიდან. დანარჩენი — პირადში.

62. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. დასაქმებულს, რომელსაც სიყვარულს არ მოვაკლებ.

63. გთხოვთ, მომცეთ მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობ.

64. ვარ 38 წლის, გავიცნობ 30-დან 35 წლამდე ასაკის ქალიშვილ გოგოს, ოჯახის შესაქმნელად. მაქვს სამსახური, სახლი, ავტომანქანა, ვცხოვრობ სოფელში.

65. ვარ 35 წლის. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით ლამაზ, პატიოსან გოგოს, თუნდაც განათხოვარს.

66. გავიცნობ ლამაზ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის, 23 წლიდან 30 წლამდე. გთხოვთ, მომეცით სრული მისამართი, რომ მოგწეროთ. გზის მკითხველი.

67. გავიცნობ თინეიჯერ გოგოს. სასურველია, იყოს საყვარელი. უბრალოდ, ურთიერთობისთვის. დანარჩენი — პირადად. მქვია შაკო.

68. ვარ 18 წლის, გავიცნობ ქალბატონს. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, სასურველია — ბინიანი. თბილი და კარგი ურთიერთობისთვის.

69. გავიცნობ ეთუნას, რომელიც არის 21 წლის.

70. ვარ 30 წლის, გავიცნობ 25-35 წლამდე მანდილოსანს. არასერიოზულები ნუ გამომეხმარებია.

71. გთხოვთ, მომწეროთ მე-9 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი.

72. გავიცნობ 30-დან 40 წლამდე,

პუტკუნა ქალბატონს, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული და სიმპათიური. დანარჩენს პირადად გეტყვი. გამხდრები ნუ შემეხმანებთ.

73. გთხოვთ, მომწეროთ მე-13 მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი.

74. გავიცნობ ქალბატონს, 35-50 წლამდე. სასურველია, იყოს ბინიანი. ტკბილი და თბილი, ბედნიერი, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. თუ დარჩენენ ნორმალურები, გელოდებით.

75. გთხოვთ, მომცეთ მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი. გმადლობ.

76. გთხოვთ მომცეთ მე-4 განცხადების ავტორის ტელეფონის ნომერი.

77. გავიცნობ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით, 20-დან 25 წლამდე. ჭკვიანს და წესიერს. ვარ 27 წლის.

78. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №28, მე-10 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

79. გთხოვთ, მომცეთ მე-12 მესიჯის ავტორის ნომერი.

80. ვარ 25 წლის, დასაქმებული. გავიცნობ 20-დან 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის. საბა.

81. ოჯახის შექმნის მიზნით მიინდა გავიცნო 36 წლამდე ასაკის, თბილისელი, არამსუქანი, კარგი გარეგნობისა და სულით ლამაზი ქალბატონი.

82. ვარ 37 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. მიინდა გავიცნო 32 წლამდე ასაკის, სერიოზული მანდილოსანი, რომელსაც ოჯახის შექმნა უნდა.

83. მხოლოდ უფროსებთან მეგობრობა, ლამაზი ლექსები გიოსთან.

84. მიინდა გამომეხმაროთ მე-12 მესიჯის ავტორი.

85. გავიცნობ არაორდინარულ, ებრაელ გოგონას.

86. რა უნდა აქ შენს ლამაზ თვალებს, რატომ კითხულობს ამ ფურცელს? თუ სიტბოსა და სიყვარულს ეძებ, შენ ის იპოვე... ზურა, 39 წლის, თბილისი.

87. გავიცნობდი ჩემსავით სიტბოს მოკლებულ მანდილოსანს, სიმპათიურს და მეგობრულს, თბილისში მცხოვრებს, 30 წლამდე, ოღონდ ფულზე გაგიყებულს — არა.

88. გავიცნობ 30 წლამდე გოგოს, შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის, ქერა, ცისფერთვალება, ბათუმელი. შემეხმანეთ, არ ინანებთ.

89. გავიცნობ 22 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგონას, სერიოზული ურ-

თიერთობისთვის. ვარ 25 წლის, სიმპათიური ბიჭი, ექიმი.

90. გთხოვთ, მომცეთ ან მისცეთ ჩემი ნომერი მე-14 ნომრის მესიჯის ავტორს.

91. გამარჯობა, მარინა, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი შენი მეგობარი წმიინდა გავებით. მე მეგობრობაში შეუფასებელ სიმდიდრეს ვხედავ. ღმერთმა დაგლოცოს. გიო, 24 წლის

92. თუ თბილისში ხარ, თუ ვისიცა ხარ, ვერგაიგო მან შენი ფასი, თუ შენც ჩემსავით სიყვარულში არ გაგიმართლა, დამეკონტაქტე. კახა, 36 წლის.

93. გავიცნობ ფარული ურთიერთობისთვის გოგოს, 25-დან 30-წლამდე. ვარ დასაქმებული, მყავს მანქანა. ვარ 39 წლის. მოდი, ვიყოთ ერთად.

94. ვარ კარგი გარეგნობის, ყველაფრით უზრუნველყოფილი, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ სიმპათიურ ქალბატონს, ვისაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს კანონიერი შვილი.

95. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, მიმზიდველ ქალბატონს, რომელსაც თანადგომა სჭირდება. არასერიოზულები არ გამომეხმაროთ.

96. გავიცნობ 50-55 წლის, ქვრივ ქალბატონს, მუდმივი შეხვედრებისთვის. თბილისი.

97. ჰეი, ბავშვებო! მე გრინჩი ვარ და ახალი მეგობრების შექმნა მიინდა. თუ სურვილი გაგიჩნდებათ, მომწერეთ, რა...

100. გავიცნობ წესიერ გოგოს, 28-დან 32 წლამდე. დამიკავშირდეს ამ ნომერზე.

101. გავიცნობ მანდილოსანს, 41 წლის ქალბატონს.

102. ვარ 40 წლის, გაუთხოვარი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მანდილოსანი. გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს, 45 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით.

103. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №34, მე-2 მესიჯის ავტორის ნომერი.

104. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი, მსურს გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, 35 წლამდე ასაკის, თბილისელი, სიმპათიური გარეგნობის ქალბატონი.

105. ვარ 37 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში. მაქვს სტაბილური სამსახური. მიინდა გავიცნო პატიოსანი მანდილოსანი, ოჯახის შექმნის მიზნით.

ყურადღება! გთხოვთ, ისარგებლოთ მხოლოდ ლათინური შრიფტით. ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სხვა შრიფტს ნუ გამოიყენებთ, რადგან სისტემა ვერ „კითხულობს“ (უცნაური იეროგლიფების სახით ფიქსირდება) და მესიჯი ვერ გამოქვეყნდება.

ჰოროსკოპი

21-27 აგვისტო

ვეფხვი



ხუთშაბათს მოერიდეთ კონფლიქტს მეგობრებთან და კოლეგებთან. შაბათს ნათესავების დახმარებით ყველა საქმეს მოაგვარებთ. ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. ნურავის საქმეში ნუ ჩაერევით.

კუჩხი



ხუთშაბათს ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს. გააფიქრობდებთ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან. ნუ გააფიქრებთ, დიპლომატიურად იმოქმედეთ. სამშაბათს გაუფრთხილდით თვალებს.

ტყუპი



პარასკევს ნუ დაგეგმავთ საქმიან შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს. შაბათს ახალი იდეები განახორციელეთ. ორშაბათს იუმორით განმუხტეთ რთული სიტუაცია. სამშაბათ-ოთხშაბათს დაასრულეთ დაწყებული საქმეები.

კირჩხიბი



გავლენიანი მეგობრებისა და კოლეგების დახმარებით ნებისმიერ დაბრკოლებას იოლად გადალახავთ. შაბათს მოერიდეთ ხმაურიან შეკრებას. ორშაბათიდან გაგიუმჯობესდება განწყობილება. ოთხშაბათს გაუფრთხილდით კუჭს.

ლომი



შეცდომების თავიდან ასაცილებლად, მაქსიმალური ყურადღებით უნდა იმუშაოთ. შაბათს სიფრთხილე გმართებთ მგზავრობისას. ორშაბათს სამსახურის საქმეებშიც გაგიმართლებთ და პირად ცხოვრებაშიც.

ქაფი



პარასკევს მეგობრებს დახმარებაზე უარი არ უთხრათ. უქმეები ქალაქგარეთ გაატარეთ, დაისვენეთ. სამშაბათს ნუ გაიხსენებთ ძველ კონფლიქტს. ოთხშაბათს სიფრთხილე გმართებთ მგზავრობისას.

სასწორი



მუშაობაშიც და გარშემო მყოფებთან ურთიერთობაშიც „ოქროს შუალედი“ შეინარჩუნეთ. უქმეები ბინის მონყოლას დაუთმეთ. წარმატების პერიოდი დაგეწყით, იაქტიურეთ.

მძვინვარი



კვირის საუკეთესო დღე ხუთშაბათია; დაგეგმეთ მნიშვნელოვანი საქმეები და შეხვედრები. უქმეები ზღვის პირას გაატარეთ. ორშაბათს არაფერი დაკარგოთ. სამშაბათი ცვლილებების დღეა.

მშვიდი



მეტი ყურადღება მიაქციეთ შვილებს. უქმეებზე მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. ორშაბათს სიფრთხილე გმართებთ ელექტროსაგნებთან. ოთხშაბათს დაფარეთ ვალები, გადასახადები.

თხრი



შეხმიანეთ შორეულ, დიდი ხნის უნახავ ნათესავებს. უქმეებზე დაისვენეთ, გამოიძინეთ. გაგიადვილდებით დიდი ხნის გეგმების განხორციელება. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბინის უსაფრთხოებას.

მეჩხუმი



კვირის მეორე ნახევარი საოჯახო საქმეების მოგვარებას, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს დაუთმეთ. სამშაბათს ყველა საკითხი თქვენს სასარგებლოდ მოგვარდება. გააუმჯობესეთ რომანტიკული ურთიერთობები.

თევზი



ხუთშაბათს ნუ გაართულებთ დამოკიდებულებას კოლეგებთან. შაბათს გაგიადვილდებით საქმეების მოგვარება. ორშაბათს დაგეგმეთ ყველა მნიშვნელოვანი საქმე. ოთხშაბათს ნუ გაართულებთ ურთიერთობას სამართალდამცველებთან.

როგორი მამაკაცი სჭირდება ქალს ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით

დასასრული.

დასაწყისი იხ. „გზა“, №33

სასწორს რომანტიკული მამრები იზიდავს, მოსიყვარულე, პოეტური, მუსიკალური მონაცემებით. ამ მხრივ მისთვის იდეალურია: ტყუპი, მშვილდოსანი, მერწყული და ლომი.

მორიელს უხეში, ცოტა პრიმიტიული, მაგრამ მამაკაცური ჰაბიტუსის მქონე, ფიზიკური სიძლიერით გამორჩეული მამაკაცები ხიბლავს. მისთვის იდეალური მენწყილებია: ვერძი, თხის რქა, კურო ან თავად მორიელი.

მშვილდოსანს ცვალებადი, მრავალმხრივი, ცოტათი ინფანტილური და მხიარული მამაკაცი სჭირდება.

მისთვის საუკეთესო პარტნიორები არიან: ტყუპი, მერწყული, სასწორი ან ვერძი.

თხის რქას სერიოზული, რესპექტაბელური, პროფესიულად შემდგარი და კარგი სოციალური მდგომარეობის მქონე მამრები იზიდავს. მისთვის იდეალურია: ქალწული, კურო, მორიელი ან ლომი.

მერწყულისთვის მთავარი კრიტერიუმი მამაკაცის შეფასებისას, მისი ინტელექტის კოეფიციენტი და ადამიანური თვისებებია. იგი კარგად უყვებს: ტყუპს, მშვილდოსანს, ვერძს ან თევზებს.

თევზებისთვის მთავარია ემოციური და სულიერი კავშირი პარტნიორთან.

ორთან, სჭირდება გულისხმიერი, მზრუნველი და შემოქმედებითი აზროვნების მქონე მამრი. ამ მხრივ მას იდეალურად შეეწყობიან: კირჩხიბი, სასწორი, მორიელი ან ლომი.



ამოყვანილია ინტერნეტპორტალზე www.astrologi.ge-ს მასალები

ბონების საპარტიშო

„გზის“ ერთგული
მკითხველისათვის

(პასუხები)

ქვემოთ მოცემული კითხვები
ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა
დროს გამოქვეყნებული მასა-
ლების მიხედვით არის შედგენი-
ლი. შეეცადეთ, პასუხი გასცეთ
ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვტიისკენ
არ გაბეჩდით თვალი

1. დანიის დედოფალი, ტრადიციის თანახმად, ჰაერში ხვდება ახალ წელს. როგორ?
2. დასახელები ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა მსოფლიოში.
3. რა არის პლევრა?
4. დასახელები ქვეყანა, სადაც დაიბადა მურმან ლეზანიძე?
5. რომელი იყო ქრისტეს მოციქულთაგან მეზაჟე?
6. რაში იყენებდნენ ანტიკური ხანის მეომრები ფუტკრის სკებს?
7. უკიდურესი ჩრდილოეთის მცხოვრებლები მარხილში შესაბამელად ირმებს ძალღებს ამჯობინებენ. რატომ?
8. დასახელები ქართველი მსახიობი, რომელიც პანაშვიდებზე სიარულს მას შემდეგ არიდებდა თავს, რაც სამძიმარზე მისვლისას მის დანახვაზე ვილაცას სიცილი ნასკდა.
9. დასახელები ქართველი მომღერალი ქალი, რომელიც ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“ რუსულ რომანსს ასრულებს.
10. რომელ დიქტატორს ეკუთვნის სიტყვები: „მე ძალზე მოკრძალებული ადამიანი ვარ: მიჭირს, ხალხს ვუთხრა, რომ მისი ლიდერი ვარ“?
11. გველის მოშინაურება შეუძლებელია. რატომ?
12. რისი შიშია ბალისტოობა?

ანეკდოტები



ვფიქრობ, რომ კვაზიმოდოსა და ესმერალდას შორის რაღაც მაინც მოხდა...

* * *

ბულაღტერი თავის 5 წლის ქალიშვილს კონკიას ზღაპარს უყვება. ბავშვი გაფაციცებული უსმენს. განსაკუთრებით ის ადგილი მოეწონა, კეთილი ფერიას ჯადოქრობით კვახი რომ ოქროს ეტლად გადაიქცა, და მამამისს ეკითხება:

— მამა, ოქროს ეტლად კვახის გადაქცევა როგორც ქონების ღირებულების ზრდა კვალიფიცირდება თუ როგორც შემოსავალი?

* * *

— წარმოგიდგენია, გუშინ მანიაკი დაემესხა თავს!

— სექსუალური?!

— ნუ, როგორ გითხრა?.. არც ისე.

* * *

მასწავლებელი:

— შოთიკო, ახლა შენი ჯერია, მოგვიყვე, რა კეთილი საქმე გააკეთე არდადეგებზე?

— რამდენიმე დღის წინ მამიკოს ვაცილებდით სადგურზე. იქ ერთი ბიძია დავინახე — მატარებელზე აგვიანდებოდა. მეც ავიღე და საყელიური შევხსენი ჩემს ბულტერიერს.

— მერე?

— მერე იმ ბიძიამ თავის მატარებელს მიუხსნო.



* * *

მოხუცმა მეზადურმა ოქროს თევზი დაიჭირა.

— შენი ცოლი კიდევ ცოცხალია?

— ეკითხება თევზი.

— კი...

— აუ, მაშინ შემწვი და შემჭამე, რა!..

* * *

— რა ღირს ქლიბი?
— 15 ლარი!
— რა არის, შე კაი კაცო, ციხეში კი არ ვარ გამოკეტილი!

* * *

— დღეს რა ლამაზად გამოიყურებით, სოფიკო!..

— ყველა ლამაზ ქალს ამას ეუბნებით, არა?

— არა, ლამაზებს სულ სხვა რამეს ეუბნები!..

* * *

— ადამიანის ინტელექტუალური დონე იმ კითხვების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, რომელსაც იძლევიან.

— რაიო?

* * *

სვანი ტრავმატოლოგიურში წევს დაბინტული.

— რა მოგივიდა?

— ხეს დავეჯახე...

— აუჰ!.. წარმომიდგენია, მანქანა რა დღეში იქნება!..

— ფეხით ვიყავი...

* * *

ექიმი ეუბნება ახალბედა დედას:

— როდის გათხოვდით?

— აპრილში.

— ბავშვი როდის შეგეძინათ?

— აგვისტოში.

— ჰოო... საინტერესოა!

— ჰმ... თქვენ ექიმი ბრძანდებით თუ მათემატიკოსი?... თქვენს საქმეს მიხედეთ!

* * *

დედა ეუბნება ქალიშვილს:

— აი, ვუყურებ შენს საქმროს და

* * *

გურულმა ტყუბ ბავშვს მოჰკრა თვალი და მშობელს ეკითხება:
— იგია აგი თუ აგია იგი?

* * *

კარზე ზარია.
— ვინ არის?
— „მწვანეთა პარტია“!
— რა გნებავთ?
— სოციალური გამოკითხვაა... გააღეთ!
— არ გავაღებ! გუშინ ჩემმა მეზობელმა გააღო და ჯერაც ვერ მოსულა აზრზე...
— ასეთი ვინ იყო?!
— „ცისფერთა პარტია“!

* * *

დირექტორი თავის ხელქვეითს ემშვიდობება, რომელიც სხვა სამუშაოზე გადადის.
— იცით, ძალიან შეგეჩვიეთ... ჩემთვის შვილივით იყავით: მასავით უპასუხისმგებლო, ზარმაცი, მოუნესრიგებელი...

* * *

— ექიმო, ეს ტრადიციული ნარკოზი რაღა უბედურებაა?!
— ბევრს ნუ ლაპარაკობ! დაცალე ეგ არყის ბოთლი, ეს ლუდიც მიაყოლე და საოპერაციო მაგიდაზე დაწევი!

* * *

მოსაზრება: თუ მამაკაცი ცდილობს, დურბინით დაინახოს მოპირდაპირე კორპუსის ბინის ფანჯრებში შიშველი ქალი, ესე იგი, მას არა აქვს ინტერნეტი.

* * *

ცოლი ქმარს ურეკავს:
— ძვირფასო, მანქანა გამიფუჭდა.
— რა მოუვიდა?
— კარბიურატორში წყალი შევიდა.
— როდის აქეთ გაიგე, კარბურატორი რა არის?! სად არის მანქანა?
— ტბაში, ძვირფასო.

* * *

ავტოვაგზალზე ბოშა ქალი ვილაც კაცს გადაეკიდა:
— მოდი, ვიმკითხავო. ყველაფერს გეტყვი, რაც კი თავს გადაგხდენია და მომავალში რაც გელოდება.
— კარგი, მიმკითხავე.
— საშინელი სიკვდილი გელის: ყელს გამოგჭრიან, ტყავს გაგაძრობენ, ასო-ასო აგქნიან და ცეცხლზე შეგბრანავენ.
— მოიცა, მოიცა, ხელთათმანის გახდა დამავინყდა...

* * *

— ნონის დასაკლებად სპორტულ დარბაზში დავედივარ და ყოველთვიურად 1.000 დოლარი მეხარჯება.
— რატომ ამდენი?
— ძვირი სასადილო აქვთ.

* * *

კახელმა ოქროს თევზი დაიჭირა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:
— ლეონის ქარხანა მინდა, მაგარი სახლი და ძვირფასი მანქანა.
— კარგი, ოღონდ აირჩიე, ლიზინგით გინდა თუ კრედიტით?
— ეგრე, არა?! მაშინ შენც აირჩიე, ზეთში გირჩენია შებრანვა თუ ვერბოში!



* * *

— რა მოგივიდა, რას ჰგაფხარ?
— სახლიდან რომ გამოვდიოდი, ცოლმა ყვავილი მესროლა!
— ყვავილი და ეგეთი ჭუჭყი?
— ქოთნით მესროლა!

ბონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)




1. სადღესასწაულო სუფრასთან მდგომი მონარქი საათის ბოლო ჩამოკვრაზე ადგილზე შეხტება, რათა უკვე ახალ წელს დაეშვას მინაზე.
2. ინდოეთი.
3. აპკი, რომელიც ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლებს ფარავს.
4. ახერბაიჯანი.
5. მათე მოციქული.
6. ბრძოლის დროს მტრის რიგებში ისროდნენ.
7. ძალი ხორცისმჭამელია და უფრო სწრაფად ახერხებს ძალ-ღონის აღდგენას.
8. სანდრო ფორფოლიანი.
9. თამარ იშხნელი.
10. პოლ პოტი.
11. მისი დაბალი გონებრივი განვითარების გამო.
12. ტყვიების შიში.

ჩვენი ფოტობაღიარება



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

ფოტოკუჩიონები



ლიოტონი 1000[®]

ჰეპარინი

ფხეზის ჯანერთალოზისა და
სილაეაზისათვის!

გელი



თუ გაქვთ:

- ფხეზის შეზუპება
- სიეიიის შეზრქნება
- ვარიკოზული ვენები

www.lioton.ge

3-10 სმ გელი 1-3 ჯერ დღეში



ჰეპარინის მაღალი კონსენტრაცია
სრაფი შენოვის უნარი

